ნინო ტალახაძე

# ეკონომიკა და სახელმწიფო

XI/XII

მასწავლებლის წიგნი

**ავტორი:** ნინო ტალახაძე

**შემდგენლები:** ლია გიგაური, გულნაზ ერქომაიშვილი, მარინა ნაცვალაძე

**რედაქტორი:** გულნაზ ერქომაიშვილი

## ავტორებისაგან

მოცემული სახელმძღვანელო წინა ვერსიის გადამუშავებულ ვარიანტს წარმოადგენს, რომელიც მასწავლებელთა და მოსწავლეთა შენიშვნების გათვალისწინებით და ეროვნული სასწავლო გეგმის ახალი მოთხოვნების შესაბამისად შეიცვალა.

წიგნის შედგენისას გავითვალისწინეთ ის გარემოებაც, რომ ბოლო რამდენიმე წელიწადში განათლების სისტემაში ბევრი რამ შეიცვალა: ეკონომიკის პედაგოგებმა საგნის სწავლების მეტი გამოცდილება შეიძინეს, სკოლებისათვის კი ხელმისაწვდომი გახდა ელექტრონული რესურსები.

იმედი გვაქვს, რომ მოცემული სახელმძღვანელო დახმარებას გაგიწევთ სასწავლო პროცესის ეფექტურად დაგეგმვასა და განხორციელებაში და კიდევ უფრო დაიხვეწება თქვენი შენიშვნების საფუძველზე.

გისურვებთ წარმატებებს!

## წინასიტყვაობა

ეკონომიკის, როგორც საგნის შესწავლა უმნიშვნელოვანესია მოსწავლეებში ეკონომიკური აზროვნების ფორმირებისათვის, რათა მათ საშუალება მიეცეთ ორიენტირება გააკეთონ თანამედროვე სამყაროში, მიიღონ გადაწყვეტილებები, რომელიც მათ მომავალს განსაზღვრავს.

სახელმძღვანელოს **ზოგადი მიზნებია** მრავალმხრივი მიდგომით

- ეფექტურად წარმოაჩინოს საგანი ეკონომიკა, დაეხმაროს მოსწავლეებს მისი არსისა და მიზნების სწორად აღქმაში;
- წინ წამოსწიოს საგნის სწავლების პრაქტიკული (უნარების განვითარებასთან დაკავშირებული) მიზნები;
- დაეხმაროს მოსწავლეებს სამსემესტრიანი კურსის ეფექტიანად ათვისებაში, საკლასო და კლასგარეშე დროის ოპტიმალურად ორგანიზებაში;
- ეფექტურად გადაჭრას ეკონომიკური განათლების გარდამავალი სტანდარტით XI-XII კლასისათვის განსაზღვრული ამოცანები;
- მშრალი შინაარსი და ეკონომიკური კონცეფციები რეალურ მაგალითებით გააცოცხლოს.

**სახელმძღვანელო ემსახურება შემდეგ ძირითად მიზნებს**:

- იმ ფუნდამენტური ეკონომიკური პრინციპების შესწავლა, რომელიც საჭიროა ეკონომიკური გამოვლინებების და ეროვნული ეკონომიკის ცვლილებების გასაგებად და შესაფასებლად;
- მოსწავლეებში ეკონომიკური აზროვნების ჩამოყალიბება, რათა მათ ადვილად მოახდინონ საბაზრო ეკონომიკურ გარემოში ადაპტირება, გააცნობიერონ საკუთარი – როგორც მოქალაქის, მომხმარებლის, მეწარმის როლი;
- განუვითაროს მოზარდს როგორც პირად, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში სწორი, მისთვის სასიკეთო და მომგებიან ეკონომიკური, კომერციული და მოქალაქეობრივი გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარ-ჩვევები, აქტიური მოქმედების უნარი;
- განუვითაროს მოზარდებს პირადი და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის გრძნობა და აღუძრას საზოგადოებრივ და ეკონომიკურ პროცესში მონაწილეობის სურვილი;
- ასწავლოს მათ, როგორ განსაზღვრონ ქვეყნის სახელმწიფოებრივი და ეკონომიკური მიზნები, აგრეთვე, ოჯახის, ფირმის და პირადი ეკონომიკური და სოციალური პერსპექტივები;
- შესძინოს და განუვითაროს მოზარდს საზოგადოებაში თანაცხოვრებისა და თანამშრომლობისათვის საჭირო უნარ-ჩვევები;
- ასწავლოს ინფორმაციასთან დამოუკიდებელი მუშაობა (მოპოვება, შეგროვება, ანალიზი და გავრცელება);
- ისეთი უნარ-ჩვევები განუვითაროს, რომელიც საშუალებას მისცემს უკვე არსებული გამოცდილება და მიღწევები ახალი მატერიალური და ინტელექტუალური ღირებულებების შესაქმნელად გამოიყენოს;
- **განუვითაროს** ანალიტიკური აზროვნების, კვლევის და შეფასების, **ახალი ცოდნისა და ჩვევების დამოუკიდებლად შეძენის უნარი. რათა შეძლოს** მოამზადოს შეაფასოს ალტერნატივები, **გააკეთოს არჩევანი** და დაგეგმოს **მომავალი განათლება და შრომითი საქმიანობა**, წინასწარ გათვალოს შედეგები;
- იყოს კანონმორჩილი. განსაზღვროს, რომელ საკანონმდებლო სივრცეში ხდება მისი საქმიანობა, გაითვალისწინოს კანონის მოთხოვნები;
- ეფექტურად გადაჭრას ეკონომიური განათლების სტანდარტით გათვალისწინებული ამოცანები;
- აღიქვას ურთიერთმიმართებები პიროვნებას, საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის, მკაფიოდ დაინახოს საკუთარი ადგილი და როლი საზოგადოებაში და ამ როლის შესრულების მნიშვნელოვნება. შეძლოს **საკუთარი შესაძლებლობების ადეკვატურად განსაზღვრა და** საზოგადოებრივ **ცხოვრებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრება**;
- ხელი შეუწყოს მოსწავლეთა პირადი მოტივაციის გაძლიერებას, რათა საგაკვეთილო პროცესში მათი მონაწილეობა უფრო შედეგიანი და მრავლისმომცველი გახადოს;

- **განუვითაროს** მოსწავლეს **ზოგადი საკომუნიკაციო უნარ ჩვევები (წერა, კითხვა, მეტყველება, მოსმენა), საორგანიზაციო და ჯგუფური მუშაობის** უნარი.

**სახელმძღვანელოთი სწავლების ეფექტიანობა**

გაკვეთილი ისეა სტრუქტურირებული, რომ მოსწავლე მთელი გაკვეთილის განმავლობაში სწავლების სუბიექტად რჩება. მოსწავლეებში გულახდილი მსჯელობის წახალისებას ხელს უწყობს საკვანძო საკითხებთან დაკავშირებული კითხვები „რატომ?" და „როგორ?" ამ კითხვებზე მოსწავლე თავად ეძებს პასუხს და გააზრებული, შეგნებული დამოკიდებულება და პირადი პოზიცია უყალიბდება.

კითხვა „რატომ?" ეხმარება მოსწავლეს ჩაუღრმვდეს რეალური ცხოვრების ნებისმიერ სფეროში მიმდინარე პროცესებს. მაკრო თუ მიკროგარემოში ჩნდება უამრავი „რატომ?", რომლის პასუხიც ეკონომიკური მიდგომის გარეშე ძნელი გასაცემია. მაგ.: რატომ ძვირდება ზოგიერთი საქონელი, ზოგი კი არა? რატომ გამყარდა ლარის კურსი ბოლო დროს? რატომ არის მნიშვნელოვანი ნებისმიერი მეწარმისათვის მოპოვებული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი?

კითხვა „როგორ?" ეხმარება მოსწავლეს საბაზისო ცოდნის შეძენაში პიროვნულ, საწარმოო და სახელმწიფოებრივ დონეზე მიმდინარე პროცესების შესახებ. მაგ.: როგორ გავზარდოთ ჩვენი ფირმის მოგება? როგორ მივიღოთ რაციონალური გადაწყვეტილებები? როგორ მოქმედებს მთავრობა ქვეყანაში უმუშევრობის დასაძლევად?

მესამე ტრიმესტრში პრაქტიკული მინი-პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების გზით, მოსწავლეს საშუალება ეძლევა გამოსცადოს და განამტკიცოს შეძენილი უნარები.

**კურსის ათვისების შემდეგ მოსწავლეს შეეძლება:**

- გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება;
- მიზნის დასახვა (ყოველდღიური, მოკლევადიანი, საშუალოვადიანი, გრძელვადიანი)
- ეკონომიკური პრობლემების გამოვლენა;
- ამა თუ იმ ეკონომიკურ სიტუაციაში მოქმედი სტიმულების ანალიზი;
- ეკონომიკურ პირობების და სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის შეფასება.
- მოგებისა და ხარჯების შედარება;
- ყურადღების კონცენტრირება პირველხარისხოვანი მნიშვნელობის მოვლენაზე ეკონომიკაში;
- მომავალი კარიერის და საქმიანობის დაგეგმვა;
- ეკონომიკური ფაქტებზე ინფორმაციის შეგროვება, კლასიფიკაცია და მართვა
  ა) ინფორმაციის მოძიება: დაკვირვება, გამოკითხვა, ინტერვიუ, დოკუმენტების ანალიზი და გამოყენება კონტექსტის მიხედვით;
  ბ) ინფორმაციის ანალიზი: წყაროების სინთეზი, დაპირისპირება, ანალოგია, განზოგადება, ფაქტისა და ინტერპრეტაციის გარჩევა;
  გ) ინფორმაციის მართვა, ინფორმაციის გავრცელების საჭირო არხების შერჩევა (მიზნობრივი ჯგუფების მიხედვით) და გამოყენება.
- ქვეყნის, საზოგადოების, ოჯახის და პირადი ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი: მოვლენათა რანჟირება მნიშვნელოვნების მიხედვით, მოვლენათა ურთიერთკავშირისა და ურთიერთგავლენის დანახვა, ინტერესებისა და პოზიციების გარჩევა, მოგების მისაღები კანონიერი და უკანონო ხერხების გარჩევა.

**მოსწავლის წიგნის ლოგიკა, სტრუქტურა და შინარსი**

გარდა იმისა, რომ აწვდის ფუნდამენტური ეკონომიკური ცნებების ასათვისებლად საჭირო ინფორმაციას, სახელმძღვანელო შეიცავს დამატებით საკითხავ საინტერესო მასალას თითოეულ თემასთან მიმართებაში, რომელიც საშუალებას მისცემს როგორც მოსწავლეებს, ისე მასწავლებლებს უკეთ დაინახონ უმნიშვნელოვანესი კავშირები ეკონომიკას, საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის.

გაკვეთილზე ინტეგრირებულად გამოიყენება აქტიური სწავლების მეთოდები:

- ჯგუფური სწავლება;
- თამაშები;
- კვლევითი პროექტები;
- მოდელირებული სავარჯიშოები;
- მონაცემთა ანალიზის პრეზენტირება;
- დებატები;

- როლური თამაშები.

მასწავლებლის მიერ გამოყენებული იქნება

- **სტრუქტურირებული პრაქტიკა** - მასწავლებელი კლასთან ერთად ხსნის სიტუაციურ ამოცანას ან აანალიზებს რომელიმე პრობლემას;
- **მიზანმიმართული პრაქტიკა** - მოსწავლეები დამოუკიდებლად მუშაობენ, მაწავლებელი კი აკონტროლებს მათ და კორექტირებას უკეთებს უკუკავშირის პროცესში;
- **დამოუკიდებელი პრაქტიკა** – მოსწავლეები დამოუკიდებლად მუშაობენ მასწავლებელთან უშუალო კავშირის გარეშე;
- **გაგების (აღქმის) შემოწმება** – უკუკავშირის უზრუნველყოფა, მასალის არასწორად გაგებით გამოწვეული შეცდომების გამოსწორება;
- **მოსწავლეთა მოტივაციის გაძლიერება** – მათ მიერ გაკვეთილის მსვლელობისას უფრო მეტად გააქტიურების მიზნით.

გაკვეთილზე მასწავლებლის ძირითადი როლი ე. წ. „აღმოჩენით სწავლების" ხელშეწყობას გულისხმობს. რაც მოსწავლეებისათვის ინსტრუქციებისა და ახსნა-განმარტებების მიცემას ითვალისწინებს. ამასთანავე მასწავლებელი მოდელირებული სავარჯიშოებისა და დებატების ორგანიზებას, სიტუაციური სავარჯიშოს ფონზე მოსწავლეთა ორიენტაციას ანუ განვლილი მასალიდან ამოცანების დასახვით ახალი კონცეფციების ახსნას მოახდენს.

მასალა მცირე დოზებით გადაიცემა. კონცეფციები წარმოდგენილია თვალსაჩინოებების მეშვეობით, რომელიც ავტორების მიერ მომზადებული და განთავსებულია შესაბამისი გაკვეთილის დანართის სახით მასწავლებლის წიგნში.

მასწავლებლისათვის შეთავაზებული **მეთოდიკა** თანამიმდევრულია და გამართული, აპრობირებული და დახვეწილია მრავალ ქვეყანაში აშშ ეკონომიკური განათლების ეროვნული საბჭოს (NCEE) მიერ.

თემიდან გადახვევის თავის არიდების მიზნით მასწავლებლის წიგნში მოცემული იქნება მეცადინეობის ჩატარების დეტალური ინსტრუქციები:

- გაკვეთილის მსვლელობის აქტიური დინამიური და ეფექტიანი პროცედურები;
- მოდელირებული სავარჯიშოს სცენარი ჩატარების სპეციფიკა;
- მასალის მიწოდების და აქტივობების თანამიმდევრულობა;
- საჭირო დრო;
- რესურსები.

ამასთან მასწავლებელს დამოუკიდებლობა და თავისუფლება ენიჭება მზა ინსტრუქციების შემოქმედებითად გამოყენებისათვის.

გაკვეთილის დასაწყისში მოცემულია კითხვები, რომელიც განსახილველი საკითხის ძირითად ცნებებთან და პრინციპებთან დაკავშირებულ პრობლემებს შეეხება. ეს არის ფიქრისა და განსჯის გამომწვევი კითხვები. ისინი მოსწავლისაგან ეკონომიკურ პროცესებში მონაწილეობისას შექმნილ წარმოდგენასა და გამოცდილებას ეფუძნება და საკითხის განხილვის დაწყების საშუალებად გამოდგება, გაუჩენს თემისადმი ინტერესს. მათი მიზანია:

- **ინტერესის ნაპერწკალის გაჩენა;**
- **ცოდნის გადაცემა;**
- **უნარჩვევების განვითარება;**
- **ცოდნის განმტკიცება;**
- **ცოდნის შეფასება;**
- **ცოდნის ინტერგრირება;**
- **პრაქტიკული გამოყენების ასპექტების გაცნობა;**
- **ჯგუფური და ინდივიდუალური დავალებების მომზდება და პრეზენტაცია**.

გაკვეთილის ასეთი სტრუქტურა საინტერესოს და ხალისიანს ხდის სწავლების პროცესს და ბავშვებს თვითგამოვლენაში ეხმარება, რისთვისაც ისინი მუდმივად იმსახურებენ მასწავლებლის შექებას. ასეთი ჩამოყალიბებული სტრუქტურა პედაგოგს არ ზღუდავს მრავალფეროვანი და იმპროვიზებული გაკვეთილები ჩაატაროს.

თემის ახსნა იწყება სიტუაციური ან მოდელირებული სავარჯიშოს ანალიზით მასწავლებლის დახმარებით ხდება მოყვანილი ფაქტების სისტემატიზაცია, განზოგადება, თეორიის ჩამოყალიბება და საკუთარი ცხოვრებისეული დაკვირვების შედეგების მოშველიებით ამ თეორიის ჭეშმარიტების შემოწმება.

თითოეულ თემასთან მიმართებაში განიხილება საქართველოს ეკონომიკური პერსპექტივები და რეალურად არსებული პრობლემები. ეძლევათ მარტივი კვლევის ჩატარების საშუალება. ტექსტში მოყვანილია ცოცხალი მაგალითები რეალური ცხოვრებიდან. ფოტოები, ცხრილები, სქემები და დიაგრამები ისეა შერჩეული, რომ მოსწავლეს მასალის აღქმაში დაეხმაროს. ტერმინები ფერადოვნადაა გამოყოფილი. მნიშვნელოვანი განმარტებები ჩარჩოშია მოთავსებული.

თითოეულ გაკვეთილს თან ახლავს პრაქტიკული სავარჯიშოები, რაც შინაარსთან და დამოკიდებულებებთან დაკავშირებული შედეგების მიღწევას აადვილებს.
სავარჯიშოების მიზანია ნასწავლი მასალის გააზრება-წვდომა, აზროვნების სტიმულირება, ცხრილებისა და დიაგრამების ინტერპრეტაციის უნარ-ჩვევის განვითარება.

ტექსტი დაწერილია ნებისმიერი მოსწავლისათვის გასაგები ენით, შეესაბამება ასაკს, ინტერესებს და შესაძლებლობებს. მასში ჩართული კითხვები დებატების, მსჯელობის, აზროვნების ინიცირებისათვისაა გამიზნული ან **ესეს** მოსამზადებლად - მოსწავლისაგან საკუთარი თვალსაზრისის გამოთქმას, დასაბუთებას, ეკონომიკური კონცეფციების და კანონების ცხოვრებისეული სიტუაციებთან და პირად გამოცდილებასთან დაკავშირებას მოითხოვს.

დამატებითი მასალა თემასთან დაკავშირებულ საინტერესო ფაქტებს ეხება.

ფოტოები, სქემები, ცხრილები, დიაგრამები და სხვა ვიზუალური საშუალებები ისეა შერჩეული, რომ ხაზი გაუსვას მნიშვნელოვან ცნებებს ან/და განხილვის ინიცირება მოახდინოს. მასწავლებლის წიგნს თან ერთვის ეკონომიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი.

იმისთვის, რომ მოსწავლეს შინაარსზე მუშაობა გაუადვილდეს

- ყველა საკვანძო ცნების ახსნა მოსწავლეთათვის გასაგებ და ნაცნობ გარემოსთან ანალოგიის გზით ხდება;
- ამავე ნაცნობ გარემოში უწევს მოსწავლეს დავალებების შესრულება –ინფორმაციის მოძიება, მინი-პროექტების დაგეგმვა და განხორციელება.

ავტორებს მიაჩნიათ, რომ ეს ოპტიმალური გზაა ახლადშეძენილი უნარების აპრობაციისათვის და რთული ცნებების შემეცნების გაადვილებისათვის. მოზარდი წიგნშივე (სავარჯიშოების შესრულებისას) სწავლობს ანალოგიის გაკეთებას, განზოგადებას, ინფორმაციის სინთეზს, ის ადვილად შეძლებს კურსის განმავლობაში შეძენილი ცოდნისა და უნარების გამოყენებას უფრო ფართო ასპარეზზე და უფრო კომპლექსური და ცხოვრებისეული ამოცანების გადასაჭრელად, იმისგან განურჩევლად აირჩევს თუ არა პროფესიად ეკონომიკას.

მოსწავლის სახელმძღვანელო 10 თავისაგან შედგება და ეკონომიკის თითოეულ სტანდარტს შეესაბამება. თითოეული თავის შიგნით გამოყოფილია ხუთი-ექვსი თემა, თითოეული თემა 2-3 პარაგრაფს შეიცავს.

განსახილველი პროექტებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია საბოლოო შემაჯამებელი პროექტი ” მომავლის საწარმოს ბიზნეს-გეგმა.”

მოსწავლის წიგნში შენარჩუნებულია თავების (მიმართულებების) სათაურები. თემების სათაურები იშვიათი გამონაკლიის გარდა ზუსტად ემთხვევა სტანდარტით შემოთავაზებულ შინაარს. (იხილეთ თანდართული თემების ჩამონათვალი) გაკვეთილებს კი დამოუკიდებელი, დამაინტრიგებელი სათაურები აქვს.

XI-XII კლასი

# ეკონომიკა და სახელმწიფო

## სტანდარტი

**წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები მიმართულებების მიხედვით**

| პიროვნული განვითარება | მდგრადი განვითარება | თვითმმართველობა და მმართველობა |
|---|---|---|
| • **არჩ.ეკონ.სახ.** XI/XII.1. მოსწავლეს შეუძლია საქართველოში ეკონომიკური საქმიანობის შესაძლებლობების ანალიზი. | **არჩ.ეკონ.სახ.** XI/XII.2. მოსწავლეს შეუძლია შეაფასოს საერთაშორისო ურთიერთობების მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის.<br><br>**არჩ.ეკონ.სახ.** XI/XII.3. მოსწავლეს შეუძლია ახსნას საზოგადოებრივი ინსტიტუტების როლი საბაზრო ეკონომიკაში.<br><br>**არჩ.ეკონ.სახ.** XI/XII.4. მოსწავლეს შეუძლია აღწეროს უმუშევრობის გავლენა ცალკეულ ადამიანსა და ქვეყანაზე. | **არჩ.ეკონ.სახ.** XI/XII.5. მოსწავლეს შეუძლია აღწეროს სახელმწიფოს როლი საბაზრო ეკონომიკაში.<br><br>**არჩ.ეკონ.სახ.** XI/XII.6. მოსწავლეს შეუძლია საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებაზე სახელმწიფო პოლიტიკის გავლენის ანალიზი.<br><br>**არჩ.ეკონ.სახ.** XI/XII.7. მოსწავლეს შეუძლია ახსნას ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის როლი ეკონომიკაში. |

**წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და ინდიკატორები მიმართულებების მიხედვით**

**მიმართულება: პიროვნული განვითარება**

**არჩ.ეკონ.სახ.** XI/XII.1.**მოსწავლეს შეუძლია საქართველოში ეკონომიკური საქმიანობის შესაძლებლობების ანალიზი.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ჩამოთვლის საქართველოში ყველაზე გავრცელებულ ეკონომიკურ აქტივობებს და გამოყოფს ისეთებს, სადაც სახელმწიფო მმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებებს ყველაზე ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება;

- ჩამოთვლის ეკონომიკურ სისტემებს (მაგ: მბრძანებლური, თავისუფალი, შერეული) და მსჯელობს თითოეულის შესაბამისობაზე ადამიანის ეკონომიკურ უფლებებთან; ირჩევს, მისი აზრით, ყველაზე მისაღებს და ასაბუთებს არჩევანს;

- ახასიათებს საბაზრო ეკონომიკის ძირითად პრინციპებს (მაგ: კერძო საკუთრება, პირადი მოტივაცია, არჩევანისა და საქმიანობის თავისუფლება, ბაზრებისა და ფასების სისტემა და ა.შ.); მსჯელობს საქართველოს კონსტიტუციისა და სხვა კანონების შესაბამისობაზე საბაზრო ეკონომიკის პრინციპებთან;

- თანაკლასელების ჯგუფთან ერთად, საკუთარ დასახლებაში ატარებს მცირე გამოკითხვას გადასახადების მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულების გამოსავლენად (მაგ: რამდენად აუცილებელია, რეალურია, მიზნობრივად და ეფექტურად გამოიყენება და ა.შ.); მიღებული შედეგებისა და სკოლაში მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე წერს თემას – ,,გადასახადების როლი ქვეყნის განვითარებაში";

- ჩამოთვლის სიღარიბის მიზეზებს საქართველოსა და სხვა ქვეყნებში; ადარებს მათ და აყალიბებს მოსაზრებას მისი დაძლევის შესახებ;

- ირჩევს რომელიმე საქმიანობას და თანაკლასელებთან ერთად მოიძიებს ინფორმაციას მისი წარმატებით განხორციელების ეკონომიკურ პირობებზე (მაგ: სამართლებრივი ვალდებულებები, ბაზრის მდგომარეობა, რესურსები და ა.შ.); ანალიზის საფუძველზე ადგენს მარტივ სამოქმედო გეგმას და წარუდგენს თანაკლასელებს.

**მიმართულება: მდგრადი განვითარება**

**არჩ.ეკონ.სახ. XI/XII.2. მოსწავლეს შეუძლია შეაფასოს საერთაშორისო ურთიერთობების მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ასახელებს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ძირითად მაჩვენებლებს (მაგ: მთლიანი ეროვნული და შიდა პროდუქტი, ეკონომიკის ზრდის ტემპი, სამომხმარებლო კალათის ოდენობა, სიღარიბის და უმუშევრობის დონე, ჰუმანური განვითარების ინდექსი); ადარებს საქართველოს სხვა მსგავსი (მოსახლეობის რაოდენობის მხრივ) ქვეყნების მონაცემებს;

- განიხილავს მეზობელი ქვეყნების ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლებს და აფასებს შესაბამისი სახელმწიფოების გავლენას საქართველოსა და ამ ქვეყნების ეკონომიკურ ურთიერთობაზე;

- ირჩევს საქართველოს მოქალაქეთა ეკონომიკური საქმიანობის რომელიმე სფეროს და მსჯელობს მისი განვითარებისათვის საერთაშორისო ურთიერთობების მნიშვნელობაზე; ჩამოთვლის ამ მხრივ პრიორიტეტულ სახელმწიფოებს, რეგიონებსა თუ საერთაშორისო ორგანიზაციებს და ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებას;

- აღწერს თანამედროვე მსოფლიოში სახელმწიფოს ძლიერების კრიტერიუმებს და მათ შესაბამისად აფასებს საქართველოს მდგომარეობას; თანაკლაასელებთან ერთად გა-ნიხილავს მიღებულ შედეგებს და მათი შეფასებების გათვალისწინებით წერს ესეს საქართველოსა და გარესამყაროს ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

**არჩ.ეკონ.სახ. XI/XII.3. მოსწავლეს შეუძლია ახსნას საზოგადოებრივი ინსტიტუტების როლი საბაზრო ეკონომიკაში.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ხსნის როგორ უწყობს ხელს საბაზრო ეკონომიკაში საზოგადოებრივი ინსტიტუტები (ბანკები, პროფესიული კავშირები, არაკომერციული ორგანიზაციები) კერძო და იურიდიული პირების მიერ საკუთარი მიზნების მიღწევას;
- აღწერს როგორ უწყობს ხელს საკუთრების უფლება, ხელშეკრულებების პირობების დაცვა, საზომი სტანდარტები და პასუხისმგებლობის ნორმები საქონლისა თუ მომსახურების წარმოებას, ვაჭრობას;
- გაითამაშებს კონსულტანტს, რომელიც კლიენტებს დასაბუთებულად არწმუნებს კონკრეტულ წამოწყებაში ინვესტირების სარგებლიანობაში;
- ხსნის რატომ იღებენ გამსესხებლები საპროცენტო სარგებელს მსესხებლებისაგან;
- ასაბუთებს, რატომ არსებობს განსხვავება საპროცენტო სარგებელს შორის: ახალი და ძველი მანქანის სესხისთვის, 15-წლიანი და 30-წლიანი ანაბრისთვის, მაღალი კრედიტუნარიანობისა და დაბალი კრედიტუნარიანობის მქონეთათვის.

**არჩ.ეკონ.სახ. XI/XII.4. მოსწავლეს შეუძლია აღწეროს უმუშევრობის გავლენა ცალკეულ ადამიანსა და ქვეყანაზე.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- განიხილავს უმუშევრობის შედეგებს ინდივიდის და ქვეყნის მასშტაბით; ჩამოთვლის უმუშევართა სოციალური დაცვის მისეულ გზებს;
- აკავშირებს უმუშევრობის დონეს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სხვა ძირითად მაჩვენებლებთან და ადარებს სხვა მსგავსი (მოსახლეობის რაოდენობის მხრივ) ქვეყნების მონაცემებს;
- აღწერს ეკონომიკური წრებრუნვის მოდელსა და მისი აქტორების როლს;
- აანალიზებს უმუშევრობის ზიანს როგორც ცალკეული ინდივიდების, ისე მთლიანად ქვეყნის მასშტაბით;
- ასაბუთებს, როგორ ამცირებს ინფლაცია ქვეყანაში ცხოვრების დონის ზრდის ტემპს (მინიშნება: ინდივიდები და ორგანიზაციები ხარჯავენ რესურსებს, რათა თავი დაიცვან მომავალი ფასების გამო შექმნილი გაურკვევლობისგან);
- ერთმანეთს ადარებს მიმდინარე წლისა და 2000 წლის სამომხმარებლო კალათის ფასებს და ხსნის როგორ ამცირებს ინფლაცია იმ მომხმარებელთა მსყიდველობით უნარს, რომელთა შემოსავალი უცვლელია ან ინფლაციის ტემპებზე ნელა იზრდება;

- ასახელებს უმუშევრობის სახეთა მაგალითებს, ხსნის მათ შორის განსხვავებას და ასაბუთებს რომელ ფორმას მოაქვს ყველაზე მეტი ზიანი ეკონომიკისათვის;
- ხსნის, როგორ ზრდის მოსალოდნელი ინფლაცია საპროცენტო სარგებელს;
- აანალიზებს ინფლაციის დანახარჯებს სხვადასხვა ჯგუფისთვის.

**მიმართულება: თვითმმართველობა და მმართველობა**

**არჩ.ეკონ.სახ. XI/XII.5. მოსწავლეს შეუძლია აღწეროს სახელმწიფოს როლი საბაზრო ეკონომიკაში.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- აანალიზებს სახელმწიფოს, როგორც კერძო საკუთრების უფლების განმსაზღვრელისა და დამცავის როლს;
- ხსნის იმ მიზეზებს, რომელთა გამო ბაზარს არ შეუძლია რესურსების ეფექტიანად განაწილება: (1) არასათანადოდ არის განსაზღვრული და დაცული საკუთრების უფლება; (2) გარეგანი ეფექტები, რომლებიც მრავალ ადამიანზე მოქმედებს, უკავშირდება კონკრეტული პროდუქტის წარმოებას ან მოხმარებას და (3) ბაზრები არასაკმარისად კონკურენტულია;
- ხსნის გარემოს დაბინძურების, ვაქცინაციის, სამედიცინო გამოკვლევების საკითხებში სახელმწიფოს მონაწილეობის მიზეზებს და შეუძლია განსაზღვროს ამ საკითხებში სახელმწიფო როლი;
- ხსნის, რატომ არსებობს წყლის ან ელექტროენერგიის ერთადერთი მომწოდებელი;
- აღწერს სახელმწიფო დახმარების 2-3 პროგრამას და სახელმწიფოს მიერ მათი განხორციელების მიზეზებს. განსაზღვრავს მოსახლეობის ჯგუფებს, რომლებსაც ეკისრებათ პროგრამასთან დაკავშირებული ხარჯები და რომლებიც იღებენ სარგებელს;
- მსჯელობს საქართველოს ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის შესახებ.

**არჩ.ეკონ.სახ. XI/XII.6. მოსწავლეს შეუძლია საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებაზე სახელმწიფო პოლიტიკის გავლენის ანალიზი.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ხსნის, რატომ იყენებს სახელმწიფო გადასახადების მოკრეფის შედეგად მიღებულ თანხას ეროვნული უსაფრთხოების, დაწყებითი განათლების, გზების მშენებლობის და სხვათა დაფინანსებისთვის და რატომ იქნებოდა შეუძლებელი სახელმწიფოს დახმარების (მხოლოდ კერძო სექტორის დახმარებით) გარეშე ამ სფეროების განვითარება;
- ასაბუთებს, რომ ხშირად სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების დანახარჯები სარგებელს აჭარბებს, რასაც მრავალი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს: ამომრჩევლებზე, საჯარო მოხელეებზე მოქმედი სტიმულები, დაინტერესებულ პირთა მიერ განხორციელებული

ქმედებები, რაც ძვირი უჯდება საზოგადოებას ან ეკონომიკური ეფექტიანობისაგან განსხვავებული სხვა მიზნები;

- აანალიზებს, რომ პოლიტიკურ ლიდერებს შესაძლოა ისეთი პოლიტიკის გატარების სტიმულები ამოძრავებდეთ, რომლის დანახარჯები მრავალ ადამიანზე ნაწილდება, ხოლო სარგებელს პოლიტიკური ძალაუფლების მქონე მცირე ჯგუფი იღებს;
- აანალიზებს, რატომ უჭერენ ხშირად მხარს დაინტერესებული ჯგუფები ფასების კონტროლის პოლიტიკას, რომელიც ამცირებს წარმოებული საქონლისა და მომსახურების რაოდენობას, რის შედეგადაც მომხმარებელი ვერ იღებს ზოგ ისეთ საქონელსა და მომსახურებას, რომლის მნიშვნელობა აჭარბებს მისი წარმოების დანახარჯებს.

**არჩ.ეკონ.სახ. XI/XII.7. მოსწავლეს შეუძლია ახსნას ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის როლი ეკონომიკაში.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ფისკალური პოლიტიკის ისტორიული მაგალითების განხილვის საფუძველზე, ხსნის მის მიზეზებს;
- ახასიათებს ფისკალურ პოლიტიკას, რომელსაც შესთავაზებდა შემდეგი პრობლემების გადასაჭრელად: (1) მზარდი უმუშევრობა, (2) მზარდი ინფლაცია. ასაბუთებს საკუთარ რეკომენდაციას;
- ხსნის განსხვავებას ბიუჯეტის დეფიციტსა და სახელმწიფო ვალს შორის და განსაზღვრავს რა დრო დასჭირდებოდა სახელმწიფო ვალის გადახდას არსებული მშპ-ს პირობებში, თუ მას მხოლოდ ვალის გადასახდელად გამოიყენებდნენ;
- ხსნის მონეტარული პოლიტიკის არსს და მის გავლენას ფულის მასაზე და საპროცენტო სარგებელზე.

**პროგრამის შინაარსი**

1. საქართველოში გავრცელებული ეკონომიკური საქმიანობის ისტორიული და თანამედროვე ფორმები
2. ეკონომიკური სისტემები
3. საერთაშორისო ურთიერთობები და მისი მნიშვნელობა
4. საზოგადოებრივი ინსტიტუტები და საბაზრო ეკონომიკა
5. სამართლიანი და უსამართლო გადასახადები
6. საგადასახადო პოლიტიკა
7. გადასახადები და კეთილდღეობა

8. სახელმწიფო და კერძო საკუთრება

9. სახელმწიფო პოლიტიკა

10. უმუშევრობა, მისი ფორმები, გავლენა

11. სახელმწიფო ვალი

12. ინფლაცია, მისი გავლენა და დაძლევის გზები

13. ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა

14. ეკონომიკური განვითარების ძირითადი მაჩვენებლები

## მეთოდური რეკომენდაციები მასწავლებელთათვის

### წყვილები და ჯგუფები

წყვილებსა და ჯგუფებში მუშაობა ხელს უწყობს თანამშრომლობის ჩვევის გამომუშავებას. ამ სავარჯიშოების შესრულებისას მოსწავლეები სწავლობენ ერთმანეთის მოსმენას, სხვისი აზრის გაზიარებას, კრიტიკულ აზროვნებასა და შეფასებას, საკუთარი აზრის გამოთქმას, დასაბუთებას და ა.შ. ისინი ეჩვევიან ფუნქციების დანაწილებას, დროის რაციონალურ გამოყენებას.

გთავაზობთ წყვილებში მუშაობის წესებს:

1. მასწავლებელი კლასს ყოფს წყვილებად.
2. კლასს ეძლევა საერთო დავალება.
3. მოსწავლეები სამუშაოს ასრულებენ წყვილებში.
4. თამაშის დრო განსაზღვრულია (სამუშაოს სირთულის მიხედვით).
5. მასწავლებელი თვითონ ანაწილებს მოსწავლეების ფუნქციებს.

წყვილებში მუშაობის დროს ბავშვებს მოეთხოვებათ ყურადღების კონცენტრაცია. ისინი პასუხისმგებლობას გრძნობენ თავიანთი მეწყვილის მიმართ.

წყვილებში გამომუშავებული თანამშრომლობის ჩვევა კიდევ უფრო მტკიცდება ჯგუფური სამუშაოების შესრულებისას. გთავაზობთ წესებს ჯგუფური მუშაობისთვის:

1. კლასი იყოფა 4-5 კაციან ჯგუფებად.
2. კლასს ეძლევა საერთო დავალება.
3. დავალება სრულდება ჯგუფებში.
4. ჯგუფი უნდა მუშაობდეს შეთანხმებულად, არ უნდა მოხდეს კონფლიქტი, არ უნდა ითრგუნებოდეს არც ერთი მოსწავლე.
5. ჯგუფის ყოველი წევრი უნდა ჩაერთოს საქმიანობაში.
6. სამუშაო სრულდება ერთ ფურცელზე.
7. დავალება სრულდება მასწავლებლის მიერ წინასწარ განსაზღვრულ დროში (10-15 წთ.).
8. ჯგუფი, რომლის წევრებიც შეთანხმებულად ვერ მოქმედებენ, მუშაობას წყვეტს.
9. ჯგუფი მუშაობს ერთი მაგიდის გარშემო.

### სიტუაციური ამოცანა

სიტუაციური ამოცანა ჯგუფური მუშაობის რთული ფორმაა. ამ დროს ჯგუფური მუშაობის წესი და სტრუქტურა იგივე რჩება, რთულდება მხოლოდ თემა, რომელიც ჯგუფს სიტუაციური ამოცანის სახით მიეცემა (სიტუაციურ ამოცანას მასწავლებელი, საჭიროებისამებრ, საკუთარი შეხედულებიდან, კლასის ინტერესებიდან გამომდინარე ირჩევს ან იგონებს).

თითოეულმა ჯგუფმა უნდა გააანალიზოს შემოთავაზებული სიტუაცია, მიიღოს საერთო გადაწყვეტილება, იპოვოს გამოსავალი და გააკეთოს შესაბამისი დასკვნა, რისთვისაც ჯგუფმა უნდა იმუშაოს შეთანხმებულად და მიაღწიოს კონსენსუსს.

თუ ჯგუფის წევრებს უჭირთ შეთანხმება, მასწავლებელმა შეიძლება მათ შესთავაზოს კენჭისყრის წესის ხერხი:

4-5 კაციანი ჯგუფის ყველა წევრი თითო ხმის უფლებით სარგებლობს. წინადადება, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს, ჯგუფურ გადაწყვეტილებად ჩაითვლება. შესაძლებელია გადაწყვეტილების მიღება მოხდეს გამსვლელი ხმების წინასწარ დადგენილი რაოდენობით (ორი მესამედი).

კონსენსუსი შეთანხმების ის ფორმაა, როცა გადაწყვეტილების მიღებისას ყველა ერთსულოვანია. იგი დემოკრატიული პროცესია.

## გონებრივი იერიში

გონებრივი იერიში დროის მცირე მონაკვეთში დიდი რაოდენობის იდეების გენერაციის საშუალებას იძლევა. იგი ტარდება დამოუკიდებლად ან წარმოადგენს სხვა სავარჯიშოს ნაწილს. ამ მეთოდის გამოყენება თითოეული მოსწავლისგან ინდივიდუალურ აქტივობას მოითხოვს და საერთო პრობლემის ერთობლივად გადაწყვეტას განაპირობებს.

მასწავლებელი წინასწარ შეარჩევს თემას და შეკითხვის სახით ჩამოაყალიბებს მას. შეკითხვა მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული და მოსწავლეთათვის გასაგები ფორმით მიწოდებული.

ამის შემდეგ მოსწავლეები გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს და გვთავაზობენ პრობლემის გადაწყვეტის გზებს. იდეების გენერაციის დროს სასურველია დავიცვათ შემდეგი პრინციპები:

1. მოსწავლეთა მიერ მოსაზრების გამოთქმის დროს დაუშვებელია კამათი, კრიტიკა ან შეფასება. უნდა ვიმუშაოთ პრინციპით: ყველა მოსაზრება ღირებულია.

2. აზრის გამოთქმა ნებაყოფლობითი და თავისუფალია. მოსწავლეებმა უნდა გამოთქვან მოსაზრებები, როცა თავად მოისურვებენ და არა მაშინ, როცა ამას მასწავლებელი მოითხოვს, იდეა შეიძლება იყოს როგორც ორიგინალური, ისე სხვისი იდეის განვითარების შედეგი.

3. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია იდეების რაოდენობა და არა ხარისხი. ხარისხზე მსჯელობა უნდა მოხდეს გენერაციის ეტაპის დასრულების შემდეგ (შეფასების ეტაპი).

4. ყველა იდეა უნდა დაიწეროს დაფაზე ან დიდი ქაღალდზე (მათ შორის ყველაზე მიუღებელიც კი).

5. შეფასების წინ მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ დაფიქრების საშუალება.

6. იდეების გენერაციის პერიოდის ხანგრძლივობა დამოკიდებულია გაკვეთილის მსვლელობაზე, თუმცა მასწავლებელმა შეიძლება წინასწარ განსაზღვროს იგი (რეკომენდებულია 20-დან 30-წთ-მდე).

## დაუსრულებელი ისტორია

დაუსრულებელი ისტორია ჯგუფური სამუშაოს ერთ-ერთი საინტერესო ფორმაა, რომელიც საუკეთესოა მოსწავლის ფანტაზიისა და შემოქმედებითი აზროვნების გასავითარებლად. იგი ჯგუფური სამუშაოსთვის დამახასიათებელი ყველა უნარ-ჩვევის გამოყენებას მოითხოვს.

ჯგუფები ყურადღებით ისმენენ მასწავლებლის მიერ შემოთავაზებულ ამბავს, რომლის დასასრულებლად ეძლევათ 15 წთ.

ეს საკმაოდ რთული პროცესია, რომლის დროსაც ჯგუფის წევრები მსჯელობენ, აზროვნებენ, გამოთქვამენ და ასაბუთებენ საკუთარ აზრს და იზიარებენ ერთმანეთის მოსაზრებებს, თანხმდებიან და ერთად იგონებენ ამბის დასასრულს. შემდეგ წერილობით აყალიბებენ უკვე შეთანხმებულ დასასრულს. შესაძლებელია ნამუშევარი ილუსტრაციით გააფორმონ, რათა იგი პრეზენტაციისთვის უფრო საინტერესო გახდეს.

## სიუჟეტური თამაში (მინი-სპექტაკლი)

სიუჟეტური თამაში მოსწავლის (ან მასწავლებლის) მიერ შექნილი პატარა იმპროვიზებული წარმოდგენაა, რომლის მიზანია კონკრეტული სიტუაციისა და ამბის გაცოცხლება. იგი საშუალებას იძლევა უკეთ წარმოვიდგინოთ, გავიაზროთ და გავაანალიზოთ მოცემული ამოცანა.

სავარჯიშოსთვის მასწავლებელი შეარჩევს რეალური ცხოვრებიდან აღებულ ამბავს ან ტექსტს (სცენას) ლიტერატურული მასალიდან. შესაძლებელია მასწავლებლმა ან მოსწავლეებმა თავად მოიფიქრონ ისტორია საჭირო თემაზე და გაითამაშონ იგი.

მასწავლებელი თვალს ადევნებს როლების განაწილებას და მოქმედების განვითარებას. მოსწავლეები შემოქმედებითად უნდა მიუდგნენ თავიანთ როლებს, რაც იმის გარანტიაა, რომ ისინი კრიტიკულად განეწყობიან როგორც საკუთარი პერსონაჟის, ისე სხვა მოქმედი გმირების მიმართ. ბუნებრივია, მათ გაუჩნდებათ შეკითხვები, რომლებზედაც ძნელია ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა. იმართება დისკუსია, რომლის დროსაც მოსწავლეები აქტიურად განიხილავენ და მსჯელობენ აღებული თემის ირგვლივ. არ უნდა დავუშვათ შეიქმნას ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ყველა შეკითხვაზე ამომწურავი პასუხის გაცემა შეიძლებოდეს. სულაც არ არის აუცილებელი გამოთქმული აზრი გაზიარებულ იქნეს ყველა მოქმედი გმირის მიერ. შეთანხმება არ უნდა იქცეს თვითმიზნად და არ უნდა ვეცადოთ მის ხელოვნურად მიღწევას.

საკითხი, რომელზედაც შეთანხმება ძნელია, შეიძლება ღიად დარჩეს.

## სიტუაციის მოდელირება

სიტუაციის მოდელირება შეიძლება განვიხილოთ, როგორც როლებით თამაში, რომელშიც უკლებრივ მთელი კლასი მონაწილეობს. ის საშუალებას იძლევა მოსწავლეებმა გამოსცადონ საკუთარი თავი და შესაძლებლობები „ექსტრემალურ“ სიტუაციებში.

სიტუაციის მოდელირება მონაწილეთაგან დიდ ძალისხმევასა და მონდომებას მოითხოვს, ამიტომ იგი მეტად შთამბეჭდავია და დიდ ზემოქმედებას ახდენს მის მონაწილეებზე.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოდელირების შემდგომი ანალიზი. „მსახიობებმა“ უნდა იმსჯელონ საკუთარ გრძნობებზე (რატომ გადაწყვიტეს ემოქმედათ ამგვარად, გრძნობდნენ თუ არა უხერხულობას და რამდენად მისაღებია მათთვის პრობლემის ამგვარი გადაწყვეტა).

მასწავლებელი ამ შემთხვევაში უნდა დაეხმაროს მათ, რათა მონაწილეებმა შეძლონ განცდილი დააკავშირონ რეალობასთან.

## საკლასო დისკუსია

ინტერაქტიური მეთოდიკის ერთ-ერთ ეფექტურ ხერხს წარმოადგენს საკლასო დისკუსია. იგი ხელს უწყობს ისეთი მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, როგორიცაა: აქტიური მოსმენა, საკუთარი აზრის გამოთქმა და არგუმენტაცია, მსჯელობა, სხვისი მოსმენა-გათვალისწინება, განსხვავებული აზრის გაზიარების უნარი.

დისკუსიის წარმატებით ჩატარებისთვის საჭიროა კლასში იყოს ნდობის და ურთიერთპატივისცემის ატმოსფერო, სადაც პირველ ყოვლისა, მასწავლებელი უნდა იყოს მისაბაძი მაგალითი.

დისკუსიის სწორი წარმართვისათვის აუცილებელია მისი ორგანიზება და რეგულირება, დისკუსიის მონაწილენი უნდა იცავდნენ წესებს, რომლებსაც მასწავლებელთან ერთად თავად ჩამოაყალიბებენ. წესების ჩამონათვალი შეიძლება ამგვარი იყოს:

1. როცა ერთი ლაპარაკობს, სხვები უსმენენ;
2. აიწიე ხელი, როცა რაიმეს თქმა გსურს;
3. არ გააწყვეტინო სხვას სიტყვა;
4. არ უნდა გაიცინო, როცა სხვა ლაპარაკობს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი ხუმრობს;
5. კამათში ყველა მონაწილეობს;
6. და სხვა წესები (რასაც კლასი დამატებით შემოგვთავაზებს).

## დებატები

დებატები – დისკუსიის ერთ-ერთი ფორმაა და აგებულია მონაწილეთა წინასწარ დაგეგმილ გამოსვლებზე. წამომადგენლები არჩეულნი უნდა იყვნენ ჯგუფიდან. კამათი იწყება ორი დაპირისპირებული მხარის თითო წარმომადგენლის გამოსვლით. მათ შემდეგ ტრიბუნა ეთმობა თითოეული მხარის სხვა მონაწილეებსაც შეკითხვებისა და კომენტარებისთვის. მასწავლებელმა თითოეული გამომსვლელისთვის უნდა დაადგინოს განსაზღვრული დრო.

## ნიშანთა სისტემით კითხვა

ნიშანთა სისტემით კითხვა ტექსტზე მუშაობის ერთ-ერთი ფორმაა. ამ დროს მოსწავლეები ინდივიდუალურად, დამოუკიდებლად კითხულობენ ტექსტს და მინდორზე აკეთებენ გარკვეულ აღნიშვნებს (ტექსტის გასწვრივ, ფანქრით) : V-ით აღნიშნავენ ნაცნობ ინფორმაციას, +-ით ახალ ინფორმაციას, – -ით იმის საპირისპიროს, რასაც ფიქრობდი, ?-ით გაუგებარ ან ბუნდოვან ინფორმაციას.

სამუშაოს მეორე ეტაპია მასალის დახარისხება სქემის მიხედვით. შესაძლოა ეს სამუშაო შესრულდეს როგორც ინდივიდუალურად, ისე წყვილებსა და ჯგუფებში. ამ ეტაპზე მონაწილეები კიდევ ერთხელ გადაავლებენ თვალს თავიანთ აღნიშვნებს და დაანაწილებენ, ახარისხებენ მას სქემის მიხედვით.

| V – ნაცნობი ინფორმაცია | + ახალი ინფორმაცია | – საპირისპირო, რასაც ფიქრობდი | ? – გაუგებარია, ბუნდოვანია |
|---|---|---|---|
| | | | |

ბოლოს ხდება პრეზენტაცია, რომლის დროსაც მონაწილეები კითხულობენ სქემის მიხედვით დახარისხებულ ინფორმაციას.

**შეფასება**

შეფასების სისტემა 10 ქულიანია. 10 საუკეთესო ნიშანია, 1 კი – ყველაზე დაბალი. შეფასება პირობითად შეგვიძლია 4 დონედ დავყოთ:

1-2 საწყისი ეტაპია, ელემენტარული დონეა;
3-5 შეესაბამება განვითარების შემდეგ დონეებს: საჭიროებს განვითარებას, საჭიროებს გაუმჯობესებას, გასავითარებელია;
6-7 შეესაბამება განვითარების შემდეგ დონეებს: დამაკმაყოფილებელია, დასრულებულია;
8-10 კარგია, ძალიან კარგია, სანიმუშოა, საუკეთესოა.

10 ქულიანი სისტემა მასწავლებელს საშუალებას აძლევს აღნიშნოს პროგრესი და რეგრესი მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაში.

საგნის შეფასება სემესტრის ბოლოს ხდება. მასწავლებელმა წინასწარ უნდა იცოდეს რა კომპონენტების მიხედვით უნდა დაწეროს ნიშანი. ამ კომპონენტებმა უნდა ასახოს მოსწავლის მიერ საგნის შესწავლა-ათვისების დონე და ხარისხი. მასწავლებელს აქვს უპირატესობა თავად დაადგინოს შეფასების კომპონენტები და თითოეულ მათგანს თავისი წონა მისცეს იმისდა მიხედვით, თუ რომელ აქტივობას ანიჭებს თავად უპირატესობას.

შეფასების კომპონენტებად შეიძლება გამოიყოს: საშინაო დავალებები (წერითი და ზეპირი), გაკვეთილზე ჩატარებული აქტივობები, დამოუკიდებელი, ინდივიდუალური, ჯგუფური და წყვილში მუშაობა, გაკვეთილზე მსჯელობა, პრეზენტაცია და ა.შ.

პრეზენტაციის შეფასება

| შედეგები | 1-2 | 3-5 | 6-7 | 8-10 |
|---|---|---|---|---|
| საინტერესო შესავალი | ტრაფარეტტუ-ლი და უინტერესოა | არის აუდი-ტორიის დაინტერესე-ბის მცდელობა | საინტერესოდ არის მოწოდე-ბული | მოძიებული აქვს დამატებითი მასალა, რაც მას ეფექტურს ხდის |
| თემის გასაგე-ბად წარ-მოდგენა | დარღვეულია ლოგიკა და ბუნდოვანია | ნაწილობრივ გასაგებია და განმარტებას მოითხოვს | ლოგიკურად არის აგებული, შეინიშნება მცირედი ხარვეზები | თემა ლოგიკუ-რად არის აგე-ბული, წარ-მოდგენილი საკითხები ნათელი და გასაგებია |
| საუბარი | დაბნეულია და გაუგე-ბრად საუბრობს | ხშირად ჩერდება და იმეორებს ერთსა და იმავეს | გამართული და გასაგებია | გამართული და გასაგებია, არ ორჭოფობს, საუბრობს დარწმუნებით |
| დასკვნები | არ არის გაკეთებული | დასკვნები გაუმართავი და ულოგიკოა | ლოგიკურია და კარგად არის ჩამოყალიბე-ბული | ლოგიკური და ორიგინალუ-რია, ამჟღავნებს არგუმენტირე-ბული მსჯელო-ბის უნარს. |
| აუდიტორიას-თან კონტაქტი | ვერ ახერხებს აუდიტორიის-დაინტერესე-ბას | მისი მსჯელობა აინტერესებს აუდიტორიას | გრძნობს და ითვალისწინებს აუდიტორიის ინტერესებს | კარგად აქვს გამომუშავებუ-ლი კომუნიკაციის უნარი |
| თვალსაჩინოე-ბის გამოყენება | არ იყენებს | იყენებს მწირედ | იყენებს დია-გრამებსა და ცხრილებს | იყენებს ახალ ტექნოლოგიებს |
| პასუხები აუდიტორიის შეკითხვებზე | უჭირს პასუხის გაცემა | პასუხები არ არის გამარ-თული | თითქმის ყველა კითხვას პასუხობს | გამართულად და დამაჯერებ-ლად პასუხობს ყველა კითხვას |

# საგაკვეთილო პროცესში ჩართულობა

| | 1-3 | 4-5 | 6-7 | 8-10 |
|---|---|---|---|---|
| **კვლევის მიზნის განსაზღვრა** | — არასწორად აყალიბებს მიზანს — | ნაწილობრივ სწორად აყალიბებს მიზანს — | — აყალიბებს მიზანს (სწორად განსაზღვრავს ცვლად და დამოკიდებულ სიდიდეებს) | სრულყოფილად აყალიბებს მიზანს, განსაზღვრავს სპეციფიკურ დეტალებს |
| **საჭირო ინვენტარის (მასალის და აღჭურვილობის) განსაზღვრა** | არასწორად ჩამოთვლის საჭირო მასალებს | ჩამოთვლის საჭირო მასალის ნაწილს | ჩამოთვლის ძირითად საჭირო მასალას | ჩამოთვლის ყველა საჭირო მასალას და აღჭურვილობას |
| **კვლევის შედეგის ვარაუდი** | ვერ აყალიბებს ვარაუდს | აყალიბებს, მაგრამ ვერ ასაბუთებს თავის ვარაუდს | აყალიბებს და ნაწილობრივ ასაბუთებს თავის ვარაუდს | აყალიბებს და ასაბუთებს თავის ვარაუდს |
| **კვლევის მიმდინარეობის აღწერა** | არასწორად ჩამოთვლის კვლევის პროცესის ეტაპებს | ჩამოთვლის კვლევის პროცესის ზოგიერთ ეტაპს | ჩამოთვლის კვლევის პროცესის ძირითად ეტაპებს | დეტალურად ჩამოთვლის კვლევის პროცესის ეტაპებს |
| **მონაცემების აღრიცხვა** | აღრიცხავს არასწორ მონაცემებს | აღრიცხავს მონაცემებს ნაწილობრივ და უსისტემოდ | აღიცხავს მონაცემებს ზუსტად, მაგრამ უსისტემოდ | აღრიცხავს მონაცემებს სრულად და სისტემურად |
| **მონაცემთა ანალიზი** | ვერ აკეთებს მონაცემთა ანალიზს | აკეთებს მონაცემთა ნაწილობრივ ანალიზს | აკეთებს მონაცემთა ანალიზს | აკეთებს მონაცემთა ანალიზს და წარმოადგენს სხვადასხვა გამომსახველობითი საშუალებების გამოყენებით |
| **დასკვნა** | ვერ აკეთებს შესაბამის დასკვნებს | აკეთებს ნაწილობრივ სწორ დასკვნებს | აკეთებს ძირითად დასკვნებს | აკეთებს სრულფასოვან დასკვნებს |

**პროექტი** – კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ან ინიციატივის განხორციელებისკენ მიმართული მრავალფეროვანი სამუშაო, რომელშიც წარმმართველია კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობისა და საკომუნიკაციო უნარების განვითარება.

პროექტი, როგორც მეთოდი განათლებაში მე-20 საუკუნის დასაწყისში შემოვიდა. ეს მეთოდი საშუალებას იძლეოდა და იძლევა, აქტიური და მიზანმიმართული სწავლისა.

მოსწავლეები მუდმივად სვამენ შეკითხვებს: რატომ გვასწავლით ამა თუ იმ საკითხს? რაში გამომადგება ეს ცოდნა? მასწავლებლებს უჭირთ ამ კითხვებზე დამაჯერებელი და არგუმენტირებული პასუხის გაცემა. ამ პრობლემის მოგვარებაში მასწავლებელს დაეხმარება იმის ცოდნა, თუ როგორ ამუშაოს მოსწავლეები სასწავლო პროექტზე. პროექტზე მუშაობისას, მოსწავლეები რეალური პრობლემის გადასაჭრელად შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს იყენებენ. პროექტით სწავლება იწვევს მოსწავლეთა მოტივაციას და ზრდის მათ პასუხიმგებლობას. ისინი ხალისით ასრულებენ სამუშაოებს და შეუძლიათ ხანგრძლივად იმუშაონ დასმულ საკითხებზე.

საკითხებს მოსწავლეები ხანგრძლივი დროის (ერთი ან რამდენიმე კვირა) განმავლობაში ამუშავებენ და შემდგომ წარუდგენენ მთელ კლასს ან უფრო ფართო აუდიტორიას. პროექტები ეხმარება მოზარდს რეალურ ცხოვრებაში გამოიყენოს მიღებული ცოდნა და გამოცდილება დასახული მიზნის მისაღწევად.

პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებულად ჩაითვლება, თუკი მისი შედეგები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად, კორექტული ფორმით არის წარმოდგენილი (მაგ: წერილობითი დოკუმენტი, მაკეტი, ინსცენირება, დებატები, აქცია, თანმიმდევრული ღონისძიებები და ა.შ.).

მასწავლებელი სასწავლო პროექტების მიმდინარეობისას, კონსულტანტის როლს ასრულებს, ხელმძღვანელობს სამუშაოებს, ძიებისა და კვლევის დროს აძლევს მიმართულებას. ასევე, იგი უთითებს საინფორმაციო წყაროებს.

პროექტზე მუშაობის დროს, მოსწავლეს სჭირდება შემოქმედებითობა, საინფორმაციო სივრცეში ორიენტაციისა და დამოუკიდებელი სწავლის უნარ-ჩვევბი.

სასწავლო პროექტის დაგეგმვის დროს, მასწავლებელი ითვალისწინებს შემდეგს:

- რამდენად მნიშვნელოვანია პრობლემა, რომელიც კვლევას ითხოვს;
- მოსალოდნელი შედეგები წარმოადგენდეს სიახლეს (ობიექტურს ან სუბიექტურს);
- პროექტზე მუშაობის დროს გამოყენებული მეთოდები ემსახურებოდეს კვლევას;
- არსებობდეს არჩევანის გაკეთების საშუალება, რაც მოსწავლთა პასუხისმგებლობის ზრდას იწვევს.

პროექტი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ერთი საგნის ფარგლებში; რამდენიმე საგნის ფარგლებში (საგანთა ინტეგრაცია);

მასწავლებელი-მოსწავლეები დამოკიდებულების მხრივ შეიძლება გამოიყოს სამი ტიპის სასწავლო პროექტი:

1. მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს გამზადებულ პროექტს. იგი, თავად განსაზღვრავს პრობლემას, სახავს მისი გადაჭრის სტრატეგიასა და ტაქტიკას. მოსწავლე კი დამოუკიდებლად გადაჭრის პრობლემას.
2. მასწავლებელი სვამს პრობლემას, მოსწავლე დამოუკიდებლად ირჩევს კვლევის მეთოდებს და პრობლემის გადაჭრის გზებს.
3. მოსწავლე განსაზღვრავს პრობლემას, დამოუკიდებლად ირჩევს კვლევის მეთოდებსა და პრობლემის გადაჭრის გზებს.

## პროექტის სტრუქტურა

### პროექტის აღწერა

პროექტის აღწერა არის მისი ძირითადი შემადგენელი ნაწილი. აღნიშნული პუნქტი სასურველია დაიყოს ქვეპუნქტებად, რომელშიც გაერთიანდება შემდეგი სახის ინფორმაცია:

ა) **პრობლემის განსაზღვრა (იდენტიფიკაცია)** – გულისხმობს იმ კონკრეტული პრობლემის ხაზგასმას, რომლის საპასუხოდაც არის მიმართული თქვენი პროექტი.

ბ) **მიზანი** – გულისხმობს ფართო, ზოგად დებულებას იმის შესახებ, თუ რისი მიღწევა გსურთ. პროექტის მიზანს უნდა წარმოადგენდეს ისეთი სასურველი გარემოს ან პირობების

შექმნა, რომელიც ლოგიკურ კავშირში იქნება (მიმართული იქნება) ზემოთ აღწერილ პრობლემასთან.

გ) **ამოცანები** – გულისხმობს კონკრეტულ ნაბიჯებს მიზნის მისაღწევად. აქ უნდა მიუთითოთ რა ამოცანების გადაჭრას ისახავთ თქვენს პროექტში მითითებული მიზნის მისაღწევად. მიზნის მისაღწევად შეიძლება დაისახოთ ერთი, ორი ან რამოდენიმე ამოცანა იმის გათვალისწინებით თუ როგორია თქვენი პროექტის სპეციფიკა.

დ) **განხორციელების გზები** – გულისხმობს კიდევ უფრო კონკრეტულ ნაბიჯებს თქვენს მიერ დასმული ამოცანების შესასრულებლად. განხორციელების გზები არის პროცესი რომელმაც უნდა უპასუხოს კითხვებს:

1) „როგორ?" – როგორ განახორციელებთ თქვენი პროექტის ამოცანებს?

2) „ვინ" – ვინ მონაწილეობს თქვენი პროექტის განხორციელებაში? და რა არის მათი ფუნქციები პროექტში?

**პროექტის შესრულების ვადები**

უნდა შეიცავდეს პროექტის დროში განაწილებულ მსვლელობას. მასში უნდა აისახოს ეტაპებად დაყოფილი პროექტის შესასრულებლად გასაწევი საქმიანობა, განაწილებული დღეების, კვირების,თვეების მიხედვით პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე.

**ბიუჯეტი**

ბიუჯეტი განაცხადის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. იგი უნდა იყოს ლოგიკურ კავშირში პროექტის აღწერაში მითითებულ ამოცანებთან.

**მოსალოდნელი შედეგები**

ამ ნაწილში აღწერეთ ის სავარაუდო ეფექტი ან მოსალოდნელი შედეგი, რაც მოყვება პროექტის წარმატებით განხორციელებას.

**მონიტორინგი**

ამ ნაწილში უნდა მიუთითოთ თუ როგორი იქნება კონკრეტულად თქვენი პროექტის განვითარებაზე თვალყურის დევნების (მონიტორინგის) მექანიზმი და პერიოდულობა.

**შეფასება**

მიუთითეთ ის სავარაუდო კრიტერიუმები (მაჩვენებლები), რომლებიც განსაზღვრავენ თქვენი პროექტის წარმატებას.

## პროექტის შეფასების კრიტერიუმები:

*1. პრობლემის იდენტიფიცირება;*

*2. თეორიული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება;*

*3. ინფორმაციის მოძიების უნარი;*

*4. კვლევების დაგეგმვისა და ჩატარების უნარი;*

*5. საზოგადოებასთან და შესაბამის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის უნარი;*

*6. ჯგუფის შემოქმედებითი უნარი;*

*7. მოძიებული ინფორმაციის კლასიფიკაციის და ინტერპრეტაციის უნარი;*

*8. კვლევის შედეგების ანალიზის უნარი;*

*9. პრობლემის გადაჭრის გზების შეთავაზება;*

*10. გადაწყვეტილებების მიღება;*

*11. წარმოდგენილი ნამუშევრის ორგანიზება;*

*12. მოსწავლეების მიერ შექმნილი თვალსაჩინოებები.*

# თავი I: ბაზრების ურთიერთდამოკიდებულება, მოთხოვნა, მიწოდება

# 1-2. ეკონომიკური აზროვნება დაგვეხმარება

### შესავალი

ეკონომიკის შესწავლა თავისთავად არ არის სამეწარმეო საქმიანობაში წარმატების პირობა. მაგრამ ეკონომიკური პრობლემების ცოდნა აუცილებელია არა მხოლოდ მათთვის, ვინც თავისი პროფესიული საქმიანობით მჭიდროდ არის დაკავშირებული ამ პრობლემებთან. ეკონომიკა გვასწავლის რთული ეკონომიკური სამყაროს გაგებას, აყალიბებს მოქალაქეობრივ შეგნებას და ეკონომიკურ აზროვნებას. ძალზე მნიშვნელოვანია თითოეული ადამიანი ერკვეოდეს ელემენტარულ ეკონომიკურ საკითხებში, რომელთა უშუალო მონაწილეც თვითონაა და იცოდეს საკუთარი უფლება-მოვალეობები სახელმწიფოსთან მიმართებაში.

### მიზნები

- ისეთი მნიშვნელოვანი კონცეფციების განსაზღვრა, როგორიცაა: შეზღუდულობა, არჩევანი, მოთხოვნილება;
- გადაწყვეტილების მიღების კრიტერიუმების შეფასება;
- გადაწყვეტილების მიღების ხუთსაფეხურიანი მოდელის გაგება;
- ეკონომიკის, როგორც დისციპლინის და პრაქტიკული საქმიანობის არსისა და მნიშვნელობის განსაზღვრა;
- მოთხოვნის სახეების განსაზღვრა.

### საჭირო დრო

ორი გაკვეთილი

### მასალები

- სიტუაცია 1

### ცნებები

ეკონომიკა;
არჩევანი;
მოთხოვნილება
საქონელი და მომსახურება;
სარგებლიანობა;
ალტერნატიული ღირებულება;
გადაწყვეტილების მიღება.

### გაკვეთილის მსვლელობა

1. **გამოწვევა**. პროფესიის არჩევისათან დაკავშირებით, სადისკუსიოდ გამოიწვიეთ მოსწავლეები, მათი პრობლემები, გადაწყვეტილებები და მოსაზრებები ძირითად ეკონომიკურ კონცეფციებს დაუკავშირეთ.
2. დასახელებულ მაგალითებზე დაყრდნობით, ესაუბრეთ მოსწავლეებს მოთხოვნის, მოთხოვნილების, მასლოუს სკალის შესახებ.
3. აუხსენით, რომ პროფესიის მიუხედავად, არჩევანის წინაშე დგას ყველა ადამიანი, რომ გარკვეულ ეკონომიკურ როლს ყველა მათგანი ასრულებს. განუმარტეთ ეკონომიკური

როლის არსი და სახეები.
4. ესაუბრეთ სწორი გადაწყვეტილების მიღების სირთულესა და სწორი არჩევანის გაკეთების მნიშვნელობაზე.

**დასკვნა**

ფაქტების შესწავლით, ჰიპოთეზების წამოყენებით ეკონომისტები ახდენენ განზოგადებებს, აღმოაჩენენ პრინციპებს, რომელთა საფუძველზე ეკონომიკა ფუნქციონირებს. ერთ შემთხვევაში ისინი ახდენენ განსაზღვრული მოვლენების და ტენდენციების კონსტატაციას. მეორეში – აკეთებენ დასკვნებს.

ეკონომიკა რთული სისტემაა. მისი ყველა დონე ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებულია. ეკონომიკა შეზღუდული რესურსების ეფექტური გამოყენების პრობლემებს შეისწავლის მიკრო და მაკროდონეებზე.

კიდევ ერთხელ დაუკონკრეტეთ მოსწავლეებს ეკონომიკური როლის სახეები და მიეცით რეკომენდაციები ჯგუფურ პრეზენტაციასთან დაკავშირებით. პრეზენტაციის ხანგრძლივობა 7 წუთს არ უნდა აღემატებოდეს. შესაძლებელია, მოსწავლეები მცირე ჯგუფებად თავიანითი სურვილის (საერთო ინტერესების) მიხედვით დაყოთ. გამოკვეთეთ საუკეთესო პრეზენტაციის მქონე ჯგუფი. სასურველია მათი მცირე პრიზით დაჯილდოება. ეს პირველივე გაკვეთილზე კიდევ უფრო გაამყარებს მოსაზრებას, რომ საბაზრო სისტემაში გულმოდგინედ შესრულებული დავალების შედეგი წარმატებაა (ამ შემთხვევაში პრიზის სახით). თუმცა, შესაძლებელია საუკეთესო პრეზენტაციის თუნდაც სიტყვიერი აღნიშვნა.

# 3. რა, როგორ, ვისთვის

**მიზნები**

მოსწავლეებმა უნდა შეძლონ

- სამი ძირითად ეკონომიკური კითხვის განსაზღვრა;
- ბაზრისა და საბაზრო სისიტემის არსის გაგება;
- წარმოების ფაქტორების შესწავლა.

**საჭირო დრო**

ერთი გაკვეთილი

**მასალები**

- სავარჯიშო 1: თანამედროვე ბაზარი;
- სავარჯიშო 2: რატომ ვყიდულობთ ზუსტად ამ ადგილას.

**ცნებები**

ბაზარი;
წარმოების ფაქტორები;
ბაზრის სახეები;
საბაზრო ეკონომიკა.

**გაკვეთილის მსვლელობა**

**გამოწვევა:** ეს გაკვეთილი შეიძლება 10-15 წუთიანი წერითი დავალებით დაიწყოთ: კლასი 4-5 კაციან გუნდებად დაყავით, ყოველმა გუნდმა მომხსენებელი უნდა აირჩიოს ანუ ის, ვინც გუნდის მოსაზრებას კლასს წარუდგენს.

1. გუნდების მოსაზრებები დაფაზე დააფიქსირეთ. მიეცით მათ საკუთარი აზრის გამოხატვის საშუალება. ჯგუფურ მსჯელობას სასურველი მიმართულება მიეცით – „აღმოაჩენინეთ" მთავარი ეკონომიკური კითხვების ჯაჭვი: რა, როგორ, ვისთვის?
2. განიხილეთ სამი მთავარი კითხვა, რომელსაც პასუხი ყველა საზოგადოებამ უნდა გასცეს.
3. სთხოვეთ მოსწავლეებს ის პროდუქტები გაიხსენონ, რომლებსაც ისინი ან მათი ოჯახის წევრები ყიდულობენ. დასახელებულ მაგალითებზე დაყრდნობით, განიხილეთ ბაზრის არსი და სახეები.
4. დეტალურად განიხილეთ საქონლისა და მომსახურების ბაზარი და წარმოების ფაქტორების ბაზარი.
5. სთხოვეთ მოსწავლეებს შეასრულონ სავარჯიშო 2.1 თანამედროვე ბაზარი; და სავარჯიშო 2.2: რატომ ვყიდულობთ ზუსტად ამ ადგილას.
6. გამართეთ დისკუსია მოსწავლის წიგნში დასმული შეკითხვების გარშემო.

# 4-5. ვყიდულობთ რაც გვსურს?

**შესავალი**

საქონლისა და მომსახურების ფასები მყიდველებისა და გამყიდველების ქცევაზე მოქმედი პირობების ცვლილების შესაბამისად იცვლება. ამ გაკვეთილში განხილულია მოთხოვნის კანონი, მოთხოვნის ცვლილებაზე მოქმედი მთავარი მიზეზები და ამ ცვლილებების გავლენა საბაზრო ფასებზე.

**ცნებები**

- მოთხოვნა;
- მოთხოვნის კანონი;
- მოთხოვნის ცვლილების დეტერმინანტები;
- საქონელშემცვლელი;
- საქონელშემავსებელი;
- მიწოდება;
- მიწოდების კანონი;
- მიწოდების ცვლილების დეტერმინანტები.

**მიზანი**

- მოსწავლეები ახსნიან, როგორ იცვლება მოთხოვნა მომხმარებლებზე მოქმედი ფაქტორების შესაბამისად. განსაზღვრავენ მოთხოვნის ცვლილების შედეგებს, მის

გავლენას საბაზრო ფასზე და გაყიდული საქონლის რაოდენობაზე

**გაკვეთილის აღწერა**

მოთხოვნის მრუდის მდგომარეობაზე მოქმედი ფაქტორების (დეტერმინანტების) შესასწავლად და საბაზრო ფასისა და გამოშვების სიდიდის მერყეობის გასაგებად მოსწავლეები რამდენიმე სავარჯიშოს შეასრულებენ. ამ დეტერმინანტების შესწავლის შემდეგ, მოსწავლეები განსაზღვრავენ დეტერმინანტების ცვლილებების ეფექტს საბაზრო ფასსა და საქონლის რაოდენობაზე.

**საჭირო დრო**

ორი გაკვეთილი.

**მასალები**

- სავარჯიშო 1: მოთხოვნის ცვლილების მიზეზები;
- სავარჯიშო 2: მიწოდების ცვლილების გამომწვევი მიზეზები;
- სიტუაცია 1;
- სიტუაცია 2;
- სიტუაცია 3.

**გაკვეთილის მსვლელობა**

**გამოწვევა.**

„ასწავლეთ თუთიყუშს მოთხოვნა და მიწოდება და თქვენს წინაშეა ეკონომისტი". ამ გამონათქვამზე დაყრდნობით ჩართეთ მოსწავლეები დისკუსიაში.
არის თუ არა სიმართლის მარცვალი ამ გამონათქვამში? *(დიახ, რადგან მოთხოვნა და მიწოდება ღრმა წარმოდგენას იძლევა არა მხოლოდ ცალკეულ ეკონომიკური პრობლემების, არამედ მთელი ეკონომიკური სისტემის შესახებ).*

1. ყურადღება გაამახვილეთ მოთხოვნასა და მოთხოვნილებას შორის არსებულ განსხვავებაზე.

2. სთხოვეთ მოსწავლეებს შეადგინონ ფასების გაზრდის გამო, კონკრეტული საქონლის მიმართ საკუთარი რეაგირების ცხრილი. ასევე სთხოვეთ ჩამოთვალონ მოთხოვნის ცვლილების რაც შეიძლება მეტი მიზეზი, რომელიც ფასის ცვლილებას (მოთხოვნის დეტერმინანტი) არ უკავშირდება. *(კაფეში პროდუქტებზე ფასები იმიტომ გაიზარდა, რომ ბოლო დროს საწვავის ფასები გაიზარდა. გარდა ამისა, გამკაცრდა საგადასახადო კანონმდებლობა – მეწარმეები პირნათლად იხდიან გადასახადებს, რის გამოც მიმწოდებლებმა ფასები გაზარდეს).*

3. სთხოვეთ მოსწავლეებს შეასრულონ სავარჯიშო 1-ს I ნაწილი და ახსნან საკუთარი პასუხები. მიეცით მათ მსჯელობის საშუალება და შეუსწორეთ პასუხები შემდეგ პასუხებზე დაყრდნობით.

***I ნაწილი:***

ა. მცირდება;
ბ. იზრდება;
გ. არ იცვლება;
დ. მცირდება;
ე. იზრდება;
ვ. იზრდება;

*4. რეალური მაგალითების გამოყენებით ახსენით მოთხოვნის დეტერმინანტები. შემდეგ წაიკითხეთ ამავე სავარჯიშოს II ნაწილის მითითებები და სთხოვეთ მოსწავლეებს შეასრულონ იგი.*

*II ნაწილი:*

*მომხმარებლის გემოვნების ცვლილება –,*

*შემოსავლის ცვლილება – ე;*

*მომხმარებელთა რაოდენობის ცვლილება – ბ;*

*შემცვლელი საქონლის ფასის ცვლილება – გ;*

*ურთიერთშემავსებელი საქონლის ფასის ცვლილება –;*

*მომავალში საქონლის ფასის ცვლილების მოლოდინი – ვ.*

**5.** განმარტეთ, რომ პროდუქტზე მოთხოვნის გაზრდა იმას ნიშნავს, რომ თითოეულ ფასად მეტი რაოდენობაა მოთხოვნილი. ეს ასახულია $D_1$ მრუდიდან $D_2$ მრუდისაკენ გადაადგილებით. პირიქით, გადაადგილება $D_2$-დან $D_1$-ისაკენ ასახავს თითოეულ ფასად მოთხოვნილ უფრო მცირე რაოდენობას ანუ მოთხოვნის შემცირებას.

**6.** ამ გაკვეთილში განხილულია, აგრეთვე, მიწოდების კანონი და მიწოდების ცვლილებაზე მოქმედი მთავარი მიზეზები; ამ ცვლილებების გავლენა საბაზრო ფასებზე. პროდუქტის მიწოდება იცვლება, როცა იცვლება ამ პროდუქტის დასამზადებლად საჭირო საწარმოო რესურსების ფასები, გამოყენებული ტექნოლოგია, მწარმოებლებისათვის სხვა საქონლისა და მომსახურების გაყიდვით მოგების მიღების შანსი ან ბაზარზე გამყიდველების რაოდენობა.

მიწოდებისა და მოთხოვნის ცვლილება შესაბამისი ფასების ცვლილებას იწვევს; თავის მხრივ, ამ ცვლილებებს მყიდველები და გამყიდველები ყიდვისა და გაყიდვის შესახებ თავიანთ გადაწყვეტილებებს უსადაგებენ.

7. აუხსენით მოსწავლეებს, რომ ბაზარი არასდროს არის უძრავ მდგომარეობაში. მიწოდებისა და მოთხოვნის ცვლილების შესაბამისად საბაზრო ეკონომიკაში ფასები ხშირად იცვლება. ამ გაკვეთილის მიზანია უფრო ზუსტად გამოვიკვლიოთ, რა გავლენას ახდენს ადამიანების არჩევანი ყიდვისა და გაყიდვის შესახებ, მოთხოვნისა და მიწოდების ცვლილებაზე.

8. ააგეთ მიწოდების გრაფიკი და ჩართეთ მოსწავლეები დისკუსიაში, რომელიც მიწოდების კანონის რეალობას დაადასტურებს.

9. გამოიყენეთ **მიწოდების დეტერმინანტები** *(წარმოების ფაქტორების ფასი, ტექნოლოგია, სხვა პროდუქტის წარმოებით მოგების მიღების შანსი, პროდუქტის სამომავლო ფასის შესახებ მოლოდინები და ბაზარზე გამყიდველთა რაოდენობა)* მიწოდების ცვლილების ასახსნელად.

**10.** სავარჯიშო 2, მიწოდების ცვლილების გამომწვევი მიზეზები წაიკითხეთ I ნაწილის მითითებები, სთხოვეთ მოსწავლეებს შეასრულონ იგი და ახსნან საკუთარი პასუხები.

შემდეგ წაიკითხეთ II ნაწილის მითითებები და დაავალეთ მისი შესრულება. იმსჯელეთ ერთად და მათი პასუხები შეასწორეთ შემდეგ პასუხებზე დაყრდნობით.

***I ნაწილი:***

*ა. იზრდება;*

*ბ. იზრდება;*

*გ. მცირდება;*

*დ. იზრდება;*

*ე. მცირდება;*

ვ. მცირდება;

*ზ. იზრდება.*

***II ნაწილი:***

*წარმოების ფაქტორთა ღირებულების ცვლილება – გ;*
*ტექნოლოგია – ბ;*
*გამყიდველთა რაოდენობა – ვ, ე;*
*სხვა ალტერნატიული საქონლის წარმოებით მოგების მიღების შესაძლებლობა –ა.*

**დასკვნა**

ზოგიერთი მნიშვნელოვანი მომენტის გამეორებით შეაჯამეთ გაკვეთილი:

წაახალისეთ მოსწავლეები, ეწვიონ მათთვის საინტერესო პროდუქტის მწარმოებელ ფირმას და სთხოვონ მესაკუთრეს ან მენეჯერს გაიხსენოს პროდუქტზე ფასის ბოლო დროინდელი ცვლილება. სთხოვეთ მოსწავლეებს მიმოიხილონ მოთხოვნისა და მიწოდების ცვლილების დეტერმინანტები.

დააჯგუფეთ მოსწავლეები, რათა ჯგუფური სწავლების მეთოდის საშუალებით შეძლონ მრუდის დახაზვა, რომელიც ასახავს ინტერვიუს დროს დასახელებული ფასის ცვლილების მიზეზს, ე.ი. აჩვენონ მოთხოვნისა და/ან მიწოდების ცვლილება.

# 6. თხილის ბაზარი *

**შესავალი**

საბაზრო ეკონომიკაში ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური ინსტიტუტი ბაზარია, სადაც საქონელსა და მომსახურებას ფასები ანაწილებენ იმის შესაბამისად, თუ რა თანხის გადახდა უნდათ და შეუძლიათ მათ ამ საქონელსა და მომსახურებაში. ფასები ბაზარზე მყიდველებისა და გამყიდველების ურთიერთქმედების შედეგად დგინდება. საბაზრო ეკონომიკაში ბაზრების მნიშვნელობის მიუხედავად, ბევრმა არ იცის, თუ როგორ „მუშაობს“ ბაზარი, თამაშით „თხილის ბაზარი“, მოსწავლეები უკეთ გაიგებენ, როგორ ხდება ფასების დადგენა ნებისმიერ ბაზარზე.

**მიზნები**

- მონაწილეობის მიღება მოდელირებაში, რომელიც ნათლად აჩვენებს, თუ როგორ განსაზღვრავს მიწოდება და მოთხოვნა ფასებს; აგრეთვე, რა გავლენას ახდენს საქონლის ან მომსახურების ფასების ცვლილება მოთხოვნისა და მიწოდების რაოდენობაზე
- **წონასწორული ფასის განსაზღვრა,** როგორც ფასი, რომლის დროსაც მოთხოვნილი რაოდენობა მიწოდებული რაოდენობის ტოლია
- მოთხოვნის და მიწოდების მრუდებზე მონაცემების გადატანა და გრაფიკზე ნაჩვენები ურთიერთქმედების ახსნა

* მოდელირებული სავარჯიშო ადაპტირებულია აშშ ეკონომიკური განათლების ეროვნული საბჭოს (NCEE) მასალების მიხედვით. ©საავტორო უფლება დაცულია

**ცნებები**

ბაზარი;
საბაზრო ფასი, წონასწორობის ფასი;
დეფიციტ;
სიჭარბე.

**საჭირო დრო**
2 გაკვეთილი

**მასალები**

- თვალსაჩინოება 1: კლასის მონაცემთა ფურცელი;
- სავარჯიშო 1: ვითამაშოთ თხილის ბაზარი;
- სავარჯიშო 2: „შეფასების ფურცელი თხილის ბაზრისათვის;"
- სავარჯიშო 3: ააგეთ გრაფიკი;
- სავარჯიშო 4: დაასახელეთ P და Q;
- სავარჯიშო 5: „გამყიდველთა ბარათები სავარჯიშოსათვის – თხილის ბაზარი", ერთი ასლი, რომელიც გამყიდველის 26 ცალი ბარათისაგან შედგება. ბარათებზე აღნიშნულია გასაყიდი ფასები.
- სავარჯიშო 6: „მყიდველთა ბარათები სავარჯიშოსათვის „თხილის ბაზარი", ერთი ასლი, რომელიც მყიდველის 26 ცალი ბარათისაგან შედგება. ბარათებზე აღნიშნულია ყიდვის ფასები. ***ყიდვისა და გაყიდვის ბარათებისათვის სხვადასხვა ფერის ქაღალდი გამოიყენეთ. მრავალჯერადი გამოყენებისათვის შეიძლება ეს ბარათები მუყაოსაგან გამოჭრათ ან დააწებოთ მას.***

| **გაყიდვის ბარათები** | | **ყიდვის ბარათები** | |
|---|---|---|---|
| ფასი | რ-ბა | ფასი | რ-ბა |
| 1(ლარი) | 0 | 1(ლარი) | 4 |
| 2 | 2 | 2 | 4 |
| 3 | 2 | 3 | 4 |
| 4 | 2 | 4 | 2 |
| 5 | 2 | 5 | 2 |
| 6 | 2 | 6 | 2 |
| 7 | 4 | 7 | 2 |
| 8 | 4 | 8 | 2 |
| 9 | 4 | 9 | 2 |
| 10 | 4 | 10 | 2 |

**მეცადინეობის მსვლელობა**

1. მოსწავლეები მონაწილეობას მიიღებენ მოდელირებაში, სადაც მყიდველებისა და გამყიდველების როლს შეასრულებენ. მოდელირება წარმოაჩენს, თუ როგორ მოქმედებს კონკურენტული ბაზარი. საბაზრო გარიგებების შედეგად მოსწავლეები ინდივიდუალურ მოგებას ან ზარალს განსაზღვრავენ. მოდელირების მონაცემებს მიწოდებისა და მოთხოვნის გრაფიკების ასაგებად და ასახსნელად გამოიყენებენ.

***რეკომენდაცია:*** *ამ სავარჯიშოს წარმატებით ჩასატარებლად საჭიროა არანაკლებ 20 მოსწავლისაგან შემდგარი კლასი. თუ საკლასო ოთახის ფართი საშუალებას იძლევა, შეიძლება 50-მდე მოსწავლემ მიიღოს მონაწილეობა.*

**2.** მოსწავლეებთან ერთად ხმამაღლა წაიკითხეთ სავარჯიშო 5.3: „ვითამაშოთ თხილის ბაზარი."

**3.** საკლასო ოთახში გაანთავისუფლეთ ადგილი და მას „ბაზარი" დაარქვით

**4.** მოამზადეთ ყიდვისა და გაყიდვის ბარათები; ისინი ცალ-ცალკე ფაილებში უნდა შეინახოთ და თამაშის ყოველი რაუნდის წინ ასევე ცალ-ცალკე აურიოთ.

***რეკომენდაცია:*** უმჯობესი იქნება, თუ თამაშის დროს ერთ მოსწავლეს ყიდვისა და გაყიდვის ბარათების განაწილებას და შეგროვებას დაავალებთ, ხოლო მეორეს – თითოეული გარიგების ჩაწერას კლასის მონაცემთა ფურცელზე (იხ. თვალსაჩინოება 1).

**5**. კლასი ორ ნაწილად დაყავით და ოთახში ერთმანეთის პირისპირ განათავსეთ. უთხარით, რომ მოსწავლეთა ერთი ჯგუფი მყიდველი იქნება, ხოლო მეორე – გამყიდველი. ასევე უთხარით, რომ ყურადღებით იყვნენ მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლების მიმართ, რადგან თამაშის დროს მათთან მოლაპარაკება მოუწევთ.

**6.** მოსწავლეებმა შეფასების ფურცელში (იხ. სავარჯიშო 2) უნდა ჩაწერონ ყოველი მათ მიერ განხორციელებული გარიგება. (თუ ფურცელზე ადგილი არ ეყოფათ, შეუძლიათ გამოიყენონ დამატებითი ფურცელი.) მათთან ერთად განიხილეთ ქულების ფურცლის დეტალები. დარწმუნდით, რომ ყველა მოსწავლემ გაიგო, როგორ უნდა განსაზღვროს თითოეული გარიგების შემდეგ მოგება ან ზარალი (მათ ბარათებზე აღნიშნულ ფასსა და დადებული გარიგების ფასს შორის სხვაობით).

**7**. აუხსენით, მოსწავლეებს, რომ ჩატარდება ვაჭრობის სამი რაუნდი, თითოეული ხუთი წუთის ხანგრძლივობით. პირველის რაუნდის შემდეგ უთხარით, რომ ეს საცდელი რაუნდი იყო, მაგრამ მომდევნო ორი რაუნდი გავლენას მოახდენს მათ საბოლოო შედეგზე. თითოეული რაუნდის მსვლელობისას ყოველ 1 წუთში შეახსენეთ დარჩენილი დრო. უთხარით, რომ თითოეულ მხარეს ეყოლება გამარჯვებული მყიდველი, რომელსაც უდიდესი მოგება ექნება და გამარჯვებული გამყიდველი, რომელსაც ასევე უდიდესი მოგება ექნება.

(**სურვილისამებრ**) დროის სიმცირის გამო ან იმ შემთხვევაში, თუ დარწმუნდებით, რომ მოსწავლეებმა თემა კარგად გაიგეს, შეიძლება ჩაატაროთ მხოლოდ ერთი ან ორი რაუნდი.

**8**. გარიგებების მონაცემთა ჩასაწერად გამოიყენეთ თვალსაჩინოება 1. როგორც სავარჯიშო 1-შია აღწერილი მყიდველებმა ახალი ბარათის აღებამდე უნდა დააფიქსირონ გარიგების მონაცემები. შეამოწმეთ, რომ ბარათების დარიგების შემდეგ ნაშთი გრჩებათ.

**9.** ვაჭრობის ყოველი რაუნდის შემდეგ, მოსწავლეებს დრო მიეცით მოგებისა და ზარალის გამოსათვლელად. სამივე რაუნდის დასრულების შემდეგ გამოათვლევინეთ მთლიანი მოგება.

**10.** სავაჭრო რაუნდებს შორის შეიძლება მოსწავლეებთან შემდეგ საკითხებზე მსჯელობა დაგჭირდეთ:

**ა) ბევრი გარიგება დაგჭირდებათ თუ ცოტა დიდი მოგების მისაღებად?** (*ხშირად ის მოსწავლეები, რომლებიც ყველაზე მეტ გარიგებას აღწევენ, უდიდეს მოგებას იღებენ.*)

**ბ) შეიძლება თუ არა, თქვენი ბარათის ინფორმაცია სხვა მოსწავლეებს აჩვენოთ?** *(არა, თუ მოწინააღმდეგე მხარეს იმ თანხის შესახებ ეცოდინება, რომელიც თქვენს ბარათზეა აღნიშნული, წააგებთ გარიგებას. მას ეცოდინება რა ფასად აღარ გიღირთ გარიგების დადება.)*

**გ) საბოლოო მოგების მისაღებად საჭიროა თუ არა თითოეული გარიგება მომგებიანი იყოს?** *(არა, ზოგადად, ბევრ გარიგებას მეტი მოგება მოაქვს. ამიტომ კონკრეტული გარიგების დროს ზარალზე წასვლა შეიძლება გონივრულიც იყოს, რადგან მოთამაშე ახალ ბარათს ღებულობს.)*

**დ) გჭირდებათ თუ არა მთელი კლასის გარიგებების მონაცემთა თვალყურის დევნება ვაჭრობის რაუნდების მიმდინარეობისას?** *(დიახ, ეს საშუალებას მოგცემთ იცოდეთ, რა ფასად დაიდო გარიგებები და ასევე ის ფასები, რომლებმაც გარიგება ჩაშალა.)*

11. მოდელირებული თამაშის შემდგომ მოაწყვეთ დისკუსია:

**ა) ყველაზე ხშირად რა ფასად გაიყიდა წიგნი თითოეულ რაუნდში?** *(დაავალეთ მოსწავლეებს შეისწავლონ თავიანთი შეფასების ფურცლები და კლასის საერთო ქულები. ეს ფასი, ალბათ, იქნება 6 ლარის ფარგლებში და ის ცნობილია ბაზრის დაცარიელების, ანუ წონასწორული ფასის სახელით.)*

**ბ) ეს ფასი ცნობილია ბაზრის წონასწორობის ფასის სახელით. რატომ უწოდებენ მას ეკონომისტები ბაზრის წონასწორობის ფასს?** *(პასუხები განსხვავებული იქნება, მაგრამ ხაზგასმული უნდა იყოს, რომ ეს არის ფასი, რომლის დროსაც ყიდვის მსურველთა რაოდენობა გაყიდვის მსურველთა რაოდენობის ტოლია).*

**გ) რომელ რაუნდში იყო ყველაზე განსხვავებული ფასები?** *(შეისწავლეთ მონაცემები, მაგრამ სავარაუდოა, რომ პირველ რაუნდებში).*

**დ) რატომ დაჯგუფდა ბოლო რაუნდებში ფასები წონასწორობის ფასის სიახლოვეს?** *(ამის მიზეზი შეიძლება დიდი რაოდენობის ინფორმაციის არსებობა იყოს. მას შემდეგ, რაც მყიდველები და გამყიდველები სხვადასხვა ფასად არსებული პროდუქტების რაოდენობის შესახებ ინფორმაციას მოიპოვებენ, ბაზრები წონასწორობის ფასისაკენ ისწრაფვიან.)*

**ე) განსაზღვრეს თუ არა მყიდველებმა ან გამყიდველებმა თხილის ფასი?** *(მყიდველებმაც და გამყიდველებმაც ბაზარზე ურთიერთქმედების შედეგად განსაზღვრეს საბაზრო ფასი.)*

**ვ) როგორ იმოქმედა ფასზე გამყიდველებსა და მყიდველებს შორის კონკურენციამ?** *(ჯგუფებს შიგნით კონკურენციის გამო ვერც ერთმა ცალკეულმა მყიდველმა და გამყიდველმა ფასების გაკონტროლება ვერ შეძლო).*

**ზ)** შეახსენეთ მოსწავლეებს, რომ ისინი მონაწილეობდნენ თამაშში, რომელშიც თანაბარი რაოდენობის მყიდველები და გამყიდველები იყვნენ. **რა მოხდებოდა თამაშში გამყიდველებზე გაცილებით მეტი მყიდველები რომ ყოფილიყვნენ?** *(მეტი მყიდველის შემთხვევაში, გაზრდილი კონკურენცია თხილის ფასის გაზრდას გამოიწვევდა. შედეგად, შეზღუდული რაოდენობის პროდუქტის მსურველ ადამიანთა შორის მეტი კონკურენცია იქნებოდა.)*

თქვენს ხელთ არსებული დროისა და მოსწავლეების მომზადების დონის მიხედვით, შეიძლება კიდევ ერთი რაუნდის ჩატარების სურვილი გაგიჩნდეთ, რომელშიც კლასის ორი მესამედი იქნება მყიდველი, ხოლო ერთი მესამედი – გამყიდველი. მოსწავლეები დაინახავენ, რომ კლასის საერთო მონაცემთა ფურცელზე უფრო მაღალი საბაზრო ფასი გაჩნდება.

**თ) რატომ გაიზრდებოდა წონასწორული ფასი, თუ მყიდველების რაოდენობა გამყიდველების რაოდენობას გადააჭარბებდა?** *(თუ წონასწორობის ფასი შენარჩუნდებოდა, ხორბლის ბაზარზე გაჩნდებოდა **დეფიციტი** – მოთხოვნილი რაოდენობა მეტი იქნებოდა ვიდრე მიწოდებული რაოდენობა. ამ დეფიციტის დასაძლევად ფასი მანამ გაიზრდებოდა, სანამ მოთხოვნილი რაოდენობა და მიწოდებული რაოდენობა ისევ არ გათანაბრდებოდა და დამყარდებოდა ახალი წონასწორობის ფასი, ანუ წონასწორობა.)*

**ი) რა მოხდებოდა, თუ ბაზარზე მეტი გამყიდველები იქნებოდნენ, ვიდრე მყიდველები?** *(დამატებითი გამყიდველების არსებობის შედეგი დამატებითი მყიდველების არსებობის საწინააღმდეგო იქნებოდა. არსებული წონასწორული ფასის პირობებში შეიქმნებოდა **სიჭარბე.** მიწოდებული რაოდენობა იქნებოდა მეტი, ვიდრე მოთხოვნილი რაოდენობა. ეს გამოიწვევდა წონასწორული ფასის შემცირებას მანამ, სანამ არ დამყარდებოდა ახალი წონასწორობის ფასი.)*

12. **(სურვილისამებრ)** რაკი რეალურ ცხოვრებაში ნამდვილი მომხმარებლები და მწარმოებლები იშვიათად თანხმდებიან ზარალიან ყიდვა-გაყიდვაზე, შეიძლება თამაშის შეცვლა ისე, რომ გარიგების დადების მცდელობის გარკვეული დროის (მაგ., ორი წუთის) შემდეგ მოსწავლეებს ნება დავრთოთ უკან დააბრუნონ „ზარალიანი" ბარათები. ამ ცვლილების შედეგად უფრო სწრაფად დაიწყება ფასების სწრაფვა და დაჯგუფება წონასწორობის ფასთან. თუ სავარჯიშოს ამ ვერსიას გამოიყენებთ, უკან დაბრუნებული ბარათების მონაცემები ქულების ფურცელზე არ უნდა ჩაიწეროს.

## დასკვნა

1. სთხოვეთ მოსწავლეებს შეასრულონ სავარჯიშო 5.3. უთხარით, რომ გრაფიკების გამოყენება მიწოდებისა და მოთხოვნის ურთიერთქმედების თვალსაჩინოდ წარმოსადგენად ძალზე მოხერხებულია. სავარჯიშო 5.3-ში მოთხოვნისა და მიწოდების ცხრილები შედგა თამაშში გამოყენებული 26 ცალი ყიდვისა და 26 ცალი გაყიდვის ბარათის მონაცემებით. შეახსენეთ მოსწავლეებს, რომ ციფრები მოთხოვნისა და მიწოდების ცხრილში საერთოა. მაგალითად, გვაქვს ყიდვის 2 ცალი ათლარიანი ბარათი. მისი მფლობელებს შეეძლებათ იყიდონ 9 ლარად, ამრიგად, 9 ლარად ყიდვის მსურველი 4 ადამიანია, და ა.შ.
2. დაეხმარეთ მოსწავლეებს დახაზონ მოთხოვნის მრუდი, შემდეგ კი მიწოდების მრუდი.
3. მოსწავლეებს შეიძლება გაუჩნდეთ კითხვა, თუ რატომ არ არის ერთნაირი, გრაფიკზე რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვი და თამაშის დროს სხვადასხვა ფასად დადებული გარიგებების რაოდენობის მაჩვენებელი რიცხვი. გაახსენეთ, რომ მრუდები აიგო ბარათების ერთჯერადი კომპლექტის მონაცემების საფუძველზე, მაშინ, როცა თამაშის დროს ისინი რამდენჯერმე იყენებდნენ ერთი და იგივე ბარათს. ამავე დროს, მრუდებზე არ არის ასახული ზარალის მაჩვენებლები, მაშინ, როცა თამაშის დროს მოსწავლეები ახალი ბარათის მისაღებად ზარალზეც მიდიოდნენ.
4. კიდევ ერთხელ გაამეორებინეთ სავარჯიშო 3-ის კითხვებზე პასუხები:

   **როგორია წონასწორობის ფასი?** *(6 ლარი)*

   **როგორი ფასები გამოიწვევს სიჭარბეს?** *(6 ლარზე მეტი ნებისმიერი ფასი).*

   **როგორი ფასები გამოიწვევს დეფიციტს?** (*6 ლარზე ნაკლები ნებისმიერი ფასი).*

## თვალსაჩინოება 1. კლასის მონაცემთა ფურცელი

| ფასი (ლარებში) | I რაუნდი | II რაუნდი | III რაუნდი |
|---|---|---|---|
| 1 | | | |
| 2 | | | |
| 3 | | | |
| 4 | | | |
| 5 | | | |
| 6 | | | |
| 7 | | | |
| 8 | | | |
| 9 | | | |
| 10 | | | |

## თხილის მოთხოვნისა და მიწოდების გრაფიკი (პასუხი)



## სავარჯიშო 5:
## გამყიდველთა ბარათები სავარჯიშოსათვის: თხილის ბაზარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **თქვენ<br>შეგიძლიათ**<br>გაყიდოთ<br>**ერთი პარტია<br>თხილი<br>რაც შეიძლება<br>ძვირად<br><br>თუ თქვენ<br>გაყიდით<br>2,00ლარზე<br>იაფად,<br>თქვენ წააგებთ** | თქვენ<br>შეგიძლიათ<br>**გაყიდოთ**<br>ერთი პარტია<br>თხილი<br>რაც შეიძლება<br>ძვირად<br><br>თუ თქვენ<br>გაყიდით<br>**2,00ლარზე**<br>იაფად,<br>თქვენ წააგებთ | თქვენ<br>შეგიძლიათ<br>**გაყიდოთ**<br>ერთი პარტია<br>თხილი<br>რაც შეიძლება<br>ძვირად<br><br>თუ თქვენ<br>გაყიდით<br>**3,00**ლარზე<br>იაფად,<br>თქვენ წააგებთ | თქვენ<br>შეგიძლიათ<br>**გაყიდოთ**<br>ერთი პარტია<br>თხილი<br>რაც შეიძლება<br>ძვირად<br><br>თუ თქვენ<br>გაყიდით<br>**3,00ლ**არზე<br>იაფად,<br>თქვენ წააგებთ | თქვენ<br>შეგიძლიათ<br>**გაყიდოთ**<br>ერთი პარტია<br>წიგნი<br>რაც შეიძლება<br>ძვირად<br><br>თუ თქვენ<br>გაყიდით<br>**4,00**ლარზე<br>იაფად,<br>თქვენ წააგებთ |
| თქვენ<br>შეგიძლიათ<br>**გაყიდოთ**<br>ერთი პარტია<br>თხილი<br><br>რაც შეიძლება<br>ძვირად<br><br>თუ თქვენ<br>გაყიდით<br>**4,00ლარ**ზე<br>იაფად,<br>თქვენ წააგებთ | თქვენ<br>შეგიძლიათ<br>**გაყიდოთ**<br>ერთი პარტია<br>თხილი<br><br>რაც შეიძლება<br>ძვირად<br><br>თუ თქვენ<br>გაყიდით<br>**5,00ლარზე**<br>იაფად,<br>თქვენ წააგებთ | თქვენ<br>შეგიძლიათ<br>**გაყიდოთ**<br>ერთი პარტია<br>თხილი<br><br>რაც შეიძლება<br>ძვირად<br><br>თუ თქვენ<br>გაყიდით<br>**5,00ლარზე**<br>იაფად,<br>თქვენ წააგებთ | თქვენ<br>შეგიძლიათ<br>**გაყიდოთ**<br>ერთი პარტია<br>თხილი<br><br>რაც შეიძლება<br>ძვირად<br><br>თუ თქვენ<br>გაყიდით<br>**6,00ლარზე**<br>იაფად,<br>თქვენ წააგებთ | თქვენ<br>შეგიძლიათ<br>**გაყიდოთ**<br>ერთი პარტია<br>თხილი<br>რაც შეიძლება<br>ძვირად<br><br>თუ თქვენ<br>გაყიდით<br>**6,00ლარზე**<br>იაფად,<br>თქვენ წააგებთ |
| თქვენ<br>შეგიძლიათ<br>**გაყიდოთ**<br>ერთი პარტია<br>თხილი<br>რაც შეიძლება<br>ძვირად<br><br>თუ თქვენ<br>გაყიდით<br>**7,00ლარზე**<br>იაფად,<br>თქვენ წააგებთ | თქვენ<br>შეგიძლიათ<br>**გაყიდოთ**<br>ერთი პარტია<br>თხილი<br>რაც შეიძლება<br>ძვირად<br><br>თუ თქვენ<br>გაყიდით<br>**7,00ლარზე**<br>იაფად,<br>თქვენ წააგებთ | თქვენ<br>შეგიძლიათ<br>**გაყიდოთ**<br>ერთი პარტია<br>თხილი რაც<br>შეიძლება<br>ძვირად<br><br>თუ თქვენ<br>გაყიდით<br>**7,00ლარზე**<br>იაფად,<br>თქვენ წააგებთ | თქვენ<br>შეგიძლიათ<br>**გაყიდოთ**<br>ერთი პარტია<br>თხილი<br>რაც შეიძლება<br>ძვირად<br><br>თუ თქვენ<br>გაყიდით<br>**7,00ლ**არზე<br>იაფად,<br>თქვენ წააგებთ | |

## სავარჯიშო 5: გაგრძელება
## გამყიდველთა ბარათები სავარჯიშოსათვის: თხილის ბაზარი

| | | | |
|---|---|---|---|
| თქვენ<br>შეგიძლიათ<br>**გაყიდოთ**<br>ერთი პარტია<br>თხილი რაც<br>შეიძლება<br>ძვირად<br><br>თუ თქვენ<br>გაყიდით<br>**8,00 ლარზე**<br>იაფად,<br>თქვენ წააგებთ | თქვენ<br>შეგიძლიათ<br>**გაყიდოთ**<br>ერთი პარტია<br>თხილი<br>რაც შეიძლება<br>ძვირად<br><br>თუ თქვენ<br>გაყიდით<br>**8,00 ლარზე**<br>იაფად,<br>თქვენ წააგებთ | თქვენ<br>შეგიძლიათ<br>**გაყიდოთ**<br>ერთი პარტია<br>თხილი<br>რაც შეიძლება<br>ძვირად<br><br>თუ თქვენ<br>გაყიდით<br>**8,00 ლარზე**<br>იაფად,<br>თქვენ წააგებთ | თქვენ<br>შეგიძლიათ<br>**გაყიდოთ**<br>ერთი პარტია<br>თხილი<br>რაც შეიძლება<br>ძვირად<br><br>თუ თქვენ<br>გაყიდით<br>**8,00 ლარზე**<br>იაფად,<br>თქვენ წააგებთ |
| თქვენ<br>შეგიძლიათ<br>**გაყიდოთ**<br>ერთი პარტია<br>თხილი<br>რაც შეიძლება<br>ძვირად<br><br>თუ თქვენ<br>გაყიდით<br>**9,00 ლარზე**<br>იაფად,<br>თქვენ წააგებთ | თქვენ<br>შეგიძლიათ<br>**გაყიდოთ**<br>ერთი პარტია<br>თხილი<br>რაც შეიძლება<br>ძვირად<br><br>თუ თქვენ<br>გაყიდით<br>**9,00 ლარზე**<br>იაფად,<br>თქვენ წააგებთ | თქვენ<br>შეგიძლიათ<br>**გაყიდოთ**<br>ერთი პარტია<br>თხილი<br>რაც შეიძლება<br>ძვირად<br><br>თუ თქვენ<br>გაყიდით<br>**9,00 ლარზე**<br>იაფად,<br>თქვენ წააგებთ | თქვენ<br>შეგიძლიათ<br>**გაყიდოთ**<br>ერთი პარტია<br>თხილი<br>რაც შეიძლება<br>ძვირად<br><br>თუ თქვენ<br>გაყიდით<br>**9,00 ლარზე**<br>იაფად,<br>თქვენ წააგებთ |
| თქვენ<br>შეგიძლიათ<br>**გაყიდოთ**<br>ერთი პარტია<br>თხილი რაც<br>შეიძლება<br>ძვირად<br><br>თუ თქვენ<br>გაყიდით<br>**10,00 ლარზე**<br>იაფად,<br>თქვენ წააგებთ | თქვენ<br>შეგიძლიათ<br>**გაყიდოთ**<br>ერთი პარტია<br>თხილი რაც<br>შეიძლება<br>თხილი<br>თუ თქვენ<br>გაყიდით<br>**10,00 ლარზე**<br>იაფად,<br>თქვენ წააგებთ | თქვენ<br>შეგიძლიათ<br>**გაყიდოთ**<br>ერთი პარტია<br>თხილი<br>რაც შეიძლება<br>ძვირად<br><br>თუ თქვენ<br>გაყიდით<br>**10,00 ლარზე**<br>იაფად,<br>თქვენ წააგებთ | თქვენ<br>შეგიძლიათ<br>**გაყიდოთ**<br>ერთი პარტია<br>თხილი რაც<br>შეიძლება<br>ძვირად<br><br>თუ თქვენ<br>გაყიდით<br>**10,00 ლარზე**<br>იაფად,<br>თქვენ წააგებთ |

სავარჯიშო 6:

**მყიდველთა ბარათები სავარჯიშოსათვის თხილის ბაზარი”**

| | | | |
|---|---|---|---|
| თქვენ<br>შეგიძლიათ<br>**იყიდოთ**<br>ერთი პარტია<br>თხილი<br>რაც<br>შეიძლება იაფად<br><br>თუ თქვენ<br>იყიდით<br>**1,00 ლარზე**<br>ძვირად,<br>თქვენ წააგებთ<br>ბთ | თქვენ<br>შეგიძლიათ<br>**იყიდოთ**<br>ერთი პარტია<br>თხილი<br>რაც<br>შეიძლება იაფად<br><br>თუ თქვენ<br>იყიდით<br>**1,00 ლარზე**<br><br>ძვირად,<br>თქვენ წააგებთ | თქვენ<br>შეგიძლიათ<br>**იყიდოთ**<br>ერთი პარტია<br>თხილი რაც<br>შეიძლება იაფად<br><br>თუ თქვენ<br>იყიდით<br>**1,00 ლარზე**<br><br>ძვირად,<br>თქვენ წააგებთ | თქვენ<br>შეგიძლიათ<br>**იყიდოთ**<br>ერთი პარტია<br>თხილი რაც<br>შეიძლება იაფად<br><br>თუ თქვენ<br>იყიდით<br>**1,00 ლარზე**<br><br>ძვირად,<br>თქვენ წააგებთ |
| თქვენ<br>შეგიძლიათ<br>**იყიდოთ**<br>ერთი პარტია<br>თხილი<br><br>რაც<br>შეიძლება იაფად<br><br>თუ თქვენ<br>იყიდით<br>**2,00 ლარზე**<br><br>ძვირად,<br>თქვენ წააგებთ | თქვენ<br>შეგიძლიათ<br>**იყიდოთ**<br>ერთი პარტია<br>თხილი რაც<br>შეიძლება იაფად<br><br>თუ თქვენ<br>იყიდით<br>**2,00 ლარზე**<br><br>ძვირად,<br>თქვენ წააგებთ | თქვენ<br>შეგიძლიათ<br>**იყიდოთ**<br>ერთი პარტია<br>თხილი რაც<br>შეიძლება იაფად<br><br>თუ თქვენ<br>იყიდით<br>**2,00 ლარზე**<br><br>ძვირად,<br>თქვენ წააგებთ | თქვენ<br>შეგიძლიათ<br>**იყიდოთ**<br>ერთი პარტია<br>თხილი რაც<br>შეიძლება იაფად<br><br>თუ თქვენ<br>იყიდით<br>**2,00 ლარზე**<br><br>ძვირად,<br>თქვენ წააგებთ |
| თქვენ<br>შეგიძლიათ<br>**იყიდოთ**<br>ერთი პარტია<br>თხილი<br>რაც<br>შეიძლება იაფად<br><br>თუ თქვენ<br>იყიდით<br>**3,00 ლარზე**<br>ძვირად,<br>თქვენ წააგებთ | თქვენ<br>შეგიძლიათ<br>**იყიდოთ**<br>ერთი პარტია<br>თხილი<br>რაც<br>შეიძლება იაფად<br><br>თუ თქვენ<br>იყიდით<br>**3,00 ლარზე**<br>ძვირად,<br>თქვენ წააგებთ | თქვენ<br>შეგიძლიათ<br>**იყიდოთ**<br>ერთი პარტია<br>თხილი<br>რაც<br>შეიძლება იაფად<br><br>თუ თქვენ<br>იყიდით<br>**3,00 ლარზე**<br>ძვირად,<br>თქვენ წააგებთ | თქვენ<br>შეგიძლიათ<br>**იყიდოთ**<br>ერთი პარტია<br>თხილი<br>რაც<br>შეიძლება იაფად<br><br>თუ თქვენ<br>იყიდით<br>**3,00 ლარზე**<br>ძვირად,<br>თქვენ წააგებთ |

სავარჯიშო 6 (გაგრძელება)

**მყიდველთა ბარათები სავარჯიშოსათვის “თხილის ბაზარი”**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| თქვენ შეგიძლიათ **იყიდოთ** ერთი პარტია თხილი რაც შეიძლება იაფად<br><br>თუ თქვენ იყიდით **4,00ლარზე** ძვირად, თქვენ წააგებთ | თქვენ შეგიძლიათ **იყიდოთ** ერთი პარტია თხილი რაც შეიძლება იაფად<br><br>თუ თქვენ იყიდით **4,00ლარზე** ძვირად, თქვენ წააგებთ | თქვენ შეგიძლიათ **იყიდოთ** ერთი პარტია თხილი რაც შეიძლება იაფად<br><br>თუ თქვენ იყიდით **5,00ლარზე** ძვირად, თქვენ წააგებთ | თქვენ შეგიძლიათ **იყიდოთ** ერთი პარტია თხილი რაც შეიძლება იაფად<br><br>თუ თქვენ იყიდით **5,00ლარზე** ძვირად, თქვენ წააგებთ | თქვენ შეგიძლიათ **იყიდოთ** ერთი პარტია თხილი რაც შეიძლება იაფად<br><br>თუ თქვენ იყიდით **6,00ლარზე** ძვირად, თქვენ წააგებთ |
| თქვენ შეგიძლიათ **იყიდოთ** ერთი პარტია თხილი რაც შეიძლება იაფად<br><br>თუ თქვენ იყიდით **6,00ლარზე** ძვირად, თქვენ წააგებთ | თქვენ შეგიძლიათ **იყიდოთ** ერთი პარტია თხილი რაც შეიძლება იაფად<br><br>თუ თქვენ იყიდით **7,00ლარზე** ძვირად, თქვენ წააგებთ | თქვენ შეგიძლიათ **იყიდოთ** ერთი პარტია თხილი რაც შეიძლება იაფად<br><br>თუ თქვენ იყიდით **7,00ლარზე** ძვირად, თქვენ წააგებთ | თქვენ შეგიძლიათ **იყიდოთ** ერთი პარტია თხილი რაც შეიძლება იაფად<br><br>თუ თქვენ იყიდით **8,00ლარზე** ძვირად, თქვენ წააგებთ | თქვენ შეგიძლიათ **იყიდოთ** ერთი პარტია თხილი რაც შეიძლება იაფად<br><br>თუ თქვენ იყიდით **8,00ლარზე** ძვირად, თქვენ წააგებთ |
| თქვენ შეგიძლიათ **იყიდოთ** ერთი პარტია თხილი რაც შეიძლება იაფად<br><br>თუ თქვენ იყიდით **9,00ლარზე** ძვირად, თქვენ წააგებთ | თქვენ შეგიძლიათ **იყიდოთ** ერთი პარტია თხილი რაც შეიძლება იაფად<br><br>თუ თქვენ იყიდით **9,00ლარზე** ძვირად, თქვენ წააგებთ | თქვენ შეგიძლიათ **იყიდოთ** ერთი პარტია თხილი რაც შეიძლება იაფად<br><br>თუ თქვენ იყიდით **10,00ლარზე** ძვირად, თქვენ წააგებთ | თქვენ შეგიძლიათ **იყიდოთ** ერთი პარტია თხილი რაც შეიძლება იაფად<br><br>თუ თქვენ იყიდით **10,00ლარზე** ძვირად, თქვენ წააგებთ | |

**სავარჯიშო 4: დაასახელეთ *P* და *Q*;**

| ბაზარი | მოვლენა | P და Q |
|---|---|---|
| სკოლის მერხები | ხის მასალის ფასი გაიზარდა | P ↑, Q↓ |
| საცურაო კოსტუმები | ზაფხულის არდადეგები დაიწყო | P ↑ , Q↑ |
| სასტუმროები | ბოლო დროს ბევრი საოჯახო სასტუმრო გაიხსნა | P ↓, Q↑ |
| შოკოლადის კანფეტები | მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ შოკოლადი ბავშვებს ძალიან აღაგზნებს | P ↓, Q↓ |
| ნაყინი | ბავშვების უმრავლესობას მშობლები უფრო მეტ ჯიბის ფულს აძლევენ | P ↑, Q↑ |
| ავტომობილები | ფირმებმა ავტომობილების წარმოების ახალი ტექნოლოგია დანერგეს | P ↓, Q↑ |

## III თავი: სახელმწიფო და ეკონომიკა

# 9-10. რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ?

### შესავალი

ყოველი ეკონომიკური სისტემა ერთი ძირითადი ეკონომიკური პრობლემის წინაშე დგას: გადაწყვიტოს, როგორ გამოიყენოს არსებული რესურსები მოქალაქეთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად და იმავდროულად იცოდეს, რომ შეუძლებელია ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილება. სხვადასხვა ქვეყანაში სახელმწიფო პოლიტიკა მიმართულია ამ ძირითადი ეკონომიკური პრობლემის გადაჭრაზე. იგი ნაწილობრივ დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ ფართო სოციალურ მიზნებს თვლის ქვეყანა ფასეულად ან მნიშვნელოვნად.

**ეს მიზნები ეკონომიკური სისტემის შეფასების კრიტერიუმად გამოიყენება. თუმცა სხვადასხვა ქვეყანასა და სხვადასხვა ეკონომიკურ სისტემაში მცხოვრები ადამიანები ხშირად ვერ თანხმდებიან იმის შესახებ, თუ რომელი მიზანია უმნიშვნელოვანესი.**

### მიზანი

- სხვადასხვა ეკონომიკური სისტემის მიერ ფართო სოციალური მიზნების მიღწევის შეფასება.

### ცნებები

ეკონომიკური თავისუფლება;
ეკონომიური ეფექტიანობა;
ეკონომიკური თანასწორობა;
ეკონომიკური ზრდა;
ეკონომიკური სტაბილურობა.

### საჭირო დრო

ერთი გაკვეთილი

### მასალები

- სავარჯიშო 1: სახელმწიფოს ფართო სოციალური მიზნები;
- სავარჯიშო 2: ვქმნით საზოგადოებრივ პოლიტიკას – კანონებს, დებულებებს, სახელმწიფო პროგრამებს;
- ფანქრები (მარკერები). და დიდი ზომის ფურცელი თითოეული ჯგუფისათვის.

### გაკვეთილის მსვლელობა

1. **საშინაო დავალების პრეზენტაცია – 10 წუთი.** „როგორ გავლენას ახდენს სახელმწიფო პროგრამები თქვენზე და თქვენი ოჯახის ცხოვრებაზე?"
2. განავითარეთ შესავალ ნაწილში მოცემული იდეები.

3. **ტექსტის მარკირება.** მოსწავლეებს სთხოვეთ კვლავ გამოიყენონ ნიშანთა სისტემა ტექსტის წაკითხვის დროს.
4. მოსწავლეებს აჩვენეთ თვალსაჩინოება: **ფართო სოციალური მიზნები**. განიხილეთ თითოეული მიზანი.

თვალსაჩინოება: **ფართო სოციალური მიზნები.**

**_____ ეკონომიკური თავისუფლება გულისხმობს არჩევანის თავისუფლებას** *(მომხმარებლებისათვის – როგორ დახარჯონ ან დაზოგონ შემოსავალი, მშრომელთათვის – შეიცვალონ სამუშაო, ინდივიდებისათვის – დაიწყონ ახალი ბიზნესი ან დახურონ ძველი ფირმა).*

**_____ ეკონომიკური ზრდა ნიშნავს დროის მონაკვეთში საქონლისა და მომსახურების წარმოების გაზრდას.** *(ეკონომიკური ზრდის დონე იზომება რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ან რეალური მთლიანი ეროვნული პროდუქტის (მეპ) დონის ცვლილებით).*

**_____ ეკონომიკური სტაბილურობა ნიშნავს სტაბილურ ფასებს და სრულ დასაქმებას.** *(ფასების სტაბილურობა ნიშნავს ინფლაციის, ანუ ფასების საშუალო დონის ზრდისა და დეფლაციის, ანუ ფასების საშუალო დონის შემცირების თავიდან აცილებას. სრული დასაქმება ნიშნავს ეკონომიკის ყველა შეზღუდული რესურსის, განსაკუთრებით კი, შრომის მაქსიმალურ გამოყენებას).*

**_____ ეკონომიკური თანასწორობა არის ეკონომიკური საქმიანობის სამართლიანობა.** *(სამართლიანობის საკითხი გაცვლის ან შემოსავლების განაწილების დროს წამოიჭრება. ადამიანთა ნაწილი თვლის, რომ თანასწორობა ყველასათვის თანაბარი შესაძლებლობების მინიჭებაა. სახელმწიფო პოლიტიკა ხშირად იმის მიხედვით ფასდება, თუ რა უფრო მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის).*

**_____ ეკონომიკური ეფექტიანობა ნიშნავს შეზღუდული რესურსების ყაირათიან გამოყენებას.** *(ქვეყნის ეკონომიკისათვის ამას ორგვარი შედეგი მოაქვს: 1) იწარმოება ის საქონელი და მომსახურება, რაც ადამიანებს ყველაზე მეტად სურთ; 2) საქონლისა და მომსახურების წარმოებაში ხდება რესურსების ეკონომია, წარმოების რეალური დანახარჯების შემცირება).*

5. მოსწავლეებს სთხოვეთ სავარჯიშო 1-ის შესრულება: **სახელმწიფოს ფართო სოციალური მიზნები**

**ინსტრუქცია:**

ა) მოსწავლეებს უთხარით, რომ მათ საკუთარი უტოპიური საზოგადოების შექმნის შესაძლებლობა აქვთ. აუხსენით, რომ თითოეულ მათგანს სხვადასხვა ფართო სოციალური მიზნების შესაფასებლად 100 ქულა გააჩნია. დაავალეთ, სავარჯიშო 1-ში თითოეული მიზნის წინ გამოყოფილ ადგილზე შესაბამისი ქულა ჩაწერონ. მაგალითად, თუ მოსწავლისათვის ეკონომიკური თავისუფლება სხვა მიზნებზე მეტად მნიშვნელოვანია, ის მეტი ქულით უნდა შეფასდეს. თუ მისთვის ეკონომიკური სტაბილურობა ნაკლებად მნიშვნელოვანია, ნაკლები ქულით უნდა შეფასდეს. ქულათა საერთო ჯამი 100 უნდა იყოს.

ბ) სავარჯიშოს დასრულების შემდეგ რამდენიმე მოსწავლეს ჰკითხეთ, როგორ გაანაწილეს 100 ქულა და სთხოვეთ საკუთარ გადაწყვეტილებაზე იმსჯელონ. სავარაუდოა, რომ კლასში ქულათა განაწილების მრავალგვარი ვარიანტი იქნება. ჰკითხეთ მოსწავლეებს ამ მრავალფეროვნების მიზეზი. (*მოსწავლეთა ფასეულობები და უპირატესობები განსხვავებულია.*)

გ) მოსწავლეებს ჰკითხეთ, აქვთ თუ არა პოლიტიკურ ლიდერებს ფართო სოციალური მიზნების შესახებ აზრთა ასეთი სხვადასხვაობა. (*არათუ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის, არამედ ერთი პოლიტიკური პარტიის წევრებიც კი მუდმივად გამოხატავენ განსხვავებულ აზრებს მიზნების შედარებითი მნიშვნელობის შესახებ*).

დ) თითოეული მიზნისათვის მოსწავლეების მიერ მიწერილი ქულათა რაოდენობა შეაჯამეთ და თვალსაჩინოებაზე შესაბამის მიზანთან გამოყოფილ ადგილზე დაწერეთ. მოსწავლეებს უთხარით, რომ ეს უტოპიური საზოგადოებაა. აუხსენით, რომ ცალკეული მოქალაქეების უპირატესობები შეიძლება განსხვავდებოდეს საზოგადოების უპირატესობებისაგან. ეკონომიკური სისტემის მიმართ ინდივიდის მხარდაჭერა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად მისაღებია მისთვის ქვეყნის მიერ დასახული ეკონომიკური მიზნები.

**დასკვნა**

**6.** ისევე, როგორც ცაკლეული მოსწავლეები აფასებენ სხვადასხვაგვარად ფართო სოციალურ მიზნებს, სწორედ ასევე იქცევიან სხვადასხვა ეკონომიკური სისტემის მხარდამჭერებიც. კიდევ ერთხელ განმარტეთ მისი მიზეზები.

**7.** სთხოვეთ სავარჯიშო 2-ის შესრულება. მოსწავლეები მცირე ჯგუფებად დაყავით. სთხოვეთ, საზოგადოებრივი პოლიტიკის საკითხებიდან აირჩიონ ერთ-ერთი და შეასრულონ სავარჯიშოში მითითებული პროცედურა.

**ჯგუფური პრეზენტაცია – 20-25 წთ.**

**8. კითხვები და დავალებები**: მოსწავლეებს სთხოვეთ დაასრულინ სავარჯიშო 10.2. ამ სავარჯიშოს კარგად შესრულება აფასებს ახალი საკითხების გაგების სიღრმეს.

# 11. როგორია სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები?

**მიზნები**

- მოსწავლეებმა გაიგონ, რომ ბაზრები რესურსებს ეფექტიანად ვერ ანაწილებენ, თუ (1) საკუთრების უფლებები ნათლად განსაზღვრული ან დაცული არ არის; (2) ხალხის დიდ მასაზე მოქმედი თანმდევი მოვლენები დაკავშირებულია საქონლის წარმოებასა ან მოხმარებასთან; (3) ბაზრები არაკონკურენტულია.
- მოსწავლეებმა გაიგონ, რომ სახელმწიფოები ახდენს შემოსავალების გადანაწილებას, როდესაც ცალკეული ინდივიდები ან დაინტერესებული ჯგუფები უკმაყოფილონი არიან შემოსავლების ბაზრებისმიერი განაწილებით.

**ცნებები**

- ფართო სოციალური მიზნები (ეფექტიანობა, თანასწორობა, თავისუფლება, ზრდა, სტაბილურობა);
- სახელმწიფოს ფუნქციები (საზოგადოებრივი საქონლისა და მომსახურების წარმოება; თანმდევი (გარე) ეფექტების კორექტირება; კონკურენციის უზრუნველყოფა; კანონების შესრულების უზრუნველყოფა; შემოსავლების გადანაწილება; უმუშევრობისა და ინფლაციის რეგულირება).

**საჭირო დრო**

ორი გაკვეთილი

**მასალები**

- მოდელირებული თამაში – რამდენი უნდა გააკეთოს სახელმწიფომ?

- სავარჯიშო 1: სავაჭრო ბარათები;
- სავარჯიშო 2: დამხმარე დიაგრამა.

**საკვანძო საკითხები**

♦ სხვადასხვა ეკონომიკურ სისტემაში საქონლისა და მომსახურების გასანაწილების სხვადასხვა მეთოდი გამოიყენება. ინდივიდებმა და საზოგადოებამ უნდა აირჩიონ, რომელი მეთოდები გამოიყენონ სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების გასანაწილებლად.

♦ სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები შერეული ეკონომიკური სისტემის პირობებში არის: საზოგადოებრივი საქონლისა და მომსახურების წარმოება; თანმდევი (გარე) ეფექტების კორექტირება; კონკურენციის უზრუნველყოფა; კანონების შესრულების უზრუნველყოფა; შემოსავლების გადანაწილება; უმუშევრობისა და ინფლაციის რეგულირება.

**გამოწვევა**

1. პლაკატზე გაამზადეთ თვალსაჩინოება:

| |
|---|
| თვალსაჩინოება: ***შეფასების წრფე*** |
| **რამდენად დიდი უნდა იყოს სახელმწიფოს როლი ჩვენს ეკონომიკაში?** |
| შეუზღუდავი ------------------------------------------------------------ შეზღუდული |

მოსწავლეებს სთხოვეთ მისაკრავ ბარათებზე დაწერონ სახელი. შეფასების წრფეზე ბარათი მიაკრან იქ, სადაც მათი აზრით, ყველაზე უკეთ აისახება პირადი აზრი ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის შესახებ. გაკვეთილის ბოლოს შეფასების წრფეს კვლავ დაუბრუნდებით.

2. დასვით მოსწავლის წიგნში მოცემული კითხვები *(ვინ უნდა განახორციელოს ქვემოთჩამოთვლილი საქმიანობა საქართველოში?).* შეეცადეთ პასუხები არ შეუსწოროთ. გაკვეთილის დასასრულს მოწავლეებს სთხოვეთ თავიდან შეაფასონ საკუთარი პასუხები.

**შესავალი**

სახელმწიფო გარკვეულ როლს ასრულებს ეკონომიკურ საქმიანობაში. საკომანდო-მბრძანებლურ ეკონომიკაში ყველა ეკონომიკურ აქტივობას მიმართულებას აძლევენ სახელმწიფო მგეგმავები. სახელმწიფო ღებულობს გადაწყვეტილებებს იმის შესახებ, თუ რა, როგორ და ვისთვის იქნას წარმოებული. სახელმწიფოს ხელშია მთელი ქონება.

წმინდა საბაზრო ეკონომიკაში ეკონომიკური აქტივობა ორგანიზებულია ბაზრების მეშვეობით. სახელმწიფოს როლი ძალიან შეზღუდულია.

სინამდვილეში დღეს-დღეობით სახელმწიფოები ამ ორ უკიდურესობას შორისაა. ყოველი საზოგადოება საბოლოოდ განსაზღვრავს ბაზრების სიდიდეს, მასშტაბებს და მოცემული ქვეყნის ეკონომიკაში სახელმწიფოს ფუნქციონირებას.

საბაზრო ეკონომიკაში მთავრობამ თავისი ეკონომიკური როლი უნდა შეასრულოს ყოველთვის, როცა სახელმწიფო პოლიტიკის შედეგად მიღებული სარგებელი ნაკლებია ხარჯებზე. სახელმწიფო ძირითადად უზრუნველყოფს ეროვნულ თავდაცვას, გარემოს დაცვით ღონისძიებებს, საკუთრების უფლებების განსაზღვრას, დაცვას და ბაზრების კონკურენტულობას ცდილობს. ბევრ ქვეყანაში სახელმწიფო პოლიტიკა შემოსავლების გადანაწილებასაც უზრუნველყოფს.

**გაკვეთილის აღწერა**

მოსწავლეები მიიღებენ ბარათებს, სადაც აღწერილია პირადი ან სოციალური მიზნები, რომლებიც სახელმწიფოს როლსაც შეიცავს. მოსწავლეები ბარათებს ცვლიან მანამდე, ვიდრე არ შეხვდებათ ის ბარათი, რომელშიც ეთანხმებიან სახელმწიფო პროგრამას ან სახელმწიფოს მონაწილეობის ხარისხს. მსჯელობისას ბარათები იმისათვის გამოიყენება, რომ განსაზღვრული იქნას სახელმწიფოს ფუნქციები, გაანალიზდეს სახელმწიფო პროგრამების დადებითი და უარყოფითი მხარეები მბრძანებლური და საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

**გაკვეთილის მსვლელობა**

1. დაარიგეთ სავარჯიშო 1-ის ბარათები. თითოეული ბარათი აღწერს ან პირად მიზანს, ან ისეთ სოციალურ მიზანს, რომელიც მოიცავს სახელმწიფოს როლს ეკონომიკაში. ბარათები დაწყვილებულია ისე, რომ 1 და 2, 3 და 4, 5 და 6 მიზნები აღწერს და მიეკუთვნება ერთსა და იმავე სახელმწიფო პროგრამებს. ბარათები კენტი რიცხვებით მოსწავლეებს სთავაზობს უფრო ბაზარზე ორიენტირებულ ეკონომიკას და სახელმწიფოს შეზღუდულ როლს. ბარათები წყვილი ნომრებით კი აღწერს სახელმწიფოს უფრო ფართო როლს – იქამდეც კი, რომ პროგრამები ასოცირდება მბრძანებლურ ეკონომიკასა და ცენტრალიზებულ დაგეგმვასთან.
2. ბარათების დარიგების შემდეგ მოსწავლეებმა მათზე აღწერილი მიზნები უნდა წაიკითხონ. აუხსენით, რომ სხვადასხვა ბარათზე სხვადასხვა პირადი და სოციალური მიზანია, მაგრამ თითოეული ბარათი აღწერს გარკვეულ სახელმწიფო პროგრამას და ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის გარკვეულ დონეს. თუ მოსწავლეები ემხრობიან სახელმწიფოს იმ ქმედებებს, რომლებიც ბარათზეა აღწერილი, მაშინ ბარათს თავისთან დაიტოვებენ. თუ არ ემხრობიან, მაშინ უნდა „ივაჭრონ" – სხვა მოსწავლეს გაუცვალონ და "მოიპოვონ" ის ბარათი, რომელიც მათთვის სასურველ სახელმწიფო პროგრამას ან პროგრამებს ასახავს.
3. მოსწავლეებს უთხარით, რომ „ვაჭრობისათვის" მათ ხუთი წუთი აქვთ.
4. ხუთი წუთის შემდეგ იკითხეთ, რამდენმა მოსწავლემ შეძლო იმ ბარათის მოპოვება, რომელიც მათ მიერ მხარდაჭერილ სახელმწიფო პროგრამას აღწერს. სთხოვეთ იმსჯელონ იმაზე, თუ რატომ აღმოჩნდა შეუძლებელი „ვაჭრობა" რიგ შემთხვევაში.
5. მოსწავლეებს სთხოვეთ, რომ ეს ბარათები დაწყვილებულად ეჭიროთ (ე.ი. 1 და 2, 3 და 4, 5 და 6 და ა.შ.), დასხდნენ ან დადგნენ ერთად და უპასუხონ შეკითხვებს:
6. სახელმწიფო პროგრამები რამდენად ეხმარება ან აზარალებს ადამიანებს იმ მიზნის შესრულებით, რაც თქვენს ბარათზეა აღწერილი?
7. დაასახელეთ თქვენს ბარათზე აღწერილი პროგრამების დადებითი და უარყოფითი მხარეები.
8. განიხილეთ **სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები;**

- **საზოგადოებრივი საქონლისა და მომსახურების წარმოება.** საზოგადოებრივია საქონელი და მომსახურება, რომელსაც "ვერ წაართმევ" მათ, ვინც არ იხდის, ისინი ამ საქონელსა და მომსახურებას მაინც მიიღებენ. კერძო სექტორი ამ საქონელსა და მომსახურებას არ აწარმოებს, რადგან მწარმოებლებმა იციან, რომ მათთვის მისი გაყიდვა შეუძლებელი იქნება. საზოგადოებრივი საქონელი და მომსახურება საზიარო მოხმარებით ხასიათდება. **საზიარო მოხმარება** ნიშნავს, რომ საქონელი და მომსახურება შეიძლება ერთზე მეტმა პირმა მოიხმაროს და ამავე დროს სხვების მიერ მოსახმარი პროდუქტის რაოდენობა არ შემცირდეს. **მაგალითი**: ეროვნული თავდაცვა, გზები, მაგისტრალები, სკვერები და ა.შ.

- **თანმდევი (გარე) ეფექტების კორექტირება** – სახელმწიფოს შეუძლია გამოიყენოს საგადასახადო პოლიტიკა, წესები და სუბსიდიები იმისათვის, რომ საქონლისა და მომსახურების ჭარბწარმოების ან არასაკმარისი წარმოების მოწესრიგება მოახდინოს.

**მაგალითი:** საწარმო, რომელიც ჰაერს აბინძურებს, სახელმწიფო გადასახადს უწესებს და ამით მის საქმიანობას ზღუდავს.

- **კონკურენციის შენარჩუნება** – საბაზრო ეკონომიკის ქვეყნები ბევრ ბაზარზე ხელს უწყობენ კონკურენციას. გამყიდველებს შორის კონკურენციას შედეგად მოყვება დაბალი ფასები, პროდუქციის მაღალი ხარისხი და მომხმარებელთა უკეთესი მომსახურება. თუ ერთ მწარმოებელს შეუძლია მთელი ბაზრისათვის საჭირო პროდუქციის მოცულობის წარმოება და მიწოდება იმაზე დაბალ ფასად, ვიდრე ამას სხვა მწარმოებლები მოახერხებენ, მაშინ კონკურენცია შეუძლებელი იქნება. როცა ასეთი მდგომარეობაა, სახელმწიფოს შეუძლია შემოიღოს ფასების, წარმოების მოცულობისა და ხარისხის მაკონტროლებელი წესები. **მაგალითი:** კონკურენცია საცალო ვაჭრობაში;

- **კანონების შესრულების უზრუნველყოფა** – სახელმწიფო ქმნის საკანონმდებლო სივრცეს იმ კანონების მეშვეობით, რომლებიც საკუთრების უფლებებს განსაზღვრავენ. საკუთრების უფლებები მოიცავს ფიზიკურ კაპიტალს და მისი გამოყენების, განვითარებისა და გადაცემის უფლებას; ასევე შემოსავლების გამომუშავების, სამუშაოს შეცვლის, ფინანსური კაპიტალის ხარჯვის, დაზოგვის და ზრდის უფლებებს. **მაგალითი:** კერძო საკუთრების დაცვა, სამუშაოს და სამუშაო ადგილის არჩევა და სხვ.

- **შემოსავლის გადანაწილება** – სახელმწიფო გადაანაწილებს შემოსავლებს გადასახადების დაწესების გზით და დახმარებების გაცემის პროგრამებით. **მაგალითი:** სოციალური დაცვის შემწეობები და უმუშევრობის კომპენსაცია;

- **ინფლაციისა და უმუშევრობის შემცირება** – სახელმწიფოების საგადასახადო და ხარჯვითი პოლიტიკა და ეროვნული ბანკების მონეტარული პოლიტიკა გავლენას ახდენს უმუშევრობის, წარმოების და ფასების საერთო დონეებზე. **მაგალითები:** საქართველოს ეროვნული ბანკი მიერ სარგებლის განაკვეთს ზრდა ინფლაციის შესაჩერებლად, ან შემცირება დასაქმების სტიმულირებისათვის.

*შენიშვნა: სახელმწიფოს თითოეული ფუნქცია უფრო დაწვრილებით შემდეგ თავებში იქნება განხილული.*

## სავარჯიშო 1: სავაჭრო ბარათები /დაჭერით/

| | |
|---|---|
| 1<br>**მიზანი: ჯინსის ყიდვა.**<br>შესაძლებელია უამრავი სტილის, მარკის, ფასისა და ხარისხის ჯინსის ყიდვა, რომლებსაც სხვადასხვა კონკურენტული მაღაზიები ყიდიან. | 2<br>**მიზანი: ჯინსის ყიდვა.**<br>შესაძლებელია მხოლოდ ერთი სტილის ჯინსის ყიდვა, რომელიც სახელმწიფო საწარმოს მიერ არის წარმოებული. ის, თუ რამდენი უნდა იქნას წარმოებული, სახელმწიფო მგეგმავები განსაზღვრავენ. ხშირად ჯინსი მაღაზიებში არ იყიდება. მხოლოდ შავ ბაზარზეა მაღალ ფასებად. |
| 3<br>**მიზანი: სუფთა ჰაერი.**<br>საწარმოო კომპანიებმა დაბინძურება უნდა შეამცირონ ან გადაიხადონ ჯარიმები. | 4<br>**მიზანი: სუფთა ჰაერი.**<br>სახელმწიფო მოხელეები საწარმოს პროდუქციის გამოშვების დიდ მოცულობას ავალებენ, რაც დაბინძურებას იწვევს. შემდეგ კი, ჰაერის ხარისხის გასაუმჯობესებლად, წარმოების შემცირებაზე მსჯელობენ. |
| 5<br>**მიზანი: სუფთა წყალი.**<br>სახელმწიფო ყიდის დაბინძურების უფლებას და გასცემს ლიცენზიებს. ფირმები ლიცენზიებს იმ შემთხვევაში ყიდულობენ, თუ ლიცენზიის შეძენა უფრო იაფი უჯდებათ, ვიდრე დაუბინძურებლობის დანახარჯები. | 6<br>**მიზანი: სუფთა წყალი.**<br>დაბინძურების კონტროლის ღონისძიებები ტარდება მხოლოდ მაშინ, თუ დაბინძურების შემცირება სახელმწიფო მოხელეთა და მგეგმავებისათვის იმაზე მნიშვნელოვანი მიზანია, ვიდრე სახელმწიფო საწარმოების მიერ მეტი საქონლისა და მომსახურების წარმოება. |
| 7<br>**მიზანი: ინფლაციის მოთოკვა.**<br>ეროვნული ბანკი ზრდის საპროცენტო განაკვეთს, რათა მოსახლეობამ ბანკებში მეტი ფული შეიტანოს. ამ ღონისძიებით იგი ინფლაციის შემცირებას ცდილობს. | 8<br>**მიზანი: ინფლაციის მოთოკვა.**<br>სახელმწიფო მგეგმავები საქონელსა და მომსახურებაზე ოფიციალურ ფასებს აწესებენ. ასეთი ფასების დონეზე ინფლაცია არ არსებობს. |
| 9<br>**მიზანი: კომპანიის კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება.**<br>ზოგიერთი კომპანია ათავისუფლებს მუშახელს იმისათვის, რომ შეამციროს პროდუქციის ფასი და აამაღლოს მწარმოებლობა, რათა კონკურენცია გაუწიოს შიდა და უცხოურ ფირმებს. | 10<br>**მიზანი: კომპანიის კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება.**<br>მუშახელის შემცირება ხელს უშლის სახელმწიფო მგეგმავების მიზანს (უმუშევრობის აღმოფხვრა). ეროვნული თვითუზრუნველყოფისა და უცხოური ფირმების მხრიდან კონკურენციის თავიდან არიდების მიზნით საერთაშორისო ვაჭრობა იზღუდება. |
| 11<br>**მიზანი: კარგ მაგისტრალებზე სიარული.**<br>იგება ახალი გზები და გადასახადებით ხერხდება მათი კარგ მდგომარეობაში შენარჩუნება. | 12<br>**მიზანი: კარგ მაგისტრალებზე სიარული.**<br>სახელმწიფო მგეგმავები გამოყოფენ გარკვეულ რესურსებს გზების აგებისა და შეკეთებისათვის, სხვა რესურსებს კი – სახელმწიფო ფირმებში საქონლისა და მომსახურების წარმოებისათვის. |
| 13<br>**მიზანი: უფრო დიდ სახლში გადასვლა.**<br>ინდივიდებს შეუძლიათ შეისყიდონ, გაყიდონ ან იქირაონ სახლი, მიწის ნაკვეთი ან ბინა. | 14<br>**მიზანი: უფრო დიდ სახლში გადასვლა.**<br>მთავრობა აშენებს სახლებს და მათ ოჯახებს ისეთ კრიტერიუმებზე დაყრდნობით სთავაზობს, როგორიცაა ოჯახის სულადობა და ბინის რიგში ყოფნის ხანგრძლივობა. ადამიანებს არ აქვთ უფლება ჰქონდეთ რამდენიმე სახლი ან მიწის ნაკვეთი. |
| 15<br>**მიზანი: კოლეჯში ჩარიცხვა და გეოლოგიის სწავლა.**<br>ადამიანებს შეუძლიათ ნებისმიერ კოლეჯში ან უნივერსიტეტში ჩარიცხვა და საგნების არჩევა. სტუდენტებმა უნდა გადაიხადონ სწავლის საფასური. | 16<br>**მიზანი: კოლეჯში ჩარიცხვა და გეოლოგიის სწავლა.**<br>სახელმწიფო მგეგმავები განსაზღვრავენ, ვინ რომელი საგანი უნდა ისწავლოს. მთავრობა იხდის სასწავლებლებში ჩარიცხული სტუდენტების სწავლის საფასურს. |

| | |
|---|---|
| 17<br>**მიზანი: ახალი ბიზნესის დაწყება.**<br>მეწარმეებს შეუძლიათ შეისყიდონ, იქირაონ და ორგანიზება გაუკეთონ რესურსებს ახალი ბიზნესის დასაწყებად. | 18<br>**მიზანი: ახალი ბიზნესის დაწყება.**<br>სახელმწიფო საკუთრებაში არსებული დიდი ქარხნები აწარმოებენ პროდუქციის უმრავლესობას. სახელმწიფო მგეგმავები წყვეტენ, ააშენონ თუ არა ახალი ქარხნები და შექმნან ახალი ფირმები. |
| 19<br>**მიზანი: ღარიბებსა და მოხუცებზე ზრუნვა.**<br>საგადასახადო შემოსავლები გამოიყენება სხვადასხვა დახმარებების, სამედიცინო და სოციალური დაზღვევის უზრუნველსაყოფად. ბევრ მომუშავეს აქვს კერძო პენსია ან/და დანაზოგი. | 20<br>**მიზანი: ღარიბებსა და მოხუცებზე ზრუნვა.**<br>სახელმწიფოს მიერ გარანტირებულია ყველა მოქალაქის სამედიცინო დახმარება, პენსია და საცხოვრებელი ფართი. |
| 21<br>**მიზანი: კარგი სამუშაო.**<br>სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია სამსახურის არჩევა და შეცვლა. კარგად მუშაობა ფასდება მაღალი ხელფასით. ზოგიერთი ადამიანი სხვებზე მეტს გამოიმუშავებს. | 22<br>**მიზანი: კარგი სამუშაო.**<br>ადამიანებს სხვადასხვა სამუშაოებში ერთნაირ, სახელმწიფო მგეგმავების მიერ დადგენილ ხელფასს უხდიან. სახელმწიფოს ნებართვის გარეშე ახალ სამუშაოზე, საცხოვრებელ ფართზე და ა.შ. გადასვლა შეზღუდულია. |
| 23<br>**მიზანი: უმუშევრობის თავიდან აცილება.**<br>4-5%-იანი უმუშევრობა სრულ დასაქმებად ითვლება (რადგან მომუშავეები, როგორც წესი, ხშირად იცვლიან სამუშაოს). სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა მიმართულია უმუშევრობის აღმოსაფხვრელად. | 24<br>**მიზანი: უმუშევრობის თავიდან აცილება.**<br>ყველა დასაქმებულია, ამიტომ ოფიციალური უმუშევრობა არ არსებობს. ზოგიერთი სამუშაო შენარჩუნებულია მაშინაც კი, როცა ის თითქმის არაფრის მომტანია. მთავარია ყველა დასაქმებული იყოს. |
| 25<br>**მიზანი: ეკონომიკური ზრდის სტიმულირება.**<br>სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა გამოიყენება მდგრადი ეკონომიკური ზრდის შესანარჩუნებლად. ინვესტიციების უმეტესობა ახალ ქარხნებში, მანქანა-დანადგარებში და ტექნოლოგიებში იდება და დამყარებულია პირად დანაზოგებზე დაფუძნებულ კერძო ფირმებზე. | 26<br>**მიზანი: ეკონომიკური ზრდის სტიმულირება.**<br>სახელმწიფო მგეგმავები განსაზღვრავენ ინვესტიციების დონეს, ხოლო სახელმწიფო ორგანიზაციებმა ამ მიზნებს უნდა მიაღწიონ. ხდება უფრო მეტი საწარმოო საშუალებების და ნაკლები სამომხმარებლო საქონლის წარმოება. |
| 27<br>**მიზანი: მოქალაქეების შესაბამისი სამედიცინო მომსახურება.**<br>საბაზრო ფასით ჯანდაცვა და მკურნალობა მათთვისაა ხელმისაწვდომი, ვისაც გადახდა შეუძლია. ყველა ინდივიდი ვერ ღებულობს სამედიცინო დახმარებას კერძო ფირმებისაგან. | 28<br>**მიზანი: მოქალაქეების შესაბამისი სამედიცინო მომსახურება.**<br>სამედიცინო დახმარება უზრუნველყოფილია, მაგრამ დიდი რიგებია ზოგიერთი სახის მკურნალობასა და მომსახურებაზე. |

**9. განიხილეთ სახელმწიფოს ფუნქციები „სავაჭრო" ბარათების მიხედვით: /პასუხები/**

- **საზოგადოებრივი საქონლისა და მომსახურების წარმოება**

  მაგალითი: ეროვნული თავდაცვა და გზები

  ბარათები **---- 11 და 12 ------**

  მიზანი: ------- **კარგ მაგისტრალებზე სიარული ------**

  **როგორ ხდება მიზნის მიღწევა:**

ა) **საბაზარო ეკონომიკაში?** *საგადასახადო შემოსავლების გამოყენება: სახელმწიფო იყენებს საგადასახადო შემოსავლებს გზების დასაგებად და სარემონტოდ, ეროვნული თავდაცვის უზრუნველსაყოფად;*

ბ) მბრძანებლური ეკონომიკაში? *მგეგმავები ღებულობენ გადაწყვეტილებებს გზების შენების, ეროვნული თავდაცვის უზრუნველყოფის და სხვ. ეს პროგრამები არის ყველა სახის საქონლისა და მომსახურების გამოშვების საერთო გეგმების ნაწილი.*

- **თანმდევი (გარე) ეფექტების კორექტირება**

მაგალითი: გარემოს დაბინძურების კონტროლი *სახალხო განათლება, ჯანდაცვის სამსახურები;*

ბარათები **-----3 და 4; 5 და 6 -------**

მიზანი: **----- *სუფთა ჰაერი და სუფთა წყალი* ----------**

**როგორ ხდება მიზნის მიღწევა:**

ა) **საბაზარო ეკონომიკაში?** *წესები და ჯარიმები, ლიცენზიები დაბინძურების თავიდან ასაცილებლად; გარემოს დაბინძურების შემცირება მიიღწევა წესებით, ჯარიმებით ან სახელმწიფოს მიერ გარემოს დაბინძურების ნებართვების გაყიდვით;*

ბ) **მბრძანებლური ეკონომიკაში?** *წარმოების მეთოდები მუშავდება და წესდება ცენტრალური გეგმით და იწვევს დაბინძურების გარკვეულ დონეს – ხშირად უფრო მაღალს, ვიდრე საბაზრო ეკონომიკაში. ეს გამოწვეულია განსხვავებებით საკუთრებით უფლებებში, პოლიტიკურ სტრუქტურებში და შემოსავლების დონეებში; გარემოს დაბინძურების დონის შემცირება დამოკიდებულია მგეგმავებისათვის ამ მიზნის მიღწევის შეფარდებით მნიშვნელობაზე და ეკონომიკაში არსებული რესურსების საერთო დონეზე.*

- **კონკურენციის უზრუნველყოფა**

მაგალითი: კონკურენცია საცალო ვაჭრობაში; *ანტიტრესტული საქმეები კომპიუტერული პროგრამების წარმოების სფეროში;*

ბარათები **-------*1 და 2, 9 და 10, 17 და 18* ----------**

მიზანი: ------- ***ჯინსის ყიდვა, ბაზარზე კომპანიის კონკურენტუნარიანობის დაზღვევა, ახალი ბიზნესის დაწყების თავისუფლება*** ----------

**როგორ ხდება მიზნის მიღწევა:**

ა) **საბაზარო ეკონომიკაში?** *სახელმწიფო ხელს უწყობს და წაახალისებს კონკურენციას; ინდივიდებს აქვთ ახალი ბიზნესის დაწყების თავისუფლება და თავად ბიზნესს თავისუფლად შეუძლია საქმის ისე ორგანიზება, რომ შეამციროს წარმოების დანახარჯები და გაზარდოს მწარმოებლობა. ზოგი სამუშაოს კარგავს და ზოგი ბიზნესი მარცხს განიცდის.*

ბ) **მბრძანებლური ეკონომიკაში?** *კონკურენცია არ არსებობს. ფირმები ერთმანეთს კონკურენციას არ უწევენ, რადგან წარმოების სიდიდეს და ფასებს მგეგმავები ადგენენ; სამუშაო ადგილები გარანტირებულია, რაც იმას იწვევს, რომ იმაზე მეტია დასაქმებული, ვიდრე ეს საჭიროა, იქმნება არაეფექტიანი წარმოების პირობები და იზრდება წარმოების ხარჯები; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწამოები ბიუჯეტიდან ფინანსდება.*

- **კანონების შესრულების უზრუნველყოფა**

მაგალითი: სამუშაოს და სამუშაო ადგილის არჩევა. *საკუთარი კარიერის არჩევა; სკოლისშემდგომი განათლების ტიპის, სამუშაოს და სამუშაო ადგილის არჩევა.*

ბარათები -----*13 და 14, 15 და 16, 17 და 18, 21 და 22* ---------

მიზანი: ---- ***სახლის ყიდვა და გაყიდვა, კოლეჯში სწავლა, კარიერის განსაზღვრა, ბიზნესის დაწყება, კარგი სამუშაოს შოვნა.*** --------------

**როგორ ხდება მიზნის მიღწევა:**

ა) **საბაზარო ეკონომიკაში?** *სახელმწიფო უზრუნველყოფს საკუთრების უფლებების დაცვას; საკუთრების უფლებების ხელშეწყობით სახელმწიფო ადამიანებს აძლევს სახლების ყიდვისა და გაყიდვის, კარიერის, სკოლის შემდგომი განათლების ტიპის არჩევის, სამსახურის შეცვლის თავისუფლებას, სამუშაოსათვის უფრო მაღალი ხელფასის სახით წახალისების და სხვა სარგებლის მიღების, ახალი ბიზნესის დაწყების საშუალებას. ამის შედეგია ის, რომ ზოგი ადამიანი უკეთ გამოიმუშავებს და მეტსაც ფლობს.*

ბ) **მბრძანებლური ეკონომიკაში?** *სახელმწიფო არ უშვებს საკუთრების უფლებას, შეიძლება შეზღუდოს სამუშაოს ან კარიერის არჩევანი ან ხელმისაწვდომობა; საკუთრების უფლებები ძალიან შეზღუდულია. ინდივიდები არ ფლობენ სახლებს ან მიწას, არ იწყებენ ბიზნესს და შეზღუდულები არიან განათლების ან კარიერის არჩევანში.*

- **შემოსავლების გადანაწილება**

მაგალითი: სოციალური დაცვის შემწეობები და უმუშევრობის კომპენსაცია; ბარათები ------*19 და 20, 27 და 28* ---------

მიზანი: ----- ***ზრუნვა ხელმოკლეებზე და მოხუცებზე, ხელმისაწვდომი და ადეკვატური ჯანდაცვა*** ---------

**როგორ ხდება მიზნის მიღწევა:**

ა) **საბაზარო ეკონომიკაში?** *გადასახადები აფინანსებს ჯანდაცვას, სოციალურ დაცვას; სოციალური დაზღვევა მოხუცებისა და ინვალიდებისათვის, ჯანდაცვა იმათთვის, ვინც აკმაყოფილებს სახელმწიფო მოთხოვნებს, მცირეშემოსავლიანთათვის საცხოვრებლის შეზღუდული რაოდენობაა. ზოგიერთისათვის სოციალური დაზღვევა ხელმიუწვდომელია და არა აქვთ იმისათვის საკმარისი შემოსავალიც კი, რომ ჯანდაცვის ყველაზე აუცილებელი მომსახურებით ისარგებლონ.*

ბ) **მბრძანებლური ეკონომიკაში?** *გარანტირებული სამუშაო ადგილები, პენსიონერთა შემწეობები, იაფი ან უფასო საცხოვრებელი; ყველასათვის ხელმისაწვდომი ჯანდაცვა; ადამიანებს აქვთ მუდმივი სამუშაო, ჯანდაცვა, პენსიები. ჯანდაცვა ყოველთვის ხელმისაწვდომი არაა ამ სფეროს ნაკლოვანებების გამო. სამუშაო შეიძლება თვით ამ ადამიანის არჩეული არ იყოს, საცხოვრებელს სახელმწიფო აძლევს, მაგრამ ხშირად დიდი ლოდინის შემდეგ.*

- **უმუშევრობისა და ინფლაციის რეგულირება**

მაგალითები: საქართველოს ეროვნული ბანკი მიერ სარგებლის განაკვეთს ზრდა ინფლაციის შესაჩერებლად, ან შემცირება დასაქმების სტიმულირებისათვის.

ბარათები --------*7 და 8, 23 და 24, 25 და 26* --------

მიზანი: ----- ***ინფლაციის შეჩერება, სრული დასაქმება, ეკონომიკის ზრდის სტიმულირება*** ------

**როგორ ხდება მიზნის მიღწევა:**

ა) **საბაზარო ეკონომიკაში?** *მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა; ეროვნული ბანკი მეთვალყურეობას უწევს ფასებს, ეკონომიკის ზრდისა და უმუშევრობის დონეებს*

*და გამოიმუშავებს პოლიტიკას სტაბილური ფასების, მდგრადი ზრდის და 4-5 პროცენტიანი უმუშევრობის შესანარჩუნებლად.*

ბ) **მბრძანებლური ეკონომიკაში?** *მეგემავები ადგენენ ფასებს ისე, რომ არ არსებობს ოფიციალურად გაზომვადი ინფლაცია, განსაზღვრავენ ინვესტიციების სიდიდეს და ანაწილებენ სამუშაო ადგილებს; არავითარი ოფიციალური ინფლაცია ან უმუშევრობა; ზრდის ტემპები განისაზღვრება მეგემავების მიერ, რომლებმაც, შესაძლოა, მოხმარება შეზღუდონ გაზრდილი ინვესტიციებისათვის.*

10. აღნიშნეთ, რომ ზოგიერთ ბარათზე სახელმწიფოს როლის შესახებ უკიდურესი მაგალითები იყო მოცემული. მბრძანებლურ ეკონომიკაში სახელმწიფო საკუთრებაშია თითქმის ყველაფერი. იგი პასუხისმგებელია საკვებით, სამსახურით, ჯანდაცვით და საცხოვრებლის უზრუნველყოფით დაწყებული, ჰაერის სისუფთავით დამთავრებული. წმინდა საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფოს როლი ფრიად შეზღუდულია. რეალურად, ეკონომიკური სისტემები შერეულია და სახელმწიფოს გაქანება სხვადასხვაგვარია. მაგალითად, ზოგიერთი სახის ეკონომიკაში საკუთრების უმეტესობას ცალკეული ინდივიდები ფლობენ, მაგრამ სახელმწიფო პასუხისმგებელია მრავალი სახის მომსახურების, კერძოდ – საპენსიო შემოსავლის, საბავშვო ბაღების, ჯანდაცვის, სახალხო განათლების და სხვ. უზრუნველყოფაზე. სხვა სახის ეკონომიკაში სახელმწიფო ფლობს ძირითად სფეროებს და მიმართულებას აძლევს ინვესტიციებს, მაგრამ ბევრი სახის საქონელი და რესურსები ეკონომიკაში ბაზრის ფასებით არსებობს.

11. **განიხილეთ სავარჯიშო 2.** სახელმწიფოს თითოეულ როლზე მსჯელობის შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს ჩაწერონ, თუ როგორ იმართება ის როლები, რომლებიც ლუწნომრიან ბარათებზეა ასახული. ეს მათ უნდა ჩაწერონ „ეკონომიკა A" სვეტში. ხოლო ის მიზნები, რომლებიც ასახულია კენტნომრიან ბარათებზე, უნდა ჩაწერონ „კონომიკა B" სვეტში. მოკლედ განმარტეთ სახელმწიფოს როლი. თითოეულ ფუნქციაზე დაუსვით მოსწავლეებს შეკითხვები:
    1. ბარათების რომელი წყვილი შეესაბამება სახელმწიფოს ამ როლს?
    2. რა მიზნის მიღწევა გსურდა შენს ბარათზე?
    3. რა სახის სახელმწიფო პროგრამები იყო აღწერილი შენს ბარათზე?
    4. როგორ უწყობს/უშლის ხელს ეს სახელმწიფო პროგრამები ბარათზე ასახული მიზნების მიღწევას?

უთხარით მოსწავლეებს, რომ სავარჯიშო 2-ის პასუხები, რომლებიც **„ეკონომიკა A"** სვეტში მოხვდა, ასახავს სახელმწიფოს როლს **საბაზრო ეკონომიკაში.** ხოლო ის პასუხები, რაც **„ეკონომიკა B"** სვეტშია – ასახავს სახელმწიფოს როლს **მბრძანებლურ ეკონომიკაში.**

***საბაზრო ეკონომიკა:*** *დადებითი მხარეები – არსებობს არჩევანის ინდივიდუალური თავისუფლება; ეკონომიკური ზრდა დამოკიდებულია იმაზე, თუ რას გადაწყვეტენ ადამიანები – დახარჯავენ თუ დაზოგავენ; კერძო ფირმები და ინდივიდები ღებულობენ გადაწყვეტილებებს იმის შესახებ, თუ შემოსავლების რა ნაწილი მოიხმარონ და რა დაზოგონ მომავლისთვის; საკუთრების უფლებები დაცულია; ხდება უარყოფითი თანმდევი ეფექტების შემცირება და დადებითი თანმდევი ეფექტების გაზრდა; არსებობს კონკურენტული ბაზრები, რაც მომხმარებლებს უზრუნველყოფს სხვადასხვა ფასისა და ხარისხის პროდუქციის ნაირსახეობით; ხდება ზოგიერთი სახის საზოგადოებრივი საქონლით უზრუნველყოფა და გარკვეულწილად შემოსავლების გადანაწილება; არსებობს გარკვეული დონის უმუშევრობა და ინფლაცია; საზოგადოებრივი საქონელი და მომსახურება, შესაძლოა, ისეთი ფართო სპექტრის არ იყოს, როგორც ეს ბევრს სურს;*

***მბრძანებლური ეკონომიკა:*** *დადებითი მხარეები – არსებობს დაცულობის გარკვეული დონე უმუშევრობის, ბინის, პენსიის და განათლების თვალსაზრისით; ბიზნესის მერყეობები იშვიათი პრობლემაა, რადგან საერთო ხარჯები მკაცრად კონტროლდება. არსებობს საკუთრების შეზღუდული უფლებები; სახელმწიფო აკონტროლებს დანაზოგების და ინვესტიციების დონეს და ამდენად, ეკონომიკის ზრდას; ხშირად მომხმარებელი ვერ ღებულობს სასურველ საზოგადოებრივ და კერძო საქონელსა და მომსახურებას; შეზღუდული კონკურენცია ამცირებს მომუშავეთა და მენეჯერთა სტიმულებს, იწვევს დიდ საწარმოო დანახარჯებს, საქონლისა და მომსახურების დაბალ ხარისხს.*

12. **კითხვები და დავალებები:** მოსწავლეებს მიეცით წერილობითი საშინაო დავალება და ესე (თემას ირჩევენ სურვილის მიხედვით)

**დამატებითი დავალება (შეფასება):**

სთხოვეთ მოსწავლეებს დაწერონ თხზულება, რომელიც აღწერს ისეთ ეკონომიკურ სისტემას, სადაც ისინი ისურვებდნენ ცხოვრებას. რამდენად წარმატებული შეიძლება იყოს მათთვის სასურველი ქვეყნის ეკონომიკა თითოეული სოციალური მიზნის მიღწევაში და რა გავლენა ექნება ამას ქვეყნის მოქალაქეებზე?

# 13-14. გადასახადების სახეები საქართველოში

**მიზანი**

- განსაზღვრონ პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადები და მათ შორის განსხვავება

**ცნებები**

საერთო სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახდები
პროპორციული, პროგრესული და რეგრესული გადასახადები
გადასახადების შეფასების კრიტერიუმები

**საჭირო დრო**

ერთი გაკვეთილი

**მასალები**

- თვალსაჩინოება: სამართლიანი გადასახადის კრიტერიუმები
- სავარჯიშო 1: რომელ გადასახადს შეიცავს?
- სავარჯიშო 2: შევაფასოთ გადასახადების სამართლიანობა

**გაკვეთილის მსვლელობა**

1. განიხილეთ **გადასახადების სახეები.**

განიხილეთ საქართველოში ამჟამად მოქმედი გადასახადის სახეები და დაახასიათეთ თითოეული მათგანი. შესაძლოა, ზოგიერთმა მოსწავლემ დიდი ინტერესი გამოიჩინოს

კონკრეტული გადასახადის სახის გადახდასთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში, დაინტერესებულ მოსწავლეებს დაავალეთ საქართველოს საგადასახადო კოდექსის გაცნობა.

**საქართველოს საგადასახადო კოდექსი, წიგნი I, ზოგადი დებულებანი, თავი I საქართველოს საგადასახადო სისტემა**

**მუხლი 9. გადასახადის სახეები**

1. საქართველოში მოქმედებს საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები.
2. საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებია ამ კოდექსით დაწესებული გადასახადები, რომლეთა გადახდა სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.
3. ადგილობრივი გადასახადებია ამ კოდექსით დაწესებული და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენობითი ორგანოების ნორმატიული აქტებით შემოღებული გადასახადები (ზღვრული განაკვეთის ფარგლებში), რომელთა გადახდა სავალდებულოა შესაბამისი სუბიექტების ტერიტორიაზე.
4. საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს განეკუთვნება:
   ა) საშემოსავლო გადასახადი;
   ბ) მოგების გადასახადი;
   გ) დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ);
   დ) აქციზი;
   ე) იმპორტის გადასახადი.
5. ადგილობრივ გადასახადებს განეკუთვნება:
   ა) ქონების გადასახადი.

**2. განიხილეთ სავარჯიშო 1: რომელ გადასახადს შეიცავს?**

1. რძის ფასი; 2. წიგნის ფასი; 3. ღვინის ფასი.

მეთოდიკა

**1. დასვით შემდეგი კითხვები:**

ა) **ამ ფასებიდან რომელი მოიცავს გადასახადს?** *მოსწავლეთა უმრავლესობა ალბათ იტყვის, რომ მხოლოდ ღვინის ფასი მოიცავს გადასახადს – აქციზს.*

ბ) **რა ფაქტორები განსაზღვრავენ რძის ფასს?** *მოსწავლეებმა უნდა მოიფიქრონ პროცედურა, რომელსაც გადის ეს საქონელი ფერმიდან მაღაზიამდე. ხაზი გაუსვით იმას, რომ გარდა მოთხოვნისა და მიწოდებისა, რძის ფასი ასახავს მაღაზიის მეპატრონის, გამყიდველი ფირმის მფლობელის და ფერმერის მუდმივ (ფიქსირებულ) დანახარჯებს.*

გ) **მუდმივი დანახარჯების რა ელემენტები შეიძლება ჰქონდეს რძის წარმოების ყოველ მონაწილეს?** *მაღაზიის მეპატრონემ, ფირმის მფლობელმა და ფერმერმა ფული უნდა დახარჯოს არენდაზე ანდა კაპიტალის შეძენაზე, მის ტექნიკურ აღჭურვაზე, მიმდინარე რემონტზე, ტრანსპორტირებაზე, მომუშავეების დაქირავებაზე და გადაიხადოს გადასახადები – ქონებაზე, შრომის ანაზრაურებაზე, აქციზზე, და სხვ.*

დ) **გადასახადების დასაფარად საწარმოს მფლობელები საიდან იღებენ ფულს?** *(ისინი თავის საქონელზე აწესებენ ისეთ ფასს, რომელიც საკმარისია იმისათვის, რომ დაიფაროს მათი დანახარჯები, მათ შორის გადასახადებიც. რძის **მყიდველი** მაღაზიაში იხდის იმ გადასახადის ნაწილს, რომელიც დაკისრებული აქვს თითოეულ რძის მწარმოებელ საწარმოს).*

ე) **დაასახელეთ ის ფირმები, რომელთა გადასახადებიც ჩართულია წიგნის ფასში.** *(ეს არის წიგნის გამომცემლობა; კომპანიები, რომლებიც უშვებენ ქაღალდს, ტიპოგრაფიულ საღებავს, საბეჭდ დაზგებს და სხვ).*

**2.** მიანიშნეთ, რომ ღვინოზე აქციზი, ეს არ არის ერთადერთი გადასახადი, რომელიც ჩართულია **1 ლიტრი ღვინის ფასში**. მოსწავლეებს სთხოვეთ, **დაასახელონ გადასახადის სხვა სახეები, რომელიც ასახვას ჰპოვებს ამ ფასში.** *(გადასახადი ქონებაზე, შრომის ანაზღაურებაზე, ღვინის ქარხნის მფლობელი ფირმისა ან ღვინის სადისტრიბუციო კომპანიის შემოსავალზე, საწვავზე, რომელსაც მოიხმარენ ღვინის ავტოცისტერნები თუ სატვირთო ავტომობილები და ა.შ.).*

**3.** მოახდინეთ **გადასახადების კლასიფიკაცია**. ახსენით პროპორციული, პროგრესული, რეგრესული და ფიქსირებული გადასახადები.

**4.** დაახასიათეთ და განმარტეთ **სამართლიანი გადასახადის კრიტერიუმები.**

**5. განიხილეთ სიტუაცია 1 და 2.**

**მოსწავლეებს სთხოვეთ კითხვებზე პასუხის გაცემა:** როგორ ფიქრობთ, სამართლიანია თუ არა ასეთი გადასახადები? აკმაყოფილებს თუ არა ეს გადასახადები თქვენთვის უკვე ცნობილ კრიტერიუმებს?

**სავარჯიშო 2: შევაფასეთ გადასახადები კრიტერიუმების მიხედვით (პასუხებით).**
თუ თქვენი აზრით, მოცემული გადასახადი აკმაყოფილებს კრიტერიუმებს, შესაბამის სვეტში დასვით პლუს (+) ნიშანი, ხოლო თუ არ აკმაყოფილებს – დასვით მინუს (–) ნიშანი.

| *გადასახადი* | *გადახდის შესაძლებლობა* | *ეფექტიანობა* | *სიმარტივე* | *ამოსავალი სარგებელი* |
|---|---|---|---|---|
| **1. მსუბუქი ავტომობილის ფლობის გადასახადი, რომელიც ქონების გადასახადში შედის** *(ყოველი ავტომობილის მფლობელისაგან გადახდილი ფიქსირებული თანხა)* | – | + | + | + |
| **2. საშემოსავლო გადასახადი** *(ყოველი ადამიანის შემოსავლიდან ამოღებული გარკვეული პროცენტი)* | + | + | – | – |
| **3. აქციზი** *(პროდუქციის ერთეულზე დაწესებული გარკვეული გადასახადი)* | – | + | + | – |
| **4. ქონების გადასახადი** *(ქონების ღირებულების მიხედვით დაწესებული გარკვეული პროცენტი)* | + | – | – | + |

## მეთოდიკა

1. თავდაპირველად მოსწავლეებს მიეცით 10 წუთი, რათა ინდივიდუალურად შეასრულონ სავარჯიშო 2 და შესაბამისი აღნიშვნები გააკეთონ ცარიელ გრაფაში.
2. მას შემდეგ რაც დარწმუნდებით, რომ მოსწავლეთა უმეტესობა გარკვეულ გადაწყვეტილებამდე მივიდა, სავარჯიშოს შესრულება გააგრძელეთ ჯვარედინი დისკუსიის საფუძველზე.

**ჯვარედინი დისკუსიის ინსტრუქცია:**

ა) განიხილეთ თითოეული გადასახადი მისი კრიტერიუმების მიხედვით. თუ მოსწავლეთა აზრი რომელიმე კრიტერიუმის შეფასებისას არ ემთხვევა უმრავლესობის

აზრს, ასეთი მოსწავლეები დააყენეთ  ოთახის ერთ კუთხეში და დანარჩენ მოსწავლეებს უთხარით, რომ იწყება ჯვარედინი დისკუსია – ჯგუფი იყოფა განსხვავებული აზრის მქონე ორ ბანაკად. ორივე მხარე უნდა შეეცადოს დებატების გზით, მათ ბანაკში რაც შეიძლება მეტი მოსწავლე გადაიბიროს. მასწავლებელი ამ შემთხვევაში, არის დამკვირვებელი და დებატებში მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა ჩაერიოს, როდესაც ძირითადი აზრიდან გადახვევა ხდება, ანდა დებატები არასასურველი მიმართულებით ვითარდება.

ბ) როდესაც მოსწავლეთა ერთი ბანაკი რომელიმე მოსწავლეს დაითანხმებს, ეს მოსწავლე მეორე ბანაკში გადადის. გუნდი, რომელიც ყველაზე მეტ მოსწავლეს გადაიყვანს თავის მომხრეთა რიცხვში, გამარჯვებულად გამოცხადდება.

3. მასწავლებელი უნდა შეეცადოს, რომ დებატების თემად გამოიყენოს ყველაზე უფრო საკამათო საკითხი (ამ შემთხვევაში კონკრეტული გადასახადის შეფასების კრიტერიუმი).

**კითხვები და დავალებები:** (სრულდება წერილობითი ფორმით).

# 15. ვის ეკისრება გადასახადის ტვირთი?

### მიზანი

- მოსწავლეებმა უნდა ახსნან, რომ გადასახადები, რომლებიც კანონით ადამიანთა ერთმა ჯგუფმა ან ერთმა ადამიანმა უნდა გადაიხადოს, სინამდვილეში გადაიხდება სხვა ადამიანის ან ადამიანთა სხვა ჯგუფის მიერ

### საჭირო დრო

ერთი გაკვეთილი

### მასალები

- სავარჯიშო 1: ვის ეკისრება საგადასახადო ტვირთი?
- სიტუაცია: „გადასახადები: შეიძლება თუ არა მისი სხვისთვის დაკისრება?"

### ცნებები

- პირდაპირი გადასახადები;
- არაპირდაპირი გადასახადები;
- საგადასახადო ტვირთის სხვაზე დაკისრება.

### ძირითადი საკითხები

***პირდაპირი გადასახადები*** – ეს ისეთი გადასახადებია, რომელსაც სხვას ვერ გადავახდევინებთ. საშემოსავლო გადასახადები ამის კარგი მაგალითია

***არაპირდაპირი გადასახადები*** – ეს ისეთი გადასახადებია, რომელიც შეიძლება სხვას გადავახდევინოთ. პირი, რომელიც გადასახადს იხდის, საშუალება აქვს დაიბრუნოს გადახდილი თანხა. ფირმების ქონებაზე გადასახადი – ეს არაპირდაპირი გადასახადის მაგალითია.

**საგადასახადო ტვირთის სხვაზე დაკისრება** – ეს არის ისეთი პროცესი, როდესაც გადასახადები, რომლებიც კანონით ადამიანთა ერთმა ჯგუფმა ან ერთმა ადამიანმა უნდა გადაიხადოს, სინამდვილეში სხვა ადამიანის ან ადამიანთა სხვა ჯგუფის მიერ გადაიხდება.

გამოწვევა
ა) მოიფიქრეთ, ბოლო დღეების განმავლობაში რა საქონელი შეიძინეთ?
ბ) საქონლის შეძენისას რა გადასახადი გადაიხადეთ?
გ) როგორ ფიქრობთ, ვინ იხდის გადასახადს – მყიდველი თუ გამყიდველი?
დ) შესაძლებელია ვინმემ მისი საგადასახადო ტვირთი თქვენ დაგაკისროთ?

1. განიხილეთ თეორიული მასალა, ახსენით ძირითადი ცნებები და ტერმინები.
2. მოსწავლეები დაყავით მცირე ჯგუფებად და შეასრულეთ სავარჯიშო 1-ის „ვის ეკისრება საგადასახადო ტვირთი"?

მეთოდიკა
3. მოსწავლეებს შეახსენეთ, რომ მათ ევალებათ გააკეთონ გადასახადების კლასიფიცირება. მათ უნდა ჩამოთვალონ ამ გადასახადის ფაქტიურად გადამხდელი პირები ან მათი ჯგუფი.

| გადასახადის ტიპი | პირდაპირი | არაპირდაპირი | ფაქტიურად ვინ იხდის |
|---|---|---|---|
| **მსუბუქი ავტომობილების ფლობის გადასახადი** | X | | **ინდივიდუალური გადამხდელები** (ავტომობილის მფლობელი) |
| **საბაჟო გადასახადი** | | X | **მომხმარებლები** (მყიდველი და ნაწილობრივ გამყიდველი) |
| **ინდივიდუალური საშემოსავლო გადასახადი** | X | | **ინდივიდუალური გადამხდელები** (პირი, რომელმაც შემოსავალი მიიღო) |
| **აქციზი** | | X | **მომხმარებლები** (მყიდველი და ნაწილობრივ გამყიდველი) |
| **გადასახადი ქონებაზე *** | | X | **ფირმის მესაკუთრეები (აქციონერები). იხ. შენიშვნა** |
| **საციალური გადასახადი** | | X | **დაქირავებული მუშაკები** |

*** შენიშვნა:** ფირმების ქონებაზე დაწესებული გადასახადის შემთხვევაში – არაპირდაპირია (**იხდიან ფირმის მესაკუთრეები (აქციონერები)**, ხოლო საკუთარ ქონებაზე დაწესებული გადასახადის შემთხვევაში – პირდაპირი (**იხდიან ინდივიდუალური გადამხდელები**).

4. მოსწავლეებს ჰკითხეთ: „რა მოხდება თუ ქონების გადასახადი გაუქმდება?"
5. მოსწავლეები დაყავით 4-6 კაციან ჯგუფებად. დაავალეთ მათ 5 წუთის მანძილზე მოიფიქრონ და ჩამოწერონ ამ კანონის მიღების დადებითი და უარყოფითი შედეგები, აგრეთვე, ის ადამიანები ან საზოგადოების ნაწილი, რომელიც ამ გადასახადის შემოღებას გააპროტესტებს ან დათანხმდება.
6. განიხილეთ შემდეგი საკითხი: შეიძლება თუ არა გამართლებულად ჩაითვალოს საწარმოს ქონებაზე დაწესებული გადასახადი?

**პასუხების მაგალითები:**
**დადებითი შედეგები;** საზოგადოების ნაწილი, რომელიც მხარს დაუჭერს ამ გადასახადის გაუქმებას:

1. საწარმოს დანახარჯების („საქმის წარმოების დანახარჯების”) შემცირება, ფირმის მფლობელების ან აქციონერების მოგების გადიდების შესაძლებლობა.
2. დაქირავებული მუშაკების შრომის ანაზღაურების გაზრდის შესაძლებლობა;
3. საქონელსა და მომსახურებაზე ფასების შემცირება, რაც მომხმარებლისათვის სასარგებლოა.
4. დასაქმების შესაძლებლობის გაფართოება და კერძო საწარმოების განვითარება.
5. ბინის ქირის შემცირება, რითაც მოგებულები დარჩებიან ბინის დამქირავებლები.

**უარყოფითი შედეგები;** საზოგადოების ნაწილი, რომელიც მხარს არ დაუჭერს ამ გადასახადის გაუქმებას:

1. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების შემოსავლის შემცირება, განათლების დარგში მომსახურების შემცირება, რაც უარყოფითად იმოქმედებს მოსწავლეების, მათი მშობლების კეთილდღეობაზე;
2. სხვა ადგილობრივი გადასახადების გაზრდა, რაც უარყოფითად იმოქმედებს სხვა ადგილობრივი გადასახადის გადამხდელებზე;
3. საშემოსავლო და სხვა პირდაპირი გადასახადების გაზრდა, რაც უარყოფითად იმოქმედებს გადასახადის გადამხდელებზე;

**7.** სთხოვეთ მოსწავლეებს წაიკითხონ მოთხრობა პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადების შესახებ. მოსწავლეთა ყურადღება გაამახვილეთ ტერმინზე **„არაპირდაპირი გადასახადები”**. აუხსენით, რომ ეს გადასახადი, ჩართულია ბევრი საქონლის ფასში.

**8.** კითხვის დამთავრების შემდეგ დასვით მოსწავლის წიგნში მოცემული კითხვები.

**9.** დასვით ფინალური კითხვა: მიუხედავად იმისა, რომ ლაშას არ ჰქონდა ქონება და შესაბამისად მასზე გადასახადიც არ უნდა გადაეხადა, რა გავლენა მოახდინა ამ გადასახადის დაწესებამ მის კეთილდღეობაზე? გამართეთ დისკუსია ამ საკითხზე.

**10. საშინაო დავალება: ესსე**

# 16. არის კი რაიმე უფასო?

**შინაარსი**

ბაზარზე არსებული მრავალი საქონელი და მომსახურება კერძო სექტორშია წარმოებული. თუმცა ზოგი საქონელი და მომსახურება საზოგადოებრივ სექტორში, ანდა სახელმწიფოს მიერ არის წარმოებული. საზოგადოებრივი საქონლისა და მომსახურების ხარჯების ანაზღაურება უხდებათ მათ, ვინც გადასახადებს იხდის, მაგრამ ხშირად ის ხელმისაწვდომია იმათთვისაც, ვინც გადასახადებს არ იხდის. ეს ნიშნავს იმას, რომ გადასახადის გადამხდელებს სტიმული აქვთ საზოგადოებრივი საქონელი და

მომსახურება გამოიყენონ, ცდილობენ რა, რომ ის წარმოებულ იქნას უფრო და უფრო მეტი და ამავე დროს, საგადასახადო ტვირთი სხვებს გადააბარონ. ეს მოვლენა ცნობილია „უბილეთო მგზავრის" სახელით.

საზოგადოებრივი საქონელი და მომსახურება ხასიათდება ***საზიარო (ერთობლივი) მოხმარებით და მისი მიხმარების განუყოფელობით.***

**საზიარო (ერთობლივი) მოხმარება** ნიშნავს იმას, რომ ერთი პირის მიერ პროდუქტის მოხმარება არ ამცირებს სხვებისათვის მისი მოხმარების ხელმისაწვდომობას. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო მრავალ საქონელსა და მომსახურებას აწარმოებს, მხოლოდ ისინი, რომლების ხასიათდება ორი ნიშნით, კერძოდ – ერთობლივი მოხმარებითა და მოხმარებისაგან განუყოფელობით, – ითვლება ***წმინდა საზოგადოებრივ საქონლად და მომსახურებად.***

**განუყოფელობა** ნიშნავს იმას, რომ ხალხი, რომელიც არაფერს იხდის ამ საქონელში (მომსახურებაში), შეუძლებელია ჩამოვაშოროთ მისი გამოყენებით მიღებულ სარგებელს.

## მიზანი

- მოსწავლეებმა გაიგონ, რატომ არის საზოგადოებრივი საქონლისა და მომსახურების წარმოება სახელმწიფოს ფუნქცია.

## ცნებები

- საზოგადოებრივი საქონელი და მომსახურება;
- გადასახადები;
- განუყოფელობის პრინციპი;
- ერთობლივი მოხმარება;
- „უბილეთო მგზავრის" პრობლემა.

## საჭირო დრო

ერთი გაკვეთილი

## მასალები

- თვალსაჩინოება – საკონტროლო წერის კითხვები (სლაიდზე ან თაბახზე);
- ორი პატარა ფურცელი თითოეული მონაწილისათვის;
- სავარჯიშო 1: საზოგადოებრივი საქონელი და მომსახურება

## გამოწვევა

**სიმულაცია**

1. მონაწილეებს უთხარით, რომ დღეს ჩაუტარდებათ მოულოდნელი საკონტროლო წერა, რომელშიც ოთხი კითხვა იქნება მოცემული. მოსწავლეებს აჩვენეთ შეკრული ან დაწებებული კონვერტები, რომელშიც თითქოსდა არის როგორც კითხვები, ასევე მისი პასუხები. მოსწავლეებს უთხარით, რომ საჭიროა სკოლის ფონდის შევსება, ამიტომ, თქვენ ყიდით კონვერტს 1 ლარად. ის მოსწავლეები, რომლებიც იყიდიან საკონტროლოს კითხვებს პასუხებით, ტესტირებიდან განთავისუფლდებიან. უთხარით, რომ მზად ხართ შეადგინოთ მსურველების სია.
2. თითოეულ მოსწავლეს დაურიგეთ ორი პატარა ფურცელი. სთხოვეთ, რომ ერთზე დაწერონ სახელი და გვარი, ხოლო მის ქვეშ „დიახ" ან „არა", იმისდა მიხედვით, უნდათ თუ არა მისი შეძენა. მოსწავლეებს უთხარით, შეინახონ მეორე ფურცელი მეორე რაუნდისათვის. შეაგროვეთ ფურცლები და დაითვალეთ შედეგები. შემდეგ ეს შედეგები დაწერეთ დაფაზე სათაურის – „პირველი რაუნდი" ქვეშ.

3. მოსწავლეების ნაწილი დათანხმდება შეტავაზებას. იმათ, ვინც იყიდა კონვერტი, უთხარით, რომ სხვებს არ აჩვენონ.
4. ახლა კი უთხარით მოსწავლეებს, რომ ქაღალდის ეკონომიის მიზნით თქვენ გადაწყვიტეთ საკონტროლო კითხვები პასუხებთან ერთად გადაგეტანათ სლაიდზე (ან დიდ პლაკატზე). ჯერ-ჯერობით პასუხები არ აჩვენოთ. უთხარით რომ მას ყველას მოგვიანებით აჩვენებთ.
5. მოსწავლეებს შეახსენეთ, რომ თქვენ ჯერ კიდევ ყიდით ამ ინფორმაციას 1 ლარად. მოსწავლეებს ისევ სთხოვეთ დაწერონ სახელი და გვარი, ხოლო მის ქვეშ „დიახ" ან „არა", იმისდა მიხედვით, უნდათ თუ არა მისი შეძენა. შეაგროვეთ ფურცლები და დაითვალეთ შედეგები. შემდეგ ეს შედეგები დაწერეთ დაფაზე სათაურის – „მეორე რაუნდი" ქვეშ.

**თვალსაჩინოება – საკონტროლო წერის კითხვები /პასუხებით/**

1. ვის ეკუთვნის სიტყვები: „ამ სამყაროში არაფერი არ არის მუდმივი სიკვდილისა და გადასახადების გარდა". ***(ბენჯამინ ფრანკლინი).***
2. ვინ იყო წიგნის „ხალხთა სიმდიდრე" ავტორი? ***(ადამ სმიტი).***
3. ვინ დაწერა „მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის"? ***(ივანე ჯავახიშვილი).***
4. რას ნიშნავს **„უფასო სადილი არ არსებობს"?** (*შესაძლოა ადამიანი თვითონ უფასოდ იღებდეს რაიმე საქონელს ან მომსახურებას, მაგრამ მისი წარმოებისათვის ხარჯებს სხვა პირი ან სახელმწიფო გაიღებს).*

*ამ კითხვების პასუხი შესაძლოა მოსწავლეებმა არ იციან , სწორედ ამიტომ ფიგურირრებს აზრი პასუხების ყიდვის შესახებ.*

## მეთოდიკა

6. განავითარეთ შესავალში მოცემული იდეები და მოსწავლეებს შეეკითხეთ:

ა) პირველ რაუნდში რატომ უნდოდა მოსწავლეთა მეტ რაოდენობას საკონტროლოს პასუხების ყიდვა, ვიდრე მეორე რაუნდში? *(პირველ რაუნდში ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ იმათთვის, რომლებმაც იგი შეიძინეს. მეორე რაუნდში ზოგიერი მოსწავლე მიხვდა, რომ თუ ერთი ვინმე მაინც გადაიხდის 1 ლარს* ***პლაკატზე დაწერილი საკონტროლო წერის პასუხების*** *ჩვენებაში, მასწავლებელი ვერ შეძლებს სხვებისაგან მის დაფარვას).*

ბ) ახსენით, რომ კერძო საქონელი და მომსახურება – ეს არის ის, რომლებიც შეიძლება შეძენილი და მოხმარებული იქნას ერთი პირის მიერ ერთხელ, და ის ადამიანები, რომლებიც ფულს არ იხდიან ამ საქონელში, მას ვერ მოიხმარენ. მოსწავლეებს თხოვეთ, მოიყვანონ კერძო საქონლის მაგალითები *(ხაჭაპური, ავტომობილი, კინოს ბილეთები, და ა.შ).*

გ) მოსწავლეებს ჰკითხეთ, რომელ რაუნდში შეიძლება ჩაითვალოს გაყიდული საკონტროლო წერის პასუხები კერძო საქონლად? *(პირველ რაუნდში*). რატომ?

დ) ახსენით, რომ საზოგადოებრივი საქონელი, – ეს ისეთი საქონელია, რომელიც შეიძლება ერთდროულად ბევრმა ადამიანმა გამოიყენოს, რადგანაც მისი მიღება ადვილია. ამავე დროს მისი რაოდენობა არ მცირდება. საზოგადოებრივი საქონელი არ შეიძლება ამოღებული იქნას იმ პირების მოხმარებიდან, რომლებიც მასში ფულს არ იხდიან.

***საზოგადოებრივი საქონლის შემთხვევაში, ცალკეული პირები თვითნებურად არ გადაიხდიან მასში ფულს, რადგანაც, შეუძლიათ იგი ისედაც მიიღონ, ანუ ფული სხვამ გადაიხადოს, ხოლო თვითონ „უბილეთოდ იმგზავრონ".***

**ე)** მოსწავლეებს სთხოვეთ ახსნან რატომ გახდა სლაიდზე (პლაკატზე) დაწერილი საკონტროლო წერის პასუხები საზოგადოებრივი საქონელი? სთხოვეთ მოიყვანონ სხვა მაგალითები. *(გზები, ეროვნული თავდაცვა, საზოგადოებრივი განათლება, შუქურები, ამინდის პროგნოზი, ქუჩების განათება, პოლიცია და სახანძრო სამსახური, ეროვნული ტყეები და ნაკრძალები...).*

ვ) მოსწავლეებს უთხარით, რომ **სახელმწიფოს მიერ წარმოებული ყველა საქონელი და მომსახურება არ არის წმინდა საზოგადოებრივი საქონელი და მომსახურება. *მხოლოდ ორი თვისების მქონე პროდუქტები – პირადი მოხმარებისა და განუყოფელი მოხმარების პროდუქტები ითვლება წმინდა საზოგადოებრივ საქონლად და მომსახურებად.***

ზ) როდესაც ინფორმაცია საკონტროლო წერის პასუხების შესახებ ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდა, რა დაემართა მისი შეძენის სტიმულს? *(მოსწავლეებს ნაკლები სტიმული ჰქონდათ ფული გადაეხადათ მასში, – ეს არის სწორედ „უბილეთო მგზავრის" პრობლემა).*

თ) თუ მომხმარებელს ამა თუ იმ საქონლის შეძენის უმნიშვნელო სტიმული აქვს, მაშინ რა დაემართება წარმოებული საქონლისა და მომსახურების რაოდენობას? *(სულ უფრო და უფრო მცირდება მისი წარმოების სტიმული).*

ი) რამდენადაც მომხმარებლებს არ აქვთ სურვილი ამ საქონლისა და მომსახურების შეძენისა, ვინ გადაიხდის მასში ფულს? *(სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს იმ საქონლისა და მომსახურების წარმოება, როდესაც ადგილი აქვს ერთობლივ მოხმარებას, ანდა როცა ძნელია აიძულო მომხმარებლებელი, ამაში ფული გადაიხადოს).*

კ) როგორ აკეთებს ამას სახელმწიფო? *(დაბეგვრის საშუალებით სახელმწიფოს შეუძლია ზოგიერთ მოქალაქეს თავისი წილი გადაახდევინოს. ამ ხერხით „უბილეთო მგზავრის" პრობლემა შესაძლებელია გადაიჭრას, ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, შერბილებული იქნას).*

7. მოსწავლეებს სთხოვეთ მოიფიქრონ პასუხები საკონტროლო კითხვებზე. გამარჯვებული გამოავლინეთ პრინციპით „ვინც პირველი", თუმცა სავარაუდოა, რომ ამ კითხვებზე (განსაკუთრებით ბოლო კითხვაზე) ისინი პასუხს ვერ გაგცემენ. რამდენიმე წუთი დაუთმეთ შეჯიბრს და ბოლოს აჩვენეთ დაფარული სლაიდი (პალკატი).
8. მოსწავლეები ჯგუფებად დაყავით და შეასრულეთ სავარჯიშო 1. მოსწავლეებს დაავალება ერთმანეთის აზრი მოისმინონ, შედეგები ჩაწერონ და ეს ინფორმაცია გამოიყენეთ კითხვებზე პასუხის გასაცამად.

## 9. კითხვები და დავალებები:

1. მოსწავლეებმა უნდა უპასუხონ წიგნში მოცემულ კითხვებს;
2. ესე ფასდება მასწავლებლის მიერ.

# 17. მე რა შუაში ვარ?

### მიზნები

- მოსწავლეებმა განასხვავონ თანმდევ (გარე) ეფექტებთან დაკავშირებული ბაზრის ჩავარდნები;
- მოსწავლეებმა შეაფასონ ინდივიდუალური და სახელმწიფო პოლიტიკის საშუალებები თანმდევი (გარე) ეფექტების დასაძლევად.

### ცნებები

- ბაზრის ჩავარდნა;
- თანმდევი (გარე) ეფექტები (გადატანითი ხარჯები და სარგებელი);
- **დადებითი და უარყოფითი თანმდევი (გარე) ეფექტები.**

### საჭირო დრო

ერთი გაკვეთილი

### მასალები

- სიტუაცია 1: წერილი ლუკას;
- სიტუაცია 2: „დაბინძურებული ტბა და უღიმღამო ცხოვრება";

### შესავალი

თუ პროდუქტის წარმოებასთან ან მოხმარებასთან დაკავშირებული დანახარჯები და სარგებელი მწარმოებლებისა ან მომხმარებლების გარდა „გადადის", მოქმედებს სხვა ადამიანებზე, თუ ამავე დროს ამ დანახარჯებისა და სარგებლის აღრიცხვა თავისთავად მნიშვნელოვან ხარჯებს მოითხოვს, მაშინ კერძო ბაზრები ვერ ახერხებენ ამ ე.წ. მესამე მხარისათვის თანმდევი (გარეშე) ეფექტების განსაზღვრას.

როგორც შედეგი, როდესაც გადატანითი ხარჯები (ასევე ცნობილია, როგორც *უარყოფითი თანმდევი, ანდა გარე ეფექტები*) ჩნდება, მაშინ ძალიან ბევრი საქონელი იწარმოება, რადგან მწარმოებლებლები არ იხდიან ამ ხარჯების დასაფარად (არ ზარალდებიან). ძალიან ცოტა იქნება წარმოებული, თუ მნიშვნელოვანი „გადატანითი" სარგებელი გაჩნდება (ასევე ცნობილია, როგორც *დადებითი გარე თანმდევი ეფექტები*), რადგან ისინი, ვინც გადატანით სარგებელს ღებულობენ, ამისათვის არ გადაუხდიათ. რომ გადაეხადათ, მაშინ ამ საქონლისა და მომსახურების მწარმოებლები სიამოვნებით აწარმოებდნენ უფრო მეტს.

ბაზრის ეს ნაკლოვანი მხარე რომ გამოსწორდეს, სახელმწიფოს შეუძლია იმ წარმოების და/ან მოხმარების რეგულირება ან დაბეგვრა, რომლებიც გადატანით ხარჯებს იწვევს და იმ წარმოების და/ან მოხმარების სუბსიდირება, რომლებიც სარგებელს იძლევა. ასევე, სახელმწიფოს კერძო ბაზრებზე შეუძლია სცადოს შეამციროს ხარჯებისა და სარგებლის დანახარჯები იმით, რომ განსაზღვროს საკუთრების უფლებები.

საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფომ თავისი ეკონომიკური როლი უნდა შეასრულოს ყოველთვის, როცა სახელმწიფო პოლიტიკის შედეგად მიღებულ სარგებელს ხარჯები გადაწონის. სახელმწიფო ძირითადად უზრუნველყოფს ეროვნულ თავდაცვას, გარემოს დაცვით ღონისძიებებს, საკუთრების უფლებების განსაზღვრასა და დაცვას და ცდილობს ბაზრები უფრო კონკურენტული გახადოს. ქვეყნების უმრავლესობაში სახელმწიფო პოლიტიკა შემოსავლების გადანაწილებასაც უზრუნველყოფს.

## ძირითადი საკითხები

ბაზრები ვერ ანაწილებენ რესურსებს ეფექტიანად, თუ (1) საკუთრების უფლებები არაა გარკვევით განსაზღვრული ან დაცული, (2) ხალხის დიდ მასაზე მოქმედი გარე ეფექტები ასოცირდება საქონლის წარმოებასა ან მოხმარებასთან, ან (3) ბაზრები არაკონკურენტულია.

გარე ეფექტები არსებობს და მოქმედებს მაშინ, როდესაც წარმოებასა და მოხმარებასთან ასოცირებული ზოგიერთი დანახარჯი და სარგებელი მოქმედებს ვიღაც სხვაზე, და არა მწარმოებელსა და მომხმარებელზე.

## გამოწვევა

მოსწავლეებს სთხოვეთ სიტუაციის წაკითხვა. შემდეგ მათ დასმულ კითხვებს უნდა უპასუხონ.

## გაკვეთილის მსვლელობა

1. ახსენით, რომ ამ გაკვეთილის მიზანია ისეთ პრობლემებზე მუშაობა, როდესაც საქონლის მწარმოებლების ან მომხმარებლების გადაწყვეტილებები ბაზრებზე იწვევს დანახარჯებს ან სარგებელს ისეთი მესამე მხარისათვის, რომელსაც ამ საქონელთან კავშირი არ აქვს. ეკონომისტები ამ პრობლემებს დადებით ან უარყოფით **თანმდევ ეფექტებს,** ან დანახარჯებისა და სარგებლის მესამე მხარეზე გადატანას უწოდებენ და ამ პრობლემის გადასაჭრელად მრავალგვარ ხერხს გვთავაზობენ.
2. საბაზრო ფასები, ჩვეულებრივ, ასახავენ გაცვლაში მონაწილე მწარმოებლებისა და მომხმარებლების სარგებელსა და დანახარჯს. ბაზრის ჩავარდნა მაშინ ხდება, როცა საბაზრო ფასები ვერ ასახავს ყველა ხარჯსა და სარგებელს. ბაზრის ამგვარ ჩავარდნას თანმდევი ეფექტის პრობლემა ეწოდება.
3. განიხილეთ თვალსაჩინოება 16.1:

### თვალსაჩინოება: თანმდევი (გარე) ეფექტები

- ***თანმდევ ეფექტებს*** მაშინ აქვს ადგილი, როცა საქონლის წარმოებასა და მოხმარებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ხარჯი ან სარგებელი „ვრცელდება“, გადადის მესამე მხარეზე, რომელიც პროდუქტს არც აწარმოებს და არც მისი მოხმარებისათვის იხდის.
- ***დადებითი თანმდევი ეფექტი*** არის იმ ადამიანის *სარგებელი,* რომელიც პროდუქტს არ აწარმოებს და მისი მოხმარებისათვის არ იხდის.
- ***უარყოფითი თანმდევი ეფექტი*** არის იმ ადამიანის მიერ გაწეული *ხარჯი,* რომელიც პროდუქტს არ აწარმოებს და მისი მოხმარებისათვის არ იხდის.

4. იმსჯელეთ, დადებითი თუ უარყოფითი თანმდევი ეფექტების მაგალითებია შემდეგი ფაქტები:

- წვლილი საზოგადოებრივი რადიოს ან ტელევიზიის მხარდასაჭერად *(დადებითი თანმდევი ეფექტი)*
- მანქანების გამონაბოლქვი (*უარყოფითი თანმდევი ეფექტი)*
- ძაღლის ყეფა ქალაქის უბანში (*უარყოფითი თანმდევი ეფექტი)*
- ბინის მცხოვრები, რომელიც ცეცხლმაქრს (ცეცხლის ჩამქრობი ხელსაწყო) ყიდულობს *(დადებითი თანმდევი ეფექტი)*
- მტირალა ბავშვები თვითმფრინავის ხალხმრავალ სალონში (*უარყოფითი თანმდევი ეფექტი)*

**სიტუაციური სავარჯიშო 1: დაბინძურებული ტბა და უდიმღამო ცხოვრება.**

მეთოდიკა

1. **მოსწავლეებს უთხარით, რომ სავარჯიშო 1: „დაბინძურებული ტბა და უღიმღამო ცხოვრება" გვასწავლის რა არის თანმდევი ეფექტები, და რა – არა.**
2. მას შემდეგ, რაც სცენარს წაიკითხავთ, შეარჩიეთ ოთხი მოსწავლე პირველი ნაწილის სათამაშოდ. ერთ-ერთი მოსწავლე დედის როლს იღებს, მეორე – მამის, ორი – შვილების როლს თამაშობს. შინაარსი წაიკითხეთ ნელა, ისე, რომ მოსწავლეებმა შეასრულონ აღწერილი მოქმედებები.
3. ერთ მოსწავლეს სთხოვეთ მიტო გაიძვერაძის როლის შესრულება და გააგრძელეთ სცენარის II ნაწილიდან.
4. დანარჩენი მოსწავლეები კითხულობენ სავარჯიშოს III ნაწილს.
5. სავარჯიშოს გაცნობის შემდეგ დასვით შემდეგი კითხვები:

ა) **არსებობდა თუ არა რამე თანმდევი ეფექტის პრობლემა, როდესაც მოღუშულ ტბაზე მხოლოდ ლომიძეები ცხოვრობდნენ? თუ არსებობდა, მაშინ როგორ შეიძლებოდა გადაჭრილიყო?** *(თუმცა ზოგიერთმა შეიძლება ამტკიცოს, რომ ლომიძეების მოზარდებმა თავიანთ მშობლებს გარკვეული გარე თანმდევი ხარჯები დააკისრეს, თან ამავე დროს თუ ლომიძეების ოჯახს ცალკე ეკონომიკურ ერთეულად განვიხილავთ (როგორც ამას ეკონომისტები აკეთებენ), მაშინ არ არსებობს არავითარი თანმდევი ეფექტი და, ე.ი. არ არსებობს მესამე მხარე, რომელიც გარემოს დაბინძურებისგან დაზარალდა. ლომიძეებს დანახარჯების მთელი ტვირთის ეკისრებათ იმ შემთხვევაშიც, თუ ნაგავს გზაზე გაიტანენ და მაშინაც, თუ ტბას დააბინძურებენ და ჭუჭყიან და მყრალ ტბაზე იცხოვრებენ. მათ საბოლოოდ აირჩიეს ის ვარიანტი, რომელსაც უმრავლეს შემთხვევაში ირჩევენ: არ დააბინძურეს თავიანთი საკუთრება და სახლი.)*

ბ) **არსებობდა თუ არა თანმდევი პრობლემა, როდესაც მხოლოდ მიტო გაიძვერაძე და ლომიძეები ცხოვრობდნენ ტბასთან? თუ არსებობდა, როგორ უნდა გადაწყდეს ეს პრობლემა?** *(აქ ადგილი აქვს გარე ხარჯს, რადგან ლომიძეზე გაიძვერაძის ნაგვის "მოსპობის" რაღაც დანახარჯები ეკისრება. ბევრი მოსწავლე ალბათ იტყვის, რომ ლომიძეებმა უნდა მიმართონ პოლიციას და სასამართლოს, რათა ჯარიმით ან ციხით დააშინონ გაიძვერაძე იმ შემთხვევაში, თუ დაბინძურება გაგრძელდება. მოსწავლეები თვლიან, რომ ასე შეიძლება თანმდევი პრობლების გადაჭრა. მაგრამ აღნიშნეთ, რომ დანახარჯები პოლიციისათვის, სასამართლოსათვის, ტბის დაცვის და მეთვალყურეობის სამსახურისათვის და ა.შ. წარმოიშვა ლომიძეებისაგან.)*

**გ) დავუშვათ, რომ ან გაიძვერაძეს აქვს ოფიციალური უფლება, რომ განაგრძოს ტბაში ნაგვის გადაყრა, რადგან თითქმის მთელი ტბის მეპატრონეა, ან ტბა ძალიან შორსაა იმ უწყებებისგან, რომლებსაც ეფექტურად შეუძლიათ დაბინძურების აღკვეთა. რა შეიძლება მოიმოქმედონ ამ შემთხვევაში ლომიძეებმა?** *(მათ შეიძლება თვითონ გაწმინდონ ტბა, შეიძლება გაიძვერაძის ნაგავი გაიტანონ გზამდე, ან გადაუხადონ გაიძვერაძეს იმისათვის, რომ აღარ დაანაგვიანოს იქაურობა. ამ ვარიანტში ლომიძეები ნამდვილად მეტს იხდიან, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ სწორედ მათ უნდათ სუფთა ტბა. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ არავითარი თანმდევი პრობლემა არ იარსებებდა, თუ ისინი ტბაზე არ იცხოვრებდნენ და სრული მესაკუთრე გაიძვერაძე იქნებოდა. ამ შემთხვევაში დაბინძურების მთელი ხარჯები ან ნაგვის გატანის ხარჯები გაიძვერაძეს დაეკისრებოდა, როგორც ეს მოხდა მანამ, სანამ მიწის დიდი ნაწილი გაიძვერაძეს მიჰყიდეს. თუ ლომიძეები გაიძვერაძეს შესთავაზებენ, რომ გადაუხდიან იმისათვის, რომ არ დააბინძუროს იქაურობა, მაშინ გარე თანმდევი დანახარჯის ნაწილი მაინც "შიდა დანახარჯად" იქცევა. გასაკვირია, რომ საკუთრების უფლებები ისეც რომ იყოს განსაზღვრული, რომ ლომიძეებს წყლის გაწმენდის უფლება აქვთ და გაიძვერაძეს კი დაბინძურებისა, ყველაფერი ისე შეიძლება დამთავრდეს, რომ არაფერიც არ დაბინძურდეს, თუ ლომიძეები საკმაოდ გადაუხდიან გაიძვერაძეს დაბინძურების შეწყვეტისთვის. ან*

*კიდევ, გაიძვერაძეს შეუძლია ლომიძეებს გადაუხადოს საკმაო თანხა იმისათვის, რომ ისინი შეეგუონ დაბინძურებას. შეიძლება ყველაფერი იმითაც დამთავრდეს, რომ ორივე შემთხვევაში ტბის დაბინძურების ერთი და იგივე დონე მივიღოთ და ერთადერთი რამ, რაც იცვლება, ის არის, რომ ლომიძეებმა და გაიძვერაძემ გადაიხადონ იმისათვის, რაც სურთ.)*

**დ) რა სტიმულები ამოძრავებდა გაიძვერაძეს, რომ შეეწყვიტა დანაგვიანება მანამ, სანამ მოღუშული ტბის გარშემო საკუთრებას გაყიდდა?** *(დაუბინძურებლობა საკუთრების ღირებულებას გაზრდიდა, რაც გაიძვერაძეს საშუალებას მისცემდა მეტი ფასი მოეთხოვა მიწის ნაკვეთებისათვის.)*

**6**. საბოლოოდ აღნიშნეთ, რომ მით უფრო მეტი გარე თანმდევი პრობლემა ჩნდება იქ, სადაც საკუთრების უფლებები არასაკმაოდაა განსაზღვრული და დაცული და ხშირად ეს ძალიან რთულია. მაგალითად, დაბინძურების პრობლემები მოიცავს ჰაერს, მდინარეებს და წყაროებს, ან ოკეანეებს, რისი მესაკუთრეც არავინ არის. ამის მსგავსად, საზოგადოებრივი პარკები უფრო მეტადაა დანაგვიანებული, ვიდრე სახლისწინა ეზოები, განსაკუთრებით ერთოჯახიანი სახლების სამეზობლოებში.)

**დასკვნა**

1. **რა არის გარე თანმდევი ეფექტები?** *(გარე თანმდევი ეფექტები ჩნდება მაშინ, როდესაც წარმოებასთან და მოხმარებასთან დაკავშირებული დანახარჯები და სარგებელი გადადის ისეთ გარეშე მხარეზე, რომელიც არც მწარმოებელია და არც მომხმარებელი.)*
2. **რა გამართლება აქვთ სახელმწიფო მოხელეებს, როცა გადასახადების თანხებს იყენებენ გადამდებ დაავადებათა წინააღმდეგ ვაქცინაციის სუბსიდირებისათვის (დაბალი ფასებისათვის)?** *(კერძო ბაზრები არ მოისურვებენ ამ ვაქცინების საკმარისი რაოდენობით წარმოებას. ეს არის ბაზრის ერთგვარი წარუმატებლობა, ჩავარდნა. ამ ვაქცინების საბაზრო ფასი ვერ ასახავს პროდუქტის ყველა სარგებელს. სარგებელს ღულობენ ისინი, ვისაც არ გადაედება იმათგან, ვინც ამისათვის გადაიხადა.)*
3. **რა გამართლება აქვთ სახელმწიფო მოხელეებს, როცა ბეგრავენ ისეთ ბიზნესს, რომლის გამოც საშიში ნარჩენები მდინარეში ან ტბაში შეიძლება ჩავიდეს.** *(დაბინძურებაც ბაზრის ერთგვარი წარუმატებლობაა. დაბინძურებისათვის გადასახადების დაწესება მდგომარეობის გამოსწორების ერთ-ერთი გზაა.)*

**კითხვები და დავალებები: შეფასება.** მოსწავლეები აფასებენ მოცემულ სიტუაციას

# 18. ეკონომიკური აქტივობის წრებრუნვა

## შესავალი

ეკონომიკური აქტივობის წრებრუნვა საბაზრო ეკონომიკაში ძირითადი ეკონომიკური ურთიერთკავშირების გამარტივებული მაკროეკონომიკური მოდელია. ეს მოდელი მოსწავლეებს წარმოდგენას უქმნის იმაზე, თუ როგორ ურთიერთქმედებენ საოჯახო მეურნეობები, ფირმები და სახელმწიფო საქონლისა და მომსახურების, საწარმოო რესურსების (*წარმოების ფაქტორების*) და ფულის გაცვლის საშუალებით.

## ცნებები

- საქონლის/მომსახურების, საწარმოო რესურსებისა და გადასახადების წრებრუნვა;
- ურთიერთდამოკიდებულება;
- საწარმოო რესურსები (ბუნებრივი, ადამიანური და კაპიტალური);
- რესურსების გადასახადი (ხელფასი, ანაზღაურება, ქირა, სარგებელი).

## მიზნები

მოსწავლეები შეძლებენ:

- საწარმოო რესურსების (შედეგები) სამი სახისა და იმ შემოსავლის განსაზღვრას და აღწერას, რომელსაც თითოეული რესურსი გამოიმუშავებს;
- საბაზრო ეკონომიკაში საოჯახო მეურნეობებსა და ფირმებს შორის არსებული ეკონომიკური ურთიერთობების გაანალიზებას;
- საოჯახო მეურნეობას, ფირმასა და სახელმწიფოს შორის არსებული ეკონომიკური ურთიერთობების გამოსახვას წრებრუნვის დიაგრამის სახით.

## საჭირო დრო

ერთი გაკვეთილი

## მასალები

- სავარჯიშო 1: ეკონომიკური საქმიანობის წრებრუნვა.

## გაკვეთილის მსვლელობა

1. აუხსენით მოსწავლეებს, რომ ადამიანები მეურნეობაში სხვადასხვა გზით მონაწილეობენ. ისინი საქონლისა და მომსახურების შესყიდვისას გადაწყვეტილებებს იღებენ როგორც მომხმარებლები, როგორც მწარმოებლები, როდესაც თავიანთ საკუთრებაში არსებულ ადამიანურ და ბუნებრივ რესურსებს სთავაზობენ ფირმებს. ისინი მაშინაც გადაწყვეტილებებს იღებენ, როცა მათი დანაზოგები ფირმებს საშუალებას აძლევს, ისესხონ და დააბანდონ წარმოების საშუალებებში. ისინი ასევე იღებენ გადაწყვეტილებებს როგორც მოქალაქეები, როდესაც არჩევნებში მონაწილეობენ, რაც საბოლოო ჯამში საერთო ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე ახდენს გავლენას.
2. ადამიანები სტიმულებზე რეაგირებენ. საოჯახო მეურნეობებს იმის სტიმული აქვთ, რომ ფირმებს რესურსები მიაწოდონ და სამაგიეროდ, შემოსავალი მიიღონ. მათ იმის სტიმულიც აქვთ, რომ აღნიშნული შემოსავლით, თავიანთი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, საქონელი და მომსახურება შეისყიდონ. ფირმებს სტიმული აქვთ, რომ სარგებელი მიიღონ იმ საქონლისა და მომსახურების წარმოებით, რომელიც მომხმარებელს სურს. საქონელი და მომსახურება რომ აწარმოონ, საოჯახო მეურნეობისაგან ფირმებმა რესურსები უნდა შეისყიდონ. წრებრუნვის მოდელი სწორედ ასეთ მნიშვნელოვან ურთიერთობებს ასახავს.
3. განიხილეთ საოჯახო მეურნეობების როლი, საწარმოო რესურსების სამი კატეგორია და ფირმების როლი. უპასუხეთ ამ კონცეფციებთან დაკავშირებულ კითხვებს.
4. განიხილეთ სიტუაცია 1. აჩვენეთ მოსწავლეებს ეკონომიკური საქმიანობის წრებრუნვის დიაგრამა. აუხსენით, რომ იგი საწარმოო რესურსების (წარმოების ფაქტორები),

საქონლისა და მომსახურების (პროდუქტები) და გადასახადების წრებრუნვას გვიჩვენებს. სთხოვეთ მათ აღწერონ, თუ როგორ არიან ურთიერთდამოკიდებული ფირმები და საოჯახო მეურნეობები. სთხოვეთ, დააკავშირონ წრებრუნვის დიაგრამა და სიტუაციაში მოტანილ გლეხის მაგალითი.

5. განიხილეთ სავარჯიშო 1: ეკონომიკური საქმიანობის წრებრუნვა. ახსენით წრებრუნვის ოდნავ გართულებლი სქემა. დასვით კითხვები და მოსწავლეებთან ერთად იმსჯელეთ პასუხების ირგვლივ:

   ა) **დიაგრამის მიხედვით განსაზღვრეთ, რომელ ბაზარზე აწვდიან ფირმები საოჯახო მეურნეობებს ფულად გადასახდელებს, საწარმოო რესურსების სანაცვლოდ?** (*რესურსების ბაზრებზე).*

   ბ) **რომელ ბაზარზე აწვდიან საოჯახო მეურნეობები ფულად გადასახდელებს ფირმებს საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ?** (*პროდუქტების ბაზარზე).*

   გ) **მოიყვანეთ საწარმოო რესურსის მაგალითი, რომელსაც სახელმწიფო საოჯახო მეურნეობისაგან შეისყიდის.** (*პასუხები განსხვავებული იქნება. მათ შორის ერთ-ერთი – მასწავლებლების მუშაობა საჯარო სკოლებში).*

   ა. **მოიყვანეთ საქონლისა და მომსახურების მაგალითები, რომლებსაც სახელმწიფო ფირმებისაგან შეისყიდის**. (*პასუხები განსხვავებული იქნება, მათ შორის – კომპიუტერები, საკომუნიკაციო ანტენები, საბუღალტრო მომსახურებები და თვითმფრინავები).*

   ბ. **მოიყვანეთ მომსახურებისა და საქონლის მაგალითები, რომლებსაც სახელმწიფო საოჯახო მეურნეობებს გადასახადების სანაცვლოდ სთავაზობს**. (*პასუხები განსხვავებული იქნება. მათ შორის – სკოლები, პოლიცია, სახანძრო, გზები და ბიბლიოთეკები).*

   ვ) **მოიყვანეთ საქონლისა და მომსახურების მაგალითები, რომლებსაც სახელმწიფო ფირმებს გადასახადების სანაცვლოდ სთავაზობს**. (*პასუხები განსხვავებული იქნება, მათ შორის – პოლიცია, მაგისტრალები, საჰაერო სივრცის კონტროლის მომსახურება, დახმარებები უბედურ შემთხვევებში).*

6. მოსწავლეებს სთხოვეთ ერთმანეთს შეადარონ ეკონომიკური წრებრუნვის ორი დიაგრამა. განიხილეთ ყველა გზა, რომლითაც წრებრუნვის მოდელი შეიცვალა იმისათვის, რომ სახელმწიფო სექტორი ჩართულიყო.

## დასკვნა

საბაზრო სისტემაში საქონლისა და მომსახურების ფასები მყიდველებსა და გამყიდველებს შორის ურთიერთქმედების შედეგად განისაზღვრება. ეკონომიკური აქტივობის ეს ფორმა ურთიერთდამოკიდებულების გარკვეულ ტიპს ქმნის საოჯახო მეურნეობებსა და ფირმებს შორის. ჰკითხეთ მოსწავლეებს:

1. **როგორ არიან დამოკიდებულები საოჯახო მეურნეობების წევრები ფირმებზე?** (*საოჯახო მეურნეობებში ადამიანები სასურველ საქონელსა და მომსახურებას ფირმებისაგან იძენენ. ისინი {საოჯახო მეურნეობები} შემოსავლის მისაღებად თავიანთ საკუთრებაში არსებულ  საწარმოო რესურსებს ფირმებზე ყიდიან).*

2. **როგორ არიან დამოკიდებულნი ფირმები საოჯახო მეურნეობების წევრებზე?** (*ფირმები საქონელსა და მომსახურებას საოჯახო მეურნეობებს შემოსავლისა და მოგების სანაცვლოდ მიჰყიდიან. ფირმები საწარმოო რესურსებს საოჯახო მეურნეობებისაგან იძენენ და მომხმარებელთათვის საქონელსა და მომსახურებას აწარმოებენ).*

3. **როგორია სახელმწიფოს როლი ეკონომიკური აქტივობის წრებრუნვაში?** *(სახელმწიფო ფირმებსა და საოჯახო მეურნეობებს გადასახადებს აკისრებს. ამ გადასახადებიდან ამონაგები თანხით სახელმწიფო იმ რესურსებისათვის იხდის, რომლებსაც საოჯახო მეურნეობებისა და ფირმებისათვის გარკვეული სახის საქონლისა და მომსახურების უზრუნველსაყოფად იყენებს).*

# თავი IV. მეწარმეობა და ბიზნესი

## 19-20. ყველაფერი ბიზნესის შესახებ

**მიზნები**

- მოსწავლეებმა განასხვაონ ბიზნესის ორგანიზაციის ფორმების უპირატესობა და ნაკლოვანებები;
- მოსწავლეები გაეცნონ ბიზნესში ეკონომიკური მოგების მიღების წყაროს.

**ცნებები**

- ➢ ინდივიდუალური საწარმო;
- ➢ პარტნიორობა;
- ➢ კორპორაცია.
- ➢ აქცია;
- ➢ დივიდენდი.

**საჭირო დრო**

ერთი გაკვეთილი

**მასალები**

- სიტუაცია 1;
- სიტუაცია 2;
- სიტუაცია 3;
- სავარჯიშო 1: ვფიქრობთ, ვაზროვნებთ, ვიმედოვნებთ. . .

**გაკვეთილის მსვლელობა**

**გამოწვევა**

1. მოსწავლეები მცირე ჯგუფებად დაყავით და სთხოვეთ 5 წუთის მანძილზე პასუხი გასცენ მოსწავლის წიგნში მოცემულ კითხვებს:
2. მოსწავლეებს სთხოვეთ წაიკითხონ სიტუაციები და განსაზღვრონ, ბიზნესის ორგანიზაციის რომელი ფორმებია განხილული ქვემოთმოცემულ სიტუაციებში?
3. **[ინდივიდუალური საწარმო (ერთპიროვნული მფლობელობა), პარტნიორობა (ამხანაგობა), კორპორაცია (სააქციო საზოგადოება).**

**მეთოდიკა**

მოსწავლეებს აუხსენით, რომ:

1. საბაზრო ეკონომიკაში იქმნება სხვადასხვა ინსტიტუტები, რომლებიც ცალკეულ ადამიანებს და მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს მათი მიზნის მიღწევაში ეხმარებიან. ესენია: ბანკები, პროფკავშირები, კორპორაციები, საკანონმდებლო სისტემა,

არამომგებიანი ორგანიზაციები. საბაზრო ეკონომიკისათვის ყველაზე აუცილებელი და განსაკუთრებული ინსტიტუტი კი არის ***მკვეთრად განსაზღვრული და საიმედოდ უზრუნველყოფილი საკუთრების უფლება.***

2. ***მეწარმეები,*** ეს ის ხალხია, რომლებიც საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად, საწარმოო რესურსების ორგანიზაციის რისკს საკუთარ თავზე იღებენ. ***მოგება*** არის ის აუცილებელი სტიმული, რომელიც აიძულებს მეწარმეებს წავიდნენ რისკზე.
3. მოსწავლეებს ჰკითხეთ მათი ოჯახური ბიზნესის შესახებ. შემდეგ უთხარით, რომ ახლა მათ უნდა გაანალიზონ ბიზნესის ორგანიზაციის სამი ძირითადი ტიპის უპირატესობები და ნაკლოვანებები. აჩვენეთ თვალსაჩინოება – **ბიზნესის ორგანიზაციული ფორმები – უპირატესობა და ნაკლოვანება;**
4. აღნიშნეთ ის, რომ ინდივიდუალური საწარმოების დიდი რიცხვის მიუხედავად, მათი გაყიდვათა მოცულობა გაცილებით ნაკლებია, მაშინ როცა გაყიდვათა მოცულობის მნიშვნელოვანი წილი მოდის კორპორაციებზე, თუმცა მათი რიცხვი გაცილებით მცირეა.
5. ახსენით, რომ ფირმების **ძირითადი სტიმული მოგების მოღებაა**. თუმცა არსებობს მოგების სხვადასხვა განსაზღვრება.
6. ბიზნესის ორგანიზაციის ყოველ ფორმას აქვს უპირატესობები და ნაკლოვანებები. კვლავ აჩვენეთ თვალსაჩინოება: **ბიზნესის ორგანიზაციული ფორმები – უპირატესობა და ნაკლოვანება** და მოსწავლეებს სთხოვეთ დაასახელონ თითოეული ფორმის უპირატესობა და ნაკლოვანება.
7. მოსწავლეებს დაავალეთ სავარჯიშოს (**ვფიქრობთ, ვაზროვნებთ, ვიმედოვნებთ**) შესრულება. შესაძლებელია მათი დაყოფა მცირე ჯგუფებად და დავალების ერთობლივად შესრულება. პასუხების დაფიქსირების შემდეგ სასურველია პრეზენტაციის მოწყობა.
8. **საკითხავი მასალა: ბიზნესის სამართლებრივი გარემო.** მოსწავლეები კითხულობენ და მასწავლებელთან ერთად ხსნიან ძირითად საკითხებს.
9. **კითხვები და დავალებები:** მოსწავლეებს დაავალეთ წიგნში მოცემულ კითხვებზე წერილობით გასცენ პასუხი.

# 21. კონკურენცია სხვადასხვა ბაზარზე

### შესავალი

გამყიდველებს შორის კონკურენცია ამცირებს დანახარჯებსა და ფასებს, სტიმულს აძლევს მწარმოებლებს მეტი რაოდენობით აწარმოონ ის, რისი ყიდვაც მომხმარებლებს სურთ და შეუძლიათ. გამყიდველები ერთმანეთს კონკურენციას უწევენ ფასებით, პროდუქციის ხარისხით, მომხმარებლის მომსახურებით, პროდუქციის დიზაინით, ნაირსახეობით და რეკლამირებით. ბაზარზე კონკურენციის ხარისხზე გავლენას ახდენს გამყიდველთა და მყიდველთა რაოდენობა. სხვადასხვა დარგებში კონკურენციის დონეს მასში ახალი მწარმოებლების შესვლის სიმარტივე ან სირთულე განაპირობებს.

### მიზანი

- მოსწავლეებმა განსაზღვრონ, განასხვაონ და შეაფასონ სრულყოფილად კონკურენტული და არასრულყოფილად კონკურენტული ბაზრები

### ცნებები

- სრულყოფილი კონკურენცია;
- მონოპოლისტური კონკურენცია;
- ოლიგოპოლია;
- მონოპოლია;
- არასაფასო კონკურენცია.

**საჭირო დრო**

ორი გაკვეთილი

**მასალები**

- სავარჯიშო 1: სრულყოფილი და არასრულყოფილი კონკურენციის ბაზრები;
- სავარჯიშო 2: ვინ არის მონოპოლისტი? ეჭვმიტანილთა აღიარებები /დაჭრილი ბარათები;

**გამოწვევა**

მოსწავლეებს სთხოვეთ 5 წუთის განმავლობაში წაიკითხონ ქვემოთ მოყვანილი სიტუაციები და შეაფასონ თითოეული მათგანი.

**გაკვეთილის მსვლელობა**

1. ახსენით თეორიული მასალა და ძირითადი ცნებები.
2. **განიხილეთ თვალსაჩინოება: ბაზრის სტრუქტურა ძირითადი ნიშნების მიხედვით.** განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეთ ბაზრის სტრუქტურებისათვის დამახასიათებელ ნიშნებზე: ***დარგში შესვლის შესაძლებლობა, ფირმის ზომა, ფირმათა რიცხვი, ფასებზე კონტროლი.***
3. მოსწავლეებისათვის არსებითია არასრულყოფილი კონკურენციის ბაზრების შემდეგი მახასიათებლების და მათი მნიშვნელობის გააზრება:

   ა. ფირმები არასრულყოფილი კონკურენციის ბაზარზე ხშირად ურთიერთდამოკიდებულები არიან – ერთი ფირმის ქმედება დიდ გავლენას ახდენს კონკურენტების ბიზნეს გარემოზე.

   ბ. მსხვილი კონკურენტი ფირმები ხშირად ცდილობენ პირდაპირი საფასო კონკურენციის თავიდან აცილებას, რადგან არ არიან დარწმუნებული კონკურენტების რეაქციაში.

   გ) არასრულყოფილი კონკურენციის ბაზარზე მსხვილი და წვრილი ფირმები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ არასაფასო კონკურენციას; რეკლამირებისას განსაკუთრებით ხაზს უსვამენ მომხმარებლისათვის მიწოდებული საქონლისა და მომსახურების ხარისხის რეალურ ან მოჩვენებით განსხვავებებს.

   დ) ბაზარზე, სადაც რამდენიმე მსხვილი ფირმა დომინირებს, ფასზე საიდუმლო შეთანხმების შესაძლებლობა არსებობს. ეს შეთანხმება ხშირად ფარულია.
4. ყურადღება გაამახვილეთ იმაზე, რომ კონკურენცია სასურველია იდენტური (მსგავსი, არადიფერენცირებული) პროდუქტის მწარმოებელ მრავალ წვრილ ფირმას შორის, რადგან მისი შედეგია მომხმარებელთათვის დაბალი ფასები და შეზღუდული რესურსების უფრო ეფექტიანი გამოყენება.
5. მოსწავლეებს დაავალეთ **სავარჯიშო 1-ის** ინდივიდუალური შესრულება. სრულყოფილი და არასრულყოფილი კონკურენციის ბაზრების ძირითადი თავისებურებების განხილვის შემდეგ სთხოვეთ, უპასუხონ სავარჯიშოს კითხვებს.

სავარჯიშო 1: სრულყოფილი და არასრულყოფილი კონკურენციის ბაზრები /პასუხები/.

ა). კახელი გლეხი, რომელსაც ყურძენი მოჰყავს.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია არის ***სრულყოფილი კონკურენციის ბაზრის საუკეთესო მაგალითი.*** თუ ფასს საბაზრო ფასზე მეტად გაზრდის, გაყიდვები ნულის ტოლი გახდება, რადგან ყურძნის მყიდველებს (ღვინის ქარხნებს, რომლებიც გლეხებისაგან იბარებენ ყურძენს) შეეძლებათ მსგავსი პროდუქტი ნებისმიერი სხვა გამყიდველისაგან საბაზრო ფასად შეიძინონ. თუ იგი ფასს შეამცირებს, გაყიდვები არ გაიზრდება. გლეხს შეუძლია საბაზრო ფასად გაყიდოთ სასურველი რაოდენობა, ამრიგად, აზრი არ აქვს ფასის საბაზრო ფასზე მეტად შემცირებას.

ბ). ადგილობრივი ელექტროკომპანია.

***ეს ბუნებრივი მონოპოლიის მაგალითია***, არასრულყოფილი კონკურენციის ბაზრის უკიდურესი ფორმა. პროდუქტს არ აქვს ახლო შემცვლელები და ბაზარზე მხოლოდ ერთი გამყიდველია. თუ ფასს გაზრდის, გაყიდვები შემცირდება, მაგრამ მცირედ. თუ ფასი შემცირდება, გაყიდვები უმნიშვნელოდ გაიზრდება.

გ). ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანია საქართველოში

***ეს არის ოლიგოპოლიის მაგალითი*** - ბაზრის მხოლოდ რამდენიმე მსხვილი გამყიდველით. ეს ბაზარი ხასიათდება **ურთიერთდამოკიდებულების** მაღალი ხარისხით. „მაგთის" მიერ ფასის გაზრდის შემთხვევაში, **თუ** კონკურენტი – „ჯეოსელი" არ გაზრდის ფასს, „მაგთი" დაკარგავს გაყიდვების დიდ ნაწილს, რადგან ბევრი მომხმარებელი „ჯეოსელის" მომსახურებას ახლო შემცვლელად ჩათვლის. თუ „მაგთი" ფასებს შეამცირებს, ხოლო „ჯეოსელი" **ასევე არ** მოიქცევა, მისი მომსახურების გაყიდვების ნაწილს „მაგთი" მიითვისებს. ოლიგოპოლიისათვის დამახასიათებელია ***შეთანხმება გამყიდველებს შორის ფასის გაზრდის შესახებ. ამას ფარულ შეთანხმებას უწოდებენ.***

დ) ყვავილების მაღაზია თბილისში.

ამ ბაზარზე სხვა მაღაზიის ყვავილები ახლო შემცვლელებს წარმოადგენენ და ერთ მაღაზიაში ფასის ცვლილებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს სხვა მაღაზიების გაყიდვებზე. როგორც წესი, ქალაქებში გაცილებით მეტი ადგილია, სადაც ადამიანებს ყვავილების ყიდვა შეუძლიათ.

მიუხედავად იმისა, რომ ამ მაღაზიებში თითქმის ერთნაირი ყვავილები იყიდება, ყოველ მაღაზიაში განსხვავებული თაიგულები, მომსახურების სხვადსხვა სახეები და სხვადასხვა ფასებია. ყვავილების და საცალო ვაჭრობის პროდუქტების ბაზარი არის ბაზრის სტრუქტურის მაგალითი, რომელსაც ეკონომისტები ***მონოპოლისტურ კონკურენციას*** უწოდებენ.

6. მოსწავლეებს აუხსენით, რომ თუ თქვენ ამ ბაზრებზე ფასს გაზრდით, მყიდველების ნაწილს დაკარგავთ, ხოლო თუ შეამცირებთ, მყიდველების ნაწილს მოიზიდავთ. თუმცა, რეალური შედეგები დამოკიდებულია იმაზე, რამდენი გამყიდველია ბაზარზე, რამდენად ახლო შემცვლელად მიიჩნევს მომხმარებელი კონკურენტი მაღაზიების საქონელსა და მომსახურებას, რამდენად მგრძნობიარენი არიან მყიდველები ფასის მიმართ.

7. **მოდელირებული სავარჯიშო 2: ვინ არის მონოპოლისტი?**

**მეთოდიკა:**

ა. 5 მოსწავლე ეჭვმიტანილთა როლებს ირჩევს. თითოეულს დაურიგეთ ეჭვმიტანილთა აღიარება /დაჭრილი ბარათების სახით/;

ბ. სურვილისამებრ აირჩიეთ ერთო მოსწავლე აგენტი მევლუდის როლში;

გ. დანარჩენი მოსწავლეები დაყავით მცირე ჯგუფებად და დასვით ერთად;

**დ.** მოსწავლეებს სთხოვეთ, აგენტ მევლუდს მონოპოლისტის მოძებნაში დაეხმარონ. ამისათვის თითოეული ეჭვმიტანილი გამოიძახეთ და სთხოვეთ წაიკითხოს საკუთარი აღიარება. თითოეული აღიარების მოსმენის შემდეგ ყოველი ჯგუფი ავსებს სავარჯიშოს გამოტოვებულ ადგილებს.

**კითხვები:**

1. რატომ არ აღიარებენ ეჭვმიტანილები იმას, თუ ვინ არის მონოპოლისტი? რატომ ეშინია მონოპოლისტს? /მონოპოლია ბევრ ქვეყანაში აკრძალულია. არსებობს მხოლოდ ბუნებრივი, სახლემწიფოსაგან ნებადართული მონოპოლიები. ამიტომ არ აღიარებს ეჭვმიტანილი მონოპოლისტობას/.
2. საერთოდ სასურველია თუ არა მონოპოლიის არსებობა ბაზარზე? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება. /პასუხები შესაძლოა სხვადასხვა იყოს. ყურადღება გაამახვილეთ კონკურენციის დადებით როლზე საბაზრო ეკონომიკაში/.

**ეჭვმიტანილთა აღიარებები** /დაარიგეთ დაჭრილი ბარათების სახით/

**პირველი ეჭვმიტანილი**: „მომისმინეთ, მე მონოპოლისტი არ ვარ. მე დიდ კონკურენციას ვუძლებ. თუ შევეცდები ფასის აწევას, ჩემს ბიზნესს გიგანტური ფირმები ჩაყლაპავენ. არა ბატონებო! მე დაველოდები, სანამ ისინი ფასს აწევენ, ხოლო შემდგომ უკვე მეც მათსავით მოვიქცევი.”

**მეორე ეჭვმიტანილი**: „მე უფრო მეტი პრობლემები მაქვს, ვიდრე თქვენ. ჩემნაირი მაღაზიები თითქმის ყოველდღე იხსნება. მე რეკლამაზე უამრავი ფულის ხარჯვა მიხდება, რათა ხალხი იმაში დავარწმუნო, რომ ჩემი მაღაზია უნიკალურია და განსხვავდება ყველა დანარჩენისაგან.”

**მესამე ეჭვმიტანილი**: „მე ვერ ვაძლევ თავს იმის უფლებას, რომ რეკლამაზე ფული დავხარჯო. ეს გადაყლაპავს იმ ჩემს პატარა მოგებას, რომელსაც ძლივს ვიღებ. გარდა ამისა, რეკლამას აზრი არც აქვს, რადგან ჩემი პროდუქტი ისეთივეა, როგორიც სხვების.”

**მეოთხე ეჭვმიტანილი**: „ჩემი პროდუქტი კი არავის პროდუქტს ჰგავს, იგი განსხვავებულია. მე მუდმივად ვმუშაობ იმაზე, რომ ჩემი ფირმა ყოველთვის პირველი იყოს და კონკურენციამ მას ვერაფერი დააკლოს, მაშინ როცა სხვები მზად არიან ერთმანეთს ყელში სწვდნენ. ორგანიზებული ბაზარი და კარგი ფასი – აი ჩვენი დევიზი!”

**მეხუთე ეჭვმიტანილი**: „ინსპექტორო იცოდეთ, რომ მე მონოპოლისტი არ ვარ! ჩვენს ბაზარზე მოხვედრა მეტად ძნელია და ძვირია. ეს საკმაოდ მკაცრი გამოცდაა. აქ რეკლამაზე უზარმაზარი დანახარჯები მიდის. მთავარია, მარკა იყოს ცნობილი. მე არ ვარ დამნაშავე.”

**11. სთხოვეთ მოსწავლეებს დაწერონ ესე 1-2 გვერდის მოცულობით.**
**12. საშინაო დავალება (კითხვები და დავალებები).**

# 22. კონკურენცია და შეთანხმება

**მიზანი**

- მოსწავლეებმა ახსნან ფასზე ფარული შეთანხმების ტენდენცია არასრულყოფილი კონკურენციის ბაზარზე.

**ცნებები**

ოლიგოპოლია;
არასაფასო კონკურენცია.

**საჭირო დრო**

ერთი გაკვეთილი

**მასალები**

- სავარჯიშო 1: მოქიშპე ბენზინგასამართი სადგურები.

**მეთოდიკა**

1. მოსწავლეებს სთხოვეთ გაიხსენონ არასრულყოფილი კონკურენციის სახეები.
2. ახსენით სქემის შინაარსი. მთავარი ისაა, რომ თუ ფირმათა მცირერიცხოვნობის პირობებში თუ ერთი ფირმა ცვლის თავისი წარმოებისა და ფასების დონეს (საფასო კონკურენცია), ან ბაზარზე წარადგენს ახალ პროდუქტს და იწყებს ახალ სარეკლამო კამპანიას, მაშინ ყოველივე ამას გავლენა ექნება მსგავსი პროდუქტის მწარმოებელი ფირმის ფასზე, გაყიდვების მოცულობაზე და, ალბათ, მოგებაზეც. ამიტომაა, რომ არასრულყოფილი კონკურენციის ბაზარზე ფირმები ურთიერთდამოკიდებულნი არიან, ხშირია საიდუმლო შეთანხმება არასაფასო კონკურენცია.
3. მოკლედ იმსჯელეთ იმის შესახებ, რატომ უნდა მიიღონ ფირმებმა ფასისა და წარმოების შესახებ გადაწყვეტილებები არასრულყოფილი კონკურენციის ბაზარზე.

**4. სავარჯიშო 1: მოქიშპე ბენზინგასამართი სადგურები**

**მეთოდიკა**

ა. კახა ფასის გაზრდას ფიქრობს, რადგან ჰგონია, რომ ფასის უმნიშვნელოდ გაზრდის შემთხვევაშიც კი ადამიანები დაახლოებით იმავე რაოდენობის ბენზინს იყიდიან. ის ფიქრობს, რომ კარგად აინაზღაურებს იმ მცირე დანაკარგებს მაღალი ფასებით, რომლითაც ახლა ყიდის. ურჩევდით თუ არა კახას ასე მოიქცეს? ახსენით თქვენი პასუხი. (*არა. კახა მართალია როცა თვლის, რომ ფასების გაზრდის გამო ბენზინზე მთლიანი მოთხოვნა არ შემცირდება. მაგრამ თუ მარტო ის გაზრდის ფასს თავის სადგურზე, ხოლო გიორგი კი არა, გაყიდვების დიდ ნაწილს დაკარგავს.*)

ბ. გიორგი ფასის შემცირებას ფიქრობს, რადგან ჰგონია, რომ ფასის უმნიშვნელოდ შემცირების შემთხვევაში კახას ბიზნესს დააკარგვინებს. ის თვლის, რომ გაყიდული ბენზინის გაცილებით დიდი რაოდენობა თითოეული ლიტრიდან შემოსავლის უმნიშვნელოდ შემცირების კომპენსაციაზე მეტი იქნება. ურჩევდით თუ არა გიორგის ამის გაკეთებას? ახსენით თქვენი პასუხი. (*არა. გიორგი მართალია, როცა ფიქრობს, რომ კახას ბიზნესს წაართმევს, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ კახაც არ შეამცირებს ფასს. სინამდვილეში, კახას გიორგიზე მეტად შეუძლია ფასის შემცირება. ყველაფერი იმით დამთავრდება, რომ ორივე უმნიშვნელოდ მეტ ბენზინს გაყიდის დაბალ ფასად და ნაკლებ მოგებას მიიღებს*

გ. შეგიძლიათ შესთავაზოთ ნებისმიერი სხვა ნაბიჯი, რომლის გადადგმა კახას ან გიორგის ბიზნესის მომგებიანობას გაზრდის? (მათ შეიძლება სცადონ გაყიდვის მოცულობის გაზრდა რეკლამით ან უკეთესი მომსახურებით – სუფთა ტუალეტებით, უფასო ყავით და სხვ. მაგრამ ამგვარი სტრატეგიები ძვირადღირებულია და შეიძლება კონკურენტებმაც მიბაძონ.)

დ. კახასა და გიორგის თვალთსაზრისით ფასის შემცირების შემთხვევაში ორივე მეტი ბენზინის გაყიდვას ელის იმის მიუხედავად, შეამცირებენ თუ გაზრდიან ფასს მათი კონკურენტები. თუმცა, ერთობლივად, საუკეთესო გამოსავალი მათთვის ერთნაირი, შედარებით მაღალი ფასის დაწესებაზე შეთანხმებაა. (გასათვალისწინებელია შიში, რომ ქალაქში ვიღაც სხვა გახსნის ახალ ბენზინგასამართ სადგურს და ბენზინის ფასი გზატკეცილის მიმდებარე უახლოეს სადგურებში შეზღუდავს მათ მიერ დაწესებულ ფასს). ბევრი ქვეყნის მომხმარებელთა საბედნიეროდ, ამგვარი ფარული შეთანხმებები აკრძალულია. თუმცა, ძალიან ძნელია ამგვარი შეთანხმების აღმოჩენა და დამტკიცება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ის ფარულია.

**5. ესე –** მოსწავლეებს სთხოვეთ შეაფასონ მოსწავლის წიგნში მოცემული დებულება ორგვერდიან ნარკვევში.

**6 დამატებითი საკითხავი – საბაზრო სტრუქტურის ოთხი მოდელის მაგალითი.** მოსწავლეები კითხულობენ და მსჯელობენ აღნიშნული მასალის შესახებ.

# თავი V: მდგრადობა ბაზარზე

# 23. რა ხდება რეალურ ბაზარზე

### შესავალი

ბაზრის მკაცრი კანონები მეწარმეებს მშვიდად ყოფნის საშუალებას არ აძლევს. ნებისმიერი მეწარმისათვის ბაზარზე სასურველი მდგომარეობაა მდგრადი არსებობა და დარგში მნიშვნელოვანი საბაზრო წილის მოპოვება. ბიზნესს ბაზარზე წარმატების მიღწევა მხოლოდ ერთგული კლიენტების საშუალებით შეუძლია.

### მიზანი

- რეალური საბაზრო ურთიერთობების, შესაძლებლობების და საფრთხეების გააზრება.
- ბაზრის ანალიზის, ბიზნესის მდგრადობის განჭვრეტის, კონკურენციის პირობების, მონაცემთა ინტერპრეტაციის უნარების განვითარება;
- იმ პირობების განსაზღვრა და ანალიზი, რომელიც მეწარმეს ბაზრის დატოვებას აიძულებს.
- ინფორმაციის გაცნობა–დამუშავებისა და გაანალიზების უნარის გამომუშავება.

### ცნებები

- მდგრადობა ბაზარზე;
- ბაზრის წილი;

- ➢ მეწარმეთა სტრატეგიები.

## საჭირო დრო

ორი გაკვეთილი

## გაკვეთილის აღწერა

**აქტივობები:** სიტუაციურ სავარჯიშოში წარმოდგენილი პრობლემის განხილვა-გადაწყვეტა, დისკუსია, პრეზენტაცია, აზრობრივი რუკის შექმნა, ცხრილის შევსება.

**მოსწავლეთა ორგანიზების ფორმები**: ინდივიდუალური, ჯგუფური, მთელი კლასი.

## გაკვეთილის მსვლელობა

**გამოწვევა:** სთხოვეთ მოსწავლეებს, საკუთარი ოჯახის ან სხვების გამოცდილებაზე დაყრდნობით უპასუხონ კითხვას, რა პირობები აიძულებს მეწარმეს ბაზრის დატოვებას? სავარაუდო პასუხები იქნება–კონკურენცია, საკანონმდებლო გადაწყვეტილებები და აკრძალვები, დაბალი შემოსავლები, ცუდი სამუშაო პირობები, არაეფექტური მართვა, დაბალი ხარისხის, არაპოპულარული, მოდას ჩამორჩენილი საქონლის წარმოება, ძალიან მაღალი ფასები, რეკლამის არარსებობა, მომსახურების დაბალი დონე, ცუდი ადგილმდებარეობა და სხვა. მოსწავლეების ყველა პასუხი დაფაზე ჩამოწერეთ. მათ სიტუაციის განხილვისას გამოიყენებთ.

**?** მეწარმეების ნაწილს მიაჩნია, რომ რაც მეტ საქონელს გაიტანს ბაზარზე, მით მეტი მოგების მიღებას შეძლებს. როგორ ფიქრობთ, ასეთი ლოგიკით მუშაობა მათ გამდიდრებას უზრუნველყოფს?

პასუხი: – რა თქმა უნდა, ვერ უზუნველყოფს. მოგება მხოლოდ ბაზარზე გატანილი საქონლის რაოდენობით არ განისაზღვრება. შეიძლება მეწარმემ ბაზარი საქონლით გააჯეროს, მაგრამ ეს საქონელი არ გაიყიდოს. მოგება მხოლოდ გაყიდული საქონლის რაოდენობაზეა დამოკიდებული. გაყიდვების რაოდენობა კი– საქონლის ფასზე, ხარისხზე, ეფექტურ შეთავაზებასა და მომსახურებაზე.

**სიტუაცია 1**

დაეხმარეთ ნიკას ბიზნესის წარუმატებლობის ყველა შესაძლო მიზეზი დააფიქსიროს:

- **ცუდი ადგილმდებარეობა** *(არა);*
- **არაეფექტური მომსახურება** *(შესაძლებელია)*;
- **ცუდი სამუშაო პირობები** *(შესაძლებელია);*
- **დაბალი ხარისხის საქონელი** (*შესაძლებელია);*
- **ძალიან მაღალი ფასები** *(შესაძლებელია);*
- **კონკურენტთა სიმრავლე** (*არა);*
- **რეკლამის არარსებობა** (*შესაძლებელია*);
- **არაპოპულარული, მოდას ჩამორჩენილი საქონელი** (*არა);*
- **სხვა?** (*მმართველების დაბალი პროფესიონალიზმი ან არაეფექტური მართვის მეთოდები)*

## კითხვები და დავალებები

**1. წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი საგაზეთო სტატიის ფრაგმენტები და თითოეულ შემთხვევაში განსაზღვრეთ:**

**ა) შეიცვლება თუ არა ბაზარზე ბიზნესის მიერ დაკავებული პოზიცია.?**

**ბ) თუ თვლით რომ შეიცვლება, განსაზღვრეთ ცვლილების მიმართულება– გამყარდება ბიზნესი თუ კრახით დაასრულებს არსებობას?**

**გ) თუ აღნიშნული მოვლენა არ იწვევს ცვლილებას, ახსენით რატომ?**

მოსწავლემ პასუხი არგუმენტებით უნდა დაასაბუთოს. მაგალითად:

ა) **კაფე „იებში" სახელმწიფო სანიტარული სამსახურის ისპექციამ სანიტარული ნორმების დარღვევა დააფიქსირა.**
**პასუხი:** ბაზარზე ბიზნესის მიერ დაკავებული პოზიცია შეიცვლება. თუ აღნიშნული დარღვევა მნიშვნელოვანია, შესაძლებელია კაფეს სერიოზული ჯარიმა დაეკისროს და მდგომარეობის გამოსწორებამდე დროებით დაიხუროს, რაც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში კლიენტურას დააკარგვინებს. რადგან ეს ბაზარი თავისუფალია, კონკურენტების რაოდენობა დიდია, ისინი კაფე „იების" პრობლემებიტ ისაგებლებენ და სწრაფად ჩაენაცვლებიან. ამასთან, სანიტარული ნორმების დარღვევის გამო, კაფეს იმიჯი შეილახება. ამიტომ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სანიტარული სამსახური კაფეს მუშაობის გაგრძელების უფლებას მისცემს, ის მომხმარებლის ნდობას დაკარგავს. ჩამოთვლილი მიზეზების გამო, კაფე "იების" საბაზრო წილი მნიშვნელოვნად შემცირდება.

ბ) **ქათმის გრიპის ეპიდემიის საშიშროებასთან დაკავშირებით, სასურსათო მაღაზიების ქსელიდან ამოღებულ უნდა იქნეს ქათმის პროდუქტები.**
ბაზარზე ბიზნესის მიერ დაკავებული პოზიცია არ შეიცვლება. სასურსათო მარაზიებში პროდუქტების ასორტიმენტი დიდია. ერთი პროდუქტის ამოღება მხოლოდ მცირე ფინანსურ დანაკარგებთან იქნება დაკავშირებული, რადგან ამ პროდუქტის მოხმარებას შემცვლელი საქონელი ჩაენაცვლება, რომლის გაყიდვებიც მოიმატებს და დანაკარგებს მნიშვნელოვნად დაფარავს.

**გ) ერთი წლის განმავლობაში კომპანია P&G სარეკლამო კამპანიაში 1 მლნ ლარამდე დახარჯა.**
ბაზარზე ბიზნესის პოზიცია გამყარდება, რადგან კომპანიამ P&G სარეკლამო კამპანიაში 1 მლნ ლარამდე დახარჯა, ის ფინანსურად ძალიან ძლიერი კომპანია ყოფილა, შესაბამისად, სარეკლამო კამპანიაც სპეციალისტების მიერ დაგეგმილი და შემოსავლების მნიშნელოვან ზრდაზე ორიენტირებული იქნება.
სავარჯიშო საკმაოდ რთულია, თუ მოსწავლეეებს არგუმენტების მოფიქრება გაუჭირდებათ, მომდევნო გაკვეთილზე დამხმარე კითხვებისა და მთელი კლასის აქტიურობით მიიყვანეთ სწორ გადაწყვეტილებამდე.

# 24-25. ყოფნა? არ ყოფნა?

**შესავალი**
ბაზარზე ბიზნესის **ყოფნა-არყოფნის** საკითხი, მხოლოდ მეწარმის სამეწარმეო უნარ-ჩვევებზე და ბიზნესის ინვესტიციებზე არ არის დამოკიდებული. საწარმოები იზოლირებულად არ არსებობენ. ისინი გარკვეულ **გარემოში** ფუნქციონირებენ, რომელიც მათზე მუდმივად ზემოქმედებას ახდენს და ხშირად „სასიკვდილო დარტყმებსაც" აყენებს. ბიზნესის **„სასიცოცხლო" გარემოს** უმნიშვნელოვანესი კომპონენტი მომხმარებელია. მასთან ერთად სამეწარმეო გარემოს სხვა უამრავი ფაქტორიც ქმნის: სახელმწიფოს მიერ დაწესებული მოთხოვნები, წესები, კანონები, მთავრობის პოლიტიკა და მეწარმეობის განვითარებისადმი დამოკიდებულება, ქვეყნის საშინაო მდგომარეობა, კონკურენტები, მომწოდებლები, ტექნოლოგიების განვითარება, გეოგრაფიული პირობები და სხვა.

**ცნებები**
ბიზნესის გარემო
დემოგრაფიული გარემო
გეოგრაფიული გარემო

**მიზანი**
- თავისუფალი ბაზრის ზოგიერთი წინააღმდეგობრივი ასპექტების განხილვა;
- ბიზნესის ფუნქციონირებაზე გარემოს ზეგავლენის შეფასება;
- მოსწავლეებში მოსმენის, დიკუსიის, შეფასების, ჰიპოთეზის გამოთქმის, სამომავლო გეგმების დასახვისა და შედეგების პროგნოზირების, არგუმენტისათვის შესაბამისი მაგალითის მოფიქრების უნარის განვითარება.

**გაკვეთილის აღწერა**
მოსწავლეები გაიაზრებენ ბაზარზე ბიზნესის სტაბილური არებობის განმსაზღვრელ პირობებს, გამოიკვლევენ და გაანალიზებენ რომელი პრობლემაა უმწვავესი საქართველოში. ახსნიან, როგორ აისახება ბიზნესზე მომქმედი ფაქტორები მომხმარებლებზე. სავარჯიშოების შესრულების პროცესში განჭვრეტენ სამეწარმეო გარემოს თითოეული დეტერმინანტის ცვლილებების ეფექტს საბაზრო ფასზე.

**მოსწავლეთა ორგანიზების ფორმები:** ჯგუფური, ინდივიდუალური, მთელი კლასი.
**აქტივობები:** ტექსტზე მუშაობა, დისკუსია, პრეზენტაცია.

**საჭირო დრო**
ორი გაკვეთილი

**მასალები**
- დიდი ქაღალდი;
- ფლომასტერი;
- სახელმძღვანელო;
- სქემა„ ბიზნესის მდგრადობაზე მოქმედი ფაქტორები".

**გაკვეთილის მსვლელობა**
**1. გაკვეთილი შეკითხვით დაიწყეთ:**
**?** ცნობილია, რომ როცა ქვეყანა სამთავრობო ცვლილებების მოლოდინშია, ბიზნესმენები დიდი ინვესტიციებისაგან თავს იკავებენ. თქვენი აზრით რა მოტივებით ხელმძღვანელობენ მეწარმეები ამ დროს?
კიდევ რომელი მიზეზი იმოქმედებდა ინვესტირების დონეზე?
მოსწავლეთა პასუხები დააფიქსირეთ დაფაზე და შეადარებინეთ სქემასთან რაიმე ხომ არ გამორჩათ?
**განიხილეთ ბიზნესზე მომქმედი თითოეული ფაქტორი.** .ჩართეთ მოსწავლეები დისკუსიაში. ყურადღება გაამახვილეთ თითოეული ფაქტორის როგორც **დადებით**, ისე **უარყოფით** ზემოქმედებაზე.
2. მოსწავლის წიგნიდან წაიკითხეთ სიტუაციური ამოცანა _.**სიტუაცია ❶**
ნინომ ახლად დაარსებულ ელექტრო საქონლის კომპანიაში დაიწყო მუშაობა. მას ძალიან უნდა თავისი მოწადინება გამოავლინოს: კლიენტებს საქონელს თავგამოდებით უქებს. ინფორმაცია ჯერ ოდნავ გააზვიადა, შემდეგ სიმართლეს ისე გადაუხვია, ვერ მიხვდა, ინფორმაციას რომ ამახინჯებდა. მართალია პროდუქცია ორ დღეში გაიყიდა, მაგრამ მენეჯერს სიხარული არ ეტყობოდა.
იმსჯელეთ:

1) რა შედეგებს მოიტანდა კომპანიისათვის ნინოს საქციელი?
2) ნინოს დასჯა რომ გადაწყვიტოს, სამართლიანი იქნება თუ არა ფირმის ადმინისტრაცია?

ამ სავარჯიშოს მიზანი მოსწავლეებში განსჯისა და ანალიზის, ასევე პიროვნების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგების პროგნოზირების უნარის განვითარებაა. დამხმარე შეკითხვების საშუალებით მოსწავლეები მიიყვანეთ დასკვნამდე, რომ მოტყუებილი კლიენტი ფირმას უნდობლობის ისეთ მკაცრ განაჩენს გამოუტანს, რომლის დაძლევა ფირმას ძალიან გაუჭირდება. შესაბამისად, თუ კომპანია ნინოს დასჯას გადაწყვეტს, სამართლიანი იქნება. რეკლამა ტყუილში არ უნდა გადაიზარდოს. მოსწავლეებს დაავალეთ მოიფიქრონ, როგორ უნდა მოქცეულიყო ნინო, რომ გაყიდვების რაოდენობაც გაზრდილიყო და მენეჯერიც კმაყოფილი ყოფილიყო?

# 26. ვმართავთ კომპანია „ათინათს"!

**შესავალი**

კომპანია **„ათინათი"** 3 ბიზნესისაგან შედგება. მათ შესახებ მონაცემებიდან ჩანს, რომ თითოეულს რეალური პრობლემები და შესაძლებლობები გააჩნია. **შეძლებს თუ არა კომპანია ბაზარზე არსებობის გაგრძელებას დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოაგვარებს კომპანია პრობლემებს.**

**მიზნები**

- მონაცემთა ანალიზის, სინთეზისა და შეფასების უნარის განვითარება
- ფაქტებს შორის ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრის უნარის განვითარება
- მომავლის არგუმენტირებული პროგნოზირების უნარის განვითარება
- უცხო ტექსტზე მუშაობის უნარის განვითარება
- კომპანიის მდგომარეობის გამოსწორების გეგმის დასახვა და **პრეზენტაცია**

**საჭირო დრო**

ორი გაკვეთილი.

**მასალები**

- ინფორმაცია კომპანიის შესახებ. (სახელმძღვანელოდან)
- დიდი ქაღალდი
- მარკერები.

**გაკვეთილის აღწერა**

მოსწავლეები დაამუშავებენ ინფორმაციას კომპანიის შესახებ, მოახდენენ მასში შემავალი თითოეული ბიზნესის მდგომარეობის ანალიზს, მოძებნიან ბიზნესის სხვადასხვა სფეროში არსებულ პრობლემებს შორის კავშირებს, იმსჯელებენ მათ გამომწვევ მიზეზებზე. ტექსტში მოცემულ მონაცემებზე დაყრდნობით, მოსწავლეები კომპანიის მდგომარეობის ერთიან სურათს შექმნიან და შეაფასებენ. მიღებული დასკვნების საფუძველზე, ისინი შეიმუშავებენ რეკომენდაციებს და კომპანიის მომავალი მდგომარეობის პროგნოზირებას მოახდენენ.

**გაკვეთილის მსვლელობა**

1. გაკვეთილი დავალების შემოწმებით დაიწყეთ. მოსწავლეებს დავალებული ჰქონდათ ბოლო 3 დღის განმავლობაში გამოცემული პრესის ბიზნესის გვერდები წაეკითხათ და ისეთი სტატიები მოენიშნათ, რომელშიც საქართველოში ბიზნესის განვითარებასა და პრობლემებზეა საუბარი. მათ პასუხი უნდა გაეცათ კითხვებზე:
   1. რომელი პრობლემაა უმწვავესი?
   2. როგორია მთავრობის ზეგავლენა ბიზნესის განვითარებაზე, დადებითი თუ უარყოფითი? მოიყვანეთ მაგალითები.
   3. რა გავლენას ახდენს საქართველოში ბიზნესის განვითარებაზე:
      ა) საქართველოს დღევანდელი საშინაო მდგომარეობა?
      ბ) საერთაშორისო მდგომარეობა?
      გ) სახელმწიფო გადაწყვეტილებები?
      დ) ურთიერთობა გეოგრაფიულ მეზობლებთან?
      ე) მომხმარებლის პრიორიტეტების ცვლილება?

პასუხები განსხვავებული იქნება, იმის მიხედვით, თუ რით დაინტერესდა მოსწავლე, რომელი წყაროდან მოიპოვა ინფორმაცია, რომელი კუთხით შეხედა პრობლემას: მომხმარებლის, მეწარმის თუ ნეიტრალური პოზიციიდან, რამდენად არის მისთვის და მისი ოჯახისათვის ეს პრობლემა მნიშვნელოვანი. მაგალითებიც შესაბამისი ექნებათ მოყვანილი. შედეგების განზოგადებისათვის ყველა მათგანის შეხედულებები დაფაზე დააფიქსირეთ და ერთიანი სურათი შექმენით. შეგიძლიათ თითოეული პრობლემის სიმძაფრის დასადგენად ხმის მიცემის ღია პროცედურაც ჩაატაროთ( ხელის აწევით) და პრობლემების ჩამონათვალს გვერდით კლასში მოპოვებული ხმების რაოდენობა მიუწეროთ. შემდეგ განსაზღვროთ, რომელია სამი ყველაზე უმწვავესი ეკონომიკური პრობლემა ამ კლასის ხედვით.

შესაძლებელია მოსწავლეებმა გაზეთებიდან ამოჭრილი სტატიები მოიტანონ. ასეთ შემთხვევაში, თქვენ შეგიძლიათ დაფაზე საქართველოში მეწარმეობის მდგომარეობის ამსახველი კოლაჟი მოაწყოთ.

2. მოსწავლეები დაყავით ჯგუფებად. თითოეული მათგანი ექსპერტების ჯგუფს წარმოადგენს. მათ სერიოზული პრობლემების წინაშე მდგომი კომპანიის განვითარების პერსპექტივა და მიმართულებები უნდა განსაზღვრონ. პრეზენტაციის მოსამზადებლად ჯგუფმა კომპანიის მმართველებისათვის რეკომენდაციები უნდა შეიმუშავოს, რისთვისაც არსებული მდგომარეობის ანალიზი და შეფასება დასჭირდებათ. სთხოვეთ მოსწავლეებს გაეცნონ ინფორმაციას ჰიპოთეტური კომპანიის– შპს „ **ათინათის** ” 3 ბიზნეს ერთეულის შესახებ. ტექსტზე მუშაობის უნარის გამომუშავების მიზნით მიუთითეთ, როგორ უნდა დაამუშაონ მოცემული ინფორმაცია:

- მონაცემებზე ჯგუფურად იმუშაონ;
- შემადგენელი კომპანიების ძლიერი, პერსპექტიული მხარეები და სუსტი, პრობლემური მხარეები და საშიშროებები სხვადასხვა ფერის მარკერით გახაზონ.

მაგალითად, კომპანიის ძლიერ მხარეს ქვეშ ხაზი გაუსვან, სისუსტის გამომხატველი ინფორმაცია გააფერადონ, ისე როგორც ქვემოთ არის ნაჩვენები.

**1.გამაგრილებელი უალკოჰოლო სასმელების კომპანია „სიხარული”.**

**„სიხარული”** ახალი საწარმოა. ბაზარზე მისი წილი დიდი არ არის, მაგრამ ერთი თვის წინ ჩატარებული გამოკვლევის შედეგების მიხედვით, რესპოდენტთა 56%-მა მათთვის <u>ცნობილი ხარისხიანი უალკოჰოლო სასმელებიდან</u>, პირველ რიგში, სწორედ „სიხარული” დაასახელა. „ სიხარული” ~~უკვე 5 სახის უალკოჰოლო სასმელს უშვებს~~.

**2.** ყავის დამაფასოებელი საწარმო **„გეოარაბიკა**” საწარმოა. მისი პროდუქცია წლების მანძილზე საქართველოს ბაზარზე <u>პოპულარული იყო</u>, თუმცა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში გახშირდა შემთხვევები, როდესაც საწარმომ ხარისხი ვერ

უზრუნველყო. ერთი თვის წინ საწარმომ სავაჭრო ქსელიდან დიდი რაოდენობით წუნდებული პროდუქცია უკან დაიბრუნა. ხელმძღვანელობამ , საკმაოდ დაბალი ხარისხის ყავის პარტიები, გადაუმუშავებელი სახით სავაჭრო ქსელში მეორედ მოხვდა, რამაც მყიდველთა და მაღაზიის მფლობელთა უკმაყოფილება გამოიწვია. საწარმომ მიზნად ხარისხის მართვის სისტემის გაუმჯობესება დაისახა. მენეჯერები თვლიან, რომ საგანგაშო არაფერია და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება შესაძლებელია, რადგან როგორც დანადგარები, ისე რესურსები სრულიად ახალია. მათ უკეთესი სპეციალისტების მოყვანით პრობლემის გადაჭრა აქვთ მიზნად დასახული.

3. **სწრაფი კვების რესტორნების ქსელმა „პრინცესა"**, ფუნქციონირება რამდენიმე წლის წინ ერთი რესტორნიდან დაიწყო. მაშინ მსგავსი მომსახურების შეთავაზება საქართველოში სიახლე იყო. თუმცა მიმდევრები მალე გამოუჩნდა, მას ბაზარზე ადგილი დამკვიდრებული აქვს. მენეჯერი თვლის, რომ ამის მიზეზი მზარეულთა საუკეთესო გუნდია, რომელიც შეუცვლელად მუშაობს. რესტორანს არასოდეს ჰქონია პრობლემები ნედლეულის ხარისხთან, მოწოდების დროსა და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით. მოთხოვნის ზრდის პარალელურად „პრინცესა" ქსელს აფართოებს: ქვს თვეში ერთხელ დედაქალაქში ან საქართველოს რომელიმე რეგიონულ ცენტრში, ახალი სწრაფი კვების ობიექტი იხსნება. ანალიტიკოსების პროგნოზით კონკურენციის ინტენსიურობა 3-5 წლის განმავლობაში შენარჩუნდება.

3. **დაავალეთ** ჯგუფების წევრებს, რომ დამუშავებული ინფორმაციის გამოყენებით თითოეული წარმოდგენილი ბიზნესისათვის განსაზღვრონ

- ბაზრის ტენდენციები;
- მდგრადობის პირობები;
- პროდუქციის ხარისხი;
- განვითარების პერსპექტივა;

ყველა არსებული მონაცემის მიხედვით მომდევნო გაკვეთილზე ჯგუფურად შეადგენენ ცხრილს, რომელიც ბიზნესის ამჟამინდელ და მომავალ მდგომარეობაზე მაქსიმალური ინფორმაციის მომცველი იქნება. შეაფასებენ განვითარების პერსპექტივებს და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს, მოახდენენ ნამუშევრებისა და რეკომენდაციების არგუმენტირებულ პრეზენტაციას.

ყურადღება მიაქციეთ, რომ სიტუაციის ანალიზისას მოსწავლეებს **არ დაავიწყდეთ**, რომ კომპანია „ათინათის" განვითარების პროგნოზირება უნდა მოახდინონ და არა ცალკეული ბიზნესის. სამივე ბიზნესი ერთმანეთთან კავშირშია. თუ მოსწავლეებმა ეს კავშირი დაინახეს და მიხვნენ, რით არიან ისინი ერთმანეთზე დამოკიდებული, ჯგუფის გადაწყვეტილებები რეალურთან ახლოს იქნება. სამუშაო დრო ჯგუფებში 20 წთ-ია, თითოეულ ჯგუფს პრეზენტაციისათვის 7–10 წთ ეთმობა.

**რჩევა:** საუკეთესო შედეგის მისაღებად ჯგუფებმა „ გონებრივი იერიშის" მეთოდით იმუშაონ. თითოეულმა წევრმა გამოთქვას ნებისმიერი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით, ყველა აზრი ქაღალდზე გაკრიტიკების გარეშე დააფიქსირონ. ბოლოს იდეები შეაჯერონ და პრეზენტაცია .მოამზადონ. პრეზენტაციის დასრულების შემდეგ ოპონენტების შეკითხვებზე პასუხებს 3-4 წუთი დაუთმეთ.

**შეფასება** მოახდინეთ დაკვირვებით: ჯგუფურ მუშაობაში ჩართულობით, მონაცემების საფუძველზე ლოგიკური ჰიპოთეზების გამოთქმის სიხშირით, მიზეზ –შედეგობრივი კავშირების მონახვით, დასაბუთებული რეკომენდაციებით.

**დავალება**

1. მოსწავლეებმა უნდა აირჩიონ კონკრეტული ბიზნესი ან პროდუქტი. სქემის მიხედვით გაიაზრონ და მასში ჩაწერონ ბიზნესის (ან პროდუქტის) განვითარების ისტორია და საზოგადოებრივი შედეგები.
საქმიანობისათვის ( მაგ. სახაჭაპურე) საჭირო რესურსების ჩამონათვალში უნდა ჩაწერონ ის კონკრეტული შრომითი, კაპირალური და ბუნებრივი რესურსები ან ნედლეული, რომელიც კონკრეტული პროდუქტის საწარმოებლად აუცილებელია. (მცხობელი, შენობა, საცხობი ქურა, ყველი, ფქვილი, კვერცხი, წყალი, ელ.ენერგია, გაზი) ახსენით კონკრეტულ შემთხვევაში რას გულისხმობს მათი ეფექტიანად გამოყენება (არ დაიწვას, ელ.ენერგია არ იყოს გაფლანგული, რადგან პროდუქცია მალფუჭებადია, დამზადებული იქნას მხოლოდ ის რაოდენობა, რაც გაიყიდება, ყველი, კარაქი მაცივარში იქნეს შენახული და სხვა), საუკეთესო ხარისხი და ბაზრის წილის გაზრდა (მომხმარებლის რაოდენობის მომატება, ახალი კლიენტების მოსაზიდად კონკრეტული ღონისძიებების გატარება), საზოგადოებრივი შედეგები (დასაქმებულთა რაოდენობის გაზრდა, მათი ოჯახების კეთილდღეობა). მოსწავლეები გააფრთხილეთ, ზოგად ფრაზებს მოერიდონ!!!

# 28-29. სახელმწიფო ყოველთვის ფხიზლადაა!!!

**შესავალი**

თავისუფალ ბაზარზე კონკურენცია გარდაუვალია. გამყიდველები არა თუ ბატონობას, ბაზრის ურთიერთხელსაყრელად გაყოფის შეთანხმებასაც ვერ მოახერხებენ. კონკურენციის სტიმულები იმდენად მდგრადია, რომ შემოსავლების გაზრდის მიზნით შეთანხმების რომელიმე მონაწილე ფასს აუცილებლად შეამცირებს.

**მიზნები**

- კონკურენციის, მომხმარებლის უფლებების დაცვასა და მტაცებლური ფასების დაწესების შეზღუდვაში სახელმწიფოს როლის გააზრება, მნიშვნელობისა და საჭიროების შეფასება.
- მოსწავლეებში ანალიზისა და შეფასების უნარის გამომუშავება

**ცნებები**

ანტიტრესტული კანონები;
ლიცენზია.

**გაკვეთილის აღწერა**

მოსწავლეები გაეცნობიან, თუ როგორ იცავს სახელმწიფო თავისუფალ ბაზარს კონკურენციისაგან, რა მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს მხრიდან მომხმარებლის უფლებების დაცვას თითოეული მოქალაქისათვის. მონაწილეობას მიიღებენ მოდელირებულ სიტუაციაში: შექმნიან **მეწარმეთა დაცვისა და მომხმარებელთა დაცვის კოდექსებს**.

**საჭირო დრო**

ერთი გაკვეთილი

**მასალები**

- დავალება 1;
- დავალება 2;
- დიდი ფურცლები, მარკერები.

**გაკვეთილის მსვლელობა**

ა. სთხოვეთ მოსწავლეებს შეაფასონ, რამდენად მიაღწია ანტიმონოპოლიურმა კანონებმა დასახულ მიზნებს საქართველოში?

ბ. სთხოვეთ მოსწავლეებს დაფიქრდნენ და გაიხსენონ ისეთი შემთხვევები, როდესაც ამ კანონებმა აშკარად თავიდან აგვაცილა ან შეამცირა ფასების დადგენის თაობაზე მეწარმეთა შეთანხმებები?

2. მოსალოდნელია, რომ მოსწავლეები დიდ და ცნობილ ფირმებს დაასახელებენ, რომელიც მათ მონოპოლისტებად მიაჩნიათ. სხვა მოსწავლეებს ამ ფირმების კონკურენტების დასახელება სთხოვეთ და იმსჯელეთ იმაზე, თუ რატომ არის ან არ არის ამა თუ იმ დარგში საქართველოში მონოპოლია? ხომ არ იციან, როგორია სხვა ქვეყნებში ანალოგიურ დარგებში მდგომარეობა?

3. დაყავით კლასი 2 ჯგუფად. დაავალეთ, ერთმა ჯგუფმა **მეწარმეთა დაცვის კოდექსი**, მეორემ კი **მომხმარებელთა დაცვის კოდექსი** შეადგინოს. სამუშაოდ 15–20 წუთი მიეცით. თითოეულმა ჯგუფმა კოდექსის შედგენისას უნდა გაითვალისწინოს ის პრობლემები, რომლებიც მეწარმეს ან მომხმარებელს ყოველდღიურ ცხოვრებაში ხვდება. კოდექსში შეტანილი მუხლები ამ პრობლემებისაგან მომხმარებლებისა და მეწარმეების დაცვას უნდა უზრუნველყოფდეს. კოდექსის საბოლოო ვერსია დაფაზე ერთმანეთის გვერდით გააკვრევინეთ. პრეზენტაციის შემდეგ მონიშნინეთ ორივე კოდექსის საერთო მუხლები, მოსწავლეებმა უნდა იმსჯელონ, რატომ აღმოაჩნდა წარმოდგენილ ორ სხვადასხვა კოდექსს საერთო საკითხები?

4. გაკვეთილის დამთავრების შემდეგ კოდექსები კედელზე გადაიტანეთ და რამოდენომე თვის განმავლობაში დატოვეთ. .მოსწავლეებს მიეცით შაშუალება დროთა განმავლობაში მასში ცვლილებები შეიტანონ და დახვეწონ. საბოლოო ვერსია სკოლის ჟურნალში გამოაქვეყნეთ.

# 30. შევამოწმოთ ჩვენი ცოდნა – ვითამაშოთ „სამაია”

(შემაჯამებელი გაკვეთილი)

**შესავალი**

მოსწავლეებს საბაზრო ეკონომიკის დასახასიათებლად უკვე საკმარისი ცოდნა გააჩნიათ: ისინი იცნობენ მის თავისებურებებს, ყველაზე მნიშვნელოვან ეკონომიკურ ინსტიტუტს – ბაზარს და ბაზარზე ფასების დადგენის პრინციპებს, ასევე სახელმწიფოს ეკონომიკურ ფუნქციებს.

**მიზანი**

- მოსწავლეთა ყურადღების მაქსიმალურად მობილიზება, ეფექტიანი მოსმენის და დამახსოვრების, კომუნიკაციის უნარის განვითარება;
- ცოდნის შუალედური შეფასება.

**საჭირო დრო**
ერთი გაკვეთილი.

**მასალები**
სახელმძღვანელო

**გაკვეთილის აღწერა**
მოსწავლეებმა უნდა გაიხსენონ ნასწავლი საკითხები და მათი გამოყენებით იმსჯელონ თემებზე:

- კანონის უზენაესობა ქვეყნის ეკონომიკაში;
- ეკონომიკური რეფორმების მიზანი;
- გარემოს დაცვა – მთავრობის ეკონომიკური ფუნქცია;
- სამართლიანობა, კანონიერება და ანგარიშვალდებულება ეკონომიკაში;
- მოგების მიღების სტიმულები;
- რატომ იცავს სახელმწიფო კონკურენციას?
- რას ნიშნავს ეკონომიკური სამართლიანობა?
- ეფექტიანი იურიდიულ-სამართლებრივი ფორმები მცირე ბიზნესისათვის;
- რეალური მდგომარეობა საქართველოს ბაზარზე;
- ბაზარზე ფირმების თანაარსებობის პირობები;
- კონკურენციის მნიშვნელობა ეკონომიკის განვითარებისათვის

**გაკვეთილის მსვლელობა**
ამ გაკვეთილის დახმარებით, მოსწავლეებმა საკუთარი ცოდნის თვითშეფასება უნდა მოახდინონ. შემოწმების წარმოდგენილი ფორმა დაეხმარება შეაფასონ, გაიაზრეს თუ არა შესწავლილი თემები.
გაკვეთილის მსვლელობის სრული ინსტრუქცია წარმოდგენილია სახელმძღვანელოში.
ჯგუფური სამუშაოს დასრულების შემდეგ განიხილეთ კლასის შედეგები და მსმენელების კატეგორიიდან საუკეთესო შედეგის მქონე სამი მონაწილე დაფასთან გაიძახეთ. ისინი ვალდებულნი არიან ხანმოკლე პრეზენტაციაში ის თემა შეაჯამონ, რომელშიც ჯგუფებში მუშაობისას მაღალი შეფასება მიიღეს. ამჯერად ქულა თქვენ უნდა დაწეროთ.

**შეფასებას იღებს** როგორც მსმენელი, ისე მისი რაუნდის ორატორი და არბიტრი.

# თავი VI: ბიზნესის დაგეგმვა

# 31-32. მინდა ფული, მინდა მანქანა, მოგზაურობა...ბიზნესი მინდა!

**შესავალი**
ნებისმიერი საქმიანობა **იდეიდან** იწყება. ბიზნესმენები ამბობენ, რომ „საჭირო დროს საჭირო საქმიანობის წამოწყება, ბიზნესის წარმატების მნიშვნელოვანი ფაქტორიაო".

სირთულე მხოლოდ „საჭირო საქმიანობის“ დროულად მოფიქრება ანუ მომგებიანი **ბიზნესის იდეაა**. ბიზნესის გეგმა **არის ბიზნესის წარმართვის გზამკვლევი, რომელიც** საქმიანობის თანამიმდევრულად და ეფექტიანად წარმართვაში გვეხმარება. ბიზნესის დაგეგმა ყველა ნაბიჯის თანმიმდევრულად გათვლის პროცესია, რომელთა გადადგმაც ბიზნესის ასაწყობად არის აუცილებელი. საქმიანობის წინასწარ დაგეგმვა რისკის ფაქტორებს მაქსიმალურად ამცირებს.

**მიზნები**

- მოსწავლეებმა გაარკვიონ, თუ როგორ იცვლება ამა თუ იმ საქონელზე ან მომსახურებაზე მოთხოვნა მომხმარებლებზე მოქმედი ფაქტორების შესაბამისად.
- განჭვრიტონ მოთხოვნის ცვლილებების შედეგები საბაზრო ფასსა თუ გაყიდვების რაოდენობასთან მიმართებაში.
- შექმნან სქემა, რომლის მიხედვითაც წარმატების მისაღწევად უნდა იმოქმედონ.
- გაიაზრონ, რომელი პრინციპული საკითხების გადაჭრაა აუცილებელი ბიზნესის დაწყებამდე.
- შეაფასონ დაგეგმილი საქმიანობის უპირატესობები სპონტანურად მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებთან შედარებით;

ინფორმაციის დახარისხების, ანალიზის, შეფასების, ჯგუფებად მუშაობის და პრეზენტაციის უნარის განვითარება.

**ცნებები**

ბიზნესის გეგმა
მარკეტინგი

**გაკვეთილის აღწერა**

- მოსწავლეები შეისწავლიან პირობებს, რომელიც საინტერესო და მიმზიდველ იდეას მომგებიან ბიზნესად აქცევს;
- მოიყვანენ სხვადასხვა ტიპის ბიზნესის იდეების მაგალითებს;
- დაფიქრდებიან საქმიანობის დაგეგმვის ეფექტზე;
- ჩაერთვებიან დისკუსიაში;
- ჯგუფებში განიხილავენ სიტუაციას, აღმოაჩენენ დაშვებულ შეცდომებს და შეაფასებან მათ შედეგებს.

**საჭირო დრო**

სამი გაკვეთილი

**მასალები**

- სავარჯიშო 1;
- ბარათები სავარჯიშო 1-ისათვის;
- მისაწებებელი ლენტი.

**გაკვეთილის მსვლელობა**

1. სიტუაცია 1.

   **დავალება: იპოვეთ ნინოს შეცდომები**

   სავარჯიშოზე ჯგუფებად ამუშავეთ. ყურადღება მიაქციეთ, რომ ტექსტი კარგად გაიაზრონ. ამ სავარჯიშოს ანალიზისას მიღებული ინფორმაცია და გამოცდილება მომდევნო სავარჯიშო 1-ში პრაქტიკული გადაწყვეტილებების მიღებისას უნდა გამოიყენონ.

2. მოსწავლეები ამუშავეთ ტექსტზე. თითოეულ კითხვაზე პასუხისათვის ტექსტში შესაბამისი ნაწილი მოაძებნინეთ და წააკითხეთ. პასუხები:

   ა) საქმიანობა ოცნებით, დაუგეგმავად დაიწყო;

   ბ) არ გაურკვევია, კანონი აძლევდა თუ არა მსგავსი მოქმედებების უფლებას;

   გ) არ შეისწავლა, იყო თუ არა ამ პროდუქტზე მოთხოვნა;

   დ) არასწორად შეარჩია გაყიდვის დრო.

   ე) მხოლოდ პირადი შეხედულებებით სარგებლობდა საქმიანობის დაწყებისას.

   მოსწავლეების დახმარებით პასუხები განაზოგადეთ.

3. **სავარჯიშო 1: ვითამაშოთ „დირექტორთა საბჭოს სხდომა"**

   დაყავით კლასი ოთხ-ხუთ კაციან ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფს ევალება **შექმნას კომპანია**:

   - დაირქვას სახელი,
   - მოიფიქროს კომპანიის საქმიანობის სფერო და ძირითადი პროდუქტი. თითოეული ჯგუფი ახლად შექმნილი კომპანიის დირექტორთა საბჭოს წარმოადგენს. ისინი პირველ სხდომას გამართავენ, **რომლის მიზანიკომპანიის მომავალი საქმიანობის დაგეგმვაა. (რაც მზა ბარათების დახარისხებას და რიგითობის დადგენას გულისხმობს**). თითოეულ ჯგუფს ბარათების თითო კომპლექტი დაურიგეთ. ბარათებზე ის კითხვებია დაწერილი, რომელზე პასუხის გაცემაც აუცილებელია ბიზნესის წამოწყებისათვის.

   მოსწავლეებმა ბარათები იმ თანამიმდევრობით უნდა გადაინომრონ, რომლითაც არჩეული ბიზნესის იდეის რეალიზებისას ეს საკითხები უნდა გადაწყდეს. შემდეგ შინაარსის მიხედვით დაახარისხონ, გარკვეულ კატეგორიებად დააჯგუფონ და დაასათაურონ.

   **გაფრთხილება:** თითოეული ჯგუფი ვალდებულია **ყველა ბარათი** გამოიყენოს. დირექტორთა საბჭოს სამუშაო დრო 20 წთ–ია.

   სამუშაოს დასრულების შემდეგ, თითოეული კომპანია გადანომრილ ბარათებს რიგობრივი ნომრის მიხედვით გააკრავს დაფაზე. არჩეული საქმიანობის სფეროდან გამომდინარე, ჯგუფების მიერ შემოთავაზებული თანმიმდევრობა (გადანომრვა) შესაძლებელია განსხვავდებოდეს, თუმცა საწყისი ნომრები ერთნაირი იქნება. პრეზენტაციის მსვლელობისას, თითოეულმა კომპანიამ მის მიერ არჩეული მოქმედებათა რიგის ლოგიკურობა უნდა დაასაბუთოს. მსჯელობისას უნდა ჩანდეს, რა პრინციპით შეარჩიეს პრიორიტეტული ანუ პირველ რიგში შესასრულებელი სამუშაოები.

   პრეზენტაციისათვის ჯგუფებს 5წთ დაეთმობათ.

   შემდეგ მოსწავლეებს ექსპერტთა საბჭოს არჩევა დაავალეთ. საბჭო უფლებამოსილი იქნება წარმოდგენილი ბიზნეს-გეგმების (ბარათების გადანომვრის) სისწორე შეაფასოს. ექსპერტთა შეფასების სისწორის შემოწმება კი, სახელმძღვანელოში წარმოდგენილი სქემის მიხედვით თვითონ „კომპანიებს" შეუძლიათ.

   ქვემოთ მოცემულია ბარათების სავარაუდო თანამიმდევრობა.

| | | | |
|---|---|---|---|
| № 27 რომელი აუცილებელი სამუშაოებია შესასრულებელი? | № 1 რომელ ბიზნესში (დარგში) ვსაქმიანობთ? | № 31 შევიძინოთ თუ არა მანქანა? | № 14 როგორი იმიჯის შექმნა გვსურს? |
| № 2 რას წარმოადგენს ჩვენი პროდუქტი, მომსახურება | № 26 რომელი დანადგარები დაგვჭირდება? | № 7 ვინ არიან ჩვენი კლიენტები? | № 17 რა თანხა დაგვჭირდება? |
| № 29 სად უკეთესია რეკლამის განთავსება? | № 5 როგორია ჩვენი ბაზარი? | № 6 რომელია გასაღების მთავარი რაიონი? | № 28 რა მარკეტინგული მოთხოვნილებები გვაქვს? |
| № 4 საწარმოს ორგანიზების რა ალტერნატივები გვაქვს? | № 9 რა ძლიერი და სუსტი მხარეები აქვთ ჩვენს კონკურენტებს? | № 10 როგორი ფასები აქვთ კონკურენტებს? | № 12 რომელი უნიკალური უპირატესობები გვაქვს არჩეულ ბაზარზე? |
| № 15 როგორი საჭიროებები გვაქვს მუშახელთან დაკავშირებით? | № 24 როგორი საწარმოო ფართი გვჭირდება? | № 25 რომელი მოწყობილობები დაგვჭირდება ? | № 8 ვინ არიან ჩვენი კონკურენტები? |
| № 18 ამჟამად ხელთ რა ფინანსური კაპიტალი გვაქვს? | № 23 როგორი ფინანსური საჭიროებანი გვექნება მომდევნო ექვსი თვის განმავლობაში? | № 20 როგორი იქნება კომპანიის მოგება ერთი წლის შემდეგ? | № 19 რომელი ბანკის სასესხო პირობებია უკეთესი? |
| № 11 რა გამოცდლება გაგვაჩნია? | № 13 როგორ მივაღწიოთ წარმატებას? | № 16 როგორი იქნება რეკლამის ინტენსივობა? | №3 გავარკვიოთ, რომელი კანონების მოქმედების სივრცეში ვართ? |
| № 21 რას მოიცავს პროდუქტის მიღების ტექნოლოგია? | № 30 მართვის როგორი სისტემა იქნება ეფექტიანი? | № 29 რომელ რისკებთან გვექნება საქმე და თავს როგორ დავიზღვევთ? | № 22 როგორ მოვახდენთ პროდუქტის გასაღებას? |

პრეზენტაციის შემდეგ, დასათაურებული ბარათების კომპლექტები ბიზნეს-გეგმის მარტივი სქემის მიხედვით დაალაგებინეთ.

# 33. შევისწავლოთ ბაზარი

**შესავალი**

ბაზრის კვლევა არის ბიზნესის ფუნქციონირებისათვის საჭირო ახალ–ახალი ინფორმაციის მოპოვებისა და ანალიზის პროცესი.

ფირმების სტიმული მოგების მიღებაა. მოგების მიღება მხოლოდ იმ საქონლისა და მომსახურების წარმოებით შეიძლება, რომელზეც მოსახლეობაში მოთხოვნა მაღალია. საქონელისა და მომსახურების საწარმოებლად ფირმებმა რესურსები უნდა შეისყიდონ. რესურსები კი, (როგორც ადამიანური, ისე მატერიალური) ძალიან ძვირია, ამიტომ საწარმოთა მფლობელები დანაკარგების მაქსიმალურად შემცირებას ცდილობენ. ეფექტიანი გადაწყვეტილების მისაღებად მათ უამრავი ალტერნატივის შეფასება უხდებათ. ალტერნატივების შეფასება, კვლევის საშუალებით მიღებული მონაცემების საფუძველზე ხდება. კარგად ჩატარებული კვლევა, მეწარმეს საშუალებას აძლევს შეისწავლოს კონკურენტები, მომხმარებლის კმაყოფილებისა და უკმაყოფილების მიზეზები, წინასწარ განსაზღვროს რისკები, ბაზარზე შეღწევისათვის მოქნილი სტრატეგია აირჩიოს.

**მიზნები**

- მოსწავლეებში სამომხმარებლო გადაწყვეტილებების უნარის განვითარება
- ინფორმირებულობის მნიშვნელობის გააზრება
- ინფორმაციის შეგროვება-დამუშავების უნარის განვითარება
- განსხვავებული თვალსაზრისის განხილვა და შეფასება
- კონსტრუქციული ღონისძიებების დაგეგმვა საკუთარი მონაწილეობით
- კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარება
- მარკეტინგული საქმიანობის გაცნობა

**ცნებები**

მიზნობრივი ბაზარი
პოტენციური მყიდველები
საბაზრო სეგმენტი
მარკეტინგი
მარკეტინგული კომპლექსი

**გაკვეთილის აღწერა**

- მოსწავლეები დაახასიათებენ საკუთარ თავს, ოჯახს და კლასს როგორც მომხმარებელს
- განსაზღვრავენ, შეიძლება თუ არა, ბიზნესის წარმატების პროგნოზირება მოვახდინოთ, თუ სავარაუდო შემოსავლების და ხარჯების შესახებ ინფორმაციაარ გვექნება
- გაეცნობიან ინფორმაციის შეგროვების გზებს
- შეაფასებენ ინფორმაციის მნიშვნელობას ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას და წარმატებული ბიზნესის ასაწყობად
- გაეცნობიან მარკეტინგულ კომპლექსს
- შეასრულებენ სავარჯიშოებს

**საჭირო დრო**

სამი გაკვეთილი

**გაკვეთილის მსვლელობა**

1. **გამოწვევა.** რა ინფორმაციას უნდა ფლობდეს მეწარმე, რომ უფლება ჰქონდეს თამამად განაცხადოს: „ მე ამ ბაზარს ვიცნობ”? განიხილეთ
2. **სიტუაცია❶**და კლასთან ერთად იმსჯელეთ, **რატომ ცდილობენ კომპანიები სიახლეების დანერგვას?** *(ბაზარზე პოზიციებს ის კომპანია იმყარებს, ვინც სწრაფად რეაგირებს დროისა და მომხმარებლის მოთხოვნებზე)*
3. იმის გასარკვევად, თუ როგორი მოთხოვნები აქვთ კომპანიებს, ბაზრის შესწავლა–კვლევაა საჭირო. კვლევის შედეგად ბაზრის ხედვის არე ფართოვდება. ღრმავდება ცოდნა მომხმარებელზე, მის სურვილებზე, შემოსავლებზე, გადახდის უნარზე. მიღებული ინფორმაცია მეწარმეს საქმიანობის სწორად წარმართვაში დაეხმარება.

   მეწარმეს ინფორმაციის მიღება სხვადასხვა გზით შეუძლია: საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით მომხმარებელთან შეკითხვების დასმით, კითხვარების წინასწარ დაბეჭვდით და შევსების შემდგომ მომხმარებლის პასუხების განხილვით, უკვე არსებული დოკუმენტებისა და სტატისტიკური მონაცემების დამუშავებით, ექსპერიმენტის ჩატარებით და პროცესებზე უშუალო დაკვირვების წარმოებით.

   ბაზრის კვლევის მეთოდებზე საუბარი მოსწავლეებს სავარჯიშო 1-ის **( ბიზნეს–არჩევანი )** შესასრულებლად ამზადებს.
4. დაყავით კლასი 3 ჯგუფად. თითოეულმა ჯგუფმა თითო ბაზრის კვლევა უნდა მოახდინოს. სთხოვეთ კლასს დაასახელონ ბიზნესის ისეთი სფერო, რომელში საქმიანობის სურვილიც ექნებოდათ, როგორც ინდივიდუალურ მეწარმეებს. (ისეთი სფერო, რომელსაც დიდი დაფინანსება არ სჭირდება) იდეები დაფაზე ჩამოწერეთ. შეისწავლეთ ეს სია. ამოარჩიეთ სამი სფერო, რომელსაც მოსწავლეები ყველაზე კარგად იცნობენ. დაავალეთ მათ განსაზღვრონ ამ ბიზნესისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი:
   - დარგში არსებული საწარმოების რაოდენობა;
   - საქონლის ტიპი;
   - დარგში შესვლის სიმარტივე, კონკურენტები;
   - როგორ გარემოში მოგიწევთ ფუნქციონირება;
   - დანახარჯების დონე;
   - საქონლის (მომსახურების) ფასი;
   - ბაზარზე დამკვიდრების სტრატეგია;
   - დაარსებიდან რა დროში მიაღწევთ წარმატებას?
   - ბიზნესის წამოწყების სავარაუდო ბიუჯეტი;

   და მოამზადონ არგუმენტების პრეზენტაცია

   ა) რატომ არის მომგებიანი ამ საქმიანობის წამოწყება?

   ბ) რატომ არ ღირს ამ საქმიანობის წამოწყება?
5. ღია კენჭისყრის საშუალებით გააკეთეთ კლასის არჩევანი, ბიზნესის წარმოდგენილი სახეებიდან, რომლის წამოწყება უფრო მომგებიანია?

   შეეკითხეთ მოსწავლეებს, ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდებიდან, რომელი გამოიყენეს ბაზრის კვლევისას? რამდენად საიმედოა მათი ინფორმაცია (კვლევის შედეგები)?

   მიახვედრეთ, რომ ამ სავარჯიშოში მიღებული დასკვნა ზედაპირულია და შესაძლებელია რეალობისაგან ძალიან შორს იდგეს, რადგან რეალური კვლევა არ უწარმოებიათ, მხოლოდ ინტუიციასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით გააკეთეს დასკვნები.

# 34. ბიზნესის დაფინანსება

**შესავალი**

გამართული ბიზნეს-გეგმა ნათლად გვიჩვენებს, სულ რამდენი ფულია საჭირო იდეის რეალიზებისათვის, რისთვის არის საჭირო ეს თანხები, როდის და რა რაოდენობის ფულადი სახსრები იქნება საჭირო. თუ ბიზნესი თავისი მიზნებისათვის სახსრებს პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხებიდან ღებულობს, ამბობენ, რომ სამეწარმეო საქმიანობა **შიდა სახსრებით ფინანსდება**; მაგრამ ეს წარმატებული ბიზნესის ასაწყობად საკმარისი არ არის, (განსაკუთრებით საქმიანობის დასაწყისში) ამიტომ **საჭიროა სახსრების მოზიდვაა.** არსებული თუ მოზიდული თანხების უდიდესი ნაწილი საწარმოს დაარსების ან გაფართოებისათვის საჭირო **კაპიტალური რესურსების შეძენას ანუ ინვესტირებას** ხმარდება. დამატებით სახსრებს საწარმოები სესხად ღებულობენ.

**ცნებები**

ინვესტირება
გრძელვადიანი სესხები
კომერციული კრედიტი
გადახდისუნარიანობა
კრედიტუნარიანობა

**მიზანი**

- მოსწავლეებში დაგეგმვისა და შეფასების უნარის განვითარება
- ბიზნესის დაფინანსების წყაროების გაცნობა

**გაკვეთილის აღწერა**

მოსწავლეები შეისწავლიან იმ ფინანსურ საჭიროებებს, რომელიც ნებისმიერი საქმიანობის წამოწყებას თან ახლავს, იმ პირობებს, რომლებსაც მათი აზრით მეწარმე უნდა აკმაყოფილებდეს, რათა ბანკი დარწმუნებული იყოს, რომ კრედიტი არ გაიფლანგება და ის სესხის პატიოსანი გადამხდელი იქნება

**საჭირო დრო**

ერთი გაკვეთილი.

**მასალები**

- ბანკების სარეკლამო ფურცლები;
- სახელმძღვანელო.

**გაკვეთილის მსვლელობა**

1. **გამოკვლევა**

დაავალეთ რამოდენიმე ახლომდებარე ბანკის გამოკვლევა. სთხოვეთ მათ, წამოიღონ საინფორმაციო ბუკლეტები და გაეცნონ, მოკლევადიან და მიკრო სესხებს და გაანალიზონ:

- რომელ ბანკს აქვს ბიზნესისათვის საუკეთესო სასესხო პირობები?
- რომელ ბანკში სჯობია ფულის შენახვა? რატომ?
- რატომ ჰგავს სხვადასხვა ბანკების პროდუქტი ერთმანეთს?

# თავი VII: ოჯახის ეკონომიკა

# 35. ოჯახიდან ბანკისაკენ

**შესავალი**

დანაზოგი მაშინ კეთდება, როცა ცალკეული ადამიანები, ფირმები და ქვეყნები მიმდინარე შემოსავლებს მთლიანად არ იყენებენ. ცალკეული ადამიანების თვალსაზრისით, ეს არის შემოსავალი, რომელიც არ იქნა დახარჯული მოხმარებისათვის. დაუხარჯავი შემოსავლის ნაწილი შეიძლება განთავსდეს ფინანსურ ინსტიტუტებში, ისეთებში, რეოგორიცაა ბანკები და სხვადასხვა საკრედიტო ორგანიზაციები. თავის მხრივ, ისინი კრედიტს გასცემენ იმ ადამიანებზე, რომელთაც კაპიტალური ან სხვა რესურსის ყიდვა სურთ. ცალკეულ ადამიანებს შეუძლიათ თავიანთი დანაზოგის გამოყენება კორპორაციების ახალი აქციების შეძენისას, ორგანიზაციების ან სხვა ფასიანი ქაღალდების ყიდვით. ცალკეულ ადამიანებს ასევე შეუძლიათ წვლილი შეიტანონ საპენსიო ფონდში ან საპაიო ფონდის ფასიანი ქაღალდები იყიდონ. დაზოგვისა და/ან ინვესტირების პროცესი გარკვეულწილად წარმოადგენს საწარმოო რესურსების გადამიმართულებას საქონლისა და მომსახურების წარმოებიდან (მიმდინარე მოხმარებისათვის) თანამედროვე, ტექნოლოგურად წინგადადგმული კაპიტალური რესურსების შესაქმნელად, რომლებიც უზრუნველყოფენ წარმოების ზრდას და ადამიანური და ბუნებრივი რესურსების გაზრდას.

**ცნებები**

დაზოგვა
სარგებელი
ფინანსური შუამავლები
ინვესტიცია

**მიზნები**

- კრედიტის აღების პროცესში ფინანსური შუამავლების როლის არსის გაგება;
- დაზოგვის, როგორც დაუხარჯავი შემოსავლის განსაზღვრა;
- სარგებელის, როგორც ფულის გამოყენების საზღაურის განსაზღვრა.

**გაკვეთილის აღწერა**

გაკვეთილის მსვლეობისას მოსწავლეები კრედიტის აღებასთან და სესხებასთან დაკავშირებულ სირთულეებს შეხვდებიან. ისინი გაარკვევენ, რომ ამ პროცესში შუამავლის როლს ეფექტურად ასრულებენ ფინანსური ინსტიტუტები. გაკვეთილის დასასრულს საკუთარი რეგიონის მაგალითზე მოსწავლეები მსჯელობენ კრედიტის როლის შესახებ.

**საჭირო დრო**

ერთი გაკვეთილი

**მასალები**

- სავარჯიშო 1: შემნახველთა ბარათები/მსესხებელთა ბარათები. (წინასწარ დაჭრილი);
- სავარჯიშო 2: ქალბატონ ლილის სავაჭრო ცენტრი.

გაკვეთილის მსვლელობა

1. იმსჯელეთ:

- **დაგიზოგავთ თუ არა ოდესმე იმისათვის, რომ მომავალში რაიმე გეყიდათ?** *(პასუხები განსხვავებული იქნება).*
- **რისი დათმობა მოგიხდათ დანაზოგის სასარგებლოდ?** *(შესაძლებლობა ამჟამად იყიდოთ საქონელი და მომსახურება).* ახსენით, რომ როცა ადამიანები დანაზოგს აკეთებენ, ისინი მოცემულ მომენტში არ ხარჯავენ მთელ შემოსავალს საქონლისა და მომსახურების საყიდლად. ისინი ინახავენ თავიანთი შემოსავლის ნაწილს საქონლისა და მომსახურების მომავალში ყიდვის მიზნით. საქონლისა და მომსახურების მიმდინარე მოხმარება დაზოგვის ალტერნატიულ ღირებულებას წარმოადგენს.
- **გისესხიათ თუ არა ოდესმე ფული საყიდლებისათვის?** *(პასუხები განსხვავებული იქნება).*
- **რაზე გიწევთ უარის თქმა ფულის სესხებისას?** *(უარს ვამბობთ მომავალში საქონლისა და მომსახურების ყიდვაზე).* განმარტეთ, რომ სესხის აღებისას სხვის ფულს იყენებთ, რათა ამჟამად საქონელი და მომსახურება შეიძინოთ. ამგვარად, მომავალში უფრო ცოტა ფული გექნებათ საქონლისა და მომსახურების საყიდლად. საქონელი და მომსახურება, რომელზეც სამომავლოდ უარს ამბობთ, სესხის ალტერნატიულ ღირებულებას წარმოადგენს.

2. თითოეულ მოსწავლეს დაურიგეთ შემნახველის/მსესხებლის ბარათები სავარჯიშო 1-დან. მათ უნდა წაიკითხონ თავიანთი ბარათები.
3. განმარტეთ, რომ მოსწავლეებმა, რომლებსაც მსესხებლის ბარათები ერგოთ, ერთი ან რამდენიმე ადამიანი უნდა მოძებნონ, რომელიც მათ ფულს ასესხებს. ისინი უნდა ეცადონ მიიღონ ბარათზე აღნიშნული თანხა. ვისაც შემნახველის ბარათები ერგო, უნდა შეეცადონ ფული ერთ ან რამდენიმე პირს ასესხონ. ასევე უნდა შეეცადონ ბარათზე მინიშნებული მთელი თანხა სესხად გასცენ.
4. გამოყავით 5-10 წუთი მსესხებლებისა და კრედიტორისათვის. დროის ამოწურვის შემდეგ იმსჯელეთ შემდეგი მომენტების შესახებ:
   - **ზოგიერთმა თქვენგანმა ფული იშოვა. რისი მიღწევა გინდოდათ ფულის შენახვის დროს?** *(ფულის გასესხება, პროცენტის გამომუშავება იმისათვის, რომ იგივე ფული პროცენტთან ერთად მომავალში დაეხარჯათ).*
   - **რატომ ცდილობდა ზოგიერთი თქვენგანი ფულის სესხებას?** *(სურდათ მსხვილი საყიდლების გაკეთება, რისთვისაც საკუთარი ფული საკმარისი არ აღმოჩნდა; სურდათ ახალი საქმიანობის დაწყება, ესაჭიროებოდათ ფული მშენებლობის დაფინანსებისათვის, მოწყობილობების, საქონლისა და მომსახურების ყიდვისათვის).*
   - **შეძლეს თუ არა მათ, ვისაც „კრედიტის გამცემებმა", მთელი ფულის გასესხება?** პასუხი დაასაბუთეთ. *(მოიძებნა ერთი ან რამდენიმე ადამიანი, რომლებიც მზად იყვნენ ესესხათ ჩემს მიერ შეთავაზებული თანხა სარგებლის გადახდით; ვერ მოვძებნე ადამიანები, რომლებიც მზად იყვნენ გადაეხადათ ჩემს მიერ შეთავაზებული სარგებელი; საკმარისი დრო არ იყო).*
   - **რა გაფიქრებდათ, როგორც სესხის გამცემს?** (*ეს ყველაფერი დიდ დროს მოითხოვს და რა მოხდება, იმ შემთხვევაში, თუ სესხის ამღები ვალს არ დააბრუნებს?)*
   - **შეძლეს თუ არა სესხის მსურველებმა იმდენი თანხის მიღება, რამდენიც სურდათ?** დაასაბუთეთ ორივე *მოსაზრება (მოვძებნე ადამიანი, რომელიც მზად იყო სესხი მოეცა იმ სარგებლით, რომლის გადახდასაც შევძლებდით; ვერ ვნახე ვერავინ, ვინც იმ სარგებლის შესაბამისად მასესხებდა ფულს, რომლის გადასახდელადაც მზად ვიყავი; საკმარისი დრო არ იყო)*

- **რას შეიძლებოდა შეემსუბუქებინა სესხებისა და კრედიტის პროცესი?** *(ვინმეს არსებობა, ვინც მზად იქნებოდა კრედიტორების ფულის მისაღებად და მათთვის ფულის გასაცემად სესხის სახით, პროცენტის სანაცვლოდ)*
- **საჭიროა თუ არა დახმარება სესხის მიღების ან გაცემისთვის?** *(მიიყვანეთ მოსწავლეები შუამავლის იდეამდე ანუ იმ ადამიანამდე, ვინც „შეაგროვებდა" დანაზოგებს და გასცემდა სესხებს).*
- **არსებობენ თუ არა ჩვენს ქვეყანაში ამგვარი შუამავლები?** *(დიახ, ბანკები, საკრედიტო და საფინანსო კავშირები და ორგანიზაციები, სხვა საფინანსო ინსტიტუტები, რომლებიც ფინანსურ შუამავლებს წარმოადგენენ).*

5. ახსენით, რომ როცა ადამიანები მთელ შემოსავალს ხარჯავენ, დარჩენილ ნაწილს ისინი ხშირად ბანკში ინახავენ ან შემნახველ და საკრედიტო ორგანიზაციებში და სხვა საფინანსო ინსტიტუტებში. ამისათვის კი ისინი მეანაბრეებს უხდიან. ბანკები და შემნახველი და საკრედიტო ასოციაციები ფულს სესხად გასცემენ იმ ადამიანებზე, რომლებსაც სესხის აღების სურვილი აქვთ და ამისათვის პროცენტს იღებენ. ამგვარად, პროცენტი – ეს არის ანაზღაურება სხვა ადამიანების მიერ ფულის გამოყენებისათვის.
6. კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვით იმას, რომ ბანკები და შემნახველი და საკრედიტო ასოციაციები ფინანსურ შუამავლებს წარმოადგენენ. ფინანსური შუამავლები იღებენ შენატანებს და გასცემენ სესხებს.
7. მთელი კლასის მონაწილეობით შესარულეთ „გონებრივი იერიში" და შეადგინეთ თავისებურებების სია, რომლებიც მოსწავლეთა აზრით, ფინანსურ შუამავალს უნდა გააჩნდეს. დაასახელეთ მიზეზები, რომლის გამოც ეს თავისებურებები მნიშვნელოვანია. *(სტაბილურობა, უსაფრთხოება, მოხერხებული ადგილმდებარეობა, საიმედოობა, ეთიკა და ა.შ.)*

## დასკვნა

1. განიხილეთ ქ-ნ ლილის სავაჭრო ცენტრის საკითხი. იმსჯელეთ:
   - **რაში მდგომარეობს ქალბატონ ლილის პრობლემა?** *(მას სავაჭრო ცენტრის აშენება სურს, მაგრამ საკმარისი თანხები არ გააჩნია).*
   - **როგორ მოიქცა იგი?** *(საჭირო თანხა თავის ბანკში ისესხა).*
   - **რატომ ჭირდება ბანკს განცხადება სესხის მიღებაზე?** (*რათა იყოს საშუალება განისაზღვროს, შეძლებს თუ არა ქალბატონი ლილი სესხის დაბრუნებას).*
   - **რატომ აქვს ბანკს შესაძლებლობა ფული ქალბატონ ლილის ასესხოს?** (*იმიტომ, რომ ამ რაიონის მცხოვრებლებმა მსხვერპლად გაიღეს მიმდინარე მოხმარება და თავიანთი დანაზოგი ბანკში განათავსეს).*
   - **რა მიიღეს შემნახველებმა სანაცვლოდ?** *(ბანკი მათ სარგებელს უხდის).*
   - **რა არის შემნახველებისათვის ალტერნატიული ღირებულება?** *(საქონლისა და მომსახურების მიმდინარე მოხმარება).*
   - **რატომ იხდის ბანკი პროცენტს?** (სხვა ადამინების ფულით სარგებლობისათვის)
   - **რატომ იღებს ბანკი ქალბატონი ლილისაგან სარგებელს?** *(ქალბატონი ლილი სხვისი ფულის გამოყენებისათვის იხდის)*
   - **რა არის ქალბატონი ლილისათვის ალტერნატიული ღირებულება?** (*საქონლისა და მომსახურების მოხმარება მომავალში)*
   - **რა გავლენას ახდენს ადგილობრივ ბაზარზე ახალი სავაჭრო ცენტრის გახსნა?** *(შეადგინეთ დაფაზე მოსწავლეთა იდეების ჩამონათვალი: ახალი ადგილი, სადაც საქონლისა და მომსახურების ყიდვა შეიძლება; სამუშაო ადგილები ახალი სავაჭრო ცენტრის მშენებლობაზე; სამუშაო ადგილები მძღოლებისა და სხვა მუშაკებისათვის, რომლებიც საქონლის შემოტანით იქნებიან დაკავებულნი; უკვე*

*არსებული მაღაზიებისათვის კლიენტების დაკარგვა; სატრანსპორტო საცობები და ა.შ.)*

- **ვინ იმუშავებს სავაჭრო ცენტრში?**
- **როგორ გამოიყენებენ მუშაკები თავიანთ შემოსავლებს?** *(დახარჯავენ ეხლა; შეინახავენ და დახარჯავენ მომავალში)*

## შეჯამება

1. იმსჯელეთ შემდეგი იდეების გამეორების მიზნით:
    - დანაზოგი წარმოადგენს ადამიანების მიერ დაუხარჯავ შემოსავალს
    - სარგებელი – გადასახადი ფულით სარგებლობისათვის
    - საფინანსო შუამავლები იღებენ შენატანებს და გასცემენ სესხებს
2. თითოეულ მოსწავლეს დაავალეთ ესეს დაწერა, ადამიანზე, რომელსაც ფულის სესხება სურს. მოთხრობაში ნახსენები უნდა იყოს: მსესხებელი აპირებს დახარჯოს ნასესხები ფული; ფინანსური ინსტიტუტი, სადაც იგი სესხის აღებას აპირებს; სარგებელი და განმარტება იმისა, თუ რატომ არსებობს სესხებისათვის განკუთვნილი ფული.
3. სთხოვეთ მოსწავლეებს უპასუხონ გაკვეთილის ბოლოს დასმულ კითხვებს:

## დამატებითი სავარჯიშო

1. თითოეულმა მოსწავლემ უნდა გამოკითხოს სამი უფროსი და გაარკვიოს, რომელი ნივთების საყიდლად სესხულობენ ისინი ფულს. გააერთიანეთ მთელი კლასის მიერ მიღებული მონაცემები. გაყავით კლასი ჯგუფებად და თითოეულ ჯგუფს დააველეთ ააგოს გრაფიკი, რომელიც მოცემულ მონაცემებს ასახავს.
2. დაყავით კლასი მცირე ჯგუფებად. დაავალეთ მოსწავლეებს ამოჭრან ბანკების და შემნახველი და საკრედიტო და საფინანსო ინსტიტუტების საკრედიტო განცხადებები და/ან დარეკონ ბანკებში, საკრედიტო ასოციაციებში, რათა დაადგინონს სარგებლის განაკვეთის სიდიდე და გაცემის პროცედურა, რომელიც აღებული იქნება ავტომობილის საყიდლად. პირველადი 1000 ლარის შენატანით და პირველადი შენატანის გარეშე. მიღებული ინფორმაციის შესადარებლად სთხოვეთ ჯგუფებს ააგონ დიაგრამა, სქემა ან გრაფიკი.

სავარჯიშო 1

## მსესხებლების და შემნახველების ბარათები

### I რაუნდი

| | |
|---|---|
| თქვენ დაზოგეთ<br>**10 000 ლარი**<br>გსურთ გაასესხოთ ეს ფული და მიიღოთ არანაკლებ **8%-**ისა | თქვენ დაზოგეთ<br>**5 000 ლარი**<br>გსურთ გაასესხოთ ეს ფული და მიიღოთ არანაკლებ **8%-**ისა |
| თქვენ დაზოგეთ<br>**1 000 ლარი**<br>გსურთ გაასესხოთ ეს ფული და მიიღოთ არანაკლებ **8%-**ისა | თქვენ დაზოგეთ<br>**3 000 ლარი**<br>გსურთ გაასესხოთ ეს ფული და მიიღოთ არანაკლებ **8%-**ისა |
| თქვენ დაზოგეთ<br>**500 ლარი**<br>გსურთ გაასესხოთ ეს ფული და მიიღოთ არანაკლებ **8%-**ისა | თქვენ დაზოგეთ<br>**50 000 ლარი**<br>გსურთ გაასესხოთ ეს ფული და მიიღოთ არანაკლებ **8%-**ისა |
| თქვენ დაზოგეთ<br>**20 000 ლარი**<br>გსურთ გაასესხოთ ეს ფული და მიიღოთ არანაკლებ **8%-**ისა | თქვენ დაზოგეთ<br>**80 000 ლარი**<br>გსურთ გაასესხოთ ეს ფული და მიიღოთ არანაკლებ **8%-**ისა |
| თქვენ დაზოგეთ<br>**250 ლარი**<br>გსურთ გაასესხოთ ეს ფული და მიიღოთ არანაკლებ **8%-**ისა | თქვენ დაზოგეთ<br>**500 ლარი**<br>გსურთ გაასესხოთ ეს ფული და მიიღოთ არანაკლებ **8%-**ისა |

| | |
|---|---|
| გსურთ ისესხოთ<br>**15 000 ლარი**<br>და გადაიხდით ამისათვის **3%-ს** | გსურთ ისესხოთ<br>**5 000 ლარი**<br>და გადაიხდით ამისათვის **3%-ს** |
| გსურთ ისესხოთ<br>**4 000 ლარი**<br>და გადაიხდით ამისათვის **3%-ს** | გსურთ ისესხოთ<br>**12 000 ლარი**<br>და გადაიხდით ამისათვის **3%-ს** |
| გსურთ ისესხოთ<br>**30 000 ლარი**<br>და გადაიხდით ამისათვის **3%-ს** | გსურთ ისესხოთ<br>**2 500 ლარი**<br>და გადაიხდით ამისათვის **3%-ს** |
| გსურთ ისესხოთ<br>**750 ლარი**<br>და გადაიხდით ამისათვის **3%-ს** | გსურთ ისესხოთ<br>**6 000 ლარი**<br>და გადაიხდით ამისათვის **3%-ს** |
| თქვენ გინდათ ისესხოთ<br>**7 500 ლარი**<br>და გადაიხდით ამისათვის **3%-ს** | თქვენ გინდათ ისესხოთ<br>**100 000 ლარი**<br>და გადაიხდით ამისათვის **3%-ს** |
| გსურთ ისესხოთ<br>**350 ლარი**<br>და გადაიხდით ამისათვის **3%-ს** | |

# თავი VIII: ეკონომიკური პოლიტიკის საკითხები

# 36. კონსტიტუცია ეკონომიკას იცავს

### შესავალი

კონსტიტუცია როგორც ეკონომიკურ, ასევე პოლიტიკურ დოკუმენტს წარმოადგენს. ეს მტკიცებულება ჭეშმარიტია საქართველოს კონსტიტუციის მიმართაც. ამ ქვეყნის ფუძემდებლებს სჯეროდათ, რომ როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური თავისუფლება არსებითია ქვეყნის კეთილდღეობისა და ზრდისათვის. სწორედ ამიტომ მათ კონსტიტუციაში შეიტანეს საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების მხარდამჭერი და მასტიმულირებელი ბევრი პირობა. ამრიგად, ქვეყნის ეკონომიკის არსებით შტრიხებს კონსტიტუცია განსაზღვრავს.

### ცნებები

- კერძო საკუთრება;
- მეწარმეობისა და არჩევანის თავისუფლება;
- პირადი ინტერესის მოტივი;
- კონკურენცია;
- ბაზრები და ფასები;
- მთავრობის შეზღუდული როლი.

### მიზნები

- საბაზრო ეკონომიკის ექვსი ძირითადი პრინციპის აღწერა;
- საქართველოს კონსტიტუციის იმ პირობების განსაზღვრა, რომლებიც ხელს უწყობს საბაზრო ეკონომიკას;
- კონსტიტუციის დებულებების დაკავშირება საბაზრო ეკონომიკის ძირითად თავისებურებებთან.

### გაკვეთილის აღწერა

მოსწავლეები ასახელებენ საბაზრო ეკონომიკის ექვსი პრინციპის შესაბამის მაგალითებს თანამედროვე საქართველოს ცხოვრებიდან. შემდეგ კითხულობენ შესატყვის ნაწყვეტებს კონსტიტუციიდან და საბაზრო ეკონომიკის პრინციპების შესაბამის პუნქტებს იმ თვალსაზრისით განიხილავენ, თუ როგორ უჭერს მხარს კონსტიტუცია ამ პრინციპებს.

### საჭირო დრო

ერთი გაკვეთილი

### მასალები

- სავარჯიშო 1: ეკონომიკური პირობები საქართველოს კონსტიტუციაში;
- სავარჯიშო 2: საქართველოს კონსტიტუციის პირობებისა და საბაზრო ეკონომიკის ძირითად პრინციპებს შორის შესაბამისობის დადგენა.

### გაკვეთილის მსვლელობა

1. ესაუბრეთ მოსწავლეებს საბაზრო ეკონომიკის თავისებურებების შესახებ. მაგალითების მეშვეობით აუხსენით თითოეული მათგანის მნიშვნელობა და შემდეგ სთხოვეთ შესაბამისი დამატებითი მაგალითის დასახელება.

2. აუხსენით კლასს, რომ ქვეყნის კონსტიტუცია ეკონომიკური და პოლიტიკური დოკუმენტია. ერთად იმსჯელეთ სავარჯიშო 1-ში შერჩეული ციტატების შესახებ. იმაში დასარწმუნებლად, გაიგეს თუ არა მოსწავლეებმა თითოეულის მნიშვნელობა – სთხოვეთ ციტატების შინაარსის საკუთარი სიტყვებით გადმოცემა.
3. მსჯელობისა და შედეგების შეჯამებისათვის განიხილეთ სავარჯიშო 2. საბაზრო ეკონომიკის პრინციპების შესაბამისად კლასი ექვს ჯგუფად დაყავით. თითოეულმა ჯგუფმა უნდა იმსჯელოს კონსტიტუციის პირობებისა და საბაზრო ეკონომიკის ძირითადი პრინციპების შესაბამისობის შესახებ, რის შემდეგაც საერთო დასკვნა ჩამოაყალიბოს.
4. ჩამოწერეთ მოძებნილი შესაბამისობები დაფაზე; შეეცადეთ მოსწავლეები მსჯელობაში ჩართოთ და მათ საერთო დასკვნის ჩამოყალიბებისკენ უბიძგოთ. კიდევ ერთხელ გაუსვით ხაზი იდეას იმის შესახებ, რომ ქვეყნის ფუძემდებლების ვარაუდით კონსტიტუცია დაიცავდა და მხარს დაუჭერდა საბაზრო ეკონომიკას.
5. წაუკითხეთ მოსწავლეებს კონსიტუციის პრეამბულა. დაფაზე დაწერეთ ეს ფრაზა. ახსენით, როგორ გამოიყენებოდა იგი საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის დასაბუთებისათვის, მაგალითად, კანონი მინიმალური ხელფასის შესახებ, სოციალური დაცვა, უმუშევრობის კომპენსაცია, უსაფრთხოების წესების დაცვა.

**დასკვნა**

ერთად იმსჯელეთ, თუ როგორი ეკონომიკური როლი უნდა შეასრულოს სახელმწიფომ ჩვენს ქვეყანაში.

# 37-38. მთლიანი შიდა პროდუქტი და მთლიანი ეროვნული პროდუქტი

**მიზნები**

- ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების – მშპ-ისა და მეპ-ის არსის ახსნა;
- მშპ-სა და მეპ-ს შორის განსხვავების დადგენა;
- ნომინლური და რეალური მშპ-ის არსის გაგება.

**ცნებები**

- მშპ;
- მეპ;
- საბოლოო პროდუქტი;
- მომხმარებელთა ხარჯები;
- ბიზნეს-ფირმების ინვესტიციები;
- ნომინალური და რეალური მშპ.

**საჭირო დრო**

ერთი გაკვეთილი

**მასალები:**

- თვალსაჩინოება: საქართველოს მშპ;
- თვალსაჩინოება: საქართველოს მეპ;

- სავარჯიშო 1: გაითვალისწინება თუ არა ეს, როგორც მშპ-ის ნაწილი?
- სავარჯიშო 2: გაითვალისწინება თუ არა ეს მშპ-ში და თუ გაითვალისწინება, სად?

## გაკვეთილის მსვლელობა

### გამოწვევა

1. მოსწავლეებს სთხოვეთ გაიხსენონ ბოლო დროს მომხდარი ეკონომიკური სიახლეები და შეეცადონ მოკლედ აღწერონ ეკონომიკური ვითარება.
2. მოსწავლეებს უთხარით, რომ ახალი ამბები ხშირად გადმოსცემს სტატისტიკურ მონაცემებს ეკონომიკური ზრდის, ვარდნის, ინფლაციისა და უმუშევრობის შესახებ.

### მეთოდიკა

3. განმარტეთ, რომ ეკონომისტებმა აუცილებელია გაზომონ ეკონომიკაში საქონლისა და მომსახურების, შემოსავლებისა და ფასების რეალური დონეები.
4. დასვით შეკითხვა: რაიმე ნივთის ყიდვის დროს საჭიროა შემოსავლის გაანგარიშება? ეკონომისტებმა რომ მიიღონ ის რიცხვი, რომლის საფუძველზეც მათ შეეძლებათ გადაწყვეტილების მიღება ეკონომიკაში სასურველი საქონლისა და მომსახურების დონის, დასაქმების, შემოსავლებისა და ფასების შესახებ, აუცილებელია ჩაატარონ გარკვეული გაანგარიშებები. ეს გაკვეთილი ფოკუსირდება მხოლოდ საქონლისა და მომსახურების რეალურ მაჩვენებლებზე.
5. განიხილეთ თვალსაჩინოება – 1 საქართველოს მშპ და განმარტეთ: **საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) არის ერთი წლის განმავლობაში საქართველოს ფარგლებში, ქართული და უცხოური ფირმების მიერ წარმოებული ყველა საბოლოო მოხმარების საქონლისა და მომსახურების საბაზრო ღირებულებათა ჯამი.** ***მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) –*** ეკონომიკური ზრდის ძირითადი საზომია.
6. განმარტეთ საბოლოო პროდუქტი. მოსწავლეებს სთხოვეთ მაგალითების მოყვანა ტრადიციული პროდუქტების წარმოებიდან. ყურადღება გაამახვილეთ იმაზეც, რომ თუ ფირმა შუალედური მოხმარების საქონელს (ნედლეულს) ყიდულობს, ხოლო მისი გადამუშავების შემდეგ, მას ყიდის როგორც საბოლოო პროდუქტს, მშპ-ში და მეპ-ში შედის მხოლოდ დამატებითი ღირებულება.
7. მოსწვლეებს მორიგეობით წააკითხეთ რუბრიკა: ***რა შედის და რა არ შედის მშპ-ში.*** სთხოვეთ გამოთქვან მოსაზრებანი და მოიყვანონ მაგალითები. მოსწავლეებს შეახსნეთ **ტრანსფერტული გადასახდელების** ცნება (დახმარებები სოციალური უზრუნველყოფისათვის, უმუშევრობის კომპენსაცია, შემწეობები, პენსიები, სტიპენდიები და სხვ.)
8. მოსწავლეებს უთხარით, რომ **მთლიანი შიდა პროდუქტის გამოთვლა** სხვადასხვანაირად ხდება. აქ განხილულია მისი გამოთვლის ერთი გზა – ეს არის მშპ-ს გამოთვლა იმ დანახარჯების მიხედვით, რომელსაც ერთი წლის მანძილზე გაიღებენ ***მომხმარებლები*** *(სამომხმარებლო ხარჯების სახით საქონლისა და მომსახურების შესაძენად –* ***C*** *),* ***ბიზნეს-ფირმები*** *(ინვესტიციების სახით და მოიცავს ყველა ახალი კაპიტალური საქონლის, მშენებლობის, მივლინებების, ახალი მექანიზმების შეძენის დანახარჯებს, მარაგების რაოდენობაში მომხდარ ცვლილებებს –* ***I****),* ***სახელმწიფო*** *(სამთავრობო ხარჯების სახით, რომელიც აღნიშნავს სახელმწიფოს მიერ საქონლისა და მომსახურების შეძენას. აქ არ შედის ტრანსფერტული გადასახდელები –* ***G****). ამას ემატება* ***წმინდა ექსპორტი*** *–* $X_n$ *(ექსპორტს მინუს იმპორტი);*
9. ყოველივე ზემოთქმულის შეჯამებით ვიღებთ მშპ-ს გაანგარიშების ფორმულას: **მშპ** = **C + I + G +** $X_n$,, სადაც:

   **C** – არის მომხმარებელთა დანახარჯები საქონლისა და მომსახურების შესაძენად:

**I** – არის ბიზნეს-ფირმების მთლიანი კერძო შიდა ინვესტიციები და მოიცავს ყველა ახალი კაპიტალური საქონლის, მშენებლობის, მივლინებების, ახალი მექანიზმების შეძენის დანახარჯებს, მარაგების რაოდენობაში მომხდარ ცვლილებებს;
**G** – აღნიშნავს სახელმწიფოს მიერ საქონლისა და მომსახურების შეძენას (გარდა ტრანსფერტული გადასახდელებისა);
$X_n$ – აღნიშნავს წმინდა ექსპორტს (ექსპორტს მინუს იმპორტი).

10. ყურადღება გაამახვილეთ იმაზე, რომ ***ეკონომიკური კეთილდღეობის მაჩვენებელი არის რეალური მშპ ერთ სულ მოსახლეზე.*** იგი გაიანგარიშება რეალური მშპ-ისა და ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობის თანაფარდობით.

    1. შეაჯამეთ ზემოთქმული და კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვით შემდეგს:

ა) **მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ)** გამოსახულია ლარებში. შეუძლებელია ჩვენს ეკონომიკაში (მეურნეობაში) წარმოებული ყველა საქონლისა და მომსახურების მატერიალურად, საგნობრივად გამოსახვა. ამიტომ იკრიბება მათი ფასები, გამოსახული ლარებში. მაშასადამე, მშპ უდრის ფასი გამრავლებული რაოდენობაზე **(P×Q).** ყველა წარმოებული საბოლოო საქონელი და მომსახურება გამრავლებულია მათ ფასებზე და შემდეგ შეჯამებულია.

ბ) იანგარიშება მხოლოდ საბოლოო საქონლისა და მომსახურების ღირებულება, ხოლო ამ საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად საჭირო ხარჯები კი არა. წარმოების ხარჯები შესულია საბოლოო პროდუქციის მოცულობაში, ამიტომ მათი შეკრებით მიიღება **„ორმაგი აღრიცხვა".** მაგალითად, ეკონომისტები მშპ-ს გამოთვლისას ითვლიან მხოლოდ მზა პურის ღირებულებას და არა იმ ხორბლისა და ფქვილის ღირებულებას, რომელიც გამოიყენეს მის გამოსაცხობად.

გ) მშპ-ში შედის (იანგარიშება) მხოლოდ საქართველოს საზღვრებს შიგნით წარმოებული საქონელი და მომსახურება. თუ ქართული ფირმა საქონელს უცხოეთში აწარმოებს, მაშინ მშპ-ში ამ წარმოების შედეგი არ ჩაითვლება. ხოლო თუ ჩეხური ფირმა წამლებს საქართველოში აწარმოებს, მაშინ შედეგი საქართველოს მშპ-ში ჩაითვლება, რადგან საქონელი საქართველოში დამზადდა.

დ) ჩვეულებრივ, **მშპ გამოსახულია როგორც ხარჯების წლიური ღირებულება (C+I+G)**. მშპ, რომელიც გამოთვლილია როგორც მოცემული წლის მანძილზე წარმოების შედეგი და გამოისახება იმ წლის ფასებში, **არის ნომინალური მშპ.**

ე) რადგან წლიდან წლამდე ნომინალურ მშპ-ში ცვლილებები გამოწვეულია ფასების საშუალო დონეში ცვლილებებით, ეკონომისტები იძულებულნი არიან გამორიცხონ ფასის ცვლილების გავლენა, რათა განსაზღვრონ ცვლილებები შედეგის დონეში. თუ შედეგი იგივე დარჩება მაგრამ ფასები მოიმატებს, ისე გამოვა, თითქოს წარმოება გაიზარდა, რაც არ იქნება სწორი. მაშასადამე, ეკონომისტები და სტატისტიკოსები ეძებენ გზებს, თუ როგორ უნდა გამორიცხონ ფასის გავლენა და უკეთ აღრიცხონ ცვლილება "ნამდვილ" შედეგში. აქედანაა ტერმინი **რეალური მშპ.**

ვ) ეკონომიკაზე მსჯელობისას ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი არის მისი შესაძლებლობა – უზრუნველყოს სამუშაოთი და აწარმოოს საქონელი და მომსახურება. მაშასადამე, რეალურ მშპ-ში ზრდის ტენდენცია ძირითადად განიხილება როგორც კარგი ეკონომიკური საქმიანობის შედეგი, ხოლო კლება – როგორც ცუდი საქმიანობის შედეგი.

12. დაყავით მოსწავლეები მცირე ჯგუფებად და სთხოვეთ შეასრულონ **სავარჯიშო 1 – გაითვალისწინება თუ არა ეს, როგორც მშპ-ის ნაწილი? /პასუხებით/ ქვემოთჩამოთვლილთაგან, რომელი გაითვალისწინება, და რომელი არ გაითვალისწინება ამ წლის მშპ-ის გაანგარიშებისას? ახსენით თქვენი გადაწყვეტილება.**
    1. ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტისათვის გამოყოფილი სახელმწიფო სტიპენდია; ***(არა – ტრანსფერტული გადასახდელია)***

2. ფერმერის მიერ ახალი ტრაქტორის ყიდვა; ***(დიახ – ინვესტიციაა)***
3. წყალსადენის მუშის მიერ ნახმარი სატვირთო მანქანის ყიდვა; ***(არა – უკვე გამოყენებული საქონელია)***
4. მექანიკოსის მომსახურება, რომელიც საკუთარი ავტომობილის ძრავს შეაკეთებს; ***(არა – მოღვაწეობის არასაბაზრო სახეა)***
5. პენსია, რომელსაც სახელმწიფო ბებიას უხდის; ***(არა – ტრანსფერტული გადასახდელია)***
6. ფირმების მარაგების გადიდება; ***(დიახ – ინვესტიციაა)***
7. სახელმწიფოს მიერ სამხედრო არმიისათვის ახალი ტანკების შეძენა; ***(დიახ – სახელმწიფო ხარჯებია)***
8. შემოსავალი, რომელიც პარიკმახერმა თმის შეჭრისათვის მიიღო; ***(დიახ – მომსახურების გაწევაა)***
9. შემოსავალი, რომელიც აქციების გაყიდვის გზით კომპანია „კოკა-კოლამ მიიღო"; ***(არა – წმინდა ფინანსური საქმიანობაა)***

13. განმარტეთ: **საქართველოს მთლიანი ეროვნული პროდუქტი – მეპ-ი, არის ერთი წლის განმავლობაში საქართველოს მოქალაქეების საკუთრებაში მყოფი ფირმების მიერ წარმოებული ყველა საბოლოო მოხმარების საქონლისა და მომსახურების საბაზრო ღირებულებათა ჯამი.**

მეპ-ი მოიცავს იმ მოგებას, რომელსაც იღებენ საქართველოს მოქალაქეების საკუთრებაში მყოფი უცხოური კომპანიები და იმ შემოსავლებს, რომლებსაც იღებენ საზღვარგარეთ მომუშავე საქართველოს მოქალაქეები (უცხოური ფაქტორები).

მეპ-ში არ შედის ის მოგება, რომელსაც იღებენ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული უცხოელები მოქალაქეების საკუთრებაში მყოფი კომპანიები და ის შემოსავლები, რომლებსაც იღებენ საქართველოში მომუშავე უცხოელი მოქალაქეები **(უცხოური ფაქტორები)**.

დღეს-დღეობით მშპ-ი და მეპ-ი ოფიციალურად მიიღება შემდეგი გაანგარიშების დახმარებით:

***მთლიანი შიდა პროდუქტი***
**პლიუს:** უცხოური ფაქტორებიდან მიღებული შემოსავალი
**მინუს:** უცხოური ფაქტორების გასავლები
**უდრის**: ***მთლიანი ეროვნული პროდუქტი.***

14. დაყავით მოსწავლეები მცირე ჯგუფებად და სთხოვეთ შეასრულონ **სავარჯიშო 2.**

**სავარჯიშო 2: გაითვალისწინება თუ არა ეს, და თუ გაითვალისწინება, სად? /პასუხებით/**

**თითოეულ ქვემოთჩამოთვლილ პოზიციას მიანიჭეთ შესაბამისი ასოები:**

**C** საოჯახო მეურნეობათა (შინამეურნეობათა) მოხმარება;
**I** ინვესტიცია (კაპიტალის ფორმირება);
**G** სახელმწიფო მოხმარება;
**N** მშპ-ში არ გაითვალისწინება.

1. კინოში წასვლისათვის თქვენ 7 ლარი დახარჯეთ; ---**C**---
2. ოჯახმა სამშენებლო კომპანიას ბინის მშენებლობისათვის 20 000 ლარი გადაუხადა; -**I**--
3. ოჯახმა სამი წლის წინ აშენებულ სახლში 50 000 დოლარი გადაიხადა; ---**N**--
4. თქვენ ახალი პიჯაკისათვის მკერავს 50 ლარი გადაუხადეთ; ---**C**---
5. სახელმწიფომ გაზარდა თავდაცვის ხარჯები 1 მლნ. ლარით; --**G**---
6. სახელმწიფო პენსიონერს 100 ლარით დაეხმარა; ----**N**---

7. თქვენ კომპანია „ყაზბეგის" აქციები 1000 ლარად იყიდეთ; ---**N** ----
8. ფქვილის მწარმოებელი ფირმის მარაგი წლის ბოლოს 10 000 ლარით აჭარბებდა წლის დასაწყისში მარაგების ღირებულებას; ---**I**---
9. დიასახლისი ოჯახში საკმაოდ ბევრს მუშაობს; ---**N**----
10. საავტომობილო ფირმამ იყიდა რობოტები ავტომობილების საწარმოებლად; --**I**---
11. თქვენ იხდით 200 ლარს ბინის არენდისათვის; ---**C**--
12. კომპანია „ყაზბეგმა" ახალი ქარხანა ააშენა; ----**I**---
13. კომპანია „ლაღიძის წყლებმა" იყიდა კომპანია „კოკა-კოლას' აქციები; ----**N**---
14. თქვენმა ფირმამ ახალი „ტოიოტა" შეიძინა; ----**I**----
15. თქვენ კოლეჯში სწავლის საფასურს იხდით; --- **C**----

**15. კითხვები და დავალებები: მოსწავლეებს დაავალეთ წიგნში მოცემულ კითხვებს წერილობით უპასუხონ**

# 39. ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

**შესავალი (ძირითადი საკითხები)**

**მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ)** ქვეყნის ეკონომიკური შედეგის და შემოსავლების ძირითადი საზომია. ეს არის წლის განმავლობაში წარმოებული ყველა საბოლოო საქონლისა და მომსახურების მთლიანი საბაზრო ღირებულება, გამოხატული ლარებში (დოლარებში).

**უმუშევრობის დონე** არის იმ სამუშაო ძალის პროცენტული მაჩვენებელი, რომელსაც სურს და შეუძლია მუშაობა, ამჟამად არ აქვს სამუშაო და აქტიურად ეძებს მას. უმუშევრობა შეიძლება გამოწვეული იყოს სამუშაოს შეცვლის სურვილით, მოთხოვნის სეზონური რყევებით, ცვლილებებით იმ უნარ-ჩვევებში, რომლებიც მოეთხოვებათ მომუშავეებს ან ეროვნული დანახარჯების დონეში ციკლური რყევებით.

**სამომხმარებლო ფასების ინდექსი (სფი)** ფასების დონის ცვლილებების ყველაზე ხშირად გამოყენებული საზომია. მას იყენებენ ერთი წლის ფასების დონის შესადარებლად წინა ან მომდევნო პერიოდების ფასების დონესთან.

**ინფლაცია** უმრავლესი სახეობის საქონელსა და მომსახურებაზე ფასების ზრდაა, **დეფლაცია** კი ფასების დონის კლებაა.

**ინფლაციის დანახარჯები** განსხვავდება ადამიანების განსხვავებული ჯგუფებისათვის. მოულოდნელი ინფლაცია აზარალებს მათ, ვისაც დანაზოგები და ფიქსირებული შემოსავლები აქვთ. სამაგიეროდ ინფლაცია სარგებელს აძლევს იმ ადამიანებს, ვინც ფული ისესხა ფიქსირებული სარგებლის განაკვეთით.

**ეკონომიკური ზრდა** არის საზოგადოების მიერ საქონლისა და მომსახურების წარმოების მდგრადი ზრდა. ზრდა მიიღწევა ადამიანურ და ფიზიკურ კაპიტალში ინვესტიციების, კვლევებისა და განვითარების, ტექნოლოგიური ცვლილებების, მტკიცე ინსტიტუციური შეთანხმებების და გარკვეული სტიმულების შედეგად.

**მიზნები**

- მოვლენათა შორის ურთიერთკავშირის განსაზღვრისა და ლოგიკური მსჯელობის უნარის განვითარება

- საქართველოსა და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ეკონომიკური მონაცემების შედარებისა და ანალიზის უნარის განვითარება
- მოვლენათა შეფასების უნარის განვითარება

**საჭირო დრო**
ერთი გაკვეთილი

**მასალები**
- სავარჯიშო 1 – საქართველოს ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზი.
- სავარჯიშო 2 – ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები – საქართველოს მსგავსი ქვეყნები და ეკონომიკური კეთილდღეობა.

**ცნებები**
ნომინალური და რეალური მშპ;
სამომხმარებლო ფასების ინდექსი (სფი);
უმუშევრობის დონე;
ინფლაცია და დეფლაცია.

**გაკვეთილის მსვლელობა**

1. მოსწავლეებს ჰკითხეთ, როგორ არკვევენ ექიმები პაციენტების ჯანმრთელობის მდგომარეობას *(უსინჯავენ პულსს, უზომავენ წნევას, უღებენ რენტგენს, ან უკეთებენ სისხლის ანალიზებს).* აუხსენით მათ, რომ ეროვნული ეკონომიკის ჯანმრთელობა (ფუნქციონირების ეფექტიანობის ხარისხი) ასევე იზომება მრავალი გზით. სთხოვეთ მოსწავლეებს მოიყვანონ მაგალითები პრესიდან, ტელევიზიიდან და სხვა საინფორმციო საშუალებებიდან, რომლებიც შეიძლება აღნიშნავდეს იმას, თუ როგორ ფუნქციონირებს ეკონომიკა (*უმუშევრობის დონე, სამომხმარებლო ფასების ინდექსი, სარგებლის განაკვეთი და სხვ).*

2. ეკონომიკის შეფასებისას ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი არის მისი შესაძლებლობა, მოქალაქეები უზრუნველყოს სამუშაოთი და აწარმოოს საქონელი და მომსახურება.

3. განმარტეთ შემდეგი:

ა) **სამუშაო ძალა** მოიცავს 16 წლის ზემოთ ყველა ადამიანს, ვისაც აქვს სამუშაო, ან ვინც არაა დასაქმებული, მაგრამ აქტიურად ეძებდა სამუშაოს ბოლო 30 დღის განმავლობაში.

ბ) ზოგიერთი შესაძლოა არ მოხვდეს სამუშაო ძალაში სხვადასხვა მიზეზის გამო, როგორიცაა მაგალითად ასაკი, ავადმყოფობა, ან არჩევს დაკავებული იყოს საოჯახო საქმიანობით.

გ) არსებობს **უმუშევრობის სამი ძირითადი ტიპი**: 1) ზოგი უმუშევარია უბრალოდ იმიტომ, რომ სურს სამუშაოს შეცვლა. დროის ნებისმიერ პერიოდში მომუშავეთა ნაწილმა შეიძლება შეწყვიტოს ერთი სამუშაო მეორის მოძებნის სურვილის გამო. ასეთ უმუშევრობას **ფრიქციული უმუშევრობა** ეწოდება. ზოგიერთი მომუშავე, რომელიც დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში ან მშენებლობაზე, შეიძლება ზამთარში უმუშევარი დარჩეს. 2) ზოგი იმიტომაა უმუშევარი, რომის უნარ-ჩვევები იცვლება, რომლებსაც დამქირავებლები ითხოვენ მომუშავეებისაგან. ასეთ უმუშევრობას **სტრუქტურული უმუშევრობა** ეწოდება. მაგალითად, სხვადასხვა სამუშაოებში კომპიუტერის საყოველთაო გამოყენებამ სამუშაო დააკარგვინა იმათ, ვინც არ იცოდა კომპიუტერის მოხმარება. 3) ზოგიერთ პერიოდში უმუშევრობა იმატებს წარმოების, ხარჯვისა და შემოსავლის (რეალური მშპ) დონის ვარდნის გამო. ასეთ უმუშევრობას **ციკლური უმუშევრობა** ეწოდება. თუ ეკონომიკა დაცემას განიცდის და მომხმარებლები

შედარებით ნაკლებ საქონელსა და მომსახურებას ყიდულობენ, მაშინ ზოგი მომუშავე სამუშაოს დაკარგავს.

დ) მომუშავეთა უმეტესობა დამოკიდებულია სამუშაოს შემოსავალზე, რათა შეინარჩუნონ თავიანთი ეკონომიკური კეთილდღეობა. უმუშევრობის დაბალი დონე სასურველია, ხოლო მაღალი — არასასურველი. **სრული დასაქმებაა მაშინ, როდესაც ეკონომიკაში მხოლოდ ფრიქციული უმუშევრობაა.**

4. განმარტეთ **სამომხმარებლო ფასების ინდექსი (სფი)** და ხაზი გაუსვით შემდეგს:
   **ა) სამომხმარებლო ფასების ინდექსი (სფი) ზომავს სამომახმარებლო საქონელზე ფასების ცვლილებას.**
   ბ) ფასების საერთო დონის (საშუალო ფასები) მატებას **ინფლაცია** ეწოდება, ხოლო შემცირებას — **დეფლაცია.**
   გ) ინფლაციის პერიოდში ზოგიერთი ფასი მატულობს, ხოლო ზოგიერთი — პირიქით, **მაგრამ საშუალოდ – ფასები მატულობს.**
   დ) ინფლაცია და დეფლაცია არასასურველია იმიტომ, რომ ორივე შერჩევითად, უსისტემოდ ახდენს გავლენას ადამიანების მსყიდველობით უნარზე და დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად რთული ან ადვილია მათი შემოსავლის ცვლილების შეგუება ფასების დონის ცვლილებასთან. <u>ფიქსირებული შემოსავლების</u> მქონე ადამიანები აგებენ ინფლაციის დროს, რადგან ფასების მომატებისას მათი შემოსავლებით შედარებით ნაკლების ყიდვას შეძლებენ. <u>მსესხებლები ზ</u>არალდებიან დეფლაციის დროს, რადგან როდესაც ფასები ეცემა, ისინი იძულებულნი არიან ვალი გაისტუმრონ იმ ლარებით, რომელსაც უფრო მეტის შესყიდვა შეუძლია, ვიდრე იმას, რომელიც ისესხა.
5. მოსწავლეები დაყავით მცირე ჯგუფებად დ სთხოვეთ სავარჯიშო 1-ის შესრულება – **საქართველოს ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზი.** პრეზენტაციისათვის საჭირო დრო თითოეული ჯგუფისათვის – 3-5 წთ.
6. **საშინაო დავალება: სავარჯიშო 2 ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზი – საქართველოს მსგავსი ქვეყნები და ეკონომიკური კეთილდღეობა.**

**მეთოდიკა:**

ცხრილებში მოცემულია 3 ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებელი. მოსწავლეებს დაავალეთ გააანალიზონ და შეადარონ მაჩვენებლები წლების მიხედვით და მოცემული კითხვების მიხედვით გააკეთონ დასკვნები.

# 40. დავეძებ და ვერ ვპოულობ...

**შესავალი**

მომავლის იმედებს ადამიანების უმრავლესობა საკუთარ ან ოჯახის წევრების შრომით შემოსავალთან აკავშირებს. სამუშაოს დაკარგვა ასოცირდება ცხოვრების დონის შემცირებასთან, რასაც ხშირად გაჭირვება, შიმშილი, ნერვიულობა, ოჯახური კონფლიქტები და უიმედობა მოსდევს. რაც უფრო მეტი ადამიანია შრომით დაკავებული, მით მეტია ამ ქვეყნის მშპ.

**მიზანი**

- უმუშევრობის არსის და ტიპების (ფრიქციული, სტრუქტურული, სეზონური და ციკლური) განსაზღვრა;

- უმუშევრობის მიზეზების დადგენა;
- უმუშევრობის ეკონომიკური და მორალური შედეგების გაანალიზება;
- უმუშევრობის შესამცირებლად სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა;
- ქვეყანაში უმუშევრობის დონის გაანგარიშება;
- საქართველოში უმუშევრობის შესახებ სტატისტიკური მონაცმების შეგროვება და მონაცემების ანალიზზე მუშაობის, მონაცემების ინტერპრეტაციის უნარის განვითარება.

**ცნებები**
- უმუშევრობა;
- უმუშევრობის დონე;
- უმუშევრობის დაძლევის სახელმწიფო პროგრამები;
- ფრიქციული უმუშევრობა;
- სტრუქტურული უმუშევრობა;
- ციკლური უმუშევრობა;
- დასაქმება.

**საჭირო დრო**
ორი გაკვეთილი

**მასალები**
- სტატიტიკური მონაცემები საქართველოში უმუშევრობის დონის შესახებ.

**გაკვეთილის მსვლელობა**
1. გაკვეთილი მოსწავლეთა აზროვნების პროვოცირებით დაიწყეთ. შეეკითხეთ მათ, რა ასოციაცია გიჩნდებათ სიტყვა „უმუშევრობის" მიმართ?. მოსწავლეების ნაკარნახები სიტყვები კომენტარების გარეშე დაფაზე ჩამოწერეთ. სავარაუდოდ ესენი იქნება: გაჭირვება, შიმშილი, შიში, ავადმყოფობა, სამუშაოს ძებნა, მათხოვრობა, ლოთობა, ქურდობა, კონფლიქტები და სხვა. დაავალეთ მათ იმუშაონ ჯგუფებში და მიღებული ჩამონათვალი ორ ჯგუფად დაყონ: დადებითი და უარყობითი განწყობის გამომხატველ სიტყვებად. მოსწავლეები აღმოაჩენენ, რომ ყველა სიტყვა უარყოფითი ემოციის მატარებელია. სთხოვეთ ახსნან მიზეზი.
2. შემდეგ დაავალეთ ჩამონათვალიდან ცალ-ცალკე ამოწერონ უმუშევრობის ეკონომიკური და არამატერიალური შედეგები და გააკეთონ დასკვნა, როგორ გავლენას ახდენს უმუშევრობა ადამიანთა ცხოვრებაზე. პასუხების დროს დააკვირდით, როგორია უმუშევრობის პრობლემისადმი ცალკეულ მოსწავლეთა დამოკიდებულება. პასუხების მიხედვით მიხვდებით, რამდენად არიან ისინი ინფორმირებული საკითხის შესახებ ან რამდენად არის მათი ოჯახები დაკავშირებული უმუშევრობის პრობლემასთან. ეცადეთ, მოსწავლეთა ის ნაწილი, რომელთათვისაც ეს პრობლემა მტკივნეულია, იმედით განეწყონ, რომ უმუშევრობის პრობლემა დაძლევადია.

**რეკომენდაცია:** სიტუაციურ სავარჯიშოებზე ჯგუფურად ამუშავეთ, №1,2,3 სავარჯიშოებზე კი – ინდივიდუალურად.

**კითხვები მსჯელობისათვის**
1. **რა შეიძლება იყოს ადამიანის (ინდივიდის) უმუშევრობის მიზეზი?** *(სიზარმაცე, სამუშაოს არ არსებობა, მოთხოვნების შესაბამისი ცოდნის და უნარების არ ქონა, შესაფერისი სამუშაოს იმ რეგიონში არ არსებობა, დაბალი ანაზღაურება და სხვა).*
2. **რა შეიძლება იყოს ქვეყანაში მასობრივი უმუშევრობის მიზეზები?**

მეორე კითხვაზე პასუხის გაცემა მოსწავლეებს შედარებით უჭირთ, რადგან ის ქვეყნის ეკონომიკის დაღმავლობასთან (რეცესიასთან) არის დაკავშირებული: *(საწარმოების დახურვა, ომები, ქვეყნის პოლიტიკა, მაღალი გადასახადები, ბიზნესისათვის არასახარბიელო, არასტაბილური გარემო, რაც ინვესტიციებს აფერხებს და სხვა).*

3. ჯგუფებში ან წყვილებში განიხილეთ **სიტუაცია** 1.
   ზემოჩამოთვლილი ინდივიდებიდან, ვის შეიძლება ანიმ უწოდოს
   1. დასაქმებული: ***ნინო***
   2. უმუშევარი *გიორგი, ქეთი*
   3. სამუშაო ძალის გარეთ დარჩენილი *ეთერი*
   4. არასრულად დასაქმებული; *ლაშა, თამუნა*
   5. იმედდაკარგული მუშახელი: ქეთი
   6. ნებაყოფლობით უმუშევარი: ნანა

4. მოსწავლეებს უთხარით, რომ ზოგიერთი შესაძლოა სამუშაო ძალაში არ მოხვდეს სხვადასხვა მიზეზის გამო, როგორიცაა, მაგალითად, ასაკი, ავადმყოფობა, ან არჩევს დაკავებული იყოს ოჯახის საქმიანობით (მაგალითად, შვილების აღზრდით).
5. სთხოვეთ მოსწავლეებს ახსნან, რატომ მოახდინეს ასეთი განაწილება. შემდგომ ისინი ზემოთ ჩამოთვლილ თითოეულ ეკონომიკურ კონცეფციას განმარტავენ.
6. უმუშევრობის კონცეფციის ახსნისას ხაზი გაუსვით შემდეგს: (ეს ინფორმაცია მე-3 დავალების შესრულებისათვის ცხრილში განაწილდება)

   ა) **სამუშაო ძალა** მოიცავს 16 წლის ზემოთ ყველა ადამიანს, ვისაც აქვს სამუშაო, ან ვინც არაა დასაქმებული, მაგრამ აქტიურად ეძებდა სამუშაოს ბოლო 30 დღის განმავლობაში.

   **ბ) ფრიქციული უმუშევრობა,** ანუ მიმდინარე უმუშევრობა გარდაუვალი უმუშევრობაა. ის დაკავშირებულია შრომით მოწყობაში დროებით გართულებებთან – სამუშაოს ძებნასთან ან მოლოდინთან, სასწავლებლის დამთავრებასთან, საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან, სამუშაო პირობების გაუმჯობესებასთან

   **სეზონურია უმუშევრობა**, როცა ზოგიერთი მომუშავე, რომელიც სოფლის მეურნეობაში ან მშენებლობაზეა დასაქმებული, შეიძლება ზამთარში უმუშევარი დარჩეს. დროის გარკვეულ პერიოდში მომუშავეთა ნაწილმა შეწყვიტა ერთი სამუშაო, ამ დროს მათი ნაწილი მეორე სეზონური სამუშაოს ძებნას იწყებს.

   ზოგი ადამიანი იმიტომ რჩება უმუშევარი, რომ ის უნარ-ჩვევები რომლებსაც დამქირავებლები ითხოვენ მომუშავეებისაგან, დროთა განმავლობაში იცვლება, ასეთ უმუშევრობას **სტრუქტურული უმუშევრობა ეწოდება**. მაგალითად, სხვადასხვა სამუშაოებში კომპიუტერის საყოველთაო გამოყენებამ სამუშაო დააკარგვინა მათ, ვინც არ იცოდა კომპიუტერის მოხმარება.

   ზოგიერთ პერიოდში უმუშევრობა წარმოების, ხარჯვისა და შემოსავლის (რეალური მშპ) დონის ვარდნის გამო მატულობს. ასეთ უმუშევრობას **ციკლური უმუშევრობა** ეწოდება. თუ ეკონომიკა დაცემას განიცდის და მომხმარებლები შედარებით ნაკლებ მანქანას იყიდიან, საწარმოების ნაწილი დაიხურება და მანქანათმშენებლობის ინდუსტრიაში დაკავებული ბევრი მომუშავე სამუშაოს დაკარგავს.

   **გ)** მუშაკთა უმეტესობა დამოკიდებულია სამუშაოს შემოსავალზე, რათა შეინარჩუნონ თავიანთი ეკონომიკური კეთილდღეობა. უმუშევრობის დაბალი დონე სასურველია, ხოლო მაღალი — არასასურველი. **სრული დასაქმებაა მაშინ, როდესაც ეკონომიკაში მხოლოდ ფრიქციული უმუშევრობაა.**
7. სთხოვეთ მოსწავლეებს უმუშევრობის ტიპებთან დაკავშირებით, მოიყვანონ მაგალითები, რათა დარწმუნდეთ, რომ ეს კონცეფციები სწორად გაიგეს. წინასწარ

მოამზადეთ სტატისტიკური მონაცემები (გამოიყენეთ სახელმძღვანელოს ცხრილის მონაცემები) და მათზე დაყრდნობით გამოთვალეთ განვლილი წლის უმუშევრობის დონე საქართველოში, იაპონიასა და ჩინეთში. იმსჯელეთ განსხვავების მიზეზებზე.

**დავალება**

1. **რას უდრის უმუშევრობის დონე, თუ უმუშევართა მთლიანი რაოდენობაარის 120 000, ხოლო სამუშაო ძალა 4 800 000-ია.** *(25%).*

4. უმუშევრობის რომელ ტიპს მიეკუთვნებიან შემდეგი პიროვნებები.

*1)* **მაღალკვალიფიცირებული ბუღალტერი, სამუშაოს ტოვებს დირექტორთან უთანხმოების გამო და ეძებს სხვა ადგილს .** *(ფრიქციული).*

2) **სოფლიდან ქალაქში ჩამოსული გოგონა ეძებს დამლაგებლის ადგილს რესტორანში.** *(ფრიქციული)*

3) **მბეჭდავ-მემანქანეთა განყოფილებიდან ყველა გაანთავისუფლეს, ვინც კომპიუტერულ პროგრამებს ვერ ფლობდა. (*სტრუქტურული)***

*4)* **ეკონომიკური კრიზისის გამო ბევრი საწარმო დაიხურა და სპეციალისტები უმუშევრად დარჩნენ.** *(ციკლური)*

**მითითება:** საშინაო დავალების პასუხები განიხილეთ კლასში, ეს ახალ თემაზე გადასვლას გააადვილებს.

# 41. ესეც სახელმწიფოს პრობლემაა?

**შესავალი**

ეკონომიკის სტაბილიზაციის ფუნქციის ფარგლებში მთავრობა უმუშევრობის შემცირებას სხვადასხვა პროგრამებისა და პოლიტიკის გატარებით ცდილობს.

**მიზანი**

- მოსწავლეებში სახელმწიფოს როლის და ფუნქციების გააზრება უმუშევრობის თითოეული ტიპის დასაძლევად;
- ჰიპოთეზის გამოთქმის, ექსპერიმენტის ჩატარების, პრობლემის დასმისა და მისი გადაჭრის უნარის განვითარება.

**ცნებები**

- ბუნებრივი უმუშევრობა.

**საჭირო დრო**

ერთი გაკვეთილი.

**გაკვეთილის მსვლელობა**

**გაკვეთილი** მთავრობის ეკონომიკური ფუნქციების გახსენებით დაიწყეთ. მოსწავლეებს აახსნევინეთ, რამდენად მნიშვნელოვანია **ქვეყანაში უმუშევრობის დონის შემცირებაზე ზრუნვა და ვინ არის პასუხისმგებელი უმუშევრობის ზრდაზე?**

1. სთხოვეთ მოსწავლეებს დაუბრუნდნენ თემის პირველი გაკვეთილის დავალებას /უმუშევრობის სოციალური და ეკონომიკური შედეგების შესახებ/ და იმავე თემის საშინაო 4-ს, განსაზღვრონ სახელმწიფოს ის პოლიტიკა /პროგრამები/, რომლის გატარებასაც ურჩევენ ხელისუფლებას უმუშევრობის თითოეული ტიპის დასაძლევად. ჯგუფებში ჩამოწერონ თავიანთი რეკომენდაციები.

2. სთხოვეთ მოსწავლეებს განაზოგადონ, თუ რისი გაკეთება შეუძლია მთავრობას ფრიქციული, ციკლური და სტრუქტურული უმუშევრობის დასაძლევად. სავარაუდო მაგალითები, შესაძლებელია, იყოს:
3. მთავრობის ღონისძიებები **ფრიქციული** (მოკლევადიანი) უმუშევრობის დასაძლევად შემოიფარგლება განთავისუფლებული მუშაკებისათვის სხვა სამუშაოს მოძებნით. (მცირე დონის ფრიქციული უმუშევრობა გარდაუვალია, შრომის ბაზარზე ახალი მუშაკების გაჩენისა და ერთი სამუშაოდან მეორეზე გადასვლის გამო).
4. მთავრობის ღონისძიებები **ციკლური** უმუშევრობის გასამკლავებლად ხშირად მაკროეკონომიკურ პოლიტიკას ეყრდნობა:
5. ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა ეკონომიკის სტაბილიზაციისათვის, რეცესიის შესაჩერებლად და სამუშაო ადგილების გაზრდის ხელშესაწყობად გამოიყენება.
6. მთავრობის პოლიტიკა **სტრუქტურული** (გრძელვადიანი) უმუშევრობის გასამკლავებლად მიმართულია სამუშაოდან დათხოვნილი მუშაკების გადამზადებაზე და გაუქმების პირას მდგარ დარგებში დასაქმების ახალი შესაძლებლობების შექმნაზე.

7. მოსწავლეებს დაავალეთ, მათ მიერ უმუშევრობის შემცირებისათვის დასახული გზები და სავარჯიშოს პასუხები ერთმანეთს შეადარონ. აუცილებლად შეახსენეთ მათ, რომ უმუშევრობის სხვადასხვა სახესთან საბრძოლველად სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამის განხორციელებაა საჭირო. **ეს პროგრამები ცალკეული ქვეყნებისათვის შეიძლება განსხვავებული (სპეციფიკური) იყოს.**
8. **პოტენციური სამუშაო ძალის** ახსნისას განუმარტეთ, რომ **ინსტიტუციონალურ** დაწესებულებებში იგულისხმება თავისუფლების აღკვეთის ადგილები, სავალდებულო სამხედრო სამსახური, საავადმყოფოები და სანატორიუმები, მოხუცებულთა სახლები, უუნაროთა სახლები, ფსიქიატრიული დაწესებულებები.
9. **რეალური სამუშაო ძალის** გამოსათვლელად დასაქმებული ადამიანების რიცხვს უმატებენ უმუშევართა რაოდენობას.
10. ქვეყანაში **ფარული უმუშევრობაა,** თუ სასურველი სამუშაო ადგილების შეზღუდულობის გამო ადამიანი თანახმაა იმუშაოს არასრული დღე ან კვირა, ანდა შეასრულოს არასასურველი, მის კვალიფიკაციისათვის შეუფერებელი სამუშაო.

## კითხვები და დავალებები:

პირველ სვეტში ჩამოწერილ უმუშევრობის ტიპებს მეორე სვეტიდან შეუსაბამეთ, რომელი კონკრეტული ღონისძიებების გატარება შეუძლია მთავრობას უმუშევრობის დასაძლევად.

**ფრიქციული უმუშევრობა –**ინფორმაციის გავრცელება ვაკანსიების შესახებ, დასაქმების სამსახურის მომსახურების გააქტიურება, დასაქმების საზოგადოებრივი სამსახურის შექმნა.

**სტრუქტურული უმუშევრობა –**დასაქმების სამსახურის მომსახურების გააქტიურება, უმუშევართა უფასო გადამზადება.

**ციკლური უმუშევრობა –**სუბსიდიები ხელფასების გასაცემად, **ს**უბსიდიები საქმიანობის წამოსაწყებად, კრედიტები დასაქმების გადასახადისათვის, კანონი დასაქმების შესაძლებლობების, გამარტივების შესახებ, დასაქმების საზოგადოებრივი სამსახურის შექმნა.

# 42-43. ერთ პრობლემას მეორე მოსდევს. . . .

**შესავალი**
სამუშაო ძალის გამოუყენებლობა პირველ რიგში ეკონომიკური დანაკარგებით ანუ მშპ–ს შემცირებით გამოიხატება, რომელსაც თან სდევს მთელი რიგი როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური ნეგატიური შედეგები.

**მიზნები**
- მოვლენათა შორის ურთიერთკავშირის განსაზღვრისა და ლოგიკური მსჯელობის უნარის განვითარება;
- მოვლენათა შეფასების უნარის განვითარება;
- მოსწავლეები ახსნიან, როგორ იცვლება ადამიანების ცხოვრების დონე, უმუშევრად დარჩენის გამო;
- გაანალიზება, თუ რატომ არის დასაქმება მუშაკების კვალიფიკაციაზე, ასაკზე, გამოცდილებაზე, სიახლეებთან ადაპტაციის უნარსა და გადამზადების მზაობაზე დამოკიდებული.

**საჭირო დრო**
ორი გაკვეთილი.

**მასალები**
სავარჯიშო 1: ვითამაშოთ არჩევნები.

**გაკვეთილის მსვლელობა**
უმუშევრობის შესახებ **საკუთარი**, ცხოვრებისეული დაკვირვების შედეგები და **პირადი** დამოკიდებულებები მოსწავლეებმა თემის დასაწყისში დააფიქსირეს. სთხოვეთ მათ, ახლა უკვე შეძენილი ცოდნის საფუძველზე იმსჯელონ, უმუშევრობის უარყოფით ეკონომიკურ და სოციალურ შედეგებზე, როგორც თვით უმუშევრებისათვის და მათი ოჯახის წევრებისათვის, ისე მთელი საზოგადოებისა და ქვეყნისათვის. აამბობინეთ მათი ახლობლების შესახებ. მათი ნაამბობის (ერთი კონკრეტული სიტუაციის) ეკონომიკური და სოციალური შედეგები დაფაზე დააფიქსირეთ, განსაზღვრეთ საზოგადოებრივი ტენდენციები, მათი მიზეზები და მოსალოდნელი თანმდევი შედეგები.
მოსწავლეებმა იმაზეც უნდა იმსჯელონ, თუ რისი გაკეთება შეუძლია თითოეულ ადამიანსიმისათვის, რომ საკუთარი დასაქმება უზრუნველყოს, რა პირობებშია სამუშაოს ძიება გაადვილებული.

სასურველია მოსწავლეებმა დაიმახსოვრონ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სახელი – INTERNATIONAL LABOURER ORGANIZATION (ILO)

**სავარჯიშო 1: ვითამაშოთ არჩევნები**
ეს სავარჯიშო მთელი თემის შეჯამებაა. ის მოსწავლეებს დაეხმარება უკეთ გაიაზრონ, თუ რომელი საკითხების გადაჭრასთან და როგორ სირთულეებთან არის დაკავშირებული სახელმწიფოსათვის უმუშევრობის პრობლემის დაძლევა., რატომ უჭირთ პოლიტიკოსებს არჩევნებში გამარჯვების შემდეგ უმუშევრობის შემცირებისა და ახალი სამუშაო ადგილების გარანტიასთან დაკავშირებით დანაპირების შესრულება.

1. დაყავით კლასი არანაკლებ ოთხ ჯგუფად. თითოეულ ჯგუფს მიანიჭეთ ნომერი. ჯგუფი ირჩევს ლიდერს, რომელიც მოდელირებულ „საქართველოს მთავრობაში" მოსახვედრად იბრძოლებს.

2. ჯგუფის დანარჩენი წევრები მას დაეხმარებიან „საქართველოში უმუშევრობის დაძლევის პროგრამა" მოამზადოს, რომლის პრეზენტაციასაც კლასის წინაშე მოახდენს. გამარჯვებული კანდიდატი მოდელირებულ „მთავრობაში" მოხვდება.
3. უმუშევრობის დაძლევის პროგრამა /არანაკლებ შვიდპუნქტიანი/, იმ თანმიმდევრული ღონისძიებების ჩამონათვალი უნდა იყოს, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს ადამიანების დასაქმების მნიშვნელოვან ზრდას. პროგრამას თან უნდა ახლდეს ლოზუნგი. პროგრამაში არ უნდა მოხვდეს წინადადება „სამუშაო ადგილების შესაქმნელად გავხსნი ბევრ ახალ საწარმოს." მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ რომ ეს პოლიტიკოსების პრეროგატივა არ არის და მათ მხოლოდ დასაქმების ხელშემწყობი გადაწყვეტილებების დაგეგმვა და რეალიზაცია ევალებათ.
4. ჯგუფების მიერ წარმოდგენილი თითოეული პროგრამა დაფაზე განათავსეთ და ერთი კვირის განმავლობაში დატოვეთ. მოსწავლეებს საშუალება მიეცით მასში კორექტივები შეიტანონ, შემდეგ კი წარუდგინონ მოწვეულ სტუმრებს და მშობლებს, რომლებიც ფარული კენჭისყრით ხმას მისცემენ და საუკეთესოს გამოავლენენ.

# 44-45. ინფლაცია

## შესავალი

ფასების საერთო დონის (საშუალო ფასები) მატებას **ინფლაცია**, ხოლო შემცირებას, **დეფლაცია** ეწოდება. ინფლაციის პერიოდში ზოგიერთი პროდუქტის ფასი მატულობს, ხოლო ზოგიერთის — კლებულობს ან უცვლელი რჩება, მაგრამ საშუალო ფასების დონე მატულობს. ინფლაცია და დეფლაცია არასასურველია საზოგადოებისათვის იმიტომ, რომ ორივე უსისტემოდ, სხვადასხვა გზით ახდენს ადამიანის მსყიდველობით უნარზე გავლენას. ადამიანების რეაგირება ამ პროცესებზე, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ძნელი ან ადვილია მათი შემოსავლის ცვლილების შეგუება ფასების დონის ცვლილებასთან.

**ფიქსირებული შემოსავლების** მქონე ადამიანები აგებენ ინფლაციის დროს, რადგან ფასების მომატებისას მათი შემოსავლებით შედარებით ნაკლების ყიდვას შეძლებენ.

**მსესხებლები** ზარალდებიან დეფლაციის დროს, რადგან როდესაც ფასები ეცემა, ისინი იძულებულნი არიან ვალი გაისტუმრონ იმ თანხით, რომელსაც უფრო მეტის შესყიდვა შეუძლია, ვიდრე იმას, რომელიც ისესხა.

## მიზნები

- ინფლაციის მიზეზების გამოკვლევა და შედეგების შეფასება;
- ეროვნული ბანკის ფუნქციების გაცნობა;
- იმ თანამიმდევრული ღონისძიებების განსაზღვრა, რომლითაც შეიძლება ინფლაციის, უმუშევრობის და სხვა ურთიერთდაკავშირებული სოციალური სიდუხჭირის „განკურნება";
- მოსწავლეებში ანალიზის უნარის განვითარება.

## ცნებები

- ინფლაცია;
- დეფლაცია;
- ეროვნული ბანკი.

## საჭირო დრო

სამი გაკვეთილი.

## მასალები

- ბარათები –ეკონოლარები;
- კონვერტები;
- ორი შეკვრა ტკბილეული;
- სახელმძღვანელო.

# გაკვეთილის მსვლელობა

### სავარჯიშო 43.1 ვითამაშოთ აუქციონი

კლასის აუქციონზე გასაყიდად **უნიკალური ტკბილეულის** შეკვრა გამოიტანეთ. აუქციონისთვის ერთადერთი მისაღები „კუპიურა" თქვენს მიერ დარიგებული **ეკონოლარები** იქნება. თითოეულ მოსწავლეს კუპიურების თითო კონვერტი შეხვდება, რომელშიც ერთი, ორი ან სამი ეკონოლარი აღმოჩნდება

1. აუქციონი ყველა წესის დაცვით ჩაატარეთ. უნიკალური ტკბილეულის საწყისი ფასი 2 ეკონოლარია. პირველი კოლოფის გაყიდვის შემდეგ აუქციონზე დადგენილი საბოლოო ფასი და კანფეტის შეკვრის შემადგენელი ერთეულების რაოდენობა დაფაზე დააფიქსირეთ.
2. II რაუნდში კიდევ ერთხელ დაარიგეთ „ფულიანი"კონვერტები, რომელშიც 3-ჯერ მეტი ეკონოლარებია და აუქციონზე გასაყიდად ტკბილეულობის მეორე შეკვრა გამოიტანეთ. ამ შეკვრაშიც ზუსტად იგივე რაოდენობის და სახის კანფეტები უნდა იყოს, რაც პირველ შეკვრაში. საწყისი ფასიც იგივე დაადეთ. აუქციონი გაგრძელეთ მანამ, სანამ მოსწავლეები თანხის გაერთიანებას არ მოიფიქრებენ. ამით ფასი კიდევ უფრო მატად მოიმატებს. **გამარჯვებული ფა**და შეკვრის შემადგენელი კანფეტების რაოდენობა პირველი აუქციონის მსგავსი ინფორმაციის ქვეშ დაწერეთ.
3. იმსჯელეთ, როგორ გაზარდა კანფეტების ფასი II რაუნდში მოსწავლეებისათვის მეტი ფულის მიცემამ. აღნიშნეთ, რომ უბრალოდ ფულის დაბეჭდვა ან ეკონომიკაში მეტი ფულის ჩადება არ იძლევა საქონლისა და მომსახურების, წარმოებისა და მოხმარების დონის ზრდის გარანტიას. ინფლაციას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ეკონომიკაში ფულის რაოდენობა გაცილებით სწრაფად იზრდება, ვიდრე ქვეყანაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების დონე. აუქციონში მონაწილეობის შემდეგ მოსწავლეებმა უნდა გაიაზრონ, რატომ იწვევს ფულის მიწოდების ზრდა ინფლაციას.
4. შემდეგ სხვადასხვა ქვეყანაში ფულის მიწოდების ზრდის დონესა და ინფლაციას შორის კავშირის შესახებ მონაცემებს განიხილავენ. ეს წინ უძღვის ცენტრალურ ბანკსა და მონეტარულ პოლიტიკაზე დისკუსიას.
5. საბოლოოდ მოსწავლეები აგებენ დიაგრამას, რათა გამოიკვლიონ კავშირი სხვადასხვა ქვეყანაში ცენტრალური ბანკის პოლიტიკურ დამოუკიდებლობასა და ინფლაციის ისტორიულ მონაცემებს შორის.
6. ქვემოთ მოცემულია ბარათები აუქციონისათვის. ისინი გაამრავლეთ, დაჭერით და
7. კონვერტებში მოათავსეთ.

# 47-78. ეკონომიკური ზრდა თუ ეკონომიკური განვითარება?

**შესავალი**

**ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს რაოდენობით გამოხატული ეკონომიკური კეთილდღეობასხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარია.** მსოფლიოს მდიდარ ქვეყნებში ადამიანების საშუალო შემოსავალი ღარიბეს ქვეყნებთან შედარებით რამოდენიმე ათეულჯერ მეტია. **ქვეყნაში წარმოების შესაძლებლობის ზრდას ხანგრძლივი დროის განმავლობაში (წლიდან წლამდე) ეკონომისტები ეკონომიკურ ზრდას უწოდებენ.**

**ეკონომიკური ზრდა ეკონომიკური ეფექტიანობისა და სრული დასაქმების გარეშე** შეუძლებელია. თუ ქვეყანაში შეზღუდული რესურსების მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური მოგების მიღებაა შესაძლებელი, მაშინ ეკონომიკა ეფექტიანად ფუნქციონირებს. ეკონომიკური აღმავლობა ახალი ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობასა და შრომის ორგანიზებაზეა დამოკიდებული. ამიტომ, ეკონომიკურ ზრდაზე განვითარებულ ქვეყნებთან მიმართებაში საუბრობენ. ისეთ ქვეყნებში, სადაც წარმოების ზრდის ტემპი მოსახლეობის ზრდის ტემპს ჩამორჩება, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის სიდიდის შემცირება ხდება. ასეთ ქვეყნებში **ეკონომიკური ზრდა არ შეიმჩნევა**. ისინი ცუდი სოციალურ-ეკონომიკური პირობებით, უმუშევრობის მაღალი დონით, სიღატაკით გამოირჩევიან. განუვითარებელი ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის აღსაწერად **ეკონომიკური განვითარების** ცნება გამოიყენება.

**მიზნები**

- დაეხმაროს მოსწავლეს ქვეყნაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები და სოციალური შედეგები ერთ მთლიანობაში აღიქვას.
- გააცნოს მოსწავლეებს ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები და ეკონომიკური ზრდის სტიმულირების სახელმწიფო პროგრამები.
- დაეხმაროს მოსწავლეებს ინფორმაციაზე მუშაობის, კავშირებისა და მიმართებების დადგენისა და შეფასების უნარის გამომუშავებაში.

**ცნებები**

- ეკონომიკური განვითარება;
- ეკონომიკური ზრდა;
- ინფრასტრუქტურა;
- ურბანიზაცია.

**მასალები**

- სახელმძღვანელო;
- დიდი ქაღალდი, რამოდენიმე კალამი.

**გაკვეთილის აღწერა**

მოსწავლეები გაიაზრებენ ეკონომიკური განვითარებისა და ზრდის პირობებს. მონაცემების ანალიზის საფუძველზე შეაფასებენ საქართველოს ეკონომიკური განვითარების პროცესებს, მონაწილეობას მიიღებენ დისკუსიაში, იმსჯელებენ ადამიანების ეკონომიურ კეთილდღეობასა და ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას შორის ურთიერთდამოკიდებულებაზე.

**საჭირო დრო**

ორი გაკვეთილი

**გაკვეთილის მსვლელობა**

1. ესაუბრეთ მოსწავლეებს ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებას შორის განსხვავებებზე;
2. ამუშავეთ ცხრილის მონაცემებზე;
3. განიხილეთ„საქართველოს მთავრობის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები'' 2007-2011 წლებში. კლასთან ერთად იმსჯელეთ საქართველოს განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების განხორციელების შესახებ. განსაზღვრეთ, რას მიიღებს ქვეყანა რეფორმის განხორციელების შედეგად? როგორ აისახება რეფორმა თითოეული მოქალაქის ცხოვრებაზე?
4. მოაწყეთ დისკუსია: რომელი განცხადება შეგვიძლია გავაკეთოთ:
   **ა. საქართველო ეკონომიკური განვითარების გზას ადგას თუ**
   **ბ. აქტიური ეკონომიკური ზრდის პროცესშია?**

**ინსტრუქციები დისკუსიისათვის:**

დისკუსია იმ შემთხვევაში შედგება და მიღწეული იქნება შედეგი, თუ მოსწავლეები საქართველოს ეკონომიკის შესახებ არგუმენტირებულ მსჯელობას შეძლებენ და ეკონომიკის ზრდა-განვითარების პროცესს შეაფასებენ.

თუ კლასის შესაძლებლობები საშუალებას გაძლევთ, მოცემულ საკითხებზე მარტივი დისკუსიის ნაცვლად დებატები მოაწყეთ. ასეთ შემთხვევაში მომდევნო გაკვეთილისათვის გამოსვლები წინასწარ უნდა დაგეგმოთ, რათა დებატებში მონაწილეები საფუძვლიანად მოემზადონ.

1. დიკუსიისათვის (დებატებისათვის) წინასწარ მოამზადეთ ორი ფირნიში წარწერით
   ა) „ვეთანხმები, საქართველო ეკონომიკური განვითარების გზას ადგას!''
   ბ) „ვეთანხმები, საქართველო აქტიური ეკონომიკური ზრდის პროცესშია!''
2. გააცანით მოსწავლეებს დისკუსიის თემა. უთხარით, რომ დისკუსიის შეფასების კრიტერიუმებად დისკუსიის წესების დაცვის სიზუსტესა და არგუმენტების დამაჯერებლობას გამოიყენებთ.
3. მოსწავლეებს მიუთითეთ კედლის ორივე ბოლოში განთავსებულ ფირნიშებზე და სთხოვეთ განლაგდნენ იმ წარწერასთან, რომელსაც ეთანხმებიან.
4. მიეცით 10 წუთი, რომ გონებრივი იერიშის მეთოდით არგუმენტები ჩამოწერონ და ჯგუფის „სპიკერის'' ასარჩევად შეთანხმდნენ.
5. ორივე სპიკერს 3-3 წთ მიეცით ჯგუფთან შეთანხმებული არგუმენტების წარმოსადგენად. ყველამ ჩუმად უნდა უსმინოს. ამ დროის გასვლის შემდეგ „მხარდამჭერებს'' შეუძლიათ აზრი შეიცვალონ და ოპოზიციური ჯგუფის მხარეს გადავიდნენ, თუ მათი არგუმენტები უფრო დამაჯერებელად მიიჩნიეს.
6. დაფაზე დააფიქსირეთ, რომელმა "სპიკერმა" რამდენი ოპოზიციონერი გადაიბირა.
7. ორივე ჯგუფს მიეცით 6 წთ აქტიური (კონტრარგუმენტებით) ჯგუფური პაექრობისათვის და ისევ დაფაზე დააფიქსირეთ, რამდენმა მონაწილემ გადაინაცვლა ოპოზიციურ ჯგუფში ამ ეტაპის შემდეგ.

**ინსტრუქცია ანალიზისა და შეფასებისათვის**

- სთხოვეთ იმ მოსწავლეებს, რომლებმაც დისკუსიის დროს შეიცვალეს პოზიციები, დაასახელონ თითო არგუმენტი, რის გამოც ასე მოიქცნენ.
- გამოაცხადეთ, რომ სპიკერებს ყველა „გადაბირებული'' მხარდამჭერისათვის 2 ქულა დაემატებათ, „ დაკარგულისათვის'' კი 2 ქულა დააკლდებათ. მაქსიმალური შეფასება 10 ქულაა, მინიმალური – 1. შეაფასეთ ჯგუფურ დისკუსიაში აქტიური მონაწილეებიც.

- გაკვეთილის დასასრულს მიეცით დავალება, მომდევნო გაკვეთილისათვის დისკუსიის ერთგვერდიანი ანგარიში მოამზადონ, სადაც მიუთითებენ დისკუსიის ჩატარების თარიღს, თემას, შედეგებს, გააკეთებენ დასკვნას.
- დაავალეთ, დაწერონ თხზულება საქართველოს მომავალზე, რომელშიც აღწერენ, როგორ წარმოუდგენიათ ტექსტში აღნიშნული რეფორმების განხორციელდების შემდეგ საქართველო.

8. გაკვეთილის პროცესში გამოიყენეთ მოსწავლის წიგნში მოცემული კითხვები და დავალებები.

# თავი X: საერთაშორისო ურთიერთობები და ეკონომიკური განვითარება

# 51. საქართველოს ეკონომიკა

**მიზნები**

- საქართველოს ბუნებრივი რესურსების გაანალიზების საფუძველზე ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის შეფასება;
- საკითხავი მასალის გამოყენების საფუძველზე პროექტის მომზადება;
- სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, მონაცემების ინტერპრეტაციის უნარის განვითარება.

**საჭირო დრო**

ორი გაკვეთილი

**მასალები:**

- საკითხავი მასალა – საქართველოს ბუნებრივი რესურსები (მოსწავლის წიგნი)
- სავარჯიშო 1 – რა ვიცით ჩვენი ქვეყნის შესახებ?
- საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი - ეკონომიკური საქმიანობის სახეები (მასწავლებლის წიგნი)

♦ **ინტერნეტ-რესურსები:**

1. www.parliament.ge – საქართველოს პარლამენტი;
2. www.civil.ge/geo _საქართველოს გაეროს ასოციაცია – ინტერნეტ-ჟურნალი;
3. www.president.gov.ge _ საქართველოს პრეზიდენტი;
4. http://www.geplac.org _ ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი;
5. http://www.economy.gov.ge _ ეკონომიკური განვითარების სამინისტრო;
6. www geo.statist.ge – სტატისტიკის ეროვნული სამსახური;
7. www.newsgeorgia.ge _ახალი ამბები. საინფორმაციო სააგენტო, საქართველო;
8. http://moe.caucasus.net _ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო;

9. www.ncsa.ge _ გლობალური გარემოს დაცვის მიზნით ქვეყნის შესაძლებლობათა გაძლიერების საჭიროების თვითშეფასება;
10. www.climatechange.telenet.ge – გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო; კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი.

## მეთოდიკა

1. განიხილეთ სქემა: საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულები. ჩამოთვალეთ 12 რეგიონის სახელწოდება. განიხილეთ მათი გეოგრაფიული მდებარეობა.
2. განიხილეთ საქართველოს ადგილი მსოფლიო თანამეგობრობაში. მოსწავლეებს ჰკითხეთ, ხომ არ აქვთ დამატებითი ინფორმაცია ამის შესახებ?
3. საკითხავი მასალა დაყავით თანაბარ ნაწილებად.
4. მოსწავლეებს დაავალეთ **სავარჯიშო – რა ვიცით ჩვენი ქვეყნის შესახებ?**
5. მოსწავლეები დაყავით მცირე ჯგუფებად. ჯგუფის თითოეულ მოსწავლეს დაავალეთ 10 წუთის მანძილზე მათ მირ რჩეული საკითხავი მასალის ერთი ნაწილის წაკითხვა.
6. როდესაც საკმარისი დრო გავა, მოსწავლეებს მიეცით უფლება ერთმანეთს გაუზიარონ წაკითხული მასალის შინაარსი. ყოველი მოსწავლე ვალდებულია ჯგუფის დანარჩენ წევრებს უამბოს მის მიერ წაკითხული მასალის შინაარსი. ხშირ შემთხვევაში, ურთიერთსწავლების საშუალებით მოსწავლეები გულისყურით უსმენენ ერთმანეთს. ურთიერთსწავლებისათვის საკმარისია 10-15 წუთი. მოსწავლეებმა უნდა დაახასიათონ მათ მიერ არჩეული საქართველოს ბუნებრივი რესურსები, მოიშველიონ საქართველოს გეოგრაფიიდან და ისტორიიდან ცოდნა და გააკეთონ პატარა ჩანახატი. სამუშაოს დასრულების შემდეგ თითოეული ჯგუფი უნდა წარსდგეს პრეზენტაციაზე.
7. მიეცით გაკვეთილის ბოლოს მოცემული დავალებები. შესაძლოა მოსწავლეებს გაუჭირდეთ მე-5 და მე-6 დავალების შესრულება. მოსწავლეებს უთხარით, რომ მომავალში მათ მოუწევთ პროექტზე მუშაობა, სადაც საჭირო იქნება ამ საკითხების სიღრმისეული კვლევა.
8. სთხოვეთ მოსწავლეებს დაწერონ ესე თემაზე: **ვართ თუ არა მდიდრები?**
9. დანართის სახით თქვენ გეძლევათ საქართველოში არსებული ეკონომიკური საქმიანობის სახეები, რომელიც ჩამოყალიბებული და განსაზღვრულია **საქართველოს ეროვნულ კლასიფიკატორში.**

## საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი

### ეკონომიკური საქმიანობის სახეები

| | |
|---|---|
| *სექცია* **A** | სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა |
| განყოფილება 01 | **სოფლის მეურნეობა, ნადირობა და ამ სფეროში მომსა-ხურების გაწევა.** |
| განყოფილება 02 | სატყეო მეურნეობა და ამ სფეროში მომსახურების გაწევა. |
| *სექცია* **B** | **თევზჭერა, მეთევზეობა** |

| | |
|---|---|
| განყოფილება 05 | *თევზჭერა, მეთევზეობა და ამ სფეროში მომსახურების გაწევა* |
| ***სექცია C*** | ***სამთომოპოვებითი მრეწველობა.*** |
| ქვესექცია **CA** | სათბობ-ენერგეტიკული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება. |
| განყოფილება 10 | ნახშირის, ლიგნიტისა და ტორფის მოპოვება. |
| განყოფილება 11 | ნედლი ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოპოვება; ამ სფეროში მომსახურების გაწევა. |
| განყოფილება 12 | ურანისა და თორიუმის მადნების მოპოვება. |
| ქვესექცია **CB** | სამთომოპოვებითი მრეწველობა, სათბობენერგეტიკული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების გარდა. |
| განყოფილება 13 | ლითონის მადნების მოპოვება. |
| განყოფილება 14 | სამთომოპოვებითი მრეწველობის სხვა დარგები. |
| ***სექცია D*** | ***დამამუშავებელი მრეწველობა.*** |
| ქვესექცია **DA** | საკვები პროდუქტებისა (სასმელების ჩათვლით) და თამბაქოს წარმოება. |
| განყოფილება 15 | საკვები პროდუქტების წარმოება, სასმელების ჩათვლით |
| განყოფილება 16 | *თამბაქოს წარმოება.* |
| ქვესექცია **DB** | ტექსტილისა და ტექსტილის ნაწარმის წარმოება. |
| განყოფილება 17 | ტექსტილის წარმოება. |
| განყოფილება 18 | ტანსაცმლის წარმოება; ბეწვის გამოყვანა და ღებვა. |
| ქვესექცია **DC** | ტყავის, ტყავის ნაწარმისა და ფეხსაცმლის წარმოება. |
| განყოფილება 19 | ტყავის, ტყავის ნაწარმისა და ფეხსაცმლის წარმოება. |
| ქვესექცია **DD** | ხე-ტყის დამუშავება და ხის ნაწარმის წარმოება |
| განყოფილება 20 | ხე-ტყის დამუშავება და მერქნის, ხისა და კორპის ნაწარმის წარმოება, ავეჯის გარდა. |

| | |
|---|---|
| ქვესექცია **DE** | ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა; საგამომცემლო საქმიანობა. |
| განყოფილება 21 | ქაღალდის მასის, ქაღალდის, მუყაოსა და მათი ნაკეთობების წარმოება. |
| განყოფილება 22 | საგამომცემლო და პოლიგრაფიული საქმიანობა, ჩაწერი-ლი ინფორმაციის მატარებლების ტირაჟირება. |
| ქვესექცია **DF** | კოქსის, ნავთობპროდუქტებისა და ბირთვული მასალების წარმოება. |
| განყოფილება 23 | კოქსის, ნავთობპროდუქტებისა და ბირთვული მასალების წარმოება. |
| ქვესექცია **DG** | ქიმიური წარმოება. |
| განყოფილება 24 | ქიმიური წარმოება. |
| ქვესექცია **DH** | რეზინისა და პლასტმასის ნაწარმის წარმოება. |
| განყოფილება 25 | რეზინისა და პლასტმასის ნაწარმის წარმოება. |
| ქვესექცია **DI** | დანარჩენი არალითონური მინერალური ნაკეთობების წარმოება. |
| განყოფილება 26 | დანარჩენი არალითონური მინერალური ნაკეთობების წარმოება. |
| ქვესექცია **DJ** | მეტალურგიული მრეწველობა და ლითონის მზა ნაწარ-მის წარმოება. |
| განყოფილება 27 | მეტალურგიული მრეწველობა. |
| განყოფილება 28 | ლითონის მზა ნაწარმის წარმოება. |
| ქვესექცია **DK** | მანქანებისა და მოწყობილობების წარმოება. |
| განყოფილება 29 | მანქანებისა და მოწყობილობების წარმოება. |
| ქვესექცია **DL** | ელექტრომოწყობილობების, ელექტრონული და ოპტიკუ-რი მოწყობილობების წარმოება. |
| განყოფილება 30 | საოფისე მოწყობილობებისა და გამოთვლითი ტექნიკის წარმოება. |
| განყოფილება 31 | ელექტრული მანქანებისა და ელექტრომოწყობილობების წარმოება. |
| განყოფილება 32 | აპარატურის წარმოება რადიოს, ტელევიზიისა და კავშირგაბმულობისათვის. |

| | |
|---|---|
| განყოფილება 33 | სამედიცინო ტექნიკის ნაწარმის, საზომი საშუალებების, ოპტიკური ხელსაწყოებისა და აპარატურის, საათების წარმოება. |
| ქვესექცია **DM** | სატრანსპორტო საშუალებებისა და მოწყობილობების წარმოება. |
| განყოფილება 34 | ავტომობილების, მისაბმელებისა და ნახევარმისაბმელე-ბის წარმოება. |
| განყოფილება 35 | სხვა სატრანსპორტო საშუალებების წარმოება. |
| ქვესექცია **DN** | მრეწველობის სხვა დარგები. |
| განყოფილება 36 | ავეჯისა და სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი დანარჩენი პროდუქციის წარმოება. |
| განყოფილება 37 | მეორადი ნედლეულის გადამუშავება. |
| ***სექცია E*** | ***ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და გა-ნაწილება*** |
| განყოფილება 40 | ელექტროენერგიის, აირის, ორთქლისა და ცხელი წყლის წარმოება და განაწილება. |
| განყოფილება 41 | წყლის დაგროვება, გაწმენდა და განაწილება. |
| ***სექცია F*** | ***მშენებლობა.*** |
| განყოფილება 45 | მშენებლობა. |
| ***სექცია G*** | ***ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი.*** |
| განყოფილება 50 | ავტომობილებითა და მოტოციკლებით ვაჭრობა, მათი ტექნიკური მომსახურება და რემონტი. |
| განყოფილება 51 | საბითუმო ვაჭრობა და ვაჭრობა აგენტების საშუალებით, ავტომობილებითა და მოტოციკლებით ვაჭრობის გარდა |
| განყოფილება 52 | საცალო ვაჭრობა, ავტომობილებითა და მოტოციკლებით ვაჭრობის გარდა; საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირა-დი მოხმარბის საგნების რემონტი. |
| ***სექცია H*** | ***სასტუმროები და რესტორნები*** |
| განყოფილება 55 | სასტუმროებისა და რესტორნების მომსახურება. |
| ***სექცია I*** | ***ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა*** |
| განყოფილება 60 | სახმელეთო ტრანსპორტი. |

| | |
|---|---|
| განყოფილება 61 | წყლის ტრანსპორტი. |
| განყოფილება 62 | საჰაერო ტრანსპორტი. |
| განყოფილება 63 | დამხმარე და დამატებითი სატრანსპორტო საქმიანობა. |
| განყოფილება 64 | კავშირგაბმულობა |
| *სექცია J* | *საფინანსო საქმიანობა* |
| განყოფილება 65 | საფინანსო შუამავლობა. |
| განყოფილება 66 | დაზღვევა და საპენსიო უზრუნველყოფა, სავალდებულო სოციალური უზრუნველყოფის გარდა. |
| განყოფილება 67 | დამხმარე საქმიანობა საფინანსო შუამავლობისა და დაზღვევის სფეროში. |
| *სექცია K* | *ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა* |
| განყოფილება 70 | ოპერაციები უძრავი ქონებით. |
| განყოფილება 71 | მანქანებისა და მოწყობილობების იჯარა, ოპერატორის გარეშე, და საყოფაცხოვრებო ნივთებისა და პირადი მოხმარების საგნების გაქირავება. |
| განყოფილება 72 | კომპიუტერებთან დაკავშირებული საქმიანობა. |
| განყოფილება 73 | კვლევები და დამუშავებები. |
| განყოფილება 74 | მომხმარებელზე გაწეული მომსახურების სხვა სახეები. |
| *სექცია L* | *სახელმწიფო მმართველობა* |
| განყოფილება 75 | სახელმწიფო მმართველობა. |
| *სექცია M* | *განათლება.* |
| განყოფილება 80 | განათლება. |
| *სექცია N* | *ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება.* |
| განყოფილება 85 | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება. |

| | | |
|---|---|---|
| *სექცია O* | | ***კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა.*** |
| განყოფილება 90 | | კანალიზაცია, სანაგვეები და ნარჩენების მოცილება. |
| განყოფილება 91 | | საზოგადოებრივი გაერთიანებების საქმიანობა. |
| განყოფილება 92 | | საქმიანობა დასვენების, გართობის, კულტურისა და სპორტის ორგანიზების დარგში. |
| განყოფილება 93 | | ინდივიდუალური მომსახურება. |
| *სექცია P* | | ***შინამოსამსახურის საქმიანობა და შინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული საქონლისა და მომსახურე-ბის წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისათვის.*** |
| განყოფილება 95 | | შინამეურნეობის გაძღოლასთან დაკავშირებული მომსა-ხურება. |
| განყოფილება 96 | | შინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული საქონ-ლის წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისათვის. |
| განყოფილება 97 | | შინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული მომსა-ხურების წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისათვის. |
| *სექცია Q* | | ***ექსტერიტორიული ორგანიზაციების საქმიანობა.*** |
| განყოფილება 99 | | ექსტერიტორიული ორგანიზაციების საქმიანობა. |

**სექცია A** **სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა** სექცია შეიცავს მცენარეული და ცხოველური წარმოშობის ბუნებრივი რესურსების გამოყენებას. ის შეიცავს მემცენარეობას, მეცხოველეობას, მეტყევეობას, სხვა მცენარეების მოყვანას, ცხოველების მოშენებას ფერმებში ან ჩვეული ბინადრობის ადგილებში.

**სექცია B** **თევზჭერა, მეთევზეობა**

სექცია შეიცავს წყლის ბიორესურსების გამოყენებას მსოფლიო ოკეანის ღია წყლებსა და შიდა საზღვაო წყლებში, სახელდობრ: თევზის ჭერას, კიბოსნაირების, ნიჟარებისა და დანარჩენი ბიორესურსების (მარგალიტის, ღრუბლების) ჭერასა და შეგროვებას.

**სექცია C** **სამთომოპოვებითი მრეწველობა**

მოცემული სექცია შეიცავს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებას, რომელიც ბუნებაში არსებობს მყარი ქანების სახით (ნახშირი და მადანი), თხევად (ნავთობი) ან აირისებრ (ბუნებრივი აირი) მდგომარეობაში. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება შეიძლება განხორციელებულ იქნას საბადოების

დამუშავების მიწისქვეშა და ღია წესით, აგრეთვე ჭაბურღილების ექსპლუატაციის გზით.

**სექცია D დამამუშავებელი მრეწველობა**

დამამუშავებელი მრეწველობა მოიცავს ყველა საქმიანობის სახეს, რომელიც დაკავშირებულია მასალების, ნივთიერებებისა ან მათი კომპონენტების გადამუშავებასთან ახალ პროდუქტში (ანუ მექანიკურ გადამუშავებასთან, ფიზიკური და ქიმიური თვისებების ცვლილებასთან). საწყის მასალას ძირითადად წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო ნედლეული, მეტყევეობისა და თევზჭერის პროდუქტები, მთის ქანები და მინერალები.

**სექცია E ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება**

ეს სექცია შეიცავს ელექტროენერგიის, აირის, ორთქლისა და ცხელი წყლის განაწილებას მუდმივი ქსელებით, მილსადენებით, წყალსადენებით. მასში შედის აგრეთვე სამრეწველო საწარმოებისა და საცხოვრებელი სექტორების აირით, ორთქლითა და ცხელი წყლით მომარაგება, წყლის დაგროვება, გაწმენდა და განაწილება.

**სექცია F მშენებლობა**

ეს სექცია შეიცავს საცხოვრებელი შენობებისა და სამოქალაქო მშენებლობის ობიექტების, სამრეწველო შენობების მშენებლობას, შენობების მოსაპირკეთებელ სამუშაოებს, რემონტს, რეკონსტრუქციას.

**სექცია G ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი**

ეს სექცია შეიცავს ყველა სახის საქონლის საცალო და საბითუმო ვაჭრობას (გაყიდვას ცვლილებების გარეშე) და საქონლის განაწილებასთან მომსახურების გაწევას. ამ დაჯგუფებაში შეყვანილია აგრეთვე ავტოსატრანსპორტო საშუალებების რემონტი და პირადი მოხმარების ნაკეთობებისა და საგნების დაყენება და რემონტი.

**სექცია H სასტუმროები და რესტორნები**

ეს სექცია შეიცავს სასტუმროებისა და რესტორნების მომსახურებას, ახალგაზრდული ბანაკებსა და ტურბაზებს, კემპინგების მოედნების მომსახურებას, საცხოვრებელი ადგილების გაცემას მოკლე ვადით და მზა საკვებით ვაჭრობას, ზოგჯერ გასართობი პროგრამების თანხლებით: რესტორნებში, კაფეებში, სასადილოებში, ბარებში და სხვ.

**სექცია I ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა**

ეს სექცია შეიცავს სამგზავრო და სატვირთო რკინიგზის, მილსადენი, საავტომობილო, წყლის ან საჰაერო ტრანსპორტის მომსახურებას, დამხმარე საქმიანობას, როგორიცაა ტერმინალებისა და სადგომების საქმიანობა, ტვირთის სატრანსპორტო დამუშავება, შენახვა და ა.შ. საფოსტო კავშირისა და ელექტროკავშირის საქმიანობას.

**სექცია J საფინანსო საქმიანობა**

ეს სექცია შეიცავს საფინანსო საშუალებების მიღებასა და განაწილებასთან დაკავშირებულ საქმიანობას, საფინანსო საშუალებების მიღებას დეპოზიტების სახით, ცენტრალური ბანკების საქმიანობას, კომერციული ბანკების საქმიანობას, დაზღვევას, საპენსიო უზრუნველყოფას, ფასიანი ქაღალდების გამოშვებასა და რეგისტრაციას.

**სექცია K ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა**

ეს სექცია შეიცავს კომერციული მომსახურების გაწევას, როგორც სამრეწველო მომხმარებლებისათვის, ასევე შინა მეურნეობებისათვის, მაგალითად, პირადი მოხმარების საგნების იჯარა, იურიდიული მომსახურება, უსაფრთხოების დაცვა, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, შიდა საცხოვრისების მოპირკეთება, საქმიანობა ფოტოგრაფიის სფეროში და მისთ.

**სექცია L სახელმწიფო მმართველობა**

ეს სექცია შეიცავს თავდაცვას, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას, საქმიანობას იუსტიციისა და მართმსაჯულების სფეროში, საერთაშორისო საქმიანობას

**სექცია M განათლება**

ეს სექცია შეიცავს ნებისმიერი დონის სახელმწიფო და კერძო განათლებას, ნებისმიერი პროფესიის სწავლებას.

**სექცია N ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება**

ეს სექცია შეიცავს საქმიანობას მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების სფეროში და აგრეთვე ვეტერინარულ საქმიანობას.

**სექცია O კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა**

ეს სექცია შეიცავს ქუჩების გასუფთავებას, მომსახურებას კანალიზაციის, ნარჩენების მოცილებისა და სანიტარული დამუშავების სფეროში, კომერციული, სამეწარმეო და პროფესიული ორგანიზაციების საქმიანობას, პერსონალური მომსახურების გაწევას.

**სექცია P შინამოსამსახურის საქმიანობა და შინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული საქონლისა და მომსახუ-რების წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისათვის**

ეს სექცია შეიცავს შინამეურნეობის გაძღოლასთან დაკავშირებული მომსახურებას, შინამეურნეობების საქმიანობას, დაკავშირებულს საკუთარი მოხმარებისათვის საქონლის წარმოებასთან.

**სექცია Q ექსტერიტორიული ორგანიზაციების საქმიანობა**

ეს სექცია შეიცავს საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობას, როგორიცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და მისი სპეციალიზებული

დაწესებულებები, რეგიონული ორგანოები და ა.შ., ევროპული გაერთიანებები, თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაცია, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, საბაჟო თანამშრომლობის საბჭო, ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი და ა.შ.

# პროექტები

## პროექტი № 1 ახალი ამბების რეპორტაჟები საქართველოს რეგიონებიდან

### პროექტის აღწერა

1. მონაწილეები დაყავით ჯგუფებად – საქართველოს რეგიონების მიხედვით. (თითოეულში სასურველია იყოს 4-6 მონაწილე);
2. თითოეულ ჯგუფი წარმოადგენს ახალი ამბების ტელეპროგრამას შერჩეული რეგიონის ეკონომიკური მდგომარეობის ან რაიმე პრობლემის შესახებ და დაარქვან სახელწოდება (მაგალითად, "გურიის სიახლეები", ან ინტერვიუ გამოჩენილ ადამიანებთან და ა.შ.). პროგრამა უნდა ეფუძვნებოდეს იმ ეკონომიკურ მონაცემებს, რომლებსაც მონაწილეები მოიძიებენ /შეიძლება ძირითადი ინფორმაცია მასწავლებელმაც მიაწოდოს/. უკეთესი იქნება, თუ ამის შესაძლებლობა არის, რომ მონაწილეებს მონაცემების მოძიება დავავალოთ ერთი კვირის განმავლობაში. ამ მუშაობაში მთელი ჯგუფი უნდა ჩაერთოს.
3. რეპორტაჟის პრეზენტაციის დროს მონაწილეებს უფლება აქვთ გამოიყენონ ნებისმიერი სიუჟეტი, მუსიკა, აქსესუარები და სხვა ნივთები, რომლის შესახებაც ისინი აპირებენ საუბარს. სასურველი, თუ გამოიყენებენ პროექტორს, პლაკატებს, დიაგრამებს, გრაფიკებს. პრეზენტაციის ხანგრძლივობა 10 წუთით განისაზღვრება და იგი წარმოდგენილი იქნება წინასწარ დაგეგმილ დღეს.
4. მონაწილეებს უთხარით, რომ პროგრამის წარმოდგენის ბოლოს ყველა მონაწილე მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას, რომელიც გამოავლენს ყველაზე საუკეთესო რეპორტაჟს. პროექტი ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით: **შემოქმედებითი მიდგომა, მონაცემების აღქმის სიმარტივე და პრეზენტაციაში მთლიანი ჯგუფის მონაწილეობა.** კარგია, თუ გამარჯვებული გუნდი მასწავლებლებისაგან მიიღებს პრიზების ნაკრებს, რომელიც განაწილდება ჯგუფის წევრებს შორის. პრიზები შეიძლება გადაეცეს მეორე და მესამე ადგილზე გასულ გუნდებსაც. შემოიღეთ წესი, რომლის თანახმადაც მონაწილეების არ ექნებათ უფლება ხმა მისცენ საკუთარ გუნდს. ამის შესრულება რომ უზრუნველყოთ, თითოეულ მონაწილეს მიეცით ხმის მიცემის ბიულეტენი, რომელსაც მისი გუნდის ნომერი დაეწერება.

### მიზნები

- მოსწავლეების შესაძლებლობებისა და უნარ-ჩვევების, მიღებული თეორიული ცოდნის, სტატისტიკური მონაცემების გამოყენების, ანალიზის, სინთეზისა და შეფასების საფუძველზე ცოდნის დონის ამაღლება;
- საკუთარი შეხედულებებისა და დასკვნების გამოტანის უნარის ამაღლება ურთიერთსწავლების საშუალებით, პიროვნებათაშორისი ურთიერთობების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება;

**საჭირო დრო**

1 კვირა

**სწავლების მოდელი**

- ♦ მოდელირება (როლების განაწილება, წესების დადგენა და სხვ.);
- ♦ კოოპერირებული სწავლება (ერთობლივი სწავლება, ინფორმაციის ჯგუფური დამუშავება;
- ♦ კვლევა (ინფორმაციის შეგროვება, ცხრილების, გრაფიკების, დიაგრამების, რუკების შედგენა, ძირითადი საკითხების, პრინციპების, იდეების ფორმულირება).

**პრიორიტეტები**

- ♦ საუკეთესოდ მიჩნეული იქნება ის პრეზენტაცია, რომელშიც გამოყენებული იქნება მრავალფეროვანი მასალა, ასახული იქნება აქტუალური პრობლემები, წარმოჩენილი იქნება ჯგუფის ეკონომიკური აზროვნების უნარი. დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკითხისადმი **შემოქმედებით** მიდგომას.

**ინტერნეტ-რესურსები:**

1. www.statistics.ge – სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი;
2. www.newsgeorgia.ge _ახალი ამბები. საინფორმაციო სააგენტო, საქართველო;
3. http://moe.caucasus.net _ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო;
4. www.ncsa.ge _ გლობალური გარემოს დაცვის მიზნით ქვეყნის შესაძლებლობათა გაძლიერების საჭიროების თვითშეფასება
5. www.climatechange.telenet.ge – გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო; კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი
6. www.parliament.ge – საქართველოს პარლამენტი;
7. www.civil.ge/geo _საქართველოს გაეროს ასოციაცია – ინტერნეტ-ჟურნალი;
8. www.president.gov.ge _ საქართველოს პრეზიდენტი;
9. http://www.mfa.gov.ge _ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;
10. http://www.geocities.com/kanonebi _ საქართველოს კანონთა კრებული;
11. http://www.geplac.org _ ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი;

**პროექტის შესრულების ეტაპები და ვადები**

1. **მოსამზადებელი სამუშაოები**

| თვე, რიცხვი | დეტალები | კომენტარები |
|---|---|---|
| | ფორმატის დადგენა | ჯგუფური განხილვა |
| | ინფორმაციის შეგროვება | წერილობით წარმოდგენა |

| | | |
|---|---|---|
| | | |

## 2. ძირითადი სამუშაოები

| თვე, რიცხვი | დეტალები | კომენტარები |
|---|---|---|
| | I ვარიანტის წარმოდგენა | წერილობით |
| | II ვარიანტის წარმოდგენა | წერილობით |

## 3. დასკვნითი სამუშაოები

| თვე, რიცხვი | დეტალები | კომენტარები |
|---|---|---|
| | საბოლოო ვარიანტის წარმოდგენა<br><br>გენერალური რეპეტიციები | წერილობით<br><br>------------------------ |

## 4. პრეზენტაციები

| თვე, რიცხვი | დეტალები | კომენტარები |
|---|---|---|
| | | ------------------------ |

**მონიტორინგი**

მონიტორინგს ანხორციელებს მასწავლებელი (მასწავლებლები). სამუშაოს შესრულების ყოველი ეტაპის დამთავრების შემდეგ მასწავლებელი აგროვებს ყოველი ჯგუფის მიერ წარმოდგენილ წერილობით დავალებას და წერს მოკლე დასკვნებს თითოეული ჯგუფის მუშაობის შესახებ.

დასკვნაში მითითებული უნდა იყოს ჯგუფში შემავალი თითოეული მოსწავლის საქმიანობის შედეგები და შეფასდეს შესაბამისი ქულებით, მის საფუძველზე კი მოხდეს ჯგუფის საშუალო ქულის დადგენა. მონიტორინგის შედეგები ყოველ ეტაპზე განიხილება ჯგუფის წევრებს შორის.

**პროცედურა**

ყოველ ჯგუფს ენიჭება შესაბამისი ნომერი და სახელი. ნომრის მიხედვით ჯგუფები წარმოადგენენ საკუთარ თავს. პრეზენტაციების დრო 15 წუთია, პრეზენტაციებს შორის დრო – 2-3 წუთი.

**შეფასება**

ჯგუფების შეფასება მოხდება კენჭისყრით. შეირჩევა ექსპერტთა ჯგუფი, რომლებიც დაასახელებენ სამ საუკეთესო ჯგუფს.*
(* იხ ნიმუში №1).

**შეფასების ძირითადი კრიტერიუმები**

- ძირითადი თემის ( საკითხის ) აქტუალობა;
- წარმოდგენილი მასალის წარმოჩენის უნარი;
- პლაკატების, სლაიდების, ცხრილების, რუქებისა და სხვა მასალების გამოყენება;
- პრეზენტაციაში ჯგუფის ყველა წევრის მონაწილეობა;

❖ პრეზენტაბელურობა, გადმოცემის უნარი (აუდიტორიასთან კონტაქტი, მკვეთრი, ლოგიკური საუბარი და სხვ.)
(*იხ. ნიმუში №2)

**შემაჯამებელი მეცადინეობა (უკუკავშირი)**

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად განიხილავს შედეგებს და კეთდება საბოლოო დასკვნა (უკუკავშირის ანკეტის ანალიზი). ამასთანავე სტუდენტებს აცნობენ მონიტორინგის შედეგებს და ქულებს.

**ნიმუში №1**

***პროექტი „რეპორტაჟები საქართველოს რეგიონებიდან”***

**( ბიულეტენის ნიმუში )**

| |
|---|
| **„რეპორტაჟები საქართველოს რეგიონებიდან“ – ბიულეტენი** |
| ---------------------------------------------------------------------- **პირველი ადგილი** |
| ---------------------------------------------------------------------- **მეორე ადგილი** |
| ---------------------------------------------------------------------- **მესამე ადგილი** |

**ნიმუში №2**

***პრეზენტაციის უკუკავშირის ანკეტა***

| |
|---|
| *რეგიონი:* - - - - - - - - - - - |

***შეფასების შკალა:***

1 = „საუკეთესო”; 2 = „კარგი”; 3 = „დამაკმაყოფილებელი”; 4 = „საჭიროებს დახვეწას”.

**პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ძირითადი საკითხების აქტუალურობა | 1 | 2 | 3 | 4 |
| 2 | თეორიული ცოდნის დონე | 1 | 2 | 3 | 4 |
| 3 | პრაქტიკული ცოდნის დონე | 1 | 2 | 3 | 4 |
| 4 | თვალსაჩინოებათა გამოყენება | 1 | 2 | 3 | 4 |
| 5 | მკვეთრი და გამართული საუბარი | 1 | 2 | 3 | 4 |
| 6 | კავშირი აუდიტორიასთან | 1 | 2 | 3 | 4 |
| 8 | ინტერესის აღძვრის უნარი | 1 | 2 | 3 | 4 |
| 9 | ჯგუფის ყველა წევრის მონაწილეობა | 1 | 2 | 3 | 4 |
| 10 | შემოქმედებითი მიდგომა | 1 | 2 | 3 | 4 |

**კომენტარები** ------------------------------------------------------------------------------------------------------------------
------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------
------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------
------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------
--------------------------------------------------------------------------------------------------------------------

## პროექტი №2 ეკონომიკურ მაჩვენებლებზე ნადირობა

### თემა: მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

### საჭირო დრო

4სთ (2 კვირა)

### მიზანი

მოსწავლეებს ევალებათ მრავალფეროვანი ეკონომიკური მონაცემების შეგროვება. მოპოვებული ინფორმაცია შესაძლოა მრავალი საინტერესო შედარების საფუძველი გახდეს.

### ინსტრუქცია

მოსწავლეები იყოფიან მცირე ჯგუფებად და ერთმანეთს ეჯიბრებიან ეკონომიკური მონაცემების შეგროვებაში. ჯგუფების მიერ შეგროვილი მონაცემების შედარება პროექტს შეჯიბრის ელემენტებს ჰმატებს. მონაცემების უმრავლესობა „World Wide Web"-ს სხვადასხვა ვებ-გვერდებზეა მოთავსებული. თუ მოსწავლეებს ინტერნეტში მუშაობა უჭირთ, შესაძლოა ისარგებლონ ბიბლიოთეკით.

თითოეულ ჯგუფს ურიგდება მოცემული სიის ასლები და ეძლევათ გარკვეული დრო სტატისტიკური მონაცემების მოძიებისათვის. გამარჯვებულად ის გუნდი გამოცხადდება, რომელიც ყველაზე მეტ პასუხს გასცემს (ყველაზე მეტ მონაცემს შეაგროვებს).

### განსახილველი საკითხები

1. მოსწავლეებს ჰკითხეთ, მონაცემთა რომელი წყარო იყო ყველაზე ინფორმაციული?
2. მოსწავლეებს ჰკითხეთ, რომელი მონაცემია ყველაზე უფრო ახალი?
3. რომელი მონაცემების მოძიება იყო ყველაზე ძნელი და ყველაზე იოლი?

### ინტერნეტ-რესურსები

1. www.parliament.ge – საქართველოს პარლამენტი;
2. www.civil.ge/geo _საქართველოს გაეროს ასოციაცია – ინტერნეტ-ჟურნალი;
3. www.president.gov.ge _ საქართველოს პრეზიდენტი;
5. http://www.geocities.com/kanonebi _ საქართველოს კანონთა კრებული;
6. http://www.geplac.org _ ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი;
7. http://www.delgeo.cec.eu.int/ge/eu_global_player/index1.html _ ევროკომისიის წარმომადგენლობა საქართველოში;
8. http://www.eu-integration.gov.ge/geo/georgiaandeugallery.php _ საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის სამთავრობო კომისია.
9. http://www.economy.gov.ge _ ეკონომიკური განვითარების სამინისტრო;
12. http://www.economy.ge/geo/departments.php?key=5 – _ ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, ტრანსპორტის დეპარტამენტი;
13. http://www.statistics.ge/Main/Ge/Agriculture/index.html - საქართველოს პირველი ეროვნული სასოფლო-სამეურნეო აღწერა;

*ჯგუფი* - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - --

*ჯგუფის წევრები:* 1. - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -
2. - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -
3. - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -

# ეკონომიკურ მაჩვენებლებზე ნადირობა

**მოძებნეთ მიმდინარე მონაცემები ქვემოთ ჩამოთვლილი სიდიდეებისათვის:**

1. მუდმივი მოსახლეობის რიცხოვნობა
2. ოფიციალურად რეგისტრირებული უმუშევრების რიცხოვნობა
3. ეკონომიკაში დასაქმებულთა საშუალოთვიური ხელფასი
4. საშუალოთვიური შემოსავლები ერთ სულზე ქალაქში
5. საშუალოთვიური შემოსავლები ერთ სულზე სოფლად
6. მოსახლეობის საშუალოთვიური ხარჯები ქალაქში
7. მოსახლეობის საშუალოთვიური ხარჯები სოფლად
8. საარსებო მინიმუმი
9. სიღარიბის დონე ქალაქად

10 სიღარიბის დონე სოფლად
11. მთლიანი შიდა პროდუქტი
12. ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე
13. მრეწველობის მთლიანი პროდუქცია
14. სოფლის მეურნეობის პროდუქცია
15. მემცენარეობის პროდუქცია
16. მეცხოველეობის პროდუქცია
17. ინვესტიციები ძირითად კაპიტალში
18. პრივატიზებული ობიექტების რაოდენობა
19. სამომხმარებლო ფასების ინდექსი
20. ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები
21. ბიუჯეტის ხარჯები
22. ბიუჯეტის შემოსავლების გადამეტება ხარჯებზე(+), დეფიციტი(-):
23. სარეზერვო ფული (წლის ბოლოსათვის), მლნ. ლარი
24. შიდა კრედიტები (წლის ბოლოსათვის), მლნ. ლარი
25. საგარეო სავაჭრო ბრუნვა, მლნ. აშშ დოლარი

26. ექსპორტი

27. იმპორტი

# პროექტი №3 ფასები და დრო – როგორ გაძვირდა ცხოვრება

## პროექტის მოკლე აღწერა
მოწავლეებმა უნდა გამოიკვლიონ მათ ქალაქში (სოფელში) მიმდინარე ფასები მოცემულ საქონელსა და მომსახურებაზე, შეადარონ წინა წლების მონაცემებს და გააკეთონ შესაბამისი დასკვნა.

## მიზანი
სტატისტიკური მონაცემების შედარების გზით საკუთარი შეხედულებებისა და დასკვნების გამოტანის უნარის ამაღლება.

## საჭირო დრო
3 საათი (ერთი კვირა)

## სწავლების მოდელი
კოოპერირებული სწავლება

## პრიორიტეტები
- საუკეთესოდ მიჩნეული იქნება ის პროექტი, რომელშიც ყველაზე უკეთ იქნება ჩატარებული გაანგარიშებები და გამოტანილი იქნება ადეკვატური დასკვნები.

## რესურსები
- **საქონლისა და მომსახურების ცალკეული სახეობების ფასები ქ. თბილისში**
(ლარი კგ-ში)

საქართველოს ეკონომიკის ა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მასალები,;
საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურის მასალები.

**დასკვნა** ----------------------------------------------------------------------------------------------------
----------------------------------------------------------------------------------------------------------------
----------------------------------------------------------------------------------------------------------------
----------------------------------------------------------------------------------------------------------------
----------------------------------------------------------------------------------------------------------------
----------------------------------------------------------------------------------------------------------------
----------------------------------------------------------------------------------------------------------------
----------------------------------------------------------------------------------------------------------------
----------------------------------------------------------------------------------------------------------------
-----------------------------------------------------------------------------------------------

## პროექტი 4 ცხოვრების დონე

### მიზანი

- შემოსავლებსა და ცხოვრების დონეს შორის დამოკიდებულების განსაზღვრა.
- მონაცემების მოგროვების და შედარების ანალიზის საშუალებით ლოგიკური დასკვნების გამოტანის უნარის ამაღლება.

### სწავლების მოდელი

ჯგუფური გამოკვლევა

### პრიორიტეტები

♦ საუკეთესოდ მიჩნეული იქნება ის პროექტი, რომელშიც ყველაზე უკეთ იქნება დასახული ამოცანები, შეიმუშავებული იქნება მოქმედების გეგმა, მოგროვილი ინფორმაციის და გაანგარიშებების საფუძველზე გამოტანილი იქნება ადეკვატური დასკვნები.

### პროექტის ხანგრძლივობა

4 საათი (2კვირა)

### დავალებები

- შექმენით სამუშაო ჯგუფები;
- დასახეთ ამოცანები;
- მოაგროვეთ ყველა საჭირო მონაცემი, რომელიც დაგჭირდებათ შემდეგ კითხვაზე პასუხის გასაცემად:

**?** რა მინიმალური შემოსავალია საჭირო ჩვენს ქვეყანაში იმისათვის, რომ ოთხი სულისაგან შემდგარი ოჯახი ცხოვრობდეს:

ა) სიღარიბის ზღვარზე?

ბ) ცხოვრების მინიმალურ დონეზე?

გ) ზომიერად კომფორტულად?

დ) აბსოლუტურ კომფორტში?

ე) ახდენილი ოცნებების სამყაროში?

**?**

- რა მონაცემების შეგროვება დაგჭირდებათ იმისათვის, რომ ამ კითხვებზე პასუხი გასცეთ?
- ვისგან შეგიძლიათ საჭირო ინფორმაციის მიღება?
- დასახეთ ამოცანები;
- შეიმუშავეთ მოქმედების გეგმა;
- განახორციელეთ თქვენი გეგმა.
- მოამზადეთ 10 წთ-იანი პრეზენტაცია და შედეგები თანაკლასელებს გაუზიარეთ.

### მოიფიქრე

რატომ განსხვავდება სხვადასხვა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი შედეგები?

## პროექტი 5 სოციალური მდგომარეობის ანალიზი

**ჯგუფური გამოკვლევა**

**მიზნები**

- გამოიკვლიეთ რომელ სოციალურ ჯგუფს სჭირდება ყველაზე მეტად საზოგადოების თანადგომა საქართველოში?
- დაგეგმეთ თანადგომის ღონისძიებები.;

**პროექტის ხანგრძლივობა**

4 საათი (2 კვირა)

**პრიორიტეტები**

საუკეთესოდ მიჩნეული იქნება ის პროექტი, რომელშიც ყველაზე უკეთ იქნება დასახული ამოცანები, შეიმუშავებული იქნება მოქმედების გეგმა, მოგროვილი ინფორმაციის და გაანგარიშებების საფუძველზე გამოტანილი იქნება ადეკვატური დასკვნები.

**ინსტრუქცია**

- შექმენით სამუშაო ჯგუფები;
- დასახეთ ამოცანები;
- შეადგინეთ სამუშაო გეგმა;
- მოიპოვეთ საჭირო ინფორმაცია;
- მოამზადეთ შესაბამისი ცხრილი და შეიტანეთ მონაცემები:

ა) ჩამოწერეთ სავარაუდო სოციალური ჯგუფები;

ბ) ჩამოწერეთ თოთოეული ჯგუფის სპეციფიკური პრობლემები;

გ) მიუთითეთ პრობლემების ხარისხი (სიმძაფრე);

დ) გამოავლინეთ ამ ჯგუფების საერთო საჭიროებები. (თუ შესაძლებელია მიუთითეთ რაოდენობრივი მაჩვენებლები);

- იმუშავეთ მონაცემების ანალიზზე;
- გამოავლინეთ სოციალური ჯგუფი, რომელიც ყველაზე მეტად საჭიროებს საზოგადოების თანადგომას;
- დაგეგმეთ ამ სოციალური ჯგუფის კონკრეტული წარმომადგენლების დასახმარებელი ღონისძიებები.

ვის შეუძლია ამ ღონისძიებების გატარება?

როგორ მოიაზრებთ თანადგომის ღონისძიებებში საკუთარ თავს?

**სავარაუდო შედეგების პროგნოზირება**

1. განსაზღვრეთ რა **შედეგს** მოიტანს უახლოესი 4 თვის მანძილზე თქვენს მიერ დაგეგმილი ღონისძიებები?
2. როგორ შეაფასებთ საერთო შედეგებს და **საკუთარი მონაწილეობის** ეფექტიანობას?
3. მოამზადეთ 10 წთ-იანი **პრეზენტაცია** და შედეგები თანაკლასელებს გაუზიარეთ.

# პროექტი 6 ბაზრის ანალიზი

ჯგუფური გამოკვლევა

## პროექტის მიზანი

მარკეტინგის ცნებებისა და ფილოსოფიის შესახებ მოსწავლეთა წარმოდგენის გაღრმავებას, ცოდნის მაღალ აკადემიურ ხარისხთან ერთად პრაქტიკაზე ორიენტირებლი შემდეგი უნარ–ჩვევების ფორმირება:

- ჯგუფში მუშაობა
- გამოცდილების შეძენა საქმიანობის დაგეგმვაში, ორგანიზებაში, გონივრული გადაწყვეტილების მიღებაში;
- ლიდერობა;
- ბაზრის სეგმენტირება;
- კლიენტზე ორიენტირებული სტრატეგიით მოქმედება;
- მოგების პროგნოზირება;

## სამუშაო დრო

6 საათი (3 კვირა)

## მითითებები

▲ თანაკლასელებთან ერთად შექმენით ჯგუფი. აირჩიეთ რომელიმე საქმიანობა და ერთად მოიძიეთ ინფორმაცია მისი წარმატებით განხორციელების ეკონომიკურ პირობებზე:

- სამართლებრივი ვალდებულებები;
- ბაზრის მდგომარეობა;
- აუცილებელი რესურსები;
- საწარმოო პროცესი;

☐☐ მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე მიიღეთ გადაწყვეტილება, დამოუკიდებლად როგორ აწარმოებდით და გაცვლიდით არჩეულ პროდუქტს.

დიდ ფურცელზე დახატეთ თქვენი ბიზნესის განვითერების ხე; ფესვები იქნება ის საფუძვლები, რომელიც აუცილებელია ბიზნესის დასაწყებად, ხის ტანი იქნება რესურსები, რომლითაც ბიზნესმა უნდა ისაზრდოვოს, ფოთლები და ნაყოფი-შესაბამისად სავარაუდო და თანმდევი შედეგები, რასაც თქვენი წაემატებული საქმიანობა მოიტანს.

შენიშვნა: მუშაობის პროცესში მოგიწევთ ახალი კომპონენტების დამატება თქვენი ნახატისათვის. სრულყოფილი ვარიანტი წარადგინეთ პრეზენტაციის დროს.

☐ თავდაპირველად თქვენს მიერ შერჩეული საქმიანობის **დაწყება** დაგეგმეთ. შემდეგ შეადგენეთ მარტივი ბიზნეს-გეგმა. აუცილებელი ინფორმაციის მოპოვების მიზნით, თითოეულმა თქვენგანმა კვირაში მინიმუმ ორი საათი უნდა გამოყოს.

☐ ჯგუფის პირველი შეხვედრა კომპანიის შექმნის იდეის დამუშავებას უნდა მიუძღვნათ. არჩევანი ისეთი პროდუქტის წარმოებაზე გააკეთეთ, რომელზეც ბაზარზე მოთხოვნა არსებობს და რომლის წარმოებაც **თქვენს შესაძლებლობებს არ აღემატება**.

ამ მიზნით, თავდაპირველად ოთხი-ხუთი ისეთი იდეა შეარჩიეთ, რომლის წარმოებაც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენს ცოდნასა და გამოცდილებას. მაგ. შეგიძლიათ აირჩიოთ სკოლის სასადილოსათვის რომელიმე პროდუქტის წარმოება: ნამცხვარი, შაქარლამა, სალათების ნაკრები, ცივი საუზმე და სხვა. ანდა მომსახურების ისეთი სახე,

რომელიც თვითონ შეგიძლიათ განახორციელოთ. თქვენი წარმოების პროდუქტი შეგიძლიათ ახლომდებარე მაღაზიებშიც ჩააბაროთ. ამიტომ ჩაატარეთ გამოკვლევა, რომლის მიზანიც იქნება იმის გარკვევა,

- თუ ვინ იქნება პროდუქციის მომხმარებელი,
- რა რაოდენობის პროდუქტის (მაგალითად ნამცხვარის ) გაყიდვა იქნება შესაძლებელი ერთი კვირის განმავლობაში სხვადასხვა ფასის პირობებში;
- კონკრეტულად სად და რა ფორმით უნდა მოხდეს პროდუქციის რეალიზაცია;
- როგორი უნდა იყოს დამზადების პროცესი;
- რა სახის და რაოდენობის რესურსები დაგჭირდებათ:
- განსაზღვრეთ პროდუქტის ფორმა, ზომები, შეფუთვა და ა.შ.
- მირებული ინფორმაციის საფუძველზე მოამზადეთ  ბიუჯეტი;

**კვლევის წარმოებისას შეგიძლიათ ისარგებლოთ მზა კვლევის ფურცლებით.**

**კვლევის ფურცელი** №1
/პროდუქტი, ფასი/

1. პროდუქტის დასახელება------------------------------------------------------------
2. აღწერეთ თქვენი პროდუქტი:------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------
3. რომელი მნიშვნელოვანი (უმთავრესი) თვისებები გააჩნია თქვენს პროდუქტს?-------------------------------------------------------------------------------------.
   ა. ----------------------------------------------------------------------------------------------------.
   ბ. ----------------------------------------------------------------------------------------------------
   გ.-----------------------------------------------------------------------------------------------------
4. ვინ იქნება ყველაზე მეტად დაინტერესებული თქვენი პროდუქტის შეძენით.-------------------------------------------------------------------------------------------
   ა.-----------------------------------------------------------------------------------------------------
   ბ.------------------------------------------------------------------------------------------------------
   გ.------------------------------------------------------------------------------------------------------
5. პროდუქტის რომელ თვისებებს თვლიან ყველაზე მნიშვნელოვნად მომხმარებლები?------------------------------------------------------------------
   ა.------------------------------------------------------------------------------------------------------------
   ბ.------------------------------------------------------------------------------------------------------------
   გ.------------------------------------------------------------------------------------------------------------
   დ.--------------------------------------------------------------------------------------------------------------------
6. განსაზღვროთ, რა ფასის გადახდაზე დათანხმდებიან მომხმარებლები? /ჩამოწერეთ სავარაუდო ფასები/
   ა.-----------------------------------------------------------------------------------------
   ბ.-------------------------------------------------------------------------------------------
   გ.--------------------------------------------------------------------------------------------
   დ.---------------------------------------------------------------------------------------

**კვლევის ფურცელი №2**
/ კვლევის ტექნოლოგია/

1. რესპოდენტთა რა რაოდენობის გამოკთხვა დაგვჭირდება იმისათვის, რომ განსაზღვროთ, რა ფასის გადახდაზე დათანხმდება მომხმარებლები ?---------------------
   ----------------------------------------------------------------------------------------------------------
2. პროდუქტის რომელ თვისებებს თვლის მომხმარებელი ყველაზე მნიშვნელოვნად?--
   ---------------------------------------------------------------------------------------------------------------------
   -------------------------------------------------------------------------------
3. გამოკითხვის გეგმა:
   1.---------------------------------------------------------------------------------------------------------------
   2.--------------------------------------------------------------------------------------------------------------
   3.--------------------------------------------------------------------------------------------------------------
4. ა. ბაზრის კვლევის გუნდის თითოეული წევრი რამდენი პოტენციური მომხმარებლის გამოკითხვაზე იქნება პასუხისმგებელი? -------------------------------------------------------------
   -------------------------------------------------------------------------------

   ბ. როგორ ამოვარჩევთ რესპონდენტს?--------------------------------------------------------------------
   -----------------------------------------------------------------------------------------------------
   ----------------------------------------------------------------------------------------------------------------

## შეფასების ფურცელი №1
## მოთხოვნის შესწავლა

სასურსათო მაღაზიის მეპატრონეს ნებართვა სთხოვეთ, 1- კვირის განმავლობაში საქონელზე **მოთხოვნის შესწავლის უფლება მოგცეთ.** ამოირჩიეთთქვენთვის საინტეტესო საქონელი, მაგალითად, 4-5 ტიპის ნამცხვარი და შაქარლამა, დაითვალეთ მოთხოვნილი საქონლის რაოდენობა, ჩაინიშნეთ ფასები, ააგეთ

### მოთხოვნის მრუდი

საქონლის /ნამცხვრების/ სხვადასხვა სახეობებისათვის

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | |

გაანალიზეთ შედეგები.

**შეფასების ფურცელი №2**

/სავაჭრო წარმომადგენლის გეგმა/

მომხმარებალთან ჩემი ურთიერთობის სტრატეგია------------------------------------------------------------
----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------
----------------------------------------------------------------------------------------------------------------------

1. ჩემი კლიენტების უმრავლესიბას წარმოედგენს სეგმენტს (ასკობრივი, ქცევითი, პროფესიულიდა ა.შ)------------------------------------------------------------------------------------------
------------------------------------------------------------------------------------------------------------

2. ჩემი მხრიდან საუკეთესო „მიდგომა“ იქნება -------------------------------------------------------------
------------------------------------------------------------------------------------------------------------------
-------------------------------------------------------------------------------------------------------------

3. მომხმარებელთან საქონლის პრეზენტაციისათვის ავირჩევ ფორმას---------------------------------
------------------------------------------------------------------------------------------------------------------
------------------------------------------------------------------------------------------------------------------

4. ჩემი კომპანიის საქონლის ორი უმთავრესი თვისებაა:
   ა. ------------------------------------------------------------------------------------------------
   ბ. -------------------------------------------------------------------------------------------------

5. სამი კითხვა, რომელთა დასმით შევძლებ საქონლისადმი კლიენტის ინტერესის გამოწვევას:
   ა. --------------------------------------------------------------------------------------------------
   ბ. -------------------------------------------------------------------------------------------------

6. ყველაზე მთავარი, რაც მინდა კლიენტს გავაგებინო, არის:
   ა. -------------------------------------------------------------------------------------------------
   ბ. ------------------------------------------------------------------------------------------------
   გ.-----------------------------------------------------------------------------------------------

7. როგორ დავეხმარები მომხმარებელს ყიდვის გადაწყვეტილების მიღებაში? -------------------
------------------------------------------------------------------------------------------------------------------
------------------------------------------------------------------------------------------------------------------
-----------------------------------------------------------------------------------------------------------

8. როგორ ვიმოქმედებ, თუ
   ა) მომხმარებელმა პროდუქტი შეიძინა:---------------------------------------------------------------------
   --------------------------------------------------------------------------------------------------------------
   --------------------------------------------------------------------------------------------------------------
   ----------------------------------------------------------------------------------------------------------

   ბ) მომხმარებელმა პროდუქტი არ შეიძინა------------------------------------------------------------------
   --------------------------------------------------------------------------------------------------------------
   --------------------------------------------------------------------------------------------------------------
   -------------------------------------------------------------------------

9. როგორ ვიმოქმედებ თუ პროდუქტზე მოთხოვნა მზარდი არ იქნება?-------------------------------
--------------------------------------------------------------------------------------------------------------
--------------------------------------------------------------------------------------------------------------
---------------------------------------------------------------------------------------------------------

**ინსტრუქცია**

- ცალკე ფურცელზე. შეადგინეთ ბაზრის გამოკვლევის კითხვარი;

- დაამზადეთ საკმარისი ასლები, რათა გუნდის თითოეულ წევრს კითხვარის ფურცლის საჭირო რაოდენობა ჰქონდეს.
- გამოიყენეთ კითხვარი თქვენი გეგმის შესაბამისად.

### ბიზნესის ასაწყობად აუცილებელი მოქმედებების დროში დანაწილება

| № | **რა არის გასაკეთებელი?** დაალაგეთ პრიორიტეტების მიხედვით | **როგორ უნდა გაკეთდეს?** | **რა დროში უნდა გაკეთდეს?** | **ვინ იქნება პასუხისმგებელი?** |
|---|---|---|---|---|
| 1. | | | | |
| 2. | | | | |
| 3. | | | | |
| 4. | | | | |

**შენიშვნა:** შეგიძლიათ კითხვარები თქვენი შეხედულებისამებრ შეცვალოთ, ან შექმნათ ახალი.

### 10 ერთეული პროდუქტის თვითღირებულება

| № | ინგრედიენტის დასახელება | ერთეულის ფასი |
|---|---|---|
| 1. | | |
| 2. | | |
| 3. | | |

**სულ ფასი** ----------------------------------------------------------------

- რამდენი ადამიანის მუშაობა დასჭირდება საჭირო პროდუქციის წარმოებას?-------------------------------------------------------------------------------

## დავალება

- შეაჯამეთ თქვენი გუნდის მიერ შეკრებილი მონაცემები

- **მოამზადეთ საწარმოს ბიუჯეტი**
- შეადარეთ სავარაუდო შემოსავლები და დანახარჯები.
- განსაზღვრეთ ერთი თვის სავარაუდო მოგება;
- თქვენ მიერ მიღებული გამოკვლევის შედეგებიდან გამომდინარე მოამზადეთ დასკვნა:

ა) პროდუქტის რომელ თვისებებზე არსებობს მეტი მოთხოვნა?
ბ) იქნება თუ არა პროდუქტზე მოთხოვნა მზარდი?

- შეაფასეთ, მოგების გაზრდისა და დანახარჯების შემცირების რა საშუალებები არსებობს?

**მოამზადეთ პრეზენტაცია, რათა კლასს კლასს კვლევის შედეგები გაუზიაროთ.**

## პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | სწორად შერჩეული ბიზნეს იდეა | 1 | 2 | 3 | 4 |
| 2 | თეორიული ცოდნის დონე | 1 | 2 | 3 | 4 |
| 3 | პრაქტიკული სამუშაოს მოცულობა | 1 | 2 | 3 | 4 |
| 4 | სქემებისა და გრაფიკების გამოყენება | 1 | 2 | 3 | 4 |
| 5 | კვლევის შედეგების განზოგადება | 1 | 2 | 3 | 4 |
| 6 | მიღებული გადაწყვეტილების სისწორე | 1 | 2 | 3 | 4 |
| 8 | დასაბუთება და ოპონირება | 1 | 2 | 3 | 4 |
| 9 | სამუშაოში ჯგუფის ყველა წევრის ჩართულობა | 1 | 2 | 3 | 4 |
| 10 | შემოქმედებითი მიდგომა | 1 | 2 | 3 | 4 |